ISSN 0132—6228

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნა

3

1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა





გურამ ფანჯიკიძე–ნი

რეზო ჭეიშვილი–ნი

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ბატონ გურამ ფანჯიკიძესა და ბატონ რეზო ჭეიშვილს ამ დირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალი ნაწარმოებებით გაეხარებინოთ ჩვენი მრავალათასიანი მკითხველი.

მხატვარი **ლაშა ფანჯიკიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებული

მარტი № 3

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაკარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაკაძე
გიორგი ბაძიანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიქველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი ხუციკაური
იორამ ქუმეტრელიძე
ჯანხუთ ღვინჯილია
პასტანგ ღლონტი
თემურ შაველაძე
შალიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტაშვილი
ეაჟა ჩორდელი
(ამ/გ მდივანი)
გიორგი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ირაკლი ბაზაკაძე

შინაარსი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. **ფსალმუნები** — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პროზა და პოეზია

7. **დათო თევზაძე** — DANSE MACABRE. მოთხრობა
17. **არჩილ ფირცხალავა** — ლექსები
25. **ირაკლი ბაზაკაძე** — მდუმარების სევდა. **ზაურ კალანდია** — „უცნაური“ მეგობრის ნაცნობი პორტრეტი.
29. **ლალი თოთაძე** — ლექსები
34. **ჯემალ ქირია** — მე, როსინანტი... რომანი. გაგრძელება
55. **ბელა შალვაშვილი** — ლექსები
59. **ირაკლი ციბროშვილი** — ლექსები
62. **ნოდარ შამანაძე** — დალუქული სახლი. მოთხრობა
73. **ნინო ქუთათელაძე** — ლექსები
76. **თამილა მაკარიძე** — მოთხრობები
83. **გურად მერკვილიშვილი** — შემონება. მოთხრობა
88. **დავით ბაკიძე** — ლექსები

ახალი თარგმანები

90. **ინჟი ანენა** — ლექსები: თარგმნეს: **ბაღათერ არაგულმა, ელგუჯა მარღიანმ, ირაკლი ბაზაკაძ**
94. **ვლადიმირ ნაბოკოვი** — ლოლიტა. გაგრძელება. თარგმნა **თამარ ლოგინაძ**

წერილები

127. **დავით მჭედლური** — „ციხარის“ პოეზია
136. **ალთანდილ ჯოხაძე** — ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლოზე
143. **ბეკან კილანავა** — „სადაცა ვერ ვის იპარებს სული“
149. **აგესალომ ტუღუში** — ერთი უცნობი ხატის წარწერა
151. **ნუგზარ გულორდავა** — მურმან ლებანიძის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი
152. **თეიმურაზ ბერიძე** — ძველი თბილისის გარეგანი სახის ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

ფსალმუნი 12

გუნდის ლოტბარს. რვასიმიან საკრავზე,
დავითის ფსალმუნი.

2. მიხსენ, უფალო,
ღვთისმოსავნი აღარ არიან,
გადაგებულან ჭეშმარიტნი კაცთა მოდგმიდან.
3. ეცრუებიან ერთიმეორეს,
ქლესა ტუჩებით ორპირობენ, პირმოთნეობენ.
4. წარხვეტს უფალი გაქლესილ ტუჩებს,
ცუდმეტყველ ენებს,
5. რომელნიც ბჭობენ — ვიძლავრებთო ჩვენი ენებით,
ჩვენთან არიან ჩვენი ბაგენი, ვინ იქნებაო ბატონი ჩვენი!
6. გაჭირვებულთა გაპარტახების, სალმობიერთა წუხილის
გამო
აწ აღვიძრები, — ამბობს უფალი, —
ვისაც გაქრობას უქადიან, იმას დავიხსნი.
7. სიტყვები უფლის — წმინდა სიტყვები,
ვითარცა ვერცხლი,
გამომწვარი თიხის ქურაში,
და ბრძმედში შვიდგზის გამოწრთობილი.
8. უფალო,
შენ მათ დაიფარავ, ძალას შეასხამ
ამიერიდან უკუნისამდე.
9. მიდი-მოდიან ირგვლივ ცოდვილნი,
აღზევებულან უღირსები კაცთა მოდგმიდან.

ფსალმუნი 13

გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

2. როდემდე ვიყო,
უფალო, შენგან საუკუნოდ დავიწყებული,
შენს მიერ სახეშექცეული როდემდე ვიდგე?
3. როდემდე ვიხშო ზრახვები სულში
ყოველდღიური სატკივარით გულგასენილმა,
როდემდე უნდა მძლავრობდეს ჩემზე აღზევებული
მოშუღლე ჩემი?

ფიგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1, 2.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მომხედე მე და შემისმინე, უფალო ღმერთო,
გაბრძანებრწყინე თვალში ნათელი,
რომ არ მივიძინო სიკვდილის ძილით;
5. რომ არ იზრახოს ჩემმა მტერმა: დავთრგუნე იგი! —
გაიხარებენ ძმალავნი ჩემნი,
თუ უცაბედად დამიცდა ფეხი.
6. მე კი ვსასოობ წყალობით შენით,
გულს განვიხარებ შენმიერი მაცხოვრებით,
საგალობლებით ვადიდებ უფალს —
კეთილმყოფელს და
მწყალობელს ჩემსას.

ფსალმუნი 14

გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

1. თქვა უგუნურმა თავის გულში: „არა არს ღმერთი!“ —
გაუკეთურდნენ, შებილწეს საქმე,
კაცი არ დარჩა სიკეთის მქნელი.
2. უფალმა ზეცით გადმოხედა ადამის შვილებს,
რომ მოენახა ვიეთთაგანი —
გონსრული ვინმე, ღმერთს რომ დაეძებს.
3. ყველა უკუდგა, ერთიანად ბიწი წაიცხეს,
კაცი არ არის სიკეთის მქნელი, —
ერთიც არ არის.
4. ნუთუ ვერ ჩახვდნენ უსჯულოები,
მაჭირვებელნი ჩემი ხალხისა —
პურს რომ სჭამენ და ღმერთს არ უხმობენ?
5. იქ შეწრიალდნენ, შეძრწუნდნენ დიდად,
რადგან მართალთა მოდგმაშია სუფევა ღმერთის.
6. თქვენ გაწბილეთ გლახაკის ფიქრი,
რომ უფალია მფარველი მისი.
7. დე, სიონიდან გარდამოვიდეს მაცხოვრება ისრაელისა,
იხსნას უფალმა ტყვეობიდან ერი თავისი,
და გაიხარებს იაკობი
და ისრაელი იმხიარულებს.

ფსალმუნი 15

დავითის ფსალმუნი.

1. უფალო,
ვინ დაიმკვიდრებს შენს საკურთხეველს,
შენს წმიდა მთაზე დაივანებს რომელი ერთი? —
2. ვინც შენს ბილიკზე უბიწოდ დავალს,
ვინც განარიგებს სამართლიანად
და თავის გულში განაცხადებს ჭეშმარიტებას,
3. ვინც არ ავყიობს თავისი ენით,
ბოროტს არ ჰკადრებს ახლობელს თვისას
და თავის მოყვასს არასოდეს დაამუნათებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ვის კნინად უჩანს ქვებუდანი საკუთარ თვალში,
უფლის მოშიშართ მიაგებს პატივს,
ვინც ჰფიცავს ზოგჯერ თავისთავის საზიანოდაც,
მაგრამ არ გასტეხს აღთქმას თავისას,
5. ვინც თავის დავლას გაასესხებს ვახშის გარეშე,
ვინც ქრთამს არ იხვეჭს უცოდველ კაცზე
და წესად მოსდგამს მოქმედება ესევითარი, —
არ ჩაიმუხლებს უკუნისამდე.

ფსალმუნი 16

დავითის გალობა.

1. მფარველად მექმენ, მეუფეო, რამეთუ გესავ.
2. ვესიტყვე უფალს: ჩემი ღმერთი ხარ,
სიკეთე თუ მაქვს — არსაიდან,
მარტოდენ შენით.
3. ღირსეულთადმი, ამა ქვეყნად რომ მიმოდიან,
და წმიდათადმი
მიმართულია ჩემეული ყველა გულისთქმა.
4. დაე, გამრავლდეს წუხილი მათი, უცხო ღვთაებებს
მიელტვის ვინაც,
მე მათ სისხლიან სასხურებელს
აღარ ვასხურებ,
არ გავიკარებ ბაგეებზე ხსენებას მათსას.
5. უფალო ჩემო, მომიწილადე წილი ჩემი და სასმისი ჩემი,
შენ დაიფარე წილხვედრი ჩემი!
6. ადგილ-მამული განმეჩინა რჩეულთა შორის,
სამემკვიდრეოც საჩინო შემხვდა.
7. ვაკურთხებ უფალს, რომელიც მირჩევს,
ღამდამობითაც მარიგებენ თირკმელნი ჩემნი.
8. უფალი თვალწინ დავიმკვიდრე უკუნისამდე,
რამეთუ მარჯვნივ მეგულვის იგი
და არასოდეს წავბორძიკდები.
9. ამად იხარებს გული ჩემი და
იმხიარულებს ღირსება ჩემი
და ჩემი ხორციც სასოებით დაემკვიდრება.
10. რამეთუ ჩემს სულს შენ არ დასთმობ ქვესკნელისათვის,
არ გაიმეტებ გასახრწნელად წმიდასა შენსა.
11. მასწავლე შენი ცხოვრების გზანი,
აღმავსე შენი სუფევის მადლით,
შენი მარჯვენით მანეტარე უკუნისამდე!

ფსალმუნი 17

დავითის ლოცვა.

1. გესმას, უფალო, ჩემი სიმართლე,
მოაყურადე დაღადისს ჩემსას
და შეისმინე
ვედრება ჩემი უზაკველი ბაგეებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შენგნით გამოვალს განკითხვა ჩემი
   და თვალნი შენნი განჭვრეტენ მართლად.
3. შენ გამოსცადე გული ჩემი,
   ღამით მეწვიე,
   ბრძძედში გამომწვი, — ვერა ჰპოვე რა,
   არ განდგომია პირი ჩემი
   განზრახვას ჩემსას.
4. კაცთა საქმეში —
   სიტყვისაებრ ბაგეთა შენთა —
   მე ვეკრძალვოდი უკეთურთა გზებსა და სავალს.
5. შენ წარმიმართე ნაბიჯები შენეულ გზებზე,
   არ დადრეკილან მუხლები ჩემი.
6. ამოგღაღადე, ვინძლო ჩემი გესმინა, ღმერთო,
   აწ სასმენელი მომაპყარ შენი
   და შეისმინე სათქმელი ჩემი.
7. გარდმოავლინე საკვირველი შენი წყალობა,
   უფალო ღმერთო, —
   რომელიც იხსნი
   მოსავთა შენთა მტრებისაგან შენი მარჯვენით.
8. მომეპატრონე თვალისჩინივით
   და შემიფარე საფარველში შენი ფრთებისა
9. უკეთურთაგან, — მე რომ მდევნიან,
   მტერთაგან, — გარს რომ შემომდგომიან შესამუსრავად
   ჩემი სულისა.
10. გამოკეტილან საკუთარ ქონში,
    ამპარტავნულად მეტყველებენ ბაგენი მათნი.
11. გარეგვერტყმიან ყოველ ნაბიჯზე,
    მოგვჩერებიან თვალგარისხებით,
    რომ დაგვანარცხონ დედამიწაზე.
12. ლომს წაგვანან საალაფოდ ნდომამორეულს,
    ბოკვერს ლომისას — ბუნაგში გართხმულს.
13. აღსდექ, უფალო, წარუდექ თვალწინ,
    მუხლისთავებზე დაამხე იგი,
    და სული ჩემი
    გამოიხსენი ბოროტისგან შენი მახვილით,
14. მოკვდავებისგან — შენი ხელით, უფალო ჩემო,—
    ამქვეყნიური მოკვდავებისგან,
    რომელთა წილი ცხოვრებაშია
    და შენს საგანძურს აღუვსია სტომაქი მათი,
    რომ მაძღრად იყვნენ მათი შვილები
    და მონაგარი დაუტოვონ თავიანთ ნაგრამს.
15. მე კი შენს სახეს
    სიწრფოებით დავეწაფები,
    შენი ხატებით აღვივსები დილაცისმარე.

ებრაულიდან თარგმა **ჯემალ აჯიაშვილმა**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო თევზაძე

DANSE MACABRE
(მოთხრობა)

არა ვარ ხორცის მჭამელი, არც თივის მთიბავ-
მხვეტელი,
სული ვარ, ხვთისა ბრძანებით სამსახურისა
მჭვრეტელი;
ვარ ხორციელთა ყოველთა მხოცელი,
ამომწყვეტელი,
არვინ დარჩების ქვეყნადა თვალთ
ნათელდაუშრეტელი.

დ. გურამიშვილი

აუცილებელი განმარტება

გარეთ აღარც ზამთარია და აღარც გაზაფხული. დასრულდა ერთი და ჯერ არ დაწყებულა მეორე. ბუნება გასაყარზე შეჩერდა მცირე ხნით, თითქო დაფიქრდა, ღირს თუ აღარაო. გაუბედავად შეჰყურებენ ერთმანეთს ხეები, სადღაც ცაში დაკიდულა ძველისძველი ციხე და მშვიდად უმზერს მოდიდებული მდინარის დენას. პარკებში ნელ-ნელა დაჩოჩავენ სიცოცხლეს ჩაბღაუჭებული არსებები. რაღაც განსაკუთრებულად პომპეზური ჩანს მათი ნელი სვლა, ედემის სიმშვიდე და აქა-იქ მორცხვად ამომზირალი ყვავილები... და ნათდება უცებ ყველაფერი, სხივი რამ ნათელი სჭრის ფიქრს ბურუსს და ცხადად ჩანს, როგორ ჩაჰხუტებია თითოეულ მათგანს სიკვდილი... ჩანს ამ ნელი სვლის უმთავრესი მიზეზი: ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სიკვდილთან ერთად ასინი ხაერდოვანი ბალახის ფონზე... ეს არის ჭეშმარიტი Danse macabre – როკვა სიკვდილისა... ჩუმია გარემო და ეს სიჩუმე უფრო ძალუმს ხდის იმ პანს, სიკვდილი რომ როკავს. მეც ვხედავ, დაჰყვება სიკვდილი ცეკვა-ცეკვით თითოეულს, წაეტანება, მერე რატომღაც გადაიფიქრებს... და ისევ წაეტანება... ვერავინ ამჩნევს მას, არავინ ფიქრობს მასზე, აღარც იმას ამჩნევს არავინ, რომ ჭოჭმანობს გაზაფხული... როკვა სიკვდილისა... ძნელადღა წაიშლი ამ სახეს გონებიდან: ხეივანში სიკვდილთან მოცეკვავე წყვილები...

Danse macabre, როკვა სიკვდილისა... ღღეს, ალბათ, განმარტება დასჭირდება ამ თემაზე ფიქრს. ერთი კია, თუ მართალია, როგორც ამას ფიქრობდა კამიუ, რომ ყოველი ფილოსოფიის თავი და თავი პრობლემა თვითმკვლელობის გაჯრებაა, მაშინ მართალი უნდა იყოს ისიც, რომ ყოველგვარი კულტურის სიმწიფის მაუწყებელია, ოუ როგორ აჰყვება იგი სიკვდილს როკვას... ვინ ნახა ჭეშმარიტი როკვა სიკვდილისა? ვინ დაიჭირა საშინელი სახე სიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდილისა? ვინა ჰკრიფა იმასაც ერთად ყვავილები?..

მაკაბრიზმსაც თავისი სამშობლო აქვს. ევროპა.

Danse macabre... რა არის ეს, გვემაა ჩვენი, თუ ზნისა ჩვენი? რა ისმის მის ჰანგში? რა ისმის..

„რომლისთვის იტყოდეს და თქვას, ვითარმედ: ესე ახალი არს, მიერითგანვე ქმნულ არს საუკუნეთა მათ ყოფილთა უწინარეს ჩვენსა"...

აღარც მე ვიტყვი ახალს და არც ძველს მოგახსენებთ... სიკვდილზე საუბრისათვის განვეწყვე და შემინდეთ, თუკი თანამესაუბრედ ისინი ვირჩიე, ვინაც ამ საგნის უკვე ისწავლა რამე...

ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ. ᲛᲝᲙᲚᲔ

ქვემოთ არც ანალიზია რაიმესი და არც შეპირისპირება ვინმესი. ეს ის ასოციაციებია, რომელთაც გარკვეულ ავტორთა და სტრიქონთა გააზრება აწვევს ჩემს სულში. ამიტომ ზედმეტად მიმაჩნია ყოველი ციტაციისას მითითება მისი სადაურობისა. ისედაც აშკარად ჩანს, თუ რისი მთქმელი ვარ მე და რისი მთქმელია სხვა. ივიეე ეხება აზრებსაც და თუკი რომელიმე მოაზროვნე მაინც მოხსენებულია, ეს არ ნიშნავს სრულებით იმას, რომ სხვამ ნაკლები გავლენა იქონია. აზრებ..ს სადაურობაც ისევე აშკარაა, ვითარცა სიტყვებისა... რაც შეეხება ასოციაციებს, მოგეხსენებათ, ასოციაციები ყოველთვის თავისუფალია...

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲦᲠᲘᲜᲐᲗᲔᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ

როგორც ამბობენ, ავინიონში, ერთერთ მონასტერში, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის ქარიშხალი მტვრად არ აქცევდა, კედელს შერჩენოდა მეფე რენეს ნატიფი ხელით შესრულებული სახე მშვენიერი ქალისა, ლამაზი ვარცხნილობით და მდიდრულ სამოსში... სხეულს მისას, ასევე მშვენიერს, მატლი დასეოდა და უწყალოდ ჭამდა... იმასაც ამბობენ, ეს არისო ის, რაც მეფეს ერგებოდა თავისი საყვარლის აკლდამაში იხილა დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ... სიკვდილი ჩაეხუტებოდა ქალს და საზარელი ხატი, კედელზე ალბეჭდილი, მისი ამბორი იყო ძხოლოდ... სიკვდილის ამბორი... ასე ჩახუტებულნი ელიან ისინი სამყაროში აწ და მარადის... ერთად... ასეთი დამთორებელია სუნთქვა სიკვდილისა, ასეთი თავბრუდამხვევია მისი როკვა... ო!

„ესთვლი მოწყინებით"... მოწყინებით...
რაც იყო, განქარდა.
რაც არის, განქარდება.
ხოლო ის, რაც იქნება, იქნება ოდესმე?
როდის, რანაირი?
და განქარდება ისევე, ზომ?
ო! რა ძნელია, ყველაფრის ტვირთი გონს რომ აჰკიდი და აჯირითო ტვირთასხმული უსასრულოში წინ და უკან... მაგრამ სადაა წინ, ან სად არის უკან? რაღა აზრი აქვს წარსულს და აწმყოს, თუკი უსასრულოში უნდა მოიძიონ, სადაც ყოველი წინ არის უკან, ხოლო ყოველივე აწმყო — წარსული...
დაბორიალობს გონი და აღარ იცის, თუ რჩება კიდევ სამყაროში ჩასაჭიდი.
და ირღვევა დრო.
და ნელ-ნელა ილევა ფურცლები კალენდრის.
და გაცვენილი ფოთლებივით იფანტება, იფანტება, იფანტება...
და აღარ იცი, დგება თუ არა შემოდგომა სამყაროში, და თუ არ დგება, რატომ ცვივა ასე უთავბოლოდ ფოთლები?...
და აღარ იცი, არის თუ არა გაზაფხული სამყაროში, და თუ არ დგება, რატომ ჩნდება ახალი დღე ისევ, და ისევ, და ისევ..." ვზივარ და ძალას ვატან გონს. და ვიგონებ სურათს — „ტვინისჭყლეტა". და მეშინია სამყაროსი, როდესაც წამებას დათვლას ვიწყებ და მაინც... ვსთვლი მოწყინებით... ვსთვლი მოწყინებით... ვსთვლი მოწყინებით...
ჟამს...

გმადლობთ, ტატო. თქვენ შემოქმედნით მე სასურველი განწყობა და ახლა ძალმიძს, რომ სიკვდილზე ველაპარაკოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამაოებად ამაოებად, ყოველივე ამაო“ ანუ „ჟამი ჯოჯოხეთში“

Ah! j'en ai trop pris: — Mais, cher Satan,
je vous en conjure, une prunelle moins irritée!

. . . .

Je meurs de lassitude. C'est le tombeau, je men Une saison en enfer. vais aux vers, horreur de l'horreur!

A. Rimbaud.

— ჯერ ნუ აღშფოთდებით, ნუ აჩქარდებით...

თქვენ ხომ არ იცით, რაც უნდა გითხრათ, ძვირფასო სატანა. დიახ, ძვირფასო, იმიტომ, რომ თქვენი ღვიძლი შვილია კაცობრიობა, მე კიდევ იმისი ღვიძლი შვილი ვარ. ასე, რომ, სულ ცოტა, ბაბუად მეკუთვნით და თუკი თქვენ, ჩემო ძვირფასო წინაპარო, ახლო�d ეშმაკი და თვალთმაქცი იყავით, თქვენი ნაშიერი ერთდროულად ეშმაკიც არის, ბილწიც, მუხთალი, გაუტანელი, უნდო, უგვანი, მრუში და... კიდევ სად მოვიძიო ის სიტყვები, რომ კაცობრიობა, მშობელი ჩემი, სრულად დაგისურათხატოთ?...

„როგორღაც საღამოს სილამაზე დავისვი მუხლებზე და მწარე აღმოჩნდა ის...“

საბრალო არტურ! გაცილებით გვიან, როდესაც შენ თავს დაღწევ ევროპას, რომ სადღაც, აფრიკაში უკურნებელი სენი შეიყარო, გაცილებით გვიან, როდესაც მუზებისათვის მკვდარი, მშვიდი ცხოვრების დინებას მისცემ თავს, მიხვდები, რომ არა რაი არს სილამაზე, არა რაი... მიხვდები, რომ ხიბლია მხოლოდ, მაია, რული, მირაჟი, — უდაბნოში მოწყურებული სულის დასაჯერებლად მიხატული ცაზე... რომ სიცარიელეა იქ, როდესაც ახლო მიუჩოჩდები, უშნო ნაოჭი — სადაც კანის სიელუვე ჩანდა შორიდან... და თუკი მუხლებზეც დაისვამ, ლპობისა და შმორის სუნსაც იგრძნობ უთუოდ...

სიკვდილია, სიკვდილი, ლამაზი რომ ჩანს. დროსთან ერთად ერთ ფერხულში, ერთ თამაშს თამაშობს! ნაოჭია იქ, სადაც კანის სიგლუვე ჩანს შორიდან, დაიხსომე, დროის ღარი — ნაოჭი... ლპობა და შმორია იქ, სადაც სუნამოს გემოსა ჰგრძნობ, საფლავის შმორი... ესეც კარგად დაიხსომე, არტურ, საფლავის შმორი...

ჯერ კი თვრამეტი წლისა ხარ, არტურ, ჯერ შეიძლება აღშფოთდე, თუკი სილამაზე მწარე აღმოჩნდება, ჯერაც შეიძლება იფიქრო, რომ შენს ძარღვებში წარმართთა სისხლი ამეტყველდა, რომ შორეული ზღვის სუნთქვა ამოვიწვავს ფილტვებს და ქარი, უცხო ქვეყნის ქარი გაგიუხეშებს კანს... ჯერ შეიძლება გეგონოს, რომ დაუბრუნდები ევროპას ძლიერი, ველურად ძლიერი, რკინის კუნთებით და მტაცებლური მზერით, გექნება ოქრო და თაყვანს გცემენ ქალები... ეგ ყველაფერი შეიძლება გეგონოს, როდესაც თვრამეტი წლის ხარ... როდესაც ევროპა ჯოჯოხეთია, ხოლო ცხოვრება — ჟამი ჯოჯოხეთში...

გაცილებით გვიან, შენ დაუბრუნდები ევროპას, საკაცეზე მიჯაჭვული ხეიბარი, უცხო სენი შიგნიდან შეჭამს შენს რკინის კუნთებს, მტაცებლური მზერა დარჩება იქ, ყმაწვილურ ზმანებებში და ერთი ქალი, ერთად-ერთი ქალი ჩამოგიჯდება სასთუმალთან. ასეთი იქნება, არტურ, შენი ხორციელი ტრიუმფი, შენი წარმართული ამეტყველება სისხლის... ასეთი იქნება შენი შურისძიება ევროპაზე.

Deus vult!...

იგრძენი, არა, სუნთქვა სიკვდილის? როკავს იგი, შენ გეცეკვება, შენ, რომელმაც შორეული ზღვიდან მოაღწიე მარსელის ნაპირს; შენ, რომელსაც აბისინიის მზესთან ერთად, უდაბნოს მწველი სუნთქვა მოგყვა... ყველაფერი ისეა, როგორც შენ გეგონა, ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას რომ ლამობდი. ერთი ვერ გათავე მხოლოდ, — როკვა სიკვდილსა, რომელიც დაბადებიდან დგგყვა, რომელიც შენთან იყო იქ, ჯოჯოხეთში, რომელიც გამოგყვა შორეულ ზღვაში, რომელსაც გაბეზრდა შენთან ლაციცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქ, ისევ მარსელში დაგაგდო... ეს კია, ვეამბორა დამშვიდობებისას... ვაი, რომ ლპობაა ეს ამბორი. ვაი, რომ შმორის სუნი ასდის... საბრალო არტურ!... თორემ ლამაზი, ალბათ, შენც იყავი...

„განა ვიცი მე, რაი არს ბუნება? და რაი ვარ მე თვითონ?“

ო, რა დაწყეველილი კითხვებია, განსაკუთრებით ბოლო. სიამოვნებით გეტყოდი, მეც რომ ვიცოდე პასუხი... სიამოვნებით. ეგაა, რომ შემიძლია ვივარაუდო, რაი ვარ მე თვითონ. შემომხედე! რას ხედავ? და გჯერა, რომ ესა ვარ, რასაც ხედავ? აბა, შემომახსენი კანი, შენი წარმოსახვით, რაღა თქმა უნდა... მისწიმოსწიე კუნთები, ზორცი, ამოალაგე შიგნეული, შემოაცალე ძვალს ყველაფერი, რაც ზედ აჰკერია, დამატოვე მხოლოდ კბილები, მხოლოდ კბილები... გესმის? აი, ახლა, შესაძლოა ახლო იყო ჭეშმარიტებასთან: მე ვარ, როგორც ამას იტყოდა ნიცშე, თანდათან ლპობადი და გალიმებული თავის ქალა... მნიშვნელოვანი დეტალია, თანდათან ლპობადი, ე. ი. ᲔᲚᲕᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ.... ეს არის იმდენად უეჭველი, ვითარცა კარტეზიანული cogito, უფრო უეჭველი და ამატომაც უფრო თამამად შემიძლია ვთქვა: „თანდათან ვლპები, მაშასადამე ვარსებობ!“... აი, ჩემი ფილოსოფიის თავი და თავი დებულება. ახლა აქედან აგიგებთ სამყაროს, რომლის დევიზია memento mori. რაიმე არ მოგწონთ, ბატონო არტურ რემბო?! განა შეგიძლიათ უარმყოთ თქვენ, რომელმაც მოლიეთ ჟამი თქვენი ჯოჯოხეთში ყოფნისა? სამყარო ჩენნაირ გვამთა სამყოფაა. სიზმარეული სამყოფი. ხიბლია ყოველი, რასაც ვხედავთ, რასაც ვეხებით, რასაც ვგრძნობთ, ვეტრფით, მიველტვით... ხიბლი და ისევ თავე თანდათან-ლპობადი-მატერია, ვითარცა მე... როკვა სიკვდილისა!

„შიმშილი, წყურვილი, კივილი, როკვა, როკვა, როკვა, როკვა!“ დავამატებ მხოლოდ — სიკვდილისა...

„აი, თურმე რა! სიცოცხლის საათი ესესაა გაჩერდა. მე უკვე სამყაროს მიღმა ვარ“.

სამყაროს მიღმა... რა საოცარი სურათი უნდა დაგხვედრდათ. სამყარო, ალბათ, ძალიან მსუბუქი და ძალიან ლამაზი ჩანს შორიდან. მაგრამ ჩუ, სილამაზე ხომ მეტად მწარეა, თუკი მუხლებზე დაისვამ?! ჩააკვირდით კარგად, ჩააკვირდით... ო, სუფრაა, სატანური სუფრაა გაშლილი... ო, თამადაა, სუფრის თამადაა სიკვდილი.

. . .

ᲘᲯᲓᲐ სიკვდილი სუფრის თავში, თამადის გვერდით.

ᲮᲐᲚᲮᲘ ღრეობდა, იცინოდა, სვამდა, მღეროდა,

ᲘᲯᲓᲐ სიკვდილი და ᲮᲔᲚᲗ ეპყრა თავისი კვერთხი,

თუმც მეფე იყო, მას არავინ იქ არა სცნობდა,

იგი არ ჩანდა...

ქორწილი იყო, ᲮᲐᲚᲮᲘ ღვინით გამოლეშილი.

გამაძღარ გვამთა უზეშ სიტყვას ისმენდა მშვიდი

და ვინ რა იცის, თუ რა იყო იქ მოსაწყენი,

ვინ რას უქადდა უდარდელთა უდარდელ სიცილს,

ცელი არ ჩანდა...

და როცა დაშერა ამაოთა ამაო ლხინი, როცა უტკბესმა ნეტარებამ იმძლავრა წამით,

როცა სიცოცხლემ სიყვარულთან გადასდო ხიდი,

ᲘᲕᲓᲐᲪᲐᲛ თითქო რაღაც უშნო დალანდა ჟამი,

ᲘᲕᲓᲐᲪᲐᲡ თითქო უნებურად აღმოხდა „ღმერთო!“

მის წინ საშინელ მოჩვენებას ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ იგი.

ᲣᲪᲔᲒ შთაინთქა სიბნელეში, რაც კი რამ ენთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო შეირყა დედამიწა და...
გრძელდებოდა ლხინი ღამეში.
ქორწილის სუფრას მისჯდომოდა ჩონ-
ჩხების რიგი.
მეფე არ ჩანდა...

. . .

ო, ახლა ვიცი, თქვენ უნდა ამდერდეთ,
ბატონო სატანა. თქვენი ჯერია როკვის,
შეხედეთ, შეხედეთ, ირყევა დედამიწა!
მტვრის გორგალი აიჭრა ცაში, ო, რა
საშინლად ირყევა მიწა!

ქაოსი შთანთქავს კოსმოსს, უეცრივ ყველ-
ა გზა გაქრა, ათას ბილიკად დაიჩაჩა
და გარბის ასე სხვადასხვა მხარეს...
გიზგიზებს ცეცხლი... ო, რა მწველია!
ო, რა ტკივილის მომნიჭებელი! ნუთუ
ვერ გაადწევს სული ვერსაით ამ კოშ-
მარს? ნუ ხარხარებ, ნუ ხარხარეს, სატა-
ნა! შენი შვილებითაა აგიზგიზებული
ეს კოცონი! შვილებით... შვილებით...

„De profundis Domine! რა სულელი
ვარ!“
ცეცხლი გიზგიზებს იქ, სამყაროს მიღ-
მა, სადაც გაჩერებულია საათი, საიდა-
ნაც შორს, ძალიან შორს ჩანს დედამი-
წა...

აქ კი არც ზამთარი და არც გაზაფ-
ხულია: ერთი გავიდა, მეორე ჯერაც
ფიქრობს, რა ვქნაო... ზემოდან სცრის,
ხოლო ხეივანში ნელ-ნელა მოცეკვავენ
სიკვდილს ჩახუტებული ლანდები...
შშორის სუნი დგას, საფლავის შშორის...
შეირხა ჩემს უკან რაღაც და მეც ხელი
ჩამოვართვი ჩემს მეწყვილეს... ნელ-ნე-
ლა, მერე მოვუჭქარბო, ჯერ გვაქვს
დრო, ჯერ გვაქვს დრო... ჯერ გვაქვს...
დრო...
იწყება, იწყება როკვა...
ყველამ მოიხედეთ!
ყველას გაჯეთ წყვილი!
ააჟღერეთ, ხმამაღლა ააჟღერეთ საკრა-
ვები!
სრულდება ცეკვა „ჟამი ჯოჯოხეთში“...
სიკვდილია, სიკვდილია, სიკვდილია...

„ᲒᲐᲠᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲭᲔᲑᲘ“ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲗᲐᲜ

. . .

მე სურათით ვიცი გალაკტიონი, ისე-
ვე, როგორც თქვენ...

მეც მეუფლება სურვილი, ჩავიხედო
ღამეში: ადამიანი ვარ და ცნობისმოყ-
ვარე....

ეგ არის, რომ უტყვია ჩემი ღამე, და-
მუნჯებული, რამეთუ მეტად მეტყველია
დღე...

ამიტომაა, რომ არ გამომდის თამაში
ქიმერებთან, შორიდან ვეჭვრეტ, ველარ
ვარჩევ და ვიცი მხოლოდ, რომ იქ არია-
ან, სხვისი ვენიით დავიწყებას წაგლე-
ჯილნი, გამოტაცებულნი...

და ვანებებ თავს ღამეს და გადავშლი
წიგნს და... მეკითხება ქირქილით გა-
ლაკტიონი:

— ყმაწვილო, რომელი საათია?

. . .

— ახლა, მართლაც რომ ძლიერ გვიანაა,
ბატონო გალაკტიონ!... გვიანაა. ღამემ
ჩამაურიგა სიზმრები მავანთ და მათი
აღსრულების მოლოდინში მოწყენით
მისჩერებია ჟამს... და არ ჩანს გარკვე-
ვით, ჟამს აუსხამს ღამეები მძიეებად,
თუ ღამეს უპყრია კრიალოსანი ჟამის
და შეჰყურებენ ერთმანეთს ღამე და
ჟამი...
და

„რომელი საათია?“... — კითხულობს
ღამე...

„თრობის საათია“... — გნებავთ უპასუ-
ხოს...

„ფიქრის საათია“... — ჩამძახის ვი-
ღაც...

„ᲭᲕᲠᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲐ“... — პასუხობს ჟამი...

თრობა — ბედის ნებიერთა ხვედრია
უთუოდ... ფიქრი — წვალების, ტკივნის
ჭყლეტის, სევდის, უკმარობის, დიდი,
გაუნელებელი და განუზომლად დიდი
მწუხარების ხვედრია ფიქრი... ხოლო
ᲭᲕᲠᲔᲢᲐ...

„საჭვრეტად საუკეთესონი მოდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ“ — ძალიან შორს, თავისთვის ამბობს პითაგორა და ქრონოსის სვლაში ჰარმონიულ ტონებს თვლის... თქვენ, ალბათ, ძალიან ბევრს ფიქრობდით, ბატონო გალაკტიონ...

. . .

მართლაც, უწვეულო ფიქრი იცის ღამემ, უცნაური მეგზურობა... მე შაშს მგერის ღამე, ვინაიდან ბნელია, უსახური (ჩემთვის უსახური, თორემ თქვენ... თქვენ ვარდისფერს ხედავდით უთუოდ...), ჩუმი, დამთრობელი, შემპარავი... სიზმარს შეგაპარებს, შიგ ბანგს გაგიერევს, გაგაბრუებს და ისე გარბენინებს ღამეულ ზმანებებში დ... გადაგაბარებს დღეს... მე თრობის შეშინია, ზმანებათა ჯადოსი, სიცრუის... თუმც დარაჯად დაუდექ ამადამ... ღამე დგას ჩვენს შორის, დიდი, უსასრულოდ დიდი და ბნელი, ბნელზე ბნელი ღამე... ამ ღამეს უნდა გამოვგლეჯო სახე თქვენი, ჩემად ვიგრძნო, ჩემად გავიხადო... მე მჭირდება ეს, მჭირდება, როგორც ადამიანს, რადგან სინათლეს უფრო თამამად შეეხედავ მერე...

ამიტომ ხელს ვკიდებ ზარს (ძველ სამრეკლოზე ფრთხილად რომ შეეხეთ) და ვგრძნობ, მართლაც, ორია ეს ზარი; ვიცი, რომ ღამე აორებს მის ხმას და ერთი მხარე — დიდი, დიდზე დიდი სინათლეა, სინათლე, რომელიც ღამეული იდუმალებიდან მოჟონავს, ნელ-ნელა გიპყრობს და გაჯადოებს...

ამიტომ ვირჩევ ღამე...

ამიტომ ვებრძვი ახლა უძილობას...

მართლაც, რომ ძალიან გვიანაა, ბატონო გალაკტიონ...

მართლაც, რომ საოცარი, უწვეულო ფიქრი სცოდნია ღამეს...

მიდის ქრონოსი, მიერეკება წუთებს, წლებს, საუკუნეებს... მიერეკება ქვეშევრდომთ თვისთა... თანაბრად მიდის და არა სჩვევია აჩქარება...

ეგაა, რომ წინ მიდის მხოლოდ...

„რომელი საათია?“... — კითხულობს ღამე... და თავისი განუმეორებელი სიტკბო გააჩნია ამ კითხვას: ღამე ელ-კარს უცდის.. განთიადის, სინათლის მოლოდინშია ღამე...

. . .

„და სისხლიანი დგას ანგელოსი“...

სისხლიანი დიდების ღირსი გახდა ფაეტონი, ურჩი შვილი მამისა. დაისაჯა ფაეტონი ამ ურჩობისთვის და დამხობილ იქნა. აიწყვიტეს ცეცხლის რაშებმა და... ჯერაც გამოუცდელ ხელს ძალა არ ეყო, რომ დაეოკებინა თაკარშვებული სრბოლა. იმასაც ამბობენ, შეეშინდაო ფაეტონს, ინანაო თითქო... თუმცა, მართვა რომ შეძლებოდა ელვარე ეტლის, მის ამბავს საერთოდ იტყოდა ვინმე?...

გაუთავებელია სრბოლა, ადამიანური სიცოცხლე რომ ჰქვია და ამ დიდ გზაზე მხოლოდ ხანდახან აკაშკაშდება ფაეტონისეული სული, აკაშკაშდება, რომ დაიფერფლოს ისევე, როგორც იფერფლება ვარსკვლავები... და სხივი ვარბის ჩაქრალი ვარსკვლავიდან... და კიდევ დიდხანს ანათებს წყვდიადს...

ვიგლახ, ცხოვრება ისეა აწყობილი, ყოველგვარ აღტყინებას შარავანდს მოაცლის და გამაშვებულს დაადგებს წვინდანს... ერთბაშად ნაცრისფერს იძენს ეს სახე, ფერმკრთალდება და

— საუკეთესონი საცქერლად მოდიან მხოლოდ... — გეტყვით ღიმღლით პითაგორა...

ო, რამოდენა ირონიას დაიტევდა ეს ფრაზა, ადამიანს იკობი რომ არ გაეჯიბრებინა ღმერთთან...

და ჯიბრში ჩაუდექით სიკვდილს, ბატონო გალაკტიონ...

და თვითონ დაჰქაჩეთ კალთაზე, ნუ გამირბიხარო...

და გრძელი იყო ეს გზა ჯიბრისა...

და ნაბიჯ-ნაბიჯ გაილია...

. . .

„მესაფლავე, შენ ამბობ, რომ...“

აბა, რა უნდა თქვას მესაფლავემ... ხითხითებს მხოლოდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე საუფლოა სასაფლაო, ცალკე სამკვიდრო...

სხვაა აქ ყველაფერი...

ხანდახან გამოჩნდებიან ადამიანები, თავდახრილნი მოჯარდებიან და პირღია მიწას ჩაჰყურებენ...

მიდიან მერე ისევ და ტოვებენ მესაფლავეს...

და იცის მესაფლავემ, რომ გაივლის დრო და წაიღებს მოგონების სევდას. იცის, აფეთქდება ერთხელაც აპრილი და ათასფრად აბრდღვიალდება აქაურობა, სურნელს გამოიღებს მიწა სიცოცხლისას და ყველაფერი, რაც მიწით სუნთქავს, მიწით სულდგმულობს, სიყვარულის ძალას მინებდება თავდავიწყებით...

და ყველაფერი შეიცვლება აქ...

და მხოლოდ მდუმარება, დიდი, უთავბოლოდ დიდი მდუმარება დარჩება უცვლელი...

და იცის მესაფლავემ, შეიკვრება ყველა ჭრილობა, გასწორდება საფლავის ბორცვი და მზეზე ახასხასებულ ბალახს ამოყვავება მიწამიყრილი...

და გასრულდება დიდი საიდუმლო გარდაცვალებისა, ფერს იცვლის ისიც და სიცოცხლეს დაუბრუნდება...

და აქ, სადაც ახლა მოჯარდა ხალხი, იქ, სადაც ახლა ღიაა მიწა, იქ, სადაც კუბოს ჩაასვენებენ, ერთ დღეს შედგება ბაქანი, სიყვარულის გაიდება ხიდი და გაილეკა უსასრულობა...

იცის ყველაფერი ეს მესაფლავემ, იცის და... ხითხითებს მხოლოდ...

და მაინც სევდის საუფლოა სასაფლაო...

და მაინც ტანჯვის მოციქულია მესაფლავე...

ო, დავიწყებავ!...

. . .

„ამაოა მთლად ქვეყანა, დრტვინვის წუთისოფელია“...

წავა, გაივლის ყველაფერი...

გადასხვანაირდება.

„ჰო“ და „არას“ შორის იხეტიალებს კაცი, თავის გაჩენას ხან ღმერთს დაბრალებს, ხან ეშმაკს, ხანაც მაიმუნს...

ჩაეჭიდება სიკეთეს, ბოროტებას შუბს მოუღერებს გაგულადებული... და ავიწყდება, ამ დროს რომ შუბით ბოროტების დამორგუნავი მკვლელია თვითონ, სიკეთე უსრულია, თუკი მას სისხლი ეწირება...

თვითონ იქცევა ბოროტებად...

ავიწყდება, რომ სხვა ფერი უნდა ედოს სიკეთეს,

მახვილი არ უნდა ეპყრას...

ყვავილებით მოქარგული ველია სიკეთე და მის ყვავილებს საფლავის სურნელი არ უნდა დაჰყვეს...

ავიწყდება ეს კაცს და აგონდება მერე. განაგდებს შუბს და უხარია, რომ სძლია ბოროტს და ყვავილით გვირგვინის შეკონას იწყებს... და ავიწყებს, შუბი თუ არ დაიჭირა, დაეფინტება, დაეფლითება ისევ ყვავილები, რომ ამგვარი ჩუმი სიკეთე ბოროტებას გზას უხსნის ისევ და... ძლეულია კაცი ბოროტისაგან...

და დგას ბოროტი პირისპირ კაცისა და თავის ხელებს უყურებს კაცი...

და არ იცის, რითი დაასაქმოს ისინი, შუბით თუ... და ძლეულია კაცი... და არ უნდა შეეპუოს, ვინაიდან სიკეთე ხატია მისი, ზმანება ნაოცნებარი... სიკეთე სარკეა მისი, თვალთა ფერია მისი, სინდისია მისი... და უჭირს, ძალიან უჭირს მორიგება სინდისთან.

და ფიქრობს კაცი...

და დრტვინავს. ო, როგორ დრტვინავს გონება მისი...

„არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“...

დიდია მდინარე სტიქსი... შავი წყალი ჩამოაქვს, ღამესავით შავი... და მდორედ მიედინება და შორი-შორსაა ნაპირები მისი... ღამეა იქ, სადაც სტიქსი მიედინება, უსახოა ყველაფერი და არ ჩანს ღამის გარდა რაიმე... მხოლოდ ჰორიზონტს მიჰყვება ბოლი ერთი და ნაცრისფერია ზოლი იგი, შორეული დღის ზმანება გამოკრთის მასში... და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხმობს სტიქსის პირს მოსულთ...
უხმობს, ვითარცა ზარი შორეული სამრეკლოსი,
და არ ჩანს სამრეკლო,
და სიცოცხლე არის სახელი მისი,
და ყრუდ ყლერს ზარი,
და ყრუდ გამოუხმობს სტიქსის პირს მოსულთ...
და მდუმარებენ ისინი, სტიქსს რომ მოდგომიან, დღის სინათლეს რომ გამოქცევიან, საცრისფერ ზოლს მიღმა რომ დარჩათ სიხარული, ვნება და სურვილი... მზის ქვეშეთში რომ დატოვეს ტანჯვა და ტკივილი... სააქო რომ საიქიოდ გაიხადეს, მოჯარულან აქ, მდინარის პირს და მენავეს უცდიან...

. . .

„იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება“...

და არ ჩანს ნავი. ხმა ისმის მხოლოდ მდინარის სიღრმიდან და არ იციან მოსულებმა, რას ამცნობს ეს ხმა იდუმალი... და ნიჩბებს უსვამს ვიღაც სიბნელეში... და არ იძვრის ნავი.. დრო გარინდულა და აქაურ საათს წამი საუკუნედ უქცევია... და არც ეჩქარება ვინმეს, რამეთუ შორაა ჰორიზონტამდე სავალი და დაბრუნებად არ ღირს...
და იჩქარიან, იჩქარიან წამები... იქ...
და საოცარია ეს სრბოლა ჟამის...
ღიმილისმომგვრელია შიში ამ სრბოლის...
განთავისუფლდით, განთავისუფლდით ამ შიშისაგან, რამეთუ ვერ იობებს ჟამი სამუდამოდ, დაიღლება, გაჩერდება ისიც.... აქ, სტიქსის პირს მოსულთ უკეთ იციან ეს... ო, ენდეთ და განთავისუფლდით შიშისაგან ამ სრბოლის... მოჩვენებაა ეს სრბოლა, მაიამ ჩამოგვაფარა ეს ფარდა დროის, თვალი აგვიხვია, აგვიბნია თავგზა...

აახილეთ თვალები, ო, აახილეთ, გადაწიეთ ფარდა და ნახავთ, რომ მაიას ნაჩუქარია სიხარული, მაიას ნახელავია ვნებანი, მაიას მოქარგულია სიყვარული... არაფერი ეს არ არსებობს, რამეთუ არ არსებობს ჟამი, რამეთუ წარეალს და დაინთქმება, და დარჩება მხოლოდ ნაცრისფერი ზოლი ჰორიზონტის...

და დარჩება მხოლოდ ნაპირები სტიქსის... და უსაზური თვალები მათი, აქ რომ მოჯარულან... სტიქსს რომ მოდგომიან...

. . .

„სამუდამო მხარეში... ქრიან ლურჯა ცხენები...“

. . .

„ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“...

საუბარი მეწადა მეც და ხმა ვერ ამოვიღე... უცებ დამეკარგა სათქმელი... ცრემლი მომწვა, საშინელი სიცარიელე ვიგრძენი და... გული დამეწვა, დამეთუთქა... და გამეღვიძა ღამით... გამეღვიძა და ჩავაშტერდი სიბნელეს; და ამდენნი ფიქრი, და ვეფიერები ღამეს... და ვფიქრობდი, ვფიქრობდი, ვფიქრობდი... უცებ შემეშინდა ამ ღამის. გამახსენდა სადღაც წაკითხული, რომ ბნელია ღამე, საშინელია ღამე, ბნელია სული, რომელიც ღამეში ვერ ისვენებს... ეფიქრობდი და მეშინოდა ღამის.

და ტიროდა სული: როდის გათენდება, ო, როდის გათენდება...
ვშფოთავდი და ვერ ვისვენებდი: რას ვეძებდი ამ ღამეში?...
რას ვეძებდი... ესმოდა ვინმეს ჩემი ძახილი?...

დაეცა მთვარე, ციდან ჩამოვარდა და აღარა ჩანს; გაქრნენ ვარსკვლავები; გაქრნენ, დაიფანტნენ, და დარჩა მთვარე და დარჩა სული ჩემი, რომელიც ეძებდა, რომელიც სადღაც მიილტვოდა და დაიფანტა, დაიკარგა, დაიფერფლა... სად არის ახლა?... შორს, ძალიან შორს... შორს იყო ყოველთვის, რამდენჯერ წამოსულა ამ სიშორეს, რამდენჯერ და...
ბოლოს დაეცა მთვარე...
ბოლოს დაიფანტნენ ვარსკვლავები...
გინახავთ, როგორ ეცემა მთვარე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

„გაყინულია შიშით უცებ შემკრთალი ღამე“...

შეკრთა ღამე...

სიყვარულისთვის მიდიოდა, იმ სიყვარულისთვის, რომელიც ემალება შუქს, ერიდება... მთვარის შუქიც ყოფნის, ვერცხლისფერი, ოდნავ სევდიანი და... სიხარულნარევი...

და დაუვარდა მთვარე, უნებურად გაუსხლტა, დაიფანტა შუქი და საკუთარი სიბნელის ამარაღა დარჩა... ჰოდა, შეკრთა, ამიტომ შეკრთა ღამე... და წავა, ალბათ, მალე წავა...

გაიპარება უწუმრად.

სხვას დაუთმობს თავის საბრძანებელს...

გათენდება და... გაილევა საფიქრალი...

გაჰყვება ღამეს...

და სურვილი დარჩება ღამის, სიყვარული რომ ეწადა, სიხარული რომ ეწადა, მთვარის ანაბარა ყოფნა რომ სურდა...

. . .

„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“...

ყოველთა ფერთა მეფეა შავი, მეფეთ-მეფე... მბრძანებელი დიდი... თავს უყრის სუყველას, ლაღსა და ლაჟვარდს, ქარვას და ზურმუხტს... თავს უყრის, აფერმკრთალებს, ანაცრისფერებს, შავად გარდაქმნის... ფერთა მეფეა შავი, მეფეთ-მეფე...

რამეთუ არა ფერი არ რჩება მასში...

იქ, დიდი გზის ბოლოს ტახტი უდგას შავ ფერს, ტახტი საბრძანებელი... და ყველა გზა ამ გზის განაყარია მხოლოდ... ამიტომაც ყველა მას უერთდება, უბრუნდება ისევ... გზა ვარდისფერიც, ბატონო გალაკტიონ... ქარონის ნავში თავდება...

. . .

ბავშვობის შთაბეჭდილებათაგან, ყველაზე ძლიერი, ალბათ, დამეული ცის ჭვრეტაა მხოლოდ...

მერე, გაცილებით გვიან, ივიწყებ, რომ ასეთი რამ არსებობს საერთოდ... მიწისა ხდება... მხოლოდ შიში, რომელიც იმ ხილვამ აღგიძრა მაშინ, პირველად, უწუმრად თან გდევს... წყვდიადის შიშია ეს... უსასრულო წყვდიადისა... გრძნობ, რომ შენს გვერდითაა ეს წყვდიადი და მონუსხული ხარ მისი სიცივით... და მიწისაც ამიტომ ხდება, ალბათ... მზით თბება მიწა და გამთბარი ხარ შენც და გიყვარს ეს სითბო, რამეთუ სახელი მისი არის სიცოცხლე... დამათრობელია ჯადო სიცოცხლის და სათუთია მეტად... ო, რა სიფრთხილე სჭირდება... ეგაა, რომ სწრაფმავალია; ეგ არის, რომ დროის კალთაზეა შებმული უხალავი ძაფებით და ერთია დროც და... სიცოცხლეც... ამიტომ არის სწრაფმავალი... ხანდახან ჩამოგიტოვებს, ასეც იცის, ის თავისთვის რჩება მერე... და ჩნდება კითხვა: „ვცხოცხლობ თუ ვარსებობ?“.. და არ იცვლება ერთი მეორეზე... memento mori, ანუ ისევ შეხედე წყვდიადს, არა ბავშვური, შეშინებული თვალებით, არამედ ჯიქურ... შეხედე, დარწმუნდი, რომ არსად გამქრალა, მარადია, უკიდეგანო... და ვარსკვლავებია იქ, იმ სიშორეს და ჰკვეთს მათი შუქი ამ წყვდიადს... და წყვდიადი აღარაა უკვე წყვდიადი...

ვარსკვლავია სიცოცხლეც და მისი სხვეთიც თბება ეს უსახური, უკიდეგანო სიშავე... ჩვენით თბება... memento mori, რამეთუ არ დაგვიზურდავდეს სითბო, არ ჩაკვდეს, ჩაიფერფლოს... memento mori, რამეთუ ჯიბრია უკვდავება, წყვდიადისა და სიცოცხლის ჯიბრი...

ბოლოთქმა

ი. ჰოიზინგას, როდესაც შუა საუკუნეების აზროვნების ფორმებს იკვლევდა და „როკვის“ ფენომენს გადაეწყდა, გაუკვირდა, თუ რატომ ვერ შეძლეს ევროპელებმა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა — ლპობიდან სიცოცხლისკენ. „როკვის“ ლაიტმოტივია სიცოცხლის ლპობაა. მაგრამ ლპობა სამუდამოდ არ გრძელდება; ის აქვე მთავრდება, ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ და ნეშტი მტვრად იქცევა, მტვერი – მიწად, ხოლო მიწა სიცოცხლეს კვებავს ისევ... ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ევროპულ აზროვნებაში სიკვდილი იმთავითვე ტრაგიდიად იქნა აღქმული და შუა საუკუნეთა „როკვა“ მხოლოდ დაგვრგვინება იყო იმ გზისა, რომელიც ბერძნულ აზროვნებაში იღებდა სათავეს. გავიხსენოთ ჰერაკლიტე:

„ის, რასაც ცხადნა ვხედავთ, არის სიკვდილი; ის, რასაც სიზმრად ვეჭვერეტთ – სიზმარი“.

არც ის უნდა იყოს მართალი, რომ „როკვის“ იდეა შუა საუკუნეებშივე შთაინთქა. მიუხედავად ყველაფრისა, ის თან ხდეს ევროპელს, ვითარცა დაწყველილი კითხვები: რანი ვართ? საიდან მოვედით? სად მივდივართ? როგორცა ჩანს, ევროპული სული ვერ მოინელებს ადვილად სამი ცოცხლისა და სამი მიცვალებულის ლეგენდას...

ბუნებრივია, არც ქართველობა დაურჩებოდა განზე ამ კითხვებს. შეიძლება მიკერძოებაა, მაგრამ იმ შინაგან დიალოგებში, როდესაც მე ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი გალაკტიონს, მომეჩვენა, რომ ნაბიჯი, რასაც ჰკვირობდა ჰოიზინგა, აქ გადაიდგა. წინაადმდეგ შემთხვევაში სიკვდილის გზა ვარდისფერ გზად ვერ იქცეოდა, როცა – სიმღერად, ხოლო სიკვდილი – მეფურ ძალად. გალაკტიონი – მგოსანი სიმღერით უნდა მომკვდარიყო... ასე რომ, ქართული აზროვნება ოდნავ სხვანაირ სიკვდილს იცნობს უთუოდ.

„და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ-ეყო მას ჰრული მისი და ადგილი იგი აღიესო სუნელებითა და ანგელოზთა წმინდათა გალობითა, რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტესა“... (გიორგი მერჩულე).

მაშინაც, როდესაც ა. კაპანელი სიკვდილის კოშმარიან სურათებს ქმნიდა, იგრძნობა გარკვეული სითბო; გ. ქიქოძესთან ეს თემა უფრო თამამად ჟღერს:

„მინდა მუხლებზე დგიაჯდე, მთრთოლვარე მკერდს თავი მოგაყრდნო და მოსიყვარულე გულისცემას ყური დავუგდო. ჩემი გულისცემა შენსას შეეთვისება, თანდათან მის რიტმში გადავა და ბოლოს წყნარად შეჩერდება, რაც ყველაფერზე მტანჯველია და დაუნდობელი: აზროვნება.

და აი, მე ვხედავ სიზმარს, პირველ სიზმარს სიკვდილისას. კარები იღება და ფეხაკრეფით ჩემი ღრმად მოხუცი მეგობარი შემოდის, ჩუმად მუხლს იდრეკს და ჩემთვის ლოცულობს. შემდეგ უსიტყვოდ გადის, რათა მყუდროება არ დამირღვიოს. იწყება მუდმივი ღუმილი. მას ვეღარ დაარღვევს ბოდება თმაგაშლილი მოკეთეებისა. სასწაული დამთავრებულია. მიცვალებულის თვალისჩინი უკვე ციური მთიების სინათლესთან არი შეერთებული, მისი სუნთქვა კი შავი დედამიწის სუნთქვასთან“...

შესაძლოა აქ არის ქართული სულის გასაღები...

შესაძლოა, ეგ ზოგადადმოსავლური ტრადიციის ზეგავლენაა...

ერთი კია, სიკვდილის გზა მაინც ვარდისფერი უნდა იყოს...

. . .

მე გაციალებით ადრე ვესტუმრე გალაკტიონს და მაშინაც სიკვდილზე ვსაუბრობდით. რემბოს კი შემთხვევით გადავაწყდი.

ჩემს ერთ ციდა ოთახში მაგიდაზე აღმოჩნდა.. გარეთ წვიმდა, რაღაც უცნაური შრიალი მოისმოდა შორიდან, ღამე ნელ-ნელა სდევნიდა დღეს და, როგორცა ჩანს, აღარც გამოდარებას აპირებდა...

ცისფერი ყდიდან მიმზერდა მეოცნებე არტურ რემბოს ნაღვლიანი თვალები და სასაუბროდ მიწვევდა... „უმი ჯოჯოხეთში“...

შემძრა სიტყვებმა: „დაღლილობისგან ვკვდები. მე კუბოში ვარ, მე მატლებს მიმცეს შესაჭმელად“...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ფირცხალავა

პორტრეტი

წყნარად ჩაივლის მოწყენილ გამზირს
მხრებში მოხრილი, თმაბურდული,
ჩაყანგებია მკერდში ურდული,
შუბლზე მიმწუხრის ყორანი აზის.

რას, სანუგეშოს რას ეტყვი ფაზისს, —
შემართა ბავშმა თხმელის შურდული,
აქვე, სულ ახლოს მტკვარი დუდუნებს,
იქ ცრემლიანი ლოცულობს ლაზი.

ვინ, ვინ აუჭრა იმედის ვაზი,
ღამეა ნაზი და გაქურდული...
წყნარად ჩაივლის მოწყენილ გამზირს
დაბნეული და თმაბურდული.

პალატა № 13

ტერენტი გრანელისადმი

ღამემ დაჰკარგა შავი მანტია,
დამჭკნარ ყვავილთა მაოცებს რიგი,
ჩემო ტერენტი, ახლა ჩემს ირგვლივ
შენი ლექსების ცეცხლი ანთია.

და მზეა როგორც შავი დიანა,
და მოწყენილი საყდრის კედლები.
საღდაც, ქაოსში დავეზეტები
და სიხარულმაც დაიგვიანა.

ჩემო ტერენტი, შენი თვალების
შუქში გადატყდა ჩემი დიდება,
მხოლოდ ცაში თუ გაიყიდება
ეშხი ამ ფარულ ფერისცვალების.

სხვა რა გვინახავს, გარდა წვალების,
სხვა რა გვიგვრძნია სანთლის წვიმაში,
ვდგავარ მლოცველი ხატის წინაშე
და სინათლეა გარდაცვალების.

სადაა კუბო, გზაზე ქარია
და გადაჭრილი ცამეტი მორი,
კითხულობს ვიღაც: „მემენტო მორი“,
სულში ღამეა და სიზმარია.

და მესიზმრება შენი ზოზია,
მაშომ მომბანა შუბლი მოსვრილი,
იდგა და — ფრესკის ანგელოსივით
და მე ვამბობდი — ანგელოსია.

შავი სატინის გეცვა პერანგი
და იღიმოდი, ღმერთო, მიშველე,
გადმოგვარდნოდა გული, შიშველი
კაცთა ლიზღობით და სიეერაგით.

ღღეს მეც შენსავით მკლავენ ჭორები
და, მეგობარო, თვალნათლივ გხედავ:
წვავენ კოცონზე პოეტის ცხედარს
რაღაც მეფური თავმოწონებით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ღამემ დაჰკარგა ღამის მანტია,
დამჭკნარ ყვავილთა მაოცებს რიგი,
ჩემო ტერენტი, ახლა ჩემს ირგვლივ
შენი ლექსების ცეცხლი ანთია.

ანთია, როგორც არდაცალება,
ანთია, როგორც პოეტის გლოვა,
ჩემო ტერენტი, მეც მალე მოვალ
და მეც მერქმევა გარდაცვალება.

●

ოჰ, მემატება, მემატება ნისლი ყოველდღე,
გასრულდა უკვე შეუცნობელ არსებას არსი
და ვით პოეტის სამძიმარზე მოსულ პოეტებს,
ისე ვუცქერი ჩემი ქუჩის მოწყენილ ნაძვებს.
გასრულდა უკვე, ცოტა რამის შევძელ გამხელა,
გადაუწყვიტა მამა-ღმერთმა ლექსებს სიბერე,
ვერ შევიფერე მოზვიმე მგოსნის სახელი,
ინტელიგენტის მოსასხამიც ვერ შევიფერე.
გასრულდა უკვე, დღეებს ისევ წამებით ვითვლი,
საკუთარ სულში სხივზე უფრო ვეძებ სიბნელეს,
ვერ შევიფერე მოყვარული მეულლის ტვირთი,
რაც მთავარია, ერთგულება ვერ შევიფერე...
და მემატება, მემატება ნისლი ყოველდღე,
აწ სულერთია მიღმიეთზე მლოცველი რას წერს,
როგორც პოეტის სამძიმარზე მოსულ პოეტებს,
ისე შეეყურებ ჩემი ქუჩის მოწყენილ ნაძვებს.

●

გადავდოთ გლოვა უარეს დღისთვის,
შეხედვის სიმწარე შურიან თვალებში...
დაუწერელი ქაღალდი იცდის,
ქაღალდსაც ქალივით სწყურია ალერსი.
ზოგჯერ მიწისათვის და ზოგჯერ ცისთვის,
პოეტებს ათასჯერ უვლიათ ღამეში...
დაუწერელი ქაღალდი იცდის,
ქაღალდსაც ქალივით სწყურია ალერსი.
გადავდოთ გლოვა უარეს დღისთვის...

●

როცა ტკივილი სიკვდილის ჟინად
იფოთლება და სხეულში დადის,
სულ სხვანაირი ყოფილა, ჯინა,
პოეტისა და მიჯნურის დარდი.
როცა სხეული სენმორეული
ჩუში ოცნებით მაღლდება ცამდი,
ვამოდის ჩემი მჭლე ორეული
და სიზმარეულ ფერებში დადის.

მოვილხენ, მაგრამ რად მოვილხინო,
ბჟუტავს ხსოვნაში წარსულის კვარი,
ბოლოს და ბოლოს რა გახდა ღვინო,
ბოლოს და ბოლოს ვინაა ქალი.
ჯერ სასიცოცხლოდ ასწია ქნარი,
ღმერთებს უსმინე, ღვთაებას შვილო,
თორემ ყოველთვის იქნება ქალი
და დაიღვრება საფლავზე ღვინო.

ლიკნაბი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვინჭას, უწმინდეს ბადახშში რეულს,
რას მისცემს თმების გადაფიფქება,
გადაშლის ვინმე პოეტის რვეულს,
გადაშლის ვინმე და დაფიქრდება.
რამდენი ტკბილი ნუგეში გაქრა,
ცამ რომ დაუშვა ნეტარ ფიფქებად,
ის დაფიქრდება შენს ლექსზე, მაგრამ
შენ რას გიშველის ეს დაფიქრება.
როცა ტკივილი სიკვდილის ჟინად
იფოთლება და სხეულში დადის,
სულ სხვანაირი ყოფილა, ჯინა,
პოეტისა და მეჯნურის დარდი.

ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲓᲐᲜ

ცეერმა ცრემლმა
უცნაურად დაცვარა ხატი,
მაგონდებოდი — ხორბლისფერი
ზაფხულის ხვატი.

მზის ენერგია
ნერგებივით მიჰქონდათ ქალებს,
თიბათვის მთვარე,
სავსე მთვარე მაგონდებოდი.

...რა უცაბედად,
რა უცაბედად,
რა უცაბედად მთავრდებიან ლიანდაგები,
მოსახვევიდან მოსახვევებს
როცა გაჰყურებ.

●

მორჩა ენგური კლდეების ლოკვას,
ტალღებმაც ქვიშნარ მიწით ისუფრეს,
ვიცი, ეს ღამე ძაღლივით მომკლავს
და მერე მთვარე მიჭირისუფლებს.

როცა ნისლებში მიხვალ მთებივით,
ცას ვერც შეჰბედავ: „ზეცავ, მიშველე“,
ვიცი, დამმარხავს ვიღაც დებილი,
მერე მოვა და ძეგლს ამიშენებს.

როგორ დაინდონ მზე ცოდვილებმა,
ბრმას თვლის ქვაილს გვრიან სხივები,
ჩემი საფლავი გეცოდინება,
იქ ასწლოვანი დგანან რცხილები;

და ტირიფები დავარცხნილები
წყალს ჩაჰყურებენ მტირალ დებივით,
ვიცი, არავის არ ვერცხვინები,
რადგან ვარცხვინე ბევრი დებილი.

მე ასე მწამდა — საწუთოროს გზებზე
ვერას ვახდები ორიოდ სათლით,
ვიღაცის ხათრით დაწერილ ლექსებს
დრო გადაფხრიწავს ვიღაცის ხათრით.

ამიტომ ვწერდი, სურვილმა ჩემმა
ვით მიკარნახა სულის ფესვებით,
ამიტომ ცოცხლად დამარხა ბევრმა
ზედმეტად მრუმე ჩემი ლექსები.

მორჩა ენგური კლდეების ლოკვას,
ტალღებმა ქვიშნარ მიწით ისუფრეს,
ვიცი, ეს ღამე ძაღლივით მომკლავს
და მერე მთვარე მიჭირისუფლებს.

●

ხევში, ალბათ, ახლაც ტირის
შარიანი ლემადე,
მერცხლის შემოფრენამდე
სიყვარული მოფრინდა

მანანა წიკლაურს

რა შორია მანძილი
კოლხეთიდან შენამდე,
რა ძნელია ლოდინი
მერცხლის შემოფრენამდე.

ქარი ისევ კითხულობს
სალ კლდეებზე მინაწერს,
ნეტავ სტეფანწმინდიდან
შემახედა მყინვარწვერს,
ოერგი როგორ დიდგულობს,
ქარი როგორ კითხულობს
სალ კლდეებზე მინაწერს.
მერე გამამაისოს
უწმინდესმა მანანამ,
ბესიკივით ამანთოს
ტანთა მიმოტანამან,
და თუ ხევის კანონმა
სიყვარული მანანა,
ხაიამის დოქები
მომაშველოს ანამა.
რისი ტანო-ტატანო,
არწივების ყივილი,
მზიათვად გამოვატანონ
ხეკ-ხუვების ღიმილი.
ოქროს ზოდად ჩაგითელი
მკერდჩაკანგულ კლდის ლოდებს,
ოღონდ სისხლის ხივილი
ზარის რეკვად ისმოდეს.
...ხევში ალბათ ახლაც ტირის
შარიანი ლემადე,
მერცხლის შემოფრენამდე
სიყვარული მოფრინდა,
რა შორია მანძილი
კოლხეთიდან შენამდე,
რა ძნელია ლოდინი
მერცხლის შემოფრენამდე.

●

ჭაღარა ისე შემოგეპარა,
სული ზამთარმა ისე მომინა,
ვერცერთმა ლექსმა ვერ გაპოვნინა
ბავშვობიდანვე ნაოცნებარი.

წლებმა დუმილთან დაგამობილეს,
წერდი კი, მაგრამ აფრის სიწყნარით,
ვერცერთმა ლექსმა ვერ გაგრძნობინა
მარადიული დაფნის სიმწვანე.

ჭაღარა ისე შემოგეპარა,
სული ზამთარმა ისე მომინა,
ქვეყნად ვერავინ ვერ გაპოვნინა
ბავშვობიდანვე ნაოცნებარი.

●

შეგყურებ, როგორც მორწმუნე — წმინდანს,
თუმცა მატულობს სევდა და ჯავრი,
ჯერ მხოლოდ შენი სიცოცხლე მინდა,
თორემ სიყვარულს სწერია ჯავრი.
ისევ ვკითხულობ ბლოკსა და შუკშინს
და ზეციური გალობა მესმის,
როცა დაღლილი თვალების შუქში
დაიბადება ახალი ლექსი.
თითქოს განვების თვალებით მიმზერს
ზეცა, რომელმაც მასწავლა ფიცი,
ჩემი ლექსების პაწია წიგნზე
შეყვარებული გოგონაც ვიცი.
ვიცი, ტკივილი გამაქრობს ბოლოს,
ჯრცრას გავხდები შიშით და ძრწოლვით,
ისევ გრანელის ცხოვრებით ვცხოვრობ,
და იმედებსაც მისხლობით ვწონი.
ისევ არაფერს ვაბრალებ იღბალს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვალბედნიერი პოეტის ქნარით
სიზმარში ისევ შემოდის ვიღაც,
რომ ამაშოროს არყოფნის ქარი.
შემოდის სულში ზეციურ ბინდად
შორეულ გზებზე დაღლილი ჯარი,
დღეს მარტო შენი სიცოცხლე მი~და,
ხვალ სიყვარულსაც სწერია ჯვარი.
ჯვარი სწერია იმ წლებს და იმ გზებს,
თორემ დღითი დღე ძნელდება ფიცი,
რადგან ლექსების პაწია წიგნზე
შეყვარებული გოგონაც ვიცი.

●

მიდის დღეები შიშით და თმენით,
ხვალის იმედი მედება ხუნდად,
ჟანა ექიმო, მე მესმის თქვენი,
მაგრამ პოეტსაც გაუგოთ უნდა.

ჩამოიღია ცრემლების რთველი,
წაიღეს წლებმა ოცნება — ხურდა,
ჟანა ექიმო, მე მესმის თქვენი,
მაგრამ ჩემს გულსაც გაუგოთ უნდა.

ვერვინ დაფერავს საჩემო თორებს,
ვერვინ წაიღებს თებრონეს კოკას,
უნდა გავიქცე აქედან, თორემ
ფილტვებზე ადრე სათქმელი მომკლავს.

ჩამოსხეპილა იმედის ტოტი,
აღარც წერილებს ვღებულობ ფოსტით,
დღეს მინდა ვიყო ცნობილი ლოთი
და მათხოვრების რჩეული დოსტი.

თითქოს ამ წუთშიც ჩემს გვერდით დგანან
ძმები და არც კი აშინებთ თოშა...
დღეს მინდა ქვაზე ავლესო დანა
და გავერიო ბაცანთა ბრბოში.

კელავ იძენძება ღვიძილის დროშა,
აწ სულ ერთია ქურთი თუ რუსი,
ვუძმობილდები ოდიშელ ბოშას
და ესენინს ცხოვრებას ვუხსნი.

გუგუნებს სისხლში გუბაზის გენი
და ყველაფერი ახლოა გულთან.
ჟანა ექიმო, მე მესმის თქვენი,
მაგრამ პოეტსაც გაუგოთ უნდა.

სამაია

ერთიც — ჯერ კიდევ არა ვარ მთვრალი,
ერთიც — უწმინდეს დარაიითა,
მე მახსოვს სამი კეთილი ქალი
ჩემი ცხოვრების სამაიიდან.

სულს ვაცილებდი ეჭვების ეკალს,
ახლა ღიმილით სული მევსება,
პირველ ქალს კოცნის სურვილი ერქვა,
მეორეს — უხმო მოალერსება.

ვაი, საქმრონი დანას ლესავენ,
რამე მიშველე, შენი კვნესამე,
გათეულ ღამის მონათესავე
ახლაც წინ მიდგას ქალი მესამე.

ახლაც და თმებში დაჰკრა ზამთარმა,
რა ვქნა, სიბერე ვერ ვაქილიკე,
გამოცლილია ყველა მათარა,
გათელილია ყველა ბილიკი.

მაინც დამისხი, არა ვარ მთვრალი,
ერთიც, უწმინდეს დარაიითა,
დავლოცო სამი კეთილი ქალი
ჩემი ცხოვრების სამაიიდან.

იანვრის პირველი

რატომ არ მახარებს იანვრის პირველი,
ეს მხოლოდ ჩვენ, ორმა თუ ვიცით, შურიგე,
როგორც გალიაში გაზრდილი ფრინველი,
ცას ისე უმწეო ხმა ჩამოვურიგე.
ეს წელიც წავიდა, ლოდინმაც დამღალა,
ვერც რა მივუმატე მამულის სავარდეს,
ნეტავი ვაჟაას ხმით ამომაბღავლა,
რომ გული მკერდიდან ორბივით ავარდეს.
გეცნობი უთუოდ პოეტი უხეში,
ეყო ჟამს, უჩემოდ რაც ქვეყნად იდინა,
მენატრა, ხარივით შემაბა უღელში
და საქართველოსთვის მზე მომაზიდინა.
მენატრა, და ვხედავ, მზე უკვე მოზიდეს,
ახლა კი სიმღერით სჭირდება შემკობა,
გლეხკაცი მიყვება, ძვირფასო, ოც იმდენ
ლექსს, ერთ კარგ პოეტს რომ დიდებად ეყოფა.
და მინდა, პირველ დღეს ამ გლეხკაცს ვუმღერო,
ამ გლეხკაცს, სულიდან ხორცამდე ჯიშიანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეგვარდებითო! — რაღა დროს შეშია,
ინებე კისერი, მამულის უღელო.
თუმცა დრომ ათასი იმედი მომწალდა
და დარდი ზედ მკერდზე შემადგა ტორებით,
ნეტავი ამ გლეხის თვალები მომცა და
პოეტებს კი არა, ღმერთს გავეტოლები.
მოვსულვარ სამხვეწროდ სიცოცხლის მწირველი,
ცა კი უკვდავების ხხვა ლამპრებს ურიგებს,
რატომ არ მახარებს იანვრის პირველი,
ეს მხოლოდ ჩვენ, ორმა თუ ვიცით, შურიგე.

●

„ოჯახისათვის თვით პოეზიის დათმობაც შეიძლება".
მეგობარი ქალის წერილიდან.

ესროლე პოეტს, ნუ დაზოგავ, ესროლე პოეტს, —
თვალცრემლიანი გოგონა ითხოვს.
ოთხმოცდასამის იყო გოეთე,
მაინც ვერ ჰპოვა სამყოფი სითბო.
ესროლე პოეტს, ნუ დაზოგავ, ესროლე პოეტს, —
თვალცრემლიანი გოგონა ითხოვს.
ესროლე პოეტს, ნუ დაზოგავ, ესროლე პოეტს,
შვილის უმანკო თვალებისთვის ესროლე პოეტს,
მეუღლის ერთგულ ფიქრებისთვის ესროლე პოეტს, —
თვალცრემლიანი გოგონა ითხოვს.
კარგი გოგონავ,
შენ მათხოვრების პაემანი ჯერ არ გინახავს,
იქ სხვების მიერ გადაგდებულ
დამჭკნარ ყვავილებს
კვლავ უბრუნდებათ ადრინდელი
სპეტაკი სითბო.
კარგო გოგონავ,
შენ მათხოვრების პაემანი ჯერ არ გინახავს,
ჯერ არ გიგრძვნია დაგვალული
გულების სითბო.
ესროლე პოეტს, ნუ დაზოგავ, ესროლე პოეტს, —
თვალცრემლიანი გოგონა ითხოვს.

მივდივარ

ზ. ბალახაძეს

გადაწყდა, მივდივარ, ალუბლისტუჩებავ,
მაგრამ ეს ტკივილი როგორ მოვიცილო,
ვაითუ უჩემოდ თბილისის ქუჩებმა
მამაგაქცეული ბავშვივით მოიწყინონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივარ, აწი არ მოგიწევს დამალვა,
რა ვუყოთ, ცხოვრებამ საკმაოდ მათრია,
მე მართლა ვიყავი ლოთი და ავარა,
მაგრამ ლექსებისთვის არ მიღალატნია.
არ გადამიცვლია ირმების ბღავილი,
ვმღეროდი, ვმრუშობდი, ვლოთობდი, ვნატრობდი,
თან ოქროყანაში დაკრეფილ ყვავილებს
ნინა მაყაშვილის საფლავზე ვაწყობდი.
პოეტის საყელო არ გადამიცვლია,
ვაცვლა და გამოცვლა ყოველთვის მახელებს,
მეტეხის ციხესთან ვეძებდი ტიციანს
ცასთან წილნაყარა მგოსნების სახელით.
ვეძებდი. ვეძებდი და როგორც ნიკალას
კიბის ქვეშ შეძინა სიზმრების იმედით,
ვიღაც მაფხიზლებდა — „ვაკეში მივედით“,
და ფრთები მეწვოდა, ვითარცა იკაროსს.
ვითარცა იკაროსს, სიზმარშიც მეწვოდა
ფრთები და სულს მაინც სხეული მიჰყავდა,
ვიღაცა მმტრობდა და ვიღაცა მებრძოდა,
მე ის ვიღაცებიც ძმებივით მიყვარდა.
და როცა ლექსების კიბეები მტკიოდა,
ბაზრისკენ გავრბოდი სანდო კახელებთან,
შელამებისას კი, ქარი რომ ზვიოდა,
მეგონა, ტანჯული ლადო ახველებდა.
ია მიძებნია ასწლოვან მუხებშიც,
ერთად ამიხსნია ათასი იგავი,
ვიყავი ნაზიც და ვიყავი უხეშიც
და რაც მთავარია, გულწრფელი ვიყავი.
ახლა კი შენ გრჩება, ალუბლისტუჩებავ,
და განა გავალებ, გენუკვი ალალად,
არ გადაივწყონ თბილისის ქუჩებმა
პოეტი, მიჯნური, ლოთი და ავარა.
პოეტი — მიღმიერ მდინარის დუდუნი,
რაღაც უხილავი სევდით გალეული,
ყოველთვის უცნაურად თმაგადაბურდული,
ყოველთვის უცნაურად თვალებარეული.
გადაწყდა, მივდივარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდუმარების სევდა

„ის, ვისაც მართლა უნდა გაეგო ამ ლექსებისთვის, ისიც არა ჩანს და გული, როგორც სიხლში ქამანჩა, სადღაც წავიდა და გადაეგო“. — უცნაური ბედის კაცი იყო ამ სტრიქონების ავტორი, უცნაური ცხოვრების წესი ჰქონდა...

ორი ათეული წლის წინად, როცა საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი, მის მშვენიერ ქუჩებში ხეტიალი ჩვეად მექცა. გაზაფხულის ერთ მზიან დღეს „ალექსანდროვის“ ბაღთან ნაცნობმა ხმამ უკან მომახედა, — ჩემი უმცროსი მეგობარი ზაურ კალანდია მეძახდა; გვერდით ასევე ახალგაზრდა, ტანდაბალი, პირმღიმარი კაცი ახლდა. როცა ერთმანეთს მივესალმეთ, მითხრა: ეს არჩილ ფირცხალავაა, შენი პოეზიის პატივისმცემელი და თავად ნიჭიერი პოეტიო. ჩვენი შეხვედრა თბილისის გარეუბანში, რომელიღაც სახინკლეში აღინიშნა და... იმ დღიდან მოყოლებული არჩილი ჩემი ოჯახის წევრი გახდა.

გადიოდა თვეები, წლები... რუსთაველის პროსპექტზე ხშირად ნახავდით მთვრალს, ახლობლებთან პოეზიაზე მოკამათეს (როცა ცხარობდა, ხმა ებზარებოდა), აღფრთოვანებით კითხულობდა რომელიმე ახალგაზრდა პოეტის თუ საკუთარ ლექსს; ფხიზელიც მთვრალი იყო— შეყვარებული ყველაფერზე, რასაც ქართული ბადელი ეცხო, უშურველი იყო და ყოველივე ლამაზის მეტრფე.

ერთხელ ვერაზე, ფილარმონიასთან შემხვდა, მკერდზე ვოლტერის ბიუსტი მიეხუტებინა: მითხრა: რა კარგია, რო გნახე, შენთან მოვდიოდი, რალს (ჩემს მეუღლეს გულისხმობდა) ეს ბიუსტი უნდა ვაჩუქოო... დღემდე ამშვენებს ჩემს საწერ მაგიდას მისი ნობათი.

სხვაზე შეყვარებულს არასოდეს უფიქრია საკუთარ თავზე; არ იცოდა თუ არსებობდა საკუთარი ბედნიერება, სხვისი ბედნიერებით იყო ბედნიერი, რის გამოც ზურგს უკან ჩუბად აქილიკებდნენ კიდეც.

მერე თბილისი მიატოვა და მშობლიურ ზუგდიდს დაუბრუნდა — ავადმყოფ ფილტვებზე მომელამუნება მისი ჰაერი, თვალებს კოლხეთის ხედები გამითბობენო, მეუბნებოდა. ერთხელ წერილი მომწერა, გაბნეული ხელნაწერების მოძებნას მთხოვდა. გარდაცვალებამდე ზუგდიდში შევხვდი; გაცრეცილი და მკერდ-ჩავარდნილი უფრო დამცრობილიყო. გულში ჩავიკარი და მოვეფერე. თვალებში ცეცხლნაშრეტილმა სუსტი ხმით მითხრა: ახალ ლექსებზე ვმუშაობ, ახალი თემები მაწვალებენ და მაგიდასთან მაბამენო. გამომშვიდობებისას თვალი გავაყოლე. თითქოს იერძნო, შემობრუნდა და ხელი დამიქნია, თავისი ერთი შეხედვით უნადველო ღიმილით შემომღიმილა და გზა განაგრძო.

...იგი ყოველთვის ცდილობდა გარდასულიყო რაღაც წმინდაში და ამაღლებაში:

„თუ ხელებს გაშლი და ახედავ ტყეს, როგორც ტაძარს, არცერთ სულიერს, პარტოოდენ შენ შეგიძლია, შენ — ადამიანს შეგიძლია ჯვარს დაემსგავსო“, — წერდა ერთ ლექსში.

...ვერ შეეძელი მისი დატირება. მოგვიანებით ვინახულე მისი განმარტოებული სამარე, რომელიც თითქოს მანუგეშებდა: ნუ იდარდებ, მეგობარო, ბევრ რამეზე ვისაუბრებთ კვლავაც მგონსებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები გარბიან, ადრე წასული პოეტის ლექსთა კრებული, რომელიც ახლახან გამოვიდა, განაგრძობს სიცოცხლეს, გვესაუბრება სიყვარულზე, ტკივილზე, მარადიულობაზე. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე უწინასწარმეტყველა საკუთარ თავს:

შშეიდობით, ჩემო ლამაზო სახლო,
რომ მოწყენილხარ, როგორც შშობელი,
აწ ვერასოდეს ვერ დაინახო
ჩემი ცრემლები შეუშრობელი.

დგას სასაფლაოს მდუმარება და თითქოს ამ მდუმარების ბინადარი გვსაუბრებათ:

ნურავის ერჩი, შენაფიცია
ციცქნა სხეულთან ვეება იჭვი,
სხვა სხვაა, მაგრამ ძმებმა იციან,
როგორ გატანჯე პოეტის ნიჭი.

დგას სასაფლაოს მდუმარება და პატარა იარასავით ადევს სამყაროს უსახრულობას ერთი ადრე წასული პოეტის საფლავი.

ირაკლი ბაზაძე

„უცნაური“ მეგობრის ნაცნობი პორტრეტი

ზუგდიდში, მაცხოვრის კარის ეკლესიის ქვემოთ, შავ-თეთრ მარმარილოთი გადაბრკალებულ ფერდობზე, ანუ ძველდრო საფლავებშუა, ერთი რკინის, ცხაურით შემოკავებული ღარიბული საფლავიც არის...

ეს საფლავი ეკუთვნის პოეტს...

მაცხოვრის გორამდე, ადრინდელ ტელმანის ქუჩაზე, ბოძკინტებზე შემდგარი, ხისჩუქურთმებიანი მითაჟამინდელი მეგრული ოდა იდგა, რომელიც აგურის, ტუფის, ბეტონის სახლებშორის ჩაკარგულიყო...

ამ ოდა-სახლში დაიბადა პოეტი.

მისი სახელი და გვარი არჩილ ფირცხალავაა.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის არჩილი უკვე ქალაქში „გახმაურებული“ პოეტი იყო. ქუჩაში რომ ცნობდნენ და თვალს მალულად გააყოლებდნენ უფროსკლასელი გოგონები — ეს ბიჭი პოეტი არჩილ ფირცხალავაა, ამის მომსწრე მე, მაშინდელი მე-5 კლასის მოსწავლე ვარ და, როგორც ჩვენი მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი ამბობდა — თბილისშიც ცნობდნენ და აფასებდნენ თურმე.

ხშირად ვამბობთ, ბედისწერას ვინ გაექცევაო და, ცხადია, ასეც არის. არჩილმაც ისე და იმდენი იცხოვრა, ალბათ, რამდენიც ღვთისგან ჰქონდა ბოძებული, მაგრამ მე მაინც მჯერა, თავად მან ინქარა... სიკვდილი კი არ მოხტომია ან ჩასაფრებია უდროო დროს, პირიქით, იქით მიეგება და ჰპოვა კიდეც... მე ამას მისი ცხოვრების წესი, ღვთითბოძებული ნიჭის უღვთოდ ხარჯვა და არდანდობა მალაპარაკებს. ამიტომ არჩილის თანატოლები თუ უმცროს-უფროსი მეგობრები ერთთავად იმ სამოცაან წლებს ვიხსენებთ და მისი მწერლური ხვედრის თუ უდროო სიკვდილისა გამო შეძრწუნებულები ვართ. რახან მწერლური ხვედრი ვახსენე, ეს იმას არ ნიშნავს, არჩილმა პოეზიას უღალატა! პირიქით, მხოლოდ მისი ერთგული დარჩა ბოლომდე... ლექსის წინაშე სანთელივით სუფთა იყო ყოველთვის, სანთელივით სწორად იდგა და ასეც ჩაიფერფლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილის ყოველდღიური ცხოვრება ბევრისთვის მიუღებელი, ერთობ უცნაური, სევდისმომგვრელი, მხიარული, ანუ ახალ-ახალი ექსცესებით თუ „უწყინარი“ ფაფრაკებით იყო სავსე. ეს ერთიც კარგად იცოდნენ: მას სხვანაირად არ შეეძლო. მეორე: დროც ბევრი ჰქონდა და ამისთვის; დღედაღამ გარეთ იყო... როგორც უბინაობა და უფულობა უწყობდა ხელს, ისე რაღაც ყმაწვილური ჟინი და ფიცხი, მოუსვენარი ხასიათიც...

პირველი საყვარული უცნაური ხვდა წილად. უფრო სწორად, მე ის მახსოვს: სკოლაში, პიონერთა სასახლეში, ყველგან... არჩილისა და ქალაქში ერთ-ერთი ულამაზესი, დიდი, ხატისთვალება ხეიბარი გოგონას საყვარულზე ჰქონდათ დავა და წლობით საუბარი...

იმ წლებში სხვა რამეც „დაუშავა“ არჩილმა. თურმე თავისუფალ საქართველოს უძღვნა ლექსი და კომკავშირიდან გარიცხეს. დასჯილი არჩილი ენციურჰეხის მშენებლობაზე „გაამწესეს“ მებეტონედ. დიდხანს ვერ გაძლო. საერთოდ, მისი პოეტური ბუნება დიდხანს სამოთხესაც ვერ იგუებდა, ალბათ.

დედაჩემმა რომ ნახა, შრომის წიგნაკში „ბეტონშიკი“ მეწერა, აქაც ბუნტოვშიკი ჩაგიწერეს, შეილოო და, ატირდაო, ხუმრობდა მერე.

უსახსრობა-უფულობისდა მიუხედავად, ხად არ შეხვდებოდი არჩილს. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში „შინაურ კაცად“ იყო მიღებული და, თუ საჭირო იყო, თავის მხლებელს კი არა, მასპინძელს შეუძახებდა და მისებურად გაათამამებდა.

რაც უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო, მეგობრისთვის ყოველთვის ჰქონდა რაღაც გადასახული, ამისთვის საკმარისი იყო შენი ლექსის ერთი ცინცხალი სტრიქონი და, რომ დაგინახავდა, რაც უნდა ხალხმრავალი ქუჩა, თუ გინდა — ათასკაციანი წვეულება ყოფილიყო, შორიდან, ხალამზე ადრე მოგაძახებდა ამ სტრიქონს, მერე, მიუხედავად შენი შეცბუნება-დამორცხვებისა, იქაურობას ხმაურით აიკლებდა.

უნიკალური მახსოვრობა ჰქონდა, მთელი ქართული პოეზია იცოდა ზეპირად. ერთ თავის ლექსს რომ წაგიკითხავდა, ხახს — სხვისას და ეს მთელი სუფრის მანძილზე კი არა, სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე... მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ჰყავდა მხმენელი. რახან მის გვერდით იდექი, ლექსი უნდა გყვარებოდა და, აქედან გამოდინარე, ვის და რა ხელობის კაცს არ დაინახავდი არჩილის წინაშე მაგიდასთან გატრუნულს... ლექსის საოცარი მკითხველი იყო; ოღნავ თვალმოწკურული და გვერდზე თავგადაგდებული, კი არ გამოთქვამდა, კვეხდა, სიტყვები ჰაერში თუ სკდებიანო, ბგერები ცხვირწინ გიწკრიალებდა, გაბრუებდა... გულის სიხსლს ატანდა სხვის ლექსს თუ თავისას და ბალე შენც, პოეტისებურად, ნერვივით იწყვდი თრთოლვას და ცახცახს.. ის კი კვლავ და კვლავ, ხორკლიან, თამამ სტრიქონებს ზედიზედ ჭედდა, ნაპერწკლებს აყრევიდნენ სიტყვას კვეხივით, რომ ბოლოშდე გვერძნო პოეზიის, დამთრგუნველი და ყოველისშემძლე ძალა... მაშინ ლექსი იყო შენი სულის მპყრობელი, შენი ცა და მიწაც... და თუ ვინმე ვეღარ გაუძლებდა, გამოეცლებოდა ხელიდან, ჩათვლემდა, ვაი მისი ბრალი! ისეთს იტყოდა, ვითომ ხუმრობაში ისე გაწირავდა, შეიძლება, წლების მერე მოსულიყო ბოლს ადრესატი. კითხულობდა არჩილი ლექსს და გაოგნებული, „ბრუნაული“ უცნობ-ნაცნობი გრძნობდა, ლექსთან ერთად როგორ ‹ზრდებოდა ეს ჩია ტანის კაცი. მერე ის და ახალგაცნობილი კაცი მიდიოდნენ ქუჩაში, უფრო სწორად — ის მიჰყვებოდა არჩილს მორჩილად, გასუსული, საკუთარი სახლისკენ, სადაც პოეტი უფრო სასწაულებს დაატრიალებდა...

მალე სხვა, ახალი უცნობი ჩნდებოდა მის გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, არჩილის ბოლომდე გაძლება ძნელი იყო, მის ახლობლებსაც უჭირდათ ეს. მას კი ხხვანაირად არ შეეძლო, ანუ ჩვენსავით საქმიანს, ნაბიჯ-დაძძიმებულს ევლო რუსთაველზე, ერბინა რედაქცია-გამომცემლობებში, სამსახურშიც არ დაგვიანებოდა... ამიტომ, ბოლო დროს თავად „აგვაღო ხელი", არც ჩვენ ვეძებდით მაინცდამაინც... არ „ვმოძღვრავდით" ხოლმე – დრო და ლექსები ჰაიჰარად, ქუჩა-ქუჩა არ ეფანტა, ჯანი ხელაღებით არ გაენადგურებინა... ცოდვა გამხელილი ჯობს: ზოგჯერ მის მაჩხ, ირონიით მოწკურულ მზერას თუ დაუნდობელ სიტყვას ვარიდებდით თავს, მაგრამ ეს ერთიც მჯერა: რაც უნდა მოგვემოქმედა, არც არაფერი შეიცვლებოდა, როგორც არჩილის „გამოსწორება" ძნელი იყო, ისე ჩვენიც!

ეს მისი ცხოვრება იყო!

ჩვენც მიჩვეული ვიყავით ამნაირი არჩილის არსებობას.

ალბათ, ამიტომაც, ერთ ნაცნობ-უცნობ პოეტად წავიდა ამ ქვეყნიდან – სიცოცხლეში ერთიციქნა ლექსების წიგნის ავტორი...

არადა, რაშდენი დიდებული ლექსია ამ წიგნშიც!

რამდენი გამომზეურებას და წაკითხვას ელოდება!..

ეს მცირე მოგონება კი მისი ერთ-ერთი საყვარელი ლექსით მინდა დავამთავრო (მე ახლაც ყურში ჩამესმის და, ალბათ, ბევრს ჩემსავით, – როგორ კითხულობს ამ ლექსს აჩრილი):

მეცხრე თვეა და მეცხრე კარს ვკეტავ,
ცხრა საოცარი გალობა მესმა...
ნეტავ სიზმარში თუ ნახა დედამ,
წუხელ ლამის რომ გამგუდა ლექსმა.
გადაიარა არყოფნის ელდამ,
თმებშიც თანდათან განათდა მწუხრი...
ნეტავ სიზმარში თუ ნახა დედამ,
რომელ საფლავთან ჩავხარე მუხლი.
ნეტავ თუ იგრძნო, ზეციურ დარდით
სად ჩაიხაფრა იმედი ამო...
დავდივარ როგორც ვრანელის ლანდი
და თბილისიდან გაქცევას ვლამობ.
ვით ჩაიხაფრა იმედი ამო,
თითქოს უფსკრულის კიდეზე შევდექ.
სულ უმნიშვნელო ღალატის გამო,
სულ უმნიშვნელო ღალატის შემდეგ.
მართლაც ღვთიური ცრემლები დამდის,
მართლაც ღვთიური ტრფიალის გამო...
დავდივარ როგორც ვრანელის ლანდი
და თბილისიდან გაქცევას ვლამობ.

ზაურ კალანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი თოთაძე

●

არ ვარ მძებნელი ლხინის, ხალისის,
არც ბედის, ღლესაც რომ გმობენ
ბევრნი,
მე ეზიავარ დროის დამზრალ ყვავილში,
ლამაზ წუთების მომგროვებელი.

შაშვმა კისერზე შემაბა ზარი,
მომწყინდა ცრემლი პატარა ფრთითა,
სხეული, როგორც ყვითელი შალი,
დროის ეკლებზე შემომეფლითა.

იქ, სადაც ღმერთი მიმოდის ოხვრით
და წევს მორჩილად მკვდარი მზე —
მხსნელი,
გლოვის მგოსანთა პატარა ქოხი
უკანასკნელმა ჩუმად შევხსენი.

მეც გავითოშე მამულის მკერდზე,
მომდო დროებამ ყელზე ქამანდი,
ჩემი სისხლის მსგავს სისხლს ვერ
მიეენდე,
ვერ ვუპასუხე, ვერ გავთამამდი.

კვლავ გამოაჩენს დამარხულ ფერთა,
გარდაცვლილ ზეცის და ქარის ფენებს
სულთა შეხვების სითბო და სევდა,
სიკვდილის გზას რომ აქარვისფერებს.

და ამვიათად ბედის შექებაც,
გადაგდებული მაწა თუ ქოში
და ორი სულის წუთით შეხება
ოთახში — ბოლით სავსე კუბოში.

●

ასეთი არის განგების ნება,
ერთურთს ვერც იებს, ვერც ვარდებს
ვესვრით,
მაინც ჩვენს სულთა ფარულ შეხებას
ვერას დააკლებს ჭორი და გესლი.

ჩვენი სულები, შეცვლილი ქარით
რომ გავამრთელეთ, დავკემსეთ ბევრჯერ,
ერთურთს შევახოთ, სანამ დრო არის,
სანამ ჩვენიდან არ ამოგლეჯენ.

მანამდე მკვდრები სასაფლაოებს
გაექცევიან, ვით ღამის მდევრებს,
სანამ მხედართა ბოლო კუბოებს
ჩონჩხები მხრებზე არ გაიდებენ.

შევახოთ ერთურთს, ვიდრე უფსკრული
შთანთქავს ყველა ცას, ვარსკვლავს
და ფრთოსანს,
აპოკალიპსის დიდი ურჩხული
ვიდრე ჩვენს სულებს ზაზღით
დაყნოსავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

იქნებ გახსოვართ სულავსილი ჰანგით, ლხენითა,
პირველ ქარვას რომ შემოდგომის ცივ გზაზე ვფენდი,
მოჯადოებულ და მოხიბლულ სიტყვებს ყელიდან
გველებივით რომ ამოყრიდი და ვაცეკვებდი.

იქნება გახსოვთ ჩემი ძველი, პირველი ხმები,
ვარსკვლავთა შუქზე მოზეიმე ზეცა ახალი
და ჩემი თმები — ამოთხრილი ძეწნის ფესვები —
იქნება გახსოვთ, იბერიულ მზეზე გამხმარი.

ოქროს ბუდიდან გაზაფხულის კაშკაშა მზეში,
როგორც დედა ჩიტს ეჩქარება პარტყთა ამოსხმა,
ჩემს მოცახცახე და მთრთოლვარე ყვითელ თითებში
ირთოდა ანბანი და ცდილობდა თავის გამოხსნას.

იქნებ გახსოვართ პირველ სევდით, პირველ მზერითა,
მთვარის ელდას რომ შემოდგომის ცივ გზებზე ვფენდი,
მოჯადოებულ და მოხიბლულ სიტყვებს ყელიდან
გველებივით რომ ამოყრიდი და ვაცეკვებდი.

●

აღხდგა სიცივე, ბედი ეღირსა,
დაჭედა მიწა ყინულის ნალით,
ტახტდაკარგული მზე დეკემბრისა
გადელის ცაზე მცირე ამალით.

აღებს იმედი დაბზარულ კარებს,
არყოფნისაგან ველებს რომ იცავს,
გაძრცვილ ვარდის ბუნქს თავს ვერ
ვაფარებ,
დამსკდარ ყელიდან სული მოშიჩანს.

მაწამებს ნისლი არყოფნის ფერი
და ცრემლი, ქარში რომ იწყებს
ლივლივს,
უკვე ახელენ მშორდება ჩემი,
წითელ ჩიტივით, შორიდან მიელის.

ვუყურებ მინდორს ქარში მძინარეს,
სიზმარს, დაჩეხილს მღვრიე ღილებად
და ჩემი ტანი, როგორც მდინარე,
წლების მინდორზე მიედინება.

●

შეგუბდა ვნება, თითქოს მორჩილი
ვხდები, ეშორდები ყველაზე მთავარს,
დატანჯული ვარ სხვაგვარ ბორკილით
და დავწყებულს მზის მტკვერი მფარავს.

მზე ისე რეკავს, ბრუნავს ჩემს ირგვლივ,
სხივზე ჰკიდია თითქოს ცის ზარი,
კვლავ სისხლს მიჩქროლებს სიახლის
ხიბლი,
როგორც კაშკაშა ვარდის სიზმარი.

შელებილი მაქვს ცხოვრება გრიმით,
თუმც სურვილები გულში არ თვლემენ,
ჩემთვის ნამდვილი და ბუნებრივი
გზა სხვაგან დარჩა, მე ვერ გავთელე.

ჩემმა ნამდვილმა ცხოვრებამ ნირი
იცვალა, თვითონ ჩაკაქრე ერთ წამს
და მყვარალობის ხარ-ირემივით
რქები მეტოქეს ვერ შეალეწა.

ლეკსები
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუჩინარდები

როდესაც ღამით შემკრთალ თვალებს არ მოსდით რული,
როცა დღის ფერებს ბატკნებივით შორს გალალავენ,
ლამაზი ლანგრით ბნელ ოთახში შემომაქვს გული,
ვუხსნი ყველა კარს, ყველა კუნჭულს და სამალავებს.

მე მას ვუყვარდი, მიშრიალა სევდა ულევი
იქ, მის წიაღში, სადაც გალობს სხივთა კრებული,
მე მან მოშიძღვნა უტურფესი სამკაულები,
თავის კაშკაშა სამარხიდან ამოღებული.

მე მისი ვიყავ, ის კი ჩემი — პატარა გული,
ცხელ უფსკრულებში შემაფეთა ბევრჯერ მტანჯველ მზეს
და ძველი სისხლი, ლალის თვლებად შედედებული,
ძალიან ბევრჯერ შემომარტყა შემკრთალ მაჯებზე.

მე კი ვეძებდი მზის ცხელ ტაძარს, სხივებით ნაგებს,
მასთან მისასვლელს შევყურებდი ელვარე მანძილს
და თავქარიან სატრფოსავით ბევრჯერ გავფლანგე,
გზებზე დავყარე მისი ძალა და მისი განძი.

ახლა კი, როცა წარსულის ტყეს ჩამონაშალი
მკერდში ჩამემსხვრნენ ტირიფები თუ ჩინარები,
შევდივარ გულში, ჩემს ერთადერთ თავშესაფარში
და ლალის ბოლო სამარხებში ვუჩინარდები.

ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲜᲐᲜ

სასაფლაოსთან წმინდა წყაროს პატრონობს გველი,
ჭრელი და გლუვი და ყოველდღე ამღვრევს წყაროს თვალს,
ისმის წკრიალი, ახლა ალბათ ძვლებიდან ბგერა
ღაგორდა უცბად და თავისი თავი ამოთქვა.

იქ, ქვევით, სადაც ჩვენი ბედი ქვაზე სწერია,
სადაც ფასკუნჯი აშრიალებს ბნელში ძლიერ ფრთებს,
მაწიხქვეშეთის ვებერთელა ზღვა იმპერია
დასავლეთისკენ შეწითლებულ მზესაც იერთებს.

დაეცა მინდორს რახანია წმინდა ცრემლი და
ამ მაწის მკვიდრებს ცა მეორედ არ შობს ხიზნებად
და ახალგაზრდა, მკვდარი დედის მღვიანან მკერდიდან
კვლავაც რძიანი ფამფარები ამოიზრდება.

აქ მოდის გველი ღამღამობით, გზა მორჩილების
რომ არ უხილავს და კაშკაშა ნატვრისთვალს უვლის,
ჩანან სხვადასხვა სხეულიდან ჩამოშლილები,
მიჯნური ძვლები ერთმანეთზე გადახლართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ღელავენ, კვლავ ცოცხლობენ სევდით და ბორგვით,
კვლავ ქაოქაოებენ, ისე ჩანან, ისე არიან,
თითქოს მოფრინავს სიბნელეში თეთრი გიორგი
და თეთრ ბედურს მოაგელვებს მთვარის ნალიანს.

●

შენივ თვალები არაფერს გაცდის,
არც შენი გულის ძველი ბორგვანი,
ავსილი მთვარე – ხან დიდი ვარდი,
ხან კიდევ გველის მძიმე ვორგალი.

თვალს ეფარება მთვარის სამკალი
და მოჩანს ღრუბლის თეთრი ალამიც,
როს მზის დედასთან ცისკრის
ვარსკვლავი
მიდის რიჟრაჟზე რკინის ქალამნით.

განთიადისას როგორ გალობდი,
გულო, სიზმრების დედავ თუ ლალავ,
ბგერებს ყელიდან უხვად ამოზრდილს
სხვათა მკაცრ მზერას მაინც უმალავ.

და საგნებს ხედავ ასფრად არეკლილს,
როგორც ასგვარად გვხედავს ცით ბედი,
რადგან ოდესღაც შენს გრილ თვალებში,
ვით ბუდეებში მზის სხივი იფენდი.

ახლაც თვალები არაფერს გაცდის,
არც შენი გულის ძველი ბორგვანი,
ავსილი მთვარე – ხან დიდი ვარდი,
ხან კიდევ გველის მძიმე ვორგალი.

ᲬᲘᲗᲚᲐᲓ ᲣᲩᲐᲜᲓᲐ

ტკივილი ნეტავ როდის მოვიდა,
უჩინარ ცრემლად თვალზე რომ დამდის,
გახსოვს ის მთვარე, ისე შორიდან,
როგორც გაშლილ ვარდს, მე რომ
ვყნოსავდი.

ბედნიერებაც ნატვრისთვალია,
რომ დასდევს ჟრჟოლა, წყველა
და რისხვა,
ის სავსე მთვარეც დიდი ხანია
მრავალ ვარსკვლავად უკვე დაიმსხვრა.

იქ, ჩვენს მხარეში, სხვა დარი იდგა,
ნელა იწვოდა ცაზე მზე – კვარი,
ძლივს გამოჰყავდა მწვანე სახლიდან
მაისის ვარდი ივნისს ხელკავით.

იყო ივნისი, მწვანე ბუჩქნართან
წვეთავდა ჩიტის ჰანგი თუ ცრემლი
და ჩამავალ მზეს წითლად უჩანდა
ტანზე მიკრული ვარდის ფურცელი.

●

სამარხის მზეს ჭვრეტს ხელიკი
სიზმარში,
ზამთრის უკუნში ძილი აქვს წესად,
სძინავს დაძინებულ, ყვითელ სიტყვაში
და სიზმრად ესმის ბგერების კვნესა.

ბგერებს ახურავს თვალებზე შვებით
ბედი, რომელიც ბევრს უღვთოდ ცელავს
და დავიწყებულ, უძველეს სიტყვებს
ამ ქვეყნად მხოლოდ ხელიკი ჰყავთ
მცველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც აქ მსურს მოსვლა, ამ გაზაფხულზე
მე, ვინც ამ მინდვრებს სიზმრებს
ვაფენდი,
მაღლა ამოსულ ხვლიკის სხეულზე
მინდა ვეხილო სიტყვის ნაფლეთი.

ვდგავარ სამყაროს დაღლილ
გუგუნში,
ვინც ოცნებაშიც ამაოდ დავშთი
და ძველი სიტყვა იცდის უკუნში,
როგორც დედოფლის სამოსის ნაშთი.

●

მდინარის პირას, სად მკაცრი წლებით
ნატანჯი ალვა ტოკავს ეული,
ჩამხობილა და მტკვარს ხვრიპავს შვებით
ცხრათვალა დევი, ლოდადქცეული.

მაღლდება ზეცა და უნდა მთების
გალობდეს ტანი, გალობდეს გული
და ბრწყინავს მტკვარი, მზის
ანკესებით
ყინულებიდან ამოგდებული.

უფსკრულთან ერთ ვარდს ამ სისხამ
დილით
ტანჯავს ნადველი ღრუბლის — ცის
ტივის
და ეკლებიდან ვერ გამოხსნილი
თრთის კაკანათში გაბმულ ჩიტივით.

●

მოდი, მაისო, მოოქვრილ თასით,
ააფრადე მზე და ცა ბაცი,
ვით უტურფესი დიბა — ატლასი,
ჭრელი მინდორი ტანზე ჩამაცვი.

აავსე მიწა ლალით, ვერცხლითა,
გახედე ივნისს — სხვაგვარად მწველ
თვეს,
აკამკამებულ ჰაერს ზეციდან
შენ სიყვარული ჩამოაწვეთე.

მერე, როდესაც შენც მზეს აავსებ
იმ სიმხურვალით, ასე რომ გინდა,
გადაიხრები ივნისისაკენ,
როგორც მცინარე ვარდი ღობიდან.

მერე კი მაინც მოვა წუხილი,
მოვა სიკვდილი, შენ რომ
გზად დაგდევს
და წარმავლობის ტყვია ქუსლით
ივნისის ლამაზ ტანზე დაგაგდებს.

მანამდე ბოლოს ჩამორეკ ზარებს
და გიტირებენ ლურჯი დილები,
შენი დღეები გამომგზავნე
ვარდის წითელი გულისპირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

მე, როსინანტი...

რომანი

1ბ.

იმ დროს ბევრი რამ მაინტერესებდა, მაგრამ პატრონი არა მყავდა, ვინაც ავისა და კარგის გარჩევას შემაძლებინებდა. თუმცა, ვინმე რომც გამოჩენილიყო, ალბათ, ვერ დამიმორჩილებდა, მე ჩემი გზები უნდა მეძებნა... ჩვენი ქუჩა პედაგოგების ქუჩად ითვლებოდა. მასწავლებლები დიდი პატივით იყვნენ გარემოსილნი. შევსწრებივარ ქალების მსჯელობას, პედაგოგი გოგოა, ნოქარს რანაირად წაყვებაო... ჩემს გვერდით ცხოვრობდა იპოლიტე ბიძია, მათემატიკის მასწავლებელი. ყველანი ამბობდნენ, მეტად ნიჭიერი მათემატიკოსიაო. ბარე რამდენიმე წიგნი წამიკითხავს ცნობილ მათემატიკოსებზე (მიყვარდა წიგნების კითხვა ნიჭიერ ადამიანებზე!), აღვფრთოვანებულვარ მათი ნიჭიერებით, მაგრამ ფორმულათა ანაბანა ვერასოდეს ავითვისე... დეიდა თამარი კარგი ქიმიკოსი იყო, ყველაფერზე მისაუბრია მასთან, საოჯახო ბიბლიოთეკიდან უამრავი წიგნი წამომიდია წასაკითხად, მაგრამ ქიმიისა არა გამეგებოდა რა... გრიშა ბიძიასთან მასლაათი მიყვარდა, მაკცრი, მოუსყიდველი კაცი იყო, გეოგრაფიას გვასწავლიდა, მაგრამ ჩვენი საუბრები გეოგრაფიას არასოდეს ეხებოდა. გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ყველა კლასისა, ადრევე წავიკითხე, რაკი დღენიადაგ მოგზაურობებზე ვფიქრობდი, ჩვენს ბიბლიოთეკებში კი ქვეყანათმცოდნეობის წიგნები მწირად გვქონდა... შესანიშნავი ისტორიკოსი იყო ოლია გვათუა. თავდაპირველად თურმე ჩემი შვილად აყვანა უნდოდა, მაგრამ დედამ არ დამთმო. მასთან ისტორიაზე არასოდეს მილაპარაკია. მე ხომ მუდამ იმ ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას ვეძებდი, რომლის დაპყრობასაც ვაპირებდი... ფიზიკას ასწავლიდა პარმენ ბიძია, ერთხელ სეისმური სადგური მიჩვენა, მუზეუმის სარდაფში ჰქონდათ მოწყობილი. ფიზიკა იმ დონეზე მესმოდა, რომ ფორმულები არ დამჭირვებოდა... იყო კიდევ ერთი ზუსტი მეცნიერება, გატაცებით რომ დავეწაფე — ასტრონომია, ოღონდაც ამაასაც ისე ვეუფლებოდი, როგორც ხალხურ ზღაპარს, რადგან ნაირ-ნაირი პოპულარული წიგნები ფორმულების გარეშეც მშვენივრად იკითხებოდა... წავაწყდი წიგნებს ციოლკოვსკიზე, ცანდერზე. მეტად მომხიბვლელი იყო შორეული ნაირფერი სამყაროების წარმოდგენა. ჩემს გახურებულ გონებას მეტი რა სჭირდებოდა და კოსმოსით იმ დროს დავკაადდი, როცა იმაზე ჩემს ირგვლივ ხმას არავინ იღებდა, ხოლო ინტერესი სწორედ მას შემდეგ გამინელდა, როცა პირველი გაფრენები მოხდა და რომანტიკული ხიბლი მოეხსნა. წარმოსახვაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ „ცისკარი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეძლო დღენიადაგ მეხატა კოსმოსის უჩვეულო სურათები, პლანეტათა პეიზაჟები. მე მუდამ კოსმიური ხომალდის კაპიტანი ვიყავი და ხან მთვარეზე ადმოეწნდებოდი, ხან შიდა და გარე პლანეტებზე, ანდა მთლად ალფა კენტავრზე... იქნებ ცივილიზაცია ისე სწრაფად წასულიყო წინ, რომ მეც მივსწრებოდი ვარსკვლავთშორის გაფრენებს.

სხვა რამ აპარატი კოსმოსში სამოგზაუროდ მე არ გამაჩნდა, გარდა კალმისა და მაშინ დავიწყე სქელტანიანი ფანტასტიკური რომანის თხზვა...

ახალგაზრდა ქართველი კონსტრუქტორი ჩადის თბილისში, ცოლად ირთავს ქართველ გოგოსს და იწყებს ფოტონის რაკეტის აგებას. ეს ფოტონის რაკეტა მერეც მრავალი წელი თანა მდევდა. თვითონაც გამუდმებით ვხატავდი სივარსამაგვარ რაკეტას, ორივე მხრივ ფრთებივით რომ შლის უზარმაზარ სან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი კი ნაღდად გაქსუებულ ბურჟუებსა ჰგავდნენ და დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ეკიპაჟმა კისრისტეხით მოკურცხლა მარსიდან... საშუხაროდ, დედამიწა ამ დროს მზის მეორე მხარეს ტრიალებდა, ფოტონის რაკეტა მის ორბიტას ასცდა და პირდაპირ ვენერისაკენ აიღო გეზი.

ახლა კი გამეგება, რომ ღილის ვარსკვლავის ზედაპირზე ქარაშოტი და უდაბნოა, მაშინ კი ჩემს ეკიპაჟს ვრცელი ოკეანეები და უღრანი ჯუნგლები დავახვედრე, სადაც ცხოვრობდნენ დედამიწაზე უკვე გადაშენებული ვიგანტური რეპტილიები, ნაირ-ნაირი დინოზავრები, პლეზიოზავრები, ბრონტოზავრები, პტეროდაქტილები და სხვანი და სხვანი, მაამუნ-ადამიანებიც ეტიტლიკანა პირველყოფილი ტომებიც, რომელთაც ადრევე შევხვდი კონან-დოილის „დაკარგულ ქვეყანაში“ და პოპულარულ წიგნებში, გეოლოგიურ ეპოქებზე რომ ყვებიან.

ყველაფერი ეს ხომ კარგი, მაგრამ ხომალდი არაა გათვლილი ვენერიდან დედამიწაზე დასაბრუნებლად. ის ვერ დასძლევს მზის მიზიდულობას და იძულებულია მერკურიზე გადაინაცვლოს... უდაბური, ცხელი მერკური, რომლის მზიან მხარეს გამდნარი მეტალების მდინარეები მიედინება და ტბები ბუყბუყებს, ზურგის მხარეს კი მარადი უკუნი და ყინულეთია... არის ჰადესი, ჯოჯოხეთი, აქ მხოლოდ სიკვდილი სუფევს, მაგრამ მამაცი მოგზაურები გამოსავალს იპოვიან.

აგერ, მერკურის ორბიტას გადაკეთს ასტეროიდი ჰერმესი. ხომალდი გადაფრინდება მასზე. ჰერმესი მიექანება მზისკენ. ისე ახლოს ჩაუქროლებს, პროტუბერანცები წვერით ეზებიან კიდეც. მზეს მოლიანად უჭირავს მთელი ცარგვალი. ხომალდის გარსაცავი სანთელივით დნება და იღვენთება. დაცვის სისტემა, ჰა და ჰა, ვერ გაუძლებს... საბედნიეროდ, ჰერმესი უჩქარებს სვლას და შორს გატყორცნილი ლოდივით სწრაფად შორდება მომაკვდინებელ მნათობს. გადაჭრის ჯერ მერკურის, მერე ვენერის ორბიტას, უახლოვდება დედამიწისას, ოღონდ ფოტონის რაკეტა მწყობრიდან გამოსულია და ჰერმესიდან აფრენა უკვე არ ძალუძს.

ათი წელი გავიდა საქართველოდან ეკიპაჟის გაფრენის დღიდან, ახლობლებმა გამოიტირეს ჩვენი გმირები. ისინი ყველას დაღუპული ეგონა და უცვ რადიოცნობა მოვიდა: ეკიპაჟი ცოცხალია. დედამიწაზე ამ დროისთვის ფოტონის რაკეტების მთელი ფლოტელია აშენდა. რამდენიმე ხომალდი მიფრინავს ჰერმესთან შესახვედრად და გმირული ეკიპაჟის ჩამოსაყვანად.

ფინალი: კოსმოდრომზე ახალი ვარსკვლავთშორისი პლაზმური ხომალდი დგას, ალფა კენტავრისკენ გასაფრენად ემზადება. ეკიპაჟის წევრებია შეფვარებული წყვილი — სელენა და კოსმოსელა...

აი, ასეთი იყო სიუჟეტი, თუმცა გამხელილი სჯობს, დაწერით იმდენი დავწერე, ეკიპაჟი ვენერას ჯუნგლებში დამეკარგა, დანარჩენი წარმოსახვაში დარჩა. ეს წარმოსახვა ხომ უფრო ფერადოვანი და შთამბეჭდავი იყო, ვიდრე სიტყვები, რადგან განცდილის ქაღალდზე გადატანის ოსტატობა უფრო მძიმე და ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მაშინ მეგონა.

ჩემმა კოსმოსურმა გატაცებებმა კარგა ხანს გასტანა... ჩემში ხომ დონ კიხოტი ცხოვრობდა და არც ის დამვიწყებია, უსტარი მიმეწერა ციოლკოვსკის სახელობის ჩემთვის უცნობი ორგანიზაციისათვის, სადაც ვიფიცებოდი, ვიცი, სადღაც საიდუმლოდ კოსმონავტებს ამზადებთ, ჩამწერეთ ამ სიაში და თუ დავიღუპე, პრეტენზია არ მექნება-მეთქი. ოთხი პასუხი მივიღე: ჩვენო შეგობარო და თანამზრახველო, თანაგვრძნობთ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ მხოლოდ ცოდნას ვავრცელებთ, მეცნიერულსა და პოპულარულსო.

კიდევ კარგი!

37 მე, როსინან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ჩინეთში, ჩინეთიდან ციმბირის მარხილის გზით რუსეთში ჩამოვიდოდა, ივანე მრისხანეს კარზე, იქიდან ლონდონს გაემგზავრებოდა და ამჯერად სამუდამოდ დარჩებოდა სატრფოსთან.

ჩემი მწერი ცოდნა ამ ამბებს რას გასწვდებოდა, მაგრამ დონ კიხოტისათვის შეუძლებელი არაფერია. ოღონდ ხელს მიშლიდა ერთი რამ: საბოლოოდ ვერ გადამეწყვეტა, რისთვის უნდა მიმეძღვნა ჩემი ძვირფასი სიცოცხლე. თუ კოსმოსს მივაჯოროდი მზერას, უმალ ჩემს ფანტასტიკურ კოსმოსურ ოდისეას მივუბრუნდებოდი, თუ ქვეყნიერების გაბედნიერების პრობლემა შემძრავდა, მაშინ მიწაზე დაეშვებოდი, ესე იგი, მე-16 საუკუნეში და სენიორ სალამანკთან ერთად გავცურავდი ცხელი ზღვების ტალღებში...

ეს ყველაფერი ხომ ქაღალდზე ხდებოდა, საჭირო კი იყო რეალური მოქმედება... მეშინოდა, დავბერდები და ვერაფერს მოვასწრებ-მეთქი... ბოლოს და ბოლოს სიყმაწვილეში ჩადენილი ვმირობაა ნამდვილი, თორემ ზრდასრული ადამიანი ისედაც ვმირი უნდა იყოს.

20.

დედაჩემი სკოლის ბუფეტში მუშაობდა. დღის ნავაჭრი, დაახლოებით სამას მანეთამდე, რა თქმა უნდა, იმდროინდელი კურსით, ქაღალდში შეკრა და სალაროში ჩასაბარებლად გამატანა... სალარო დაკეტილი დამხვდა...

ზამთარი იყო, მაგრამ ზუგდიდში მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. არ ცოდა. ფეხზე თხელი წინდები და რეზინის გადაჭრილი ჩექმა მეცვა. ზევიდან, პერანგზე საკმაოდ თხელი და შელახული ბაბალული. იმ დღეებში გულს სევდა მიხრავდა, არც წასაკითხი მეგულებოდა რაიმე, ფანტაზიების სამყაროში ცხოვრებაც მომწყინდა, ვერავინ და ვერაფერი მართობდა.

ბიბლიოთეკაში შევიარე. „კაპიტან გრანტის შვილები“ დამახვედრეს. რამდენი ხანია ველოდებოდი და ძლივს შემხვდა.

უცებ ჩემ წინ ავტობუსი ჩამოდგა, ზუგდიდი — სოხუმი. წუთით არ დავფიქრებულვარ, ეგრეევე ავედი და სავარძელში მოვკალათდი (ახლა ჩემს თავს ვეკითხები, ჩემმა შვილმა ასე რომ გამიკეთოს, როგორ მოვიქცევი-მეთქი, მაგრამ პასუხი ვერ გამეცია).

ამ მხარეს პირველად მივემგზავრებოდი და ცნობისმოყვარეობით ვიჭყიტებოდი, ვათვალიერებდი სამურზაყანოს ლამაზ გზისპირებს. თან გონებაში ათასნაირ მომხიბელელ გეგმებს ვაწყობდი. გავემგზავრები მოსკოვში, დავთვალიერებ, მერე დასაველთისაკენ გავწევ, ბრესტში გადავიპარები, იქიდან ვარშავაში ჩავალ. იქ სტუდენტთა და ახალგაზრდათა მსოფლიო ფესტივალია მოსალოდნელი. დავუახლოვდები ლათინური ამერიკიდან ჩამოსულ ვოგო-ბიჭებს. თან წავყვები. ესპანური ანაბანა მესმის, იქ სწრაფად ვისწავლი და დავიწყებ რევოლუციურ მოღვაწეობას... რა თქმა უნდა, კონტინენტის ტანჯული ხალხები მხარში ამომიდგებიან, დავაბრო მთავრობებს და ყველას გავაერთიანებ ერთ უზარმაზარ ფედერაციაში... წარმოსახვით ვაშენებდი ქალაქებს, გამყავდა რკინიგზები და ასე შემდეგ... მერე კი, იმპერიალიზმის ბასტიონს — ამერიკის შეერთებულ შტატებს შევუტევ... მოკლედ, დღევანდელი კურსის ოცდაათი მანეთით მივდიოდი კაპიტალიზმისაგან მსოფლიოს გასათავისუფლებლად.

ეგაა, ავტობუსით ასე შორს მანამდე არ მემგზავრა. მაყანყალა ამ ჯღანმა ავტობუსმა, მაყანყალა და გული ცუდად გამიხადა. არც მახსოვს, როგორ ჩავედით, ფული როგორ გადავუხადე, ბუნქებში მივიმალე და გულიც ამერია... მოთავებული ვიყავი, თავი ამტკივდა. შევლასლასდი მოსაცდელში და წამოვწექი, ჩამეძინა. სიცივემ გამომაღვიძა, წამოვიწიე... დარბაზში მალიციელი მიმოდიოდა, გასაღებების ასხმელთათი სკამის ზურგს ურახუნებდა... უსაქმურობისაგან ერთობოდა, რა!

გავერიდე. ნახევრად ჩაბნელებული, ხალხმრავალი და მაინც უკაცური დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზები, ბაქანი, სადგურისპირა მოედანი... ბუფეტში თბილა, ვყიდულობ ლიმონათს, პურსა და ძეხვს... მადა არა მაქვს, მაინც ვკიკნი...

ღამე, მარტოობა, უცხო სადგური... გაჭიანურებული, მოსაწყენი სიზმარეთი.

დილის ხუთ საათზე აიძრა მოსკოვის მატარებელი. ბილეთი ჯიბეში მაქვს, კუპის ზედა თაროზე ვწევარ. თბილა, მყუდროდა ვარ, მოთენთილს მძინავს.

თვალი გავახილე, ფანჯრიდან ლურჯი ზღვა ჩანს, სუფთა საგაზაფხულო ამინდი დგას, კამკამა ცა და ჰაერია. მატარებელი კი ისე მიირწევა, თითქოს არც არსად ეჩქარება.

აგერ სოჭი... ვავზლის კოშკის საათი დამამახსოვრდა.

ტყიანი მთები და გორაკები არმავირის გზაზე.

მერე თოვლიანი, უსასრულო და უკიდეგანო ველები, აქა-იქ გაფანტული სოფლებით, თეთრი ქოხები... ერთფეროვანი თეთრი გარემო, რომელსაც იშვიათ ლაქებად ემჩნევა გზები, გაყინული მდინარეები.

გარეთ ყინავს, კუპეში კი თბილა... მე ჩემს თაროზე ვარ წამოწოლილი და ვკითხულობ „კაპიტან გრანტის შვილებს"... რუსეთის ფართო ველებს ესადგება პატაგონიის ვრცელი ტრამალები.

ღამე, დღე და აი, საღამო... გადაეჭერით ტყიანი გარეუბნები, გარემოს შეეტყო დიდი ქალაქის სუნთქვა და მატარებელი მოსკოვში შევიდა...

21.

კურსკის ვაგზალი.. უზარმაზარ დარბაზებში ტევა არ არის. მოსაცდელებში, საბილეთო დარბაზებში, გადასასვლელებში აურაცხელი ბოხჩებიანი, ჩემოდნიანი, ყუთებიანი კაცები და ქალები ერთიერთმანეთზე სხედან, წევანან, ჭამენ, სძინავთ, ლაქლაქებენ... ყველა ზამთრის პირობაზეა ჩაცმული... ქურქები, თექის ჩექმები, ვის როგორც შეუძლია, ისე ჩათბუნებულა... შენობაში მარტო ბილეთიანებს უშვებენ. მილიცია ფხიზლად ადევნებს თვალს, ვინმე არ შემოხეტოს ღამის გასათევად. არავინ მოგერიდება, ჩაგავლებენ საყელოში ხელს და კინწისკვრით გისვრიან ყინვაში.

მილიციელის შიშით ვერსად გაეწერებულვარ, ვერ ვიძინებ. ოდნავ ჩამთვლემს და სიცივე მაღვიძებს. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ, ვინმე არ მომეპაროს, არ გამომიჭიროს. ბოლომდე მაინც ვერ დავუძვერი, მილიციელმა მტაცა ხელი. ბილეთი ვუწვენე, აი, შუაღამეს ჩამოვედი, დილამდე ვერსად წავალ-მეთქი. ვისთან ჩამოხვედი. აქ ბიძაჩემი ცხოვრობს, ოღონდ ღამე-ბნელში ვერ მოვძებნი-მეთქი. შემეშვა...

უთენია, მეტრო რომ გაიხსნა, კვლავ ჩამოიარეს მილიციელებმა: ვინც მიეგზავრებით, გაემგზავრეთ; ვინც ჩამოსულები ხართ, მეტრო გახსნილია და ბედს ეწიეთო. ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩავედი მეტროში.

მიწისქვეშა დარბაზების ზიზილ-პიპილები მომეწონა-მეთქი, რომ ვთქვა, რა გასაკვირია. ისედაც აკენდან ჩამჩიჩინებდნენ, მოსკოვის მეტროზე უკეთესი მსოფლიოში არსად არისო. ახლა კი ვიცი, რაც უფრო გალატაკებულია ქვეყანა, მით უფრო ხელგაშლილია მისი თავრობა, როცა უნდა თვალში მტვერი შეეყაროს. მეტროში ყველაზე მეტად სითბო მომეწონა. მეტრო რომ არ არსებულიყო, ზუგდიდური ზამთრის პირობაზე ეკიპირებული, რუსულ ყინვას, ალბათ, ცოცხალი ვერ გადაეურჩებოდი.

რევოლუციის მოედანზე ამოვედი. იქიდან კრემლის ვარსკვლავები ჩანდა და გზის გამოკითხვა არ დამჭირვებია. წითელი მოედანი მეპატარავა. რა თქმა უნდა, ლამაზი იყო, მაგრამ ციოდა და თანაც დღე ისე მოქურუშებულიყო, ყველაფერს თითქოს ბინდი ეფინა. წითელი აგურის შენობების სახურავებს ყვავების ლაშქარი დაჭარხალებდა. ამდენი ყვავი ერთად ჩხოუშიას სანახებშიც არ მინახავს. თავი რაღაცნაირად დაკარგულად ვიგრძენი და „გუმში" შევედი. კარებში, გვერდების ჭაურებიდან ცხელი ჰაერი უბერავდა და თოშს მაცლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა რა ჩარა იყო, უკაპიკო მყიდველის კვალობაზე აღმა-დაღმა დავდიოდი, თვალს წყალს ვალევინებდი და ვთბებოდი.

ბოლოს მომბეზრდა და გარეთ გავაღწიე. გავიარ-გამოვიარე და ლენინის მუზეუმს წავაწყდი. აბა, მე რა რევოლუციონერი ვიქნებოდი, თუ აქ არ შევეხეტებოდი... სხვათა შორის, კარგა დიდ ხანს, როცა ჩემი თაობის თვალში დისკრედიტირებული აღმოჩნდა რევოლუციის მოღვაწეთა მთელი ლაშქარი, ლენინის ხატებას ლაქა არ ანნდა. ჩემს პირველ პუბლიცისტურ ბროშურაში, რომელიც 77-ში დაისტამბა, საბჭოეთის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე დასახელებულიც არა მყავს, მაგრამ რამდენიმეჯერ მომყავს ლენინის ციტატა. მაშინაც ხომ უნდა მცოდნოდა, რომ მზეზეცაა ლაქები... მერე და მერე მოლად გამოვფიზიწლდით და მივხვდით, ჩვენი საუკუნის უბედურებანი თუ ერთი კაცის კისერზე საერთოდ შეიძლება ჩამოიკიდოს, მაშინ უპირველესად ამ მონგოლური პროფილის ადამიანის კისერზეა...

სანამ მე მუზეუმის ვრცელ დარბაზებში დავდიოდი და ერთხელაც ვრწმუნდებოდი, რომ ლენინს უყვარდა ბავშვები, ლენინი უყვარს პატარებს, წითელ მოედანზე, იმ ყინვასა და სიცივეში, მავზოლეუმთან ტრადიციული რიგი იდგა... იმ რიგში ნაღდად ვერ ჩავდგებოდი, თუნდაც სიცივის გამო და იმიტომაც, რომ მკვდრის ნახვას ვერ ვიტანდი, თუნდაც ის ლენინი ყოფილიყო.

ამასობაში დამიღამდა კიდეც. მეტროში ჩავძვერი და მინსკის ვაგზალზე ამოვედი.

შევისწავლე ბილეთების ნიხრი, აღმოჩნდა, რომ ფული მინსკამდე მეყოფოდა, ბრესტამდე ნაღდად არა.

ავიღე ბილეთი მინსკამდე და ზედა თარიზე წამოვწექი. ვაგონში ცხელოდე, ოფლს მასხამდა. გარედან კი რუსული ყინვა ფანჯრებზე ბროლის სურათებს ხატავდა.

ჩამეძინა. გამყოლის ხმამ გამომაღვიძა — „მინსკი, აბა, მინსკიო!“ მოვუყრუე, ვითომც ღრმა ძილით ჩამეძინა. მატარებელი დაიძრა და მეც გამოყოლია. მერე მართლაც ჩამეძინა, თანაც ისე ღრმად, რომ ვერ გავიგე, როგორ გათენდა და ბრესტში როგორ აღმოვჩნდით.

ვიღაცამ ფეხში ხელი ჩამავლო, შემაჯაჭვდარა.

დაფეთებულმა თავი წამოვწიე.

— ვაიღვიძე, ყმაწვილო, ჩამოვედით!— ამომძახა გამყოლმა და გამშორდა.

ვაგონი ცარიელი იყო, ჩემს გარდა, ყველა ჩასულიყო.

ჩამოვედი თოვლიან ბაქანზე, ვაგზლის ფრონტონზე ეწერა „ბრესტი“.

22.

ქალაქი არც დამამახსოვრდა... შიშველი ხეები, ჭუჭყიანი თოვლი, ქოხმახები. ყინავს, მშია, ჯიბეში ხურდაღა დმრჩა, — სამშაურიანი და ორშაურიანი. პურის მაღაზიაში შევდივარ. შავი პურის ნაჭერი ჩამომიჭრეს და ესაა... უგემურად ვძიძგნი, თან ვფიქრობ: ვარ თოვლიან ქალაქში. ცაზე მზე არა ჩანს. არ ვიცი, საათაა აღმოსავლეთი და საითაა დასავლეთი. ჯერ ეს უნდა გავარკვიო, მერე გაყინულ მდინარე ბუგზე უნდა გადავიდე. ნაპირზე მესაზღვრეები იქნებიან, აქეთ რუსები, იქით — პოლონელები... ვინ იცის, იქნებ ყინული თხელია და შეიძლება ჩატეხილიც. დღისით ვერ წავალ, დამინახავენ, ღამით შეუძლებელია, გავიყინები... მოკლედ, თვალნათლივ მივხვდი, ზღაპარმა სადაც მომიყვანა და თვით მცდელობაც უაზრობაა.

გარეუბანში აღმოვჩნდი. მცივა. ძალიან მინდა, სადმე შევიდე და გავთბე. ბოლოს და ბოლოს ირგვლივ ადამიანები ცხოვრობენ, მშიერ-მწყურვალს ხელს არა მკრავენ... მოდი, აი, აქ დავაკაკუნებ!.. ორსართულიან ხის სახლს მივადექი, ყური მივადე. ბავშვების ჟრიამული მესმის. ალბათ, საბავშვო ბაღია!.. მოვშორდი, ქუჩა გადავჭერი და გადაყუნცულ ქოხთან შევჩერდი. შესასვლელთან თხა აბია, ჭამს, პირს აპარპალებს... გაკვირვებით მიყურებს... თხის ნახვამ რატომღაც წამათამამა... დავკაკუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი უცბად გაიღო და ზღურბლზე საშუალო ასაკის დედაკაცი წამოიმართა, ამხედ-დამხედა, ხელი ხელს შემოჰკრა და გაკვირვებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ? შემოდი, შემოდი!

თავპატიჟი არ დამიდია. გაკვირვების მიზეზი კი ჩემი რეზინის ჩექმები გახლდათ. ამ ყინვაში რეზინის ჩექმით მთელ სლავეთში, ალბათ, ჩემს გარდა, არც არავინ დადიოდა, თანაც, ყელწაჭრილი ჩექმით. შარვალიც ხომ თხელი მეცვა, ჰუხლები მეყინებოდა.

ქალმა ლუმელთან მიმათრია. თან კითხვებს მაყრიდა, თან საქმიანობდა. ცხელ ქურაზე ქვაბები შემოდგა. გვერდით, შშრალ ოთახში ცეცხლი დაანთო, შეშა ბლომად შეყარა. ცეცხლი რომ აგურგურდა, იქ დამსვა, წინ ცხელი წყლით სავსე ტაშტი დამდგა, ჩაიმუხლა და ფეხზე თვითონ გამხადა. დანესტიანებული, თხელი წინდების დანახვაზე ივიშვიშა და წაუტირა კიდეც, ჩემი ბიჭი ორი წელია საშუაღამ ცომბირში გადაკარგა და, ვინ იცის, იმას როგორ უჭირსო.

ამასობაში სუფრაც გაწყო... ბორშჩი, ლორი, წყნაბურის ფაფა... მოკლედ, რაც კი ჰქონდა, ყველაფერი გადმოალაგა.

დედ ყველგან დედაა!.. ის ქალი ვიდაცის დედა იყო, ცომბირში წასული ბიჭისა. ობლად მოხეტიალეს ხელი რომ გამომიწოდა, შემიტკბო და მომეფერა, ამით ბომბირში გადახვეწილ თავის ბიჭსაც მეფერა. არც სახელი მოკითხავს მისთვის, არც მისამართი ჩამიწერია... რამდენმა გამომაწოდა ასე ხელი და უფალი თუ გადაუხდის სიკეთის წილ.

დაკაკკუნეს და ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, მოგვესალმა. ოფიცრის ცოლი ყოფილა. იმანაც შეიცსადა, სწრაფად გაბრუნდა და ათ წუთში გაქათქათებული, უხმარი გრძელფოტებიანი საცვალი და ფეხსაცვეი მომირბენინა. იქვე ჩამაცვეს. ფეხზეც რომ თეორი ბამბაზიის ნაჭერი შემოვიხვიე, მართლაც საფუძვლიანად გავთბი.

— ხომ იცი, რა დღეში იქნება დედაშენი? — მოფერებით მეუბნება ოფიცრის ცოლი. — ამ ყინვაში ან სად უნდა იხეტიალო? დაიღუპები! წადექი, აგერ კომკავშირის კომიტეტში მიავლთ და დაგეხმარებიან!

არჩევანის საშუალება, ვხედავ, არა მაქვს. მარილაც სად უნდა წავიდე ამ სიცივეში, თანაც უფულოდ. ოფიცრის ცოლი ხუთმანეთიანს მწუქნის, დიასახლისს სამმანეთიანი აღმოაჩნდა. იქნებ მოლად ბოლო ფულია, რაცა აქვს, იმას მაძლევს. ვემშვიდობები. მე და ოფიცრის ცოლი ხელიხელჩაკიდებულნი მივდივართ.

ერთი საათიც არ გასულა, მე მილიციის განყოფილებაში ვარ. კუთხეში ვზიავრ... დაპატიმრებულები შემოჰყავთ... ორი დედაკაცი მოთქმით ტირის. თურმე თითო ტომარა პური უყიდიათ და ახლა სპეკულიანტობას აბრალებენ. ერთი ირწმუნება, სოფელში მოსავალი არ იყო, გრამი არ დაგვირიგეს და შიმშილით ვიხოცებითო... ხომ უნდა მეკითხა მაშინ ჩემი თავისათვის, რიდის დაპატრეს თავის შვილებს სოციალისტური სისტემა, რომლის დროშის ქვეშ ვაპირებდი მსოფლიოს გათავისუფლებას?

იმ დამეს ერთი კაცი გამაყოლეს, ჩამხვეს მატარებელში და ჩამიყვანეს ბარანოვიჩში...

23.

ბავშვთა გამანაწილებელი ისეთ უბანში იყო, სოფელი გეგონებოდათ. ერთსართულიანი, კარგად ჩათბუნებული სახლი თოვლიან ეზოში იდგა. ათიოდე ჩემსავით მაწანწალა ბავშვი ჰყავდათ. თბილოდა, არა გვშიოდა. ხანდახან ეზოში თოვლს მოვხვეტავდით, ეს იყო ჩვენი სამუშაო. სხვა დროს ვთამაშობდით, უფრო ცივებით ან თხილამურებით, ან წიგნს ვკითხულობდი. კვირაში ერთხელ ხელიხელჩაკიდებულები აბანოში მივყავდით. ეს იყო და ეს!

დირექტორად ერთი ჩასუქებული ბელორუსი გვყავდა. ხანდახან დამიბარებდა, საუბარს გამიბამდა. რა გინდა ამ ცივ ქვეყანაში, მზიანი საქართველო როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გირჩევნიაო. მე რომ ბელორუსი არ ვიყო და ბულბაზე (შემწვარ კარტოფილზე!) არ ვგიჟდებოდე, საქართველოში გადავსახლდებოდი და ყურძენს მივირთმევდიო. ისეთი კეთილი ვინმე იყო, სიკეთე თვალთაგან სულ ცრემლად გადმოსდიოდა. მე ჩიჩირივით გავჯიუტდი, გამიშვით სადმე სასწავლებელში და იქ დავრჩები-მეთქი. მრცხვენოდა ხელმოცარულად შინ დაბრუნება და ის მალა-პარაკებდა. დირექტორი კი ჭიპმოჭრილი და ბრძენი კაცი იყო, ძალას არ მატანდა, მაგრამ თითქოს მეხვეწებაო, ერთსა და იმავეს მიმეორებდა. რა რჯიდა ამ კაცს, რა ენადგებოდა?.. საკმარისი იყო ერთი ფარატინა ქაღალდი და გამიშვებდნენ სადმე დასაკრავაში. ეტყობა, ეწადა ჩემი გადარჩენა!.. იმდენ ხანს მეჩიჩინა, რბილად, თუმორით, ღიმილით, ბოლოს დამიყოლია, ერთი ხაწშიმესული ზემდეგი გამატანა და პირდაპირ ზუგდიდში გამომამგზავრა.

მოკლედ, ამ ჩემი მეორე ოდისეიით სოციალისტური სამშობლო ვაზარალე!

ზემდეგი მოელი გზა ფხიზლად მდარაჯობდა. ვაგონ-რესტორნის ბორშჩითა და ლორით მკვებავდა, თან ტრაბახით მჭყიპავდა. ეშინოდა, გამეპარებაო, მაგრამ რუსულმა ზამთარმა ისე შემაწუხა, არსად ვაპირებდი გაქცევას.

სოჭს რომ მოვაღწიეთ, გამყოლმა ტრაბახი შეწყვიტა. იდგა ფანჯარასთან, უყურებდა და ოხრავდა. პირველად იყო სამხრეთში და აღრიანი გაზაფხულის ფერთა სიუხვემ მისი მარტივი სულიც შეძრა.

ზუგდიდში გარიჟრაჟზე ჩავაღწიეთ. ჩემი სახლი სადგურიდან არც ისე შორსაა. ზემდეგი აქეთ-იქით იყურება, მმინარე ქუჩებს, ეზოებსა და ოდა-სახლებს ათვალიერებს დ მკაცხავს, ასეთი ქვეყნიდან სად ჯანდაბაში გარბოდიო.

მართალი იყო ეს კაცი და რა მეთქმოდა!

მივადექით სახლის კარს, წამოვყარეთ მძინარენი. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.

ჩემმა მამინაცვალმა, სტუმრის ყადრი იცოდა. ის საბრალო ბელორუსი სამი დღე სუფრიდან არ წამომდგარა. შეჭიკჭვეებული, სულ იმას მიმეორებდა, ეს რა კაი ხალხში ვიცხოვრია, რა გინდოდა, რას გამორბოდი თოვლისა და კარტოფილის ქვეყანაშიო...

24.

ამასობაში სასწავლო წელი სანახევროდ მიილია. უკვე მეშვიდე კლასის მოსწავლე ვარ. მაცვია ნაცრისფერი დაბამბული ჯუბა და ბათინკები, ბელორუსიიდან რომ ჩამომყვა, მახუარავს ყურებიანი ქუდი. ასეთი ჯუბა ეცვა ლენინს ერთ გადასახლებისდროინდელ სურათზე და ჩემი ძმაკაცი გიგლა ჯანაშია ხუმრობით ბელადს მადარებს, თუმცა აღე მე, არც იმან არ ვიცით, რომ ეს შედარება სახარბიელო არ არის. ყველაზე დიდ ხანს ბათინკები შემრჩა. მანამ ვატარე, სანამ პირს დაადებდა. წყალი რომ შემივდა, ბრძნულად განვაცხადე: ამის სიკეთე იმაშია, წყალი შედის, მაგრამ უკანვე გამოდის-მეთქი.

სწრაფად გაზაფხულდა. ორიოდე ნაშნის მიღება მოვასწარი და სასწავლო წელიც დამთავრდა. ჩემში ჩამჯდარი ეშმაკი ვერ ისვენებს, ზამთრის მოგზაურობის მარცხი ყინვასა და სიცივეს ბრალდება. აი, ზაფხულში რომ გავმგზავრებულიყავი, ცხადია, რაიმეს მივაღწევდი... გული ისევ მოსკოვისაკენ მიმიწევს, რაკი ყველა გზა იქიდან იწყება.

შევუნდი დედაჩემს, გამიშვი, ბედს ვეწევი-მეთქი. „ბედის“ უტყუარი არგუმენტი, ცხადია, სწავლა იყო. ვითომდა ჩვენი სკოლა და ღარიბი ბიბლიოთეკები არ მაკმაყოფილებდა. ეს მხოლოდ საბაბი გახლდათ, რადგან უკვე იმდენად ნასწავლი ვიყავი, გონების დასაბნელებლად მეტი არც მჭირდებოდა. დედაჩემს ჩემი სჯეროდა, იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ არ გავუშვა, გაიპარება და უარეს დღეში ჩავვადებსო. თანხმობა კი გამოუტაცე, მაგრამ კაპიკი ფული აღარ გვქონდა შინ. უფულობა რას დამაკავებდა, მაგრამ რაკი ლეგალურად მივდიოდი, უმჯობესი იყო, ჯიბეში ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთი მქონდა. დედამ მითხრა, შენ ოღონდ ვინმეს ესესხე და ერთ თვეში მე გავისტუმრებო.

მივაკითხე ტარასი ბიძიას. შორს დაიჭირა, ფულს ვინ მომაშვებდა, სადა მაქვსო. აცხონოს ღმერთმა, ცოტათი ხელმოჭერილი კაცი იყო. თუმცა, დრო იდგა ისეთი, ხალხი მცირედით კმაყოფილდებოდა, ყველაზე ფულიანსაც არა ჰქონდა თავზე საყრელი.

ქუჩის ბოლოს კოსტა არნანია ცხოვრობდა. ერთხნობას, ჩვენთან იდგა მდგმურად და იმიტომ შეებედე. რად გინდა, შვილო, ფულიო, მკითხა. მოსკოვში მივდივარ სასწავლებლად-მეთქი. ხვალ მოდი და რაზეს გაგიხერხებო, დამპირდა.

მეორე დღეს მივაკითხე. შინ შემიყვანა. მაგიდაზე ხონჭით თხილი, ჯანჯუხა და ტკბილისკვერი ედო. არყის პატარა ჭიქაში შინაური ნაყენი დამიხსა და ვზა დამილოცა.

სიმორცხეისაგან ხმას ვერ ვიღებდი, იმან კი ქაღალდში შეხვეული ფული ჯიბეში ჩამადო და ჩემი ბოდიშნარევი ლუღლუღის პასუხად, მეგობრულად მითხრა: ოღონდ შენ კაცი გახდი და მეტი მე არაფერი მინდაო.

ჩავჯექი მატარებელში და სულ დაგდუგით ჩავედი მოსკოვ-ქალაქს. ზაფხულის რუსეთი, რა თქმა უნდა, უფრო ლამაზიც იყო და ნაკლებ საშიშიც. გაყინვის მაინც არ შემეშინდებოდა.. ვრცელი ველები, აქა-იქ გაბნეული ხუტორები, თეთრი „მაზანკები“, ხატები, მშვიდი და წყნარი მდინარეები, ოქროსფერი ხორბლისა და მზესუმზირის უსასრულო მინდვრები... რუსეთზე ბევრი რამ არ დამიწერია. შეეცადე ერთ მოთხრობაში — „ტრამალების სევდიანი სიმღერა“ გადმომეცა მცირედი იმ შთაბეჭდილებებდან, ცენტრალურმა რუსეთმა ჩემზე რომ მოახდინა...

25.

კვლავ მოსკოვში ვარ. თითქმის მთელი თვე! არც ჭერი მაქვს სადმე, არც დასაძინებელი ადგილი. დღისით არა მიშავს, თბილა და ხალისიც მეტი მაქვს. ნაყინი და ღვეზელი, ესაა ჩემი საჭმელი. სიროფიან წყალს ვაყოლებ, სხვანაირი ქეიფი მე არ ვიცი.

სად არ დავიარები, „ვდნხ“-ზე უამრავ დროს ვხარჯავ, ყველაფერი მაინტერესებს და, სამწუხაროდ, ყველაფრისა მეჯერა. განსაკუთრებით საქართველოს პავილიონს ვეღარ ვშორდები. მართალია, სხვა ქვეყნებისაკენ მივისწრაფვი, მაგრამ სამშობლო ერთადერთია და თავში რანაირი დომხალიც უნდა მქონდეს, ინტენქტი მაინც შინისკენ მიხმობს... შევისწავლე მეტრო, გუმი, ცუმი, მუზეუმები... ერთხელ ცირკშიც ვიყავი და კარანდაშის მასხრობაზე ბევრი ვიცინე, ოღონდ იმ დროს გარეთ ბნელი და ცივი ღამე მელოდებოდა.

იმ ზაფხულს უბრალო მოქალაქენი პირველად შეუშვეს კრემლში. მეც მოვახერხე. ვდგავარ მეფე-ზარბაზანთან, წინ მოედანია, მიღმა სამთავრობო შენობებია. აგერ შავი მანქანები მოსწყდებიან კიბეს და აქეთ მოდიან. ვიცანი, მოლოტოვია, წინ იყურება, ვერც გვამჩნევს... ახლა სხვა მანქანა შორდება იმ კიბეს, ამჯერად მიქოიანია, ისიც თითქოს ვერ გვამჩნევს... სეირის მოყვარული მოქალქენი ტროტუარის პირას დგანან და ტაშს უკრავენ... მესამე მანქანაში ნიკიტა ხრუშჩოვია. ამან შლაპა მოიხადა, დაგვიქნია, თან იცინის, გვერდით სერიოზული ბულგანინი უზის.

სხვათა შორის, ხრუშჩოვი სხვა დროსაც ვნახე. მაშინაც იცინოდა, თუმცა სასაცილოდ, თუმცა, სულაც არა ჰქონია საქმე. ექსკურსიაზე მივემგზავრებოდით რიწის ტბაზე და მოსახვევთან მთავრობის მანქანების კორტეჟმა ჩაგვიარა. ერთში ხრუშჩოვი და მიქოიანი ისხდნენ. ხრუშჩოვმა აქაც შლაპა მოიხადა და დაგვიქნია. ბედნიერი სახე ჰქონდა. მიქოიანი გაუღიმარი, პირგამეხებული წინ იყურებოდა. იცოდა, მელამ, სადაც იტყუებდა თავის მსხვერპლს. სწორედ რიწის ტბაზე გამოიჭირეს მაშინ ნიკიტა ხრუშჩოვი, ხელისუფლებაზე უარი ათქმევინეს.

ერთხელ, სმოლენსკის მოედანზე, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შევედი. მისაღებში ტელეფონებია. შეგიძლია სხვადასხვა განყოფილებაში დარეკო და, თუ საჭიროდ ჩათვალეს, მიგიღებენ. ვრეკავ მაღრიბის ქვეყნების განყოფილებაში. ალჟირში ამ დროს ფიცხელი ომია და მსურს ჩემი თავი მოზალისედ შევთავაზო. ჩემი ჩურჩუტული ჩანაფიქრით, ოღონდ აქედან გავიდწიო და მე ვიცი, ალჟირში წავალ თუ ჯანდაბეთში. მდივანი დაჯინებით მეკითხება, რა საკითხთან დაკავშირებით გნებავთ საუბარიო. ვხედავი, რომ მართლაც დონ კიხოტის ტვინი უნდა გქონდეს თავის ქალაში, ამათ რომ სიმართლე უთხრა და გიჟად არ ჩაგთვალონ. დავკიდე ყურმილი და გამოვედი გარეთ.

დღეები მზიანი და თბილი იყო, მაგრამ სადამოობით აგრილდებოდა ხოლმე და ვიწყებდი ღამის სათვეზე ფიქრს. ქუჩები მოსეირნეებით აივსებოდა, ხალხი მიეშურებოდა თეატრებისკენ, კინოსკენ, რესტორნებისკენ... ხანდახან კინოში შევიდოდი, ვისვენებდი. გარეთ გვიან გამოვდიოდი და მეტროთი რომელიმე ვაგზალს მივაშურებდი, ყოველთვის სხვადასხვაში, რათა მილიციელთათვის თავი არ დამეახსოვრებინა. შენობაში შესვლა მაშინ მანეთი ღირდა. შიგნით თბილოდა, თუმცა ჰაერი იფლითა და ჭუჭყით ყარდა. დაძინებით ვინ დამაძინებდა. დასაჯდომი ადგილიც ძნელი მოსაძებნი იყო და თანაც ღამის განმავლობაში მილიციელი ათჯერ გაგაღვიძებდა, გამოგკითხავდა, ვინ ხარ და სად მიემგზავრებიო. ყოველთვის სამართლენარევ ზღაპარს ვუყვებოდი. დილის ხუთ საათზე დამლაგებლები შემოცვივდებოდნენ სველი ტილოებითა და წყლიანი სალეკბით. მომლოდინე მგზავრებს გარეთ გაგვყრიდნენ. მალე მეტროს კარებიც ვაიხსნებოდა და შაურად მიწისქვეშ ჩავეშვებოდი და თანამ ვხეტიალობდი, სანამ მოსკოვის ქუჩებში დათბებოდა.

გადავიღალე... უძილობამ გონება დამიბინდა. თავს სიზმარში ვგრძნობდი. ბაღის სკამზე ჩამოვჯდებოდი და უცებ ჩამეძინებოდა, სანამ კაკუნი არ გამაღვიძებდა. ყველგანმყოფი და ზედმეტად ფხიზელი მოსკოვის მილიცია ბაღში ძილის ნებასაც არ იძლეოდა. ქუჩაში საარულის დროს უცებ ჩავთვლემდი და შეგბარბაცდებოდი. გამოვფხიზლდებოდი და გამოწვდილ ხელებს წავაწყდებოდი, გამელვლნი მიწვდიდნენ, არ წაიქცეო... იქნებ ნასვამი ვეგონეთ, ან რა ვიცი, რას ფიქრობდნენ. აბსურდის ტრაექტორიაზე შეგდებული, მე ჩემი გზით მივეხეტებოდი.

ერთხელ მილიციას თავი ძლივს დავაღწიე. ვაგზალში გამომიჭირეს და დამკითხეს. იჭოჭმანეს, გავუშვათ თუ არაო... ბოლოს გამიშვეს... ერთი-ორი დღის შემდეგ კვლავ დამიჭირეს და ქურდებთან და მაწანწალებთან ერთად გისოსებიან მანქანაში შემაგდეს. მანქანა ტროტუარის პირას იდგა, ჩვენ გისოსებიდან ვიჭყიტებოდით და გულკეთილი გამვლელნი პაპიროსსა და ბლიININს გვაწვდიდნენ. პაპიროსს არ ვეწეოდი, არც არასოდეს მომიწევია, მაგრამ ბლითი და ორცხობილა დიახაც რომ მეგემრიელა.

კარგა ხანს გვატარეს მოსკოვის ქუჩებში. შევედით მწვანე ალაყაფის კარში. ბარანოვიჩის გამოცდილებით ვხვდებოდი, რომ აქაც ბავშვთა განმანაწილებელში მივყავდით, ოღონდ ეს იყო უზარმაზარი დაწესებულება. მაღალი გალავნით გარშემორტყმულს, კუთხეებში კოშკურები ჰქონდა დატანებული. იმ კოშკურებში შეიარაღებული არმიელები იდგნენ. ძველი სამონასტრო კომპლექსი იყო, ალბათ, შენობები ეკლესიებს მოგაგონებდათ... აი, აქ იყრიდა თავს მოსკოვისა ჩამოხეტებული ყველა ბავშვი და საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობისა გროვდებოდა. რაზმებად ვიყავით დაყოფილნი. ჩვენს რაზმში ორმოცამდე ბავშვი ითვლებოდა. ის კი არ ვიცი, სულ რამდენი რაზმი იყო.

მკაცრი განრიგით ვცხოვრობდით. ერცელ პალატებში გვეძინა. გვიკითხავდნენ ლექციებს, მწკრივში დაგვაწყობდნენ და ისე გვატარებდნენ ალმა-დაღმა. სასადილო სარდაფში იყო, კვება არ დაიწუნებოდა, მაგრამ ისე გვექცევდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პატიმრებს. განსაკუთრებით ერთი „აღმზრდელი“ ქალი გვიმრობდა სასხლს, სულ ქოფაკივით იყეფებოდა, გულანძღავდა. ბიჭებმა ერთმანეთში მოვითათბარეთ, გვეყოფა ამდენი შეურაცხყოფა, ბოლოს და ბოლოს მარილაც დამნაშავენი ხომ არა ვართ, მოდი, გავიფიცოთ, ღღეს სასადილოში რომ ჩავალთ, საჭმელს ხელი არ დავაკაროთო... ლიდერიც უმალ გამოგვიჩნდა, უკვე თქვენმეტს მიტანებული რუსის ყმაწვილი.

რიგში წესიერად დაეწყვეთ, უხმოდ მოეხსმინეთ მორიგი ლანძღვა-თათხვა, ჩავედით სასადილოში, მივუსხედით მაგიდას და ხელები მუხლებზე დავიწყვეთ. აღმზრდელი ქორავით დაგეტრიალებს თავზე. ბორშჩის არომატი ცხვირში გვიღიტინებს, მერე კატლეტი და კომპოტი მოგვეელის, მაგრამ ჩვენ ვაკაკცურად ეუძლებთ ცდუნებას.

რა ხდება? რაო? გაფიცვა?.. აღმზრდელი ეაცოფებულია, პირდაპირ აკანკალებს, უფროსებთან ვარბის. ჩამოდიან ჩინოსნები, რა გაწუხებთო, ყველაფერს გავარკვევთო, ახლა კი ვემრიელი ბორშჩი მიირთვით და მერე მოვილაპარაკოთო. ჩვენ მაინც წყნარად ვზიავრთ და ლუკმას პირს არ ვაკარებთ.

აგვაყენეს, ჰაერზე გვატარეს, უფრო მოშივდებათ და გატყდებიანო, „აღმზრდელი“ შაქარავით დამტკბარა, ჩვენი სიყვარულით პირდაპირ დნება... ცხადია, კუჭი გვეწვის, მაგრამ ჭამაზე უარს ვამბობთ.

„აღმზრდელი“ სადღაც გააქრეს, ჩვენ კლუბში შეგვრეკეს და ლექცია წაგვაკითხეს. რაზე, თუ იცით? რა თქმა უნდა, სოციალიზმის სიკეთეზე... სოციალიზმი ხომ კაცობრიობის მომავალია, იგი ჰუმანური იდეებთაა აღჭურვილი. გაფიცვა ბუნებრივია ისეთ ქვეყნებში, სადაც ბურჟუა სისხლსა სწოვს მშრომელს, თორემ ჩვენთან, სადაც ყველაფერი მუშას და გლეხს ეკუთვნის, გაფიცვა ბოროტმოქმედებაა... ოჰ, ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები! სიკეთის ფერადფოჩებიან ქაღალდში გახვეული შხამიანი კამფეტები... ალბათ, ცოხეებთა ა ეწამებით იმდენი კაცი არ განიარაღებულა, რამდენიც ამ სიცოცხლი. ჩვენი უცოდველი სულებისათვის ეს იყო ყველაზე ძნელად მოსაგერიებელი დარტყმა. ვინმეს რომ კონდახებით ვეცემეთ, ან კარცერში ჩავესვეთ, ალბათ, დავიხოცებოდით და არ დავემორჩილებოდით, მაგრამ გაფიცვა ჰუმანისტური იდეების წინააღმდეგ ხელიდან იარაღს გვაცლის, დანაშაულის კომპლექსს გვიჩენს და ჩვენ ვვრცხვენიაა... კი, პატარა დათმობაზე ისინიც წავიდნენ, ერთი აღმზრდელი მეორეთი შეცვალეს, ისეთივე ეველაძუათი. ამით ჩვენი თავმოყვარეობა ცოტათი დაანდეს. ჩვენ ჩავდივართ სასადილოში და თავდახრილები ვხვრეპთ კარგა ხნის გაცივებულ წვნიანს.

მაინც საშიშნი ვართ. ჩვენი ერთად დიდხანს გაჩერება არ შეიძლება. ეი, შეირჩა თბილისისკენ გასამგზავრებელი ბავშვები, ხუთნი ვიყავითო... ორი სამხედრო პირი მოგვყვება, შეიარაღებულნი არიან, ფხიზლად გვდარაჯობენ.

თბილისშიც არსებობს დაწესებულება მაწანწალა ბავშვებისათვის. მოსკოველები ხელწერილით გვაბარებენ თბილისელებს. აქ მოსკოვური გაქანება სადაა, ათი-თხუთმეტი ბავშვი ჰყავთ. ერთი კეირა მაყურებენ, მერე თბილისელი ძია ზუგდიდში ჩამიყვანს და დედაჩემს ხელიდან ხელში გადამცემს.

მეორე დღეს დედა მეკითხება:

— მაინც, რა ქენი?

— ბულგანინი ვნახე, — ეს ხომ სიმართლეა, მართლაც ვნახე, ოღონდ შორიდან. — მითხრა, სკოლა დაამთავრე და მერე ჩამოდი, მოგზეიდავო! — ეს კი უცოდველი სიცრუეა. არ მინდა დედას გული ვატკინო. რაში სჭირდება იმისი ცოდნა, მისი შვილი უბრალოდ მაწანწალა რომ იყო და ისე ექცეოდნენ, როგორც მაწანწალას შეეფერება. დედის გული სხვაა! მას თავისი შვილი გამორჩეული ჰგონია, ერთადერთი, სხვათაგან განსხვავებული... თუმცა ეს აზრი მთლად უსაფუძვლო არც არის. დონ კიხოტი ხომ მარილაც გამორჩეულია, მისი ჯაგლაგი, როსინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიც ბედაურებში გამორჩეული და ერთადერთია...

ცხონებულმა მამინაცვალმა, ბუხრის პირას, რაკი ელნათურა არ ენთო და „რობინზონ კრუზოს“ ცეცხლის ალის შუქზე ეკითხულობდი, წიგნი ყასიდად გამომტაცა, ვითომ ცეცხლში ჩაგიგდებო, თან განაცხადა: „ამ ბავშვისაგან ან რაიკომის მდივანი დადგება ან მეეზოვე!“ რაიკომის მდივნისა და მოგახსენოთ, მეეზოვის მშვიდი კარიერა კი არაერთხელ მომნატრებია...

26.

კარგა ხანს არსად წავსულვარ. ჩვეულებრივი სასკოლო ცხოვრება წაეწყო. ვსწავლობდი ხან ისე, ხან ასე. რაც მაინტერესებდა, ის სხვაზე უკეთ ვიცოდი, რაც არ მაინტერესებდა, იმას თავში ვერავინ ჩამბრიდა.

წიგნები... წიგნები... წიგნები... უკაცრავად, სახელმძღვანელოები არ მოყვარდა.

მეგობრების წრე... ტოლ-სწორები... ღონე არ მეოფნდა თამაშში გავჯიბრებოდი ტოლებს. ისინი ბურთს აგორებდნენ, მე წიგნს ჩავკირკიტებდი... ისინი ყირაზე გადადიოდნენ, მე ისევ წიგნში ვიჭყიტებოდი... ახლა კარგად მესმის, რამდენი რამ შევიძინე, ისიც, — რამდენი დავკარგე... სულის ბედნიერებას თან უნდა ახლდეს სხეულის ბედნიერებაც, არსებობა ჰარმონიული მხოლოდ მაშინ არის.

ისეთმა ასაკმა მოგვეკაკუნა, ჩემი ტოლები სულ შეყვარებულები არიან, გოგონებზე აქვთ ცილობა, ჭორაობენ, სექსუალურ-ჩურჩუტულ საიდუმლოებებს უმხელენ ერთმანეთს.

რამდენი რამა აქვთ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭებს სალაპარაკო. დღე მიაქვს თამაშს, კითხვას, ცხელ-ცხელ ამბებს. რბილი სალამოები... ამ დროს ყოველი წამი სიცოცხლის მძაფრი სურნელებითაა სავსე. ვარსკვლავიანი ცის ქვეშ არასოდეს თავდება რეალურისა და წარმოსახვის აღრეული ზმანებანი. ყველაფერი გვაინტერესებს, სამყარო ვრცელი და მშვენიერია. ყოველი ვარსკვლავი იდუმალებაა. ყოველი ჩვენთაგანი ისევთვე იდუმალების მატარებელნი ვართ, როგორც შორეული ვარსკვლავები. ჩვენ ცხოვრების ზღურბლზე ვდგავართ, დიდი საქმეები მოგველის, არჩევანი ჩვენზეა, რასაც ახლა ჩავიფიქრებთ, ის განხორციელდება. გოგლას ექიმობა უნდა, სქელტანიან, ფერადლესუსტრაციებიან საექიმო წიგნებს ეზიდება, თავ-ბოლოს ვერ უგებს, მაგრამ ეგ არაფერი... (მომავალში ის მშენებელ-ინჟინერი გახდება!). მე პრეზიდენტობას ვეპოტინები, წარმოსახვით შევდივარ პრეზიდენტის აპარტამენტებში... სამყარო ჩვენია და როგორც გადაწყვეტთ, ისე იქნება...

სიყმაწვილის მშვენიერო ასაკო! შენ ძალგიძს ოცნების ფრთებზე აფრენა და უმაღლეს მწვერვალებამდე აღწევა. შენ ჯერ კიდევ არ იცი, როგორ იძირება ადამიანი ყოფიერების ჭაობში, ჯერ გესლი ცხოვრებისა არ გიგემნია. შენს ირგვლივ ყვავილნარია, ადამიანები მხოლოდ სიკეთისთვის იღვწიან. ყოველი ადამიანი კეთილია და შეგიძლია, ყველას გულუბრყვილოდ მიენდო... ჯერაც ბედნიერო!.. თვალი აგიხელება და იმ დღიდან იწყება ნამდვილი ცხოვრება და თუ ბოლომდე შეგრჩა წმინდა გულუბრყვილობა, ოცნების უნარი, სიკეთე, მაშინ გმირი იქნები!..

დიახ, განსწავლის ის ორი წელი იყო რეალობისა და ზმანების ზღვარზე განვლილი ჟამი, როცა სიხარულიცა და ტკივილიც გამძაფრებულია, მკვეთრია, შთამბეჭდავია... გარეთ უკიდეგანო სამყაროა და ჩვენშიც სამყაროა, რადგან ადამიანის ყოველი ოიგი ძალას იკრებს, მაგრდება, იზრდება, იგი ემზადება ცხოვრებისათვის, უჭირს ყველაფრის ჭეშმარიტების კუთხიდან აღქმა...

მე ისევ ვწერ... ამჯერად მწერლის კარიერას ვარჩევ... ვწერ, რა თქმა უნდა, რომანს... რა თქმა უნდა, ფანტასტიკურს. რეალობას რომანტიკული ხიბლი აკლია და იმიტომ... აი, ჩემი გმირი საუკუნეებს გადაახტება, ორას ორმოცი წლის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ იღვიძებს და მომაკვლის კომუნისტურ საზოგადოებაში ამოჰყოფს თავს...

შეუძლებელი არაფერია... დროში მოგზაური შეხვდება ნაილის, მომავლის ქალიშვილს და იმოგზაურებს იმ სამყაროში, სადაც უკვე განხორციელებულია ადამიანთა ყველა ოცნება... ესაა უტოპია, იდეალური საზოგადოების მოდელი, სადაც ყველა ქმნადობითაა დაკავებული და არავინ იცის, რა არის ბოროტება. აქ მარტო სიკეთე, სიყვარული და ურთიერთნდობაა გაბატონებული... ვმირი მოგზაურობს დედამიწის ირგვლივ. ხედავს, როგორ ამრობენ ხმელთაშუა ზღვას, რწყავენ საჰარას, აღნობენ ანტარქტიდის ყინულეთს და ასე შემდეგ...

ვწერდი ამაებს, თავში კი ზეფანტასტიკური რამ მიღიტნებდა, მაგალითად, ბიოგრაფიული რომანი ლენინზე, თხუთმეტ ტომად... ანდა ეპოპეა, „XX საუკუნე“ — თითო წელი, თითო რომანი... სულ რაღაც ასი რომანი... ახალი ბალზაკი, ზოლა...

ეჰ, ჩემო სიყმაწვილეკ, ყველაზე ფანტასტიკური უტოპია იქ იქმნება, სადაც ნამდვილი რეალური ცოდნის დეფიციტია... თვალებზე ოცნების ფარდა მეფინა და ვერანაირი რეალობა იმ ზმანებიდან ვერ გამომიყვანდა...

ცხრა კლასიც დავამთავრე, უკვე კაცი ვარ!

27.

რაკი კაცი ვარ, ჩემს კაცურ გადაწყვეტილებას წინ ვინ დაუდგებოდა. მე კი გადავწყვიტე, ჩემი ბედი თვითონ გამოვჭედო. ღღისით უნდა ვიმუშაო, სკოლაში საღამოს ვივლი. ცოტათი სულს მოვითქვამ, არც ოჯახისათვის იქნება ზედმეტი, შესანახი მაინც არ ვეყოლება... ჩემი მეგობრებიც დავიყოლეე. გადავტანეთ საბუთები ინგურაქაღლდკომბინატის საღამოს სკოლაში. ჯუმბერი და გიგლა იქ კრიეზე დადიოდნენ, მაგრამ იქაურობას ბოლოდგე ვერ შერჩნენ, ღღის სკოლას დაუბრუნდნენ... მეც ვერ შევრჩი. გაკვეთილებს ვაცდენდი და ბოლოს სულ მივანებე თავი.

კომბინატში აღრეც ეყოფილვარ ექსკურსიებზე. ჩამოგვატარებდნენ ხოლმე ხის დასაქუცმაცებელი საამქროდან ბოლო, მზა ნაწარმის საამქროებამდე.

ხელობა არაფერი მქონდა და შავი სამუშაოს მეტს, ვინ რას შემომთავაზებდა. მართლაც, მაკულატურის საამქროში მიკრეს თავი.

საამქრო ერქვა, თორემ ეს იყო უზარმაზარი ფარდული, მაკულატურით ჭედრამდე დაზვინული. ქალები პირდაპირ ქაღალდის ამ გორაზე ისხდნენ და ახარისხებდნენ, თან ყუთებში ყრიდნენ. ამ ყუთებს დროგზე შევდგამდით და ერთი ჯაკალაები ცხენი ამ დროგს მეზობელ საამქროში წაათრევდა. იქ ბეტონის ბუნკერში ჩავყრიდით და წყლის ძლიერი ნაკადი მაკულატურას დააქუცმაცებდა.

იმ დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ადგილებზე დამაგრებინა მომთაბარე ბოშები. ჩვენს დროგზე ერთი ასეთი ბოშა იჯდა. სამსახურში იმ საცოდავი ჯაკალაგის ხათრით დადიოდა, თორემ ერთ ადგილას მისი გაჩერება ხრუშჩოვის განკარგულებასაც არ შეეძლო. ეს ბოშა იყო ჩემი მეწყვილე, ერთად დავათრევდით ტვირთს, მუდამ მხიარულად იღიმეჭებოდა, რუსის ფეხმძიმე ქალს ეაურკურებოდა და ცხენი ქალებზე მეტად უყვარდა.

თავისუფალ დროს, როცა ქალები ისვენებდნენ, ქაღალდის მთაში ვიქექებოდი. წიგნებიც ბლომად მოჰქონდათ. ერთხელ თურქული სახელმძღვანელო შეგხვდა, მაგრამ მე უკვე ლათინური ამეკრიკის გაბედნიერებას ვიპირებდი და აღარ დამაინტერესა. უამრავი პოლიტიკური წიგნი და ბროშურა ნადგურდებოდა და, რაც ფრიად სამწუხაროა, იმ ქაღალდების გრავიდან ბარე რამდენიმე ტომი განმარტებითი ლექსიკონი წამოვიღე. მაშინ და მომდევნო წლებშიც მაღაზიებში ილიასა და აკაკის ჩამოფასებული ტომები იყიდებოდა, რაც იმდროინდელ ჩვენს დაბალ ეროვნულ თვითშეგნებას მიწმობს. სულ ახლახან დამთავრდა სტალინის ეპოქა და საბჭოთა ადამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანის ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად მიდიოდა.

რამდენიმე თვე ვიარე მაკულატურის საამქროში, ერთ დღეს კი გული ავიყარე და გამოვეთხოვე. ჩემს მეგობრებს გავანდე, რომ თბილისს მივემგზავრებოდი. მატარებელი რომ წავიდოდა, მხოლოდ მაშინ უნდა ეთქვათ ჩემებისათვის, რომ მე დუზა კვლავ აკბსენი... როსინანტი თავლაში არ აპირებდა დარჩენას...

28.

თბილისში ჩასვლა იოლია... მერე რაღა ქქნა?.. ვდგავარ რუსთაველზე, მზიანი ამინდია, თბილა... მთლად ისეთი გიჟი არა ვარ, ის არ ვიცოდე, მზე რომ ჩავა, დადამდება, მე კი წასასვლელი კვლავ არსადა მაქვს... სასტუმროები მაშინ ისედაც ცოტა იყო. გავიკითხე და კოლმეურნეთა სასტუმრო მიმასწავლეს, ყველაზე იაფი და ყველაზე ჩაოხრებული. პროლეტარიატის ერთგული კლასის, გლეხობის ადგილი ხომ მხოლოდ ასეთ სასტუმროებშია! შმორიანი კიბეები, ბნელი დერეფნები, საერთო საპირფარეშოები, საიდანაც ნესტის სუნი მთელ შენობას ეფეთა. ჩაყვითლებული თეთრეული და ოთახები, რომლებშიც ერთბაშად ათობით კოლმეურნეს სძინავს.

ვითომ კოლმეურნეს?.. ვიდაცა გაუპარსავი ბიძიები, ღაჟღაჟა კაცები... ხვრნაკვენ, იქექებიან, იფხანენ... გვერდით საწოლზე ახალგაზრდა წევს. მთელი ღამე ახველებს, იხრჩობა ხველებით... ალბათ, ჭლექიანია!.. თან მეცოდება, თან მეშინია, მეც არ გადამედოს. ხანდახან თავს წამოვწევ, დახმარება ხომ არ უნდა? იქნებ წყალი მოვურბენინო! მაგრამ სწორედ ამ დროს წყნარდება. ბალიშს ჩავეხუტება, თვალს დავხუჭავ და იმას ხელახლა აუვარდება ხველება.

დილამდე ასე ვეწამებით, ისიც და მეც!.. დილაუთენია ვდგებით!.. გამხდარი ყმაწვილია, სახე ბაიასავით გაყვითლებია.

— ცუდადა ხარ?

თავი დამიქნია.

— გინდა რამე?

შემათვალიერა, გამიღიმა, მიხვდა, სოფლელი არიფი ვიყავი. თვითონ მოთავებული ნარკომანია, მე რანაირად ეუშველი.

შენობიდან ერთად გამოვდივართ. ის თბილისელია, უკვე იცის, რასთვისაც ჩამოვედი, სადმე სამუშაო უნდა ვიშოვო.

— კომკავშირელი ხარ? — მეკითხება.

— ჰო!

— მიდი ცეკაში, ვალდებულნი არიან, დაგეხმარონ!.. მანეთი გაქვს?

— კი!

— ჩამასესხე!

ვაძლევ მანეთიანს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მოხდენილი, თითქმის ბიჭი, ბერიკაცივით მხრებში მობუზული მშორდება. თან პირზე ხელს იფარებს, ხველების შეკავებას ცდილობს.

მაშინ უკვე ვიცოდი, რომ არასოდეს მოვწევდი, რომ არ გავლოთდებოდი, მით უფრო ნარკოტიკებს არ დავეწაფებოდი. არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობას ეუფრთხილდებოდი. ვინც სარაინდო საქმეებისთვისაა მოწოდებული, იმას სხეული სულის ჭურჭლად სჭირდება და წუთიერი სიამისათვის საკუთარ გვამზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ შეუდგება. მე ხომ დიდ საქმეებს ვეჭიდებოდი, სიკეთის ქმნადობისათვის დავიბადე და არა იმიტომ, რომ ეს ცხოვრება „კაიფში“ გავლიო.

აი, ამ აზრებით დავეხეტებოდი ქალაქში. მივაგენი მაჩაბლის ქუჩას და ბერიას ყოფილი სახლის წინ ავიტუზე. შესვლაც მინდა და სითამამეც მაკლია.

კუზიანი დედაბერი გამოჩნდა, ძლივს მოხოხავს, ხელჩანთას ძლივს ერევა, მეორე ხელში ვაზეთი უჭირავს და უვარდება. ხელი შევაშველე. გაურკვეველი ეროვნებისაა, ქართული იცის, მაგრამ უფრო რუსულად მელაპარაკება.

— გეტყობა, ჩამოსული ხარ!

მიხარია, რომ ვიდაცა გამომელაპარაკა. ვუხსნი, ცეკაში უნდა შევიდე, იქნებ სადმე სამუშაო მაშოვნინონ-მეთქი. აქ ჩემი შვილი მუშაობს მდივნის მძღოლადო, ამიხსნა.

— შენ, ალბათ, თავშესაფარიც არ გექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება! — ხედება. — ჩემთან წამოდი, დაგა-პურებ!

უარს არ ვეუბნები. ნელა, აუჩქარებ-ლად ჩაველიეთ მაჩაბლის ქუჩა, ენგელსს აკუყვევთ. მრავალი წლის შემდეგ მოვი-სურვე მომენახა ის ადგილი, ვეღარ მო-ვახერხე... ეზოში შევედით, ხის კიბით თითქმის სხვენამდე ავედით. იქ პატარა ბინა ჰქონდა, ორად-ორი ოთახი და სამ-ზარეული. თავისთან ხუთი-ექვსი წლის შვილიშვილი გოგონა ჰყავდა, ცხვირპა-ჭუა, ჭორფლიანი და ცისფერთვალება.

წვნანი დამისხა. პური მოზომილად მომიჭრა. მურაბები გადმომიღო... მეკით-ხებოდა ოჯახზე, დედაზე, სწავლაზე... უფროსებს ხომ ყოველთვის ჩვენი სწავ-ლა აინტერესებთ... პატარა მზეთუნახავი ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა...

საღამოს ნათესავმა გოგომ შემოირბი-ნა. შავტუხა და გამწყლული იყო, თანაც ელამი. დედაბერმა სამმანეთიანი მისცა, სტუმარი კინოში წაიყვანე და აქეთობი-სას ცხელი ლავაშიც წამოიღეთო.

მოკლედ, ორ-სამ დღეს დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძელთან.

მეორე დღეს უფრო თამამად შევედი ეეკაა შენობაში. ინსტრუქტორი მელა-პარაკა. ჩემმა უბინაობამ შეაწუხა, მაგ-რამ რომ გაიგო, ჩვენს მძღოლთან ყო-ფილაო, სახე გაუნათდა, მეცა ვთხოვ, ცო-ტა ხანს შეგინახონ, მანამდე რამეს ვი-ღონებო, დამაიმედა.

არ მოვუტყუებიავარ. მესამე დღეს წე-რილი დამახვედრ-ეს, გაემგზავრე რუს-თავში, ბოსტანქალაქის ქუჩაზე ნომერ მეორე სასწავლებელია, ეს წერილი მი-უტანე. გინდა, ჩაერიცხე და ხელობას გასწავლიან, გინდა, ისე იცხოვრე, გაჯ-მევენ და ბინაც გექნებაო, სამუშაო მერე ვეძებთოთ...

მატარებლით გავემგზავრე, საგარეუბ-ნო დადიოდა. ჩემი ტოლები ბილეთს არ ყიდულობდნენ, ჩამოვეკიდებოდი კიბეზე და რუსთაველი ჩავგრაიალდებოდი ხოლმე. ან ფული ბილეთისათვის სად მქონდა, მაკულატურის საამქროდან გამოყოლილი კაპიკები ხომ ხელისგულზე დამადნა.

მოვნახე ბოსტანქალაქის ქუჩა და მე-ორე სასწავლებელიც. არ დამამალეს, სხვა ყმაწვილებთან ერთად მიმიჩინეს დასაძინებელი ადგილი და ჩამწერეს უფასო კვებაზე. საკმაოდ ეუთანანდ გვა-ჭმეენენ. ერთადერთი უსიამოვნება და-ლაუთენია ადგომა იყო. მორიგე აღმზრ-დელი ჩამოიელიდა და კარზე გასალებე-ბის რახუნით გვაღვიძებდა, ჩვენ კი თბი-ლი ლოგინის დატოვება გვეზარებოდა.

წესიერი დაწესებულება იყო. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და იმ ბიბლიო-თეკაში ლიტერატურთა წრე იკრიბებო-და, მეორნი, ხელნაწერ ჟურნალსაც სცემ-ნენ. თუმცა მწერლად გახდომა გადამწ-ყვიტა, იმათ სხდომებს არ ვეესწრებოდი და არც ჩემი გეგმა გამიმხელია.

მოვნახავდი სადმე მყუდრო ადგილს და ვწერდი ჩემთვის. სახელდახელოდ გავაშანშალე მოთხრობა „მე და ნანული", სადაც რეალობა და კოსმიური ფანტასტი-კა ერთმანეთში ირეოდა. გადავათეთრე ეს ჩემი ტვინის ნაცოდვილარი და გავა-ქანე თბილისში. მაინცდამაინც კარგად არ ვიცოდი, სად უნდა მიმეტანა, ავდექი და ჟურნალ „პიონერს" მივადექი.

მაშინ იქ მუშაობდა ჩვენი შესანიშნა-ვი პოეტი ნაზი კილასონია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კოხტა ქალი იყო, ლამაზ-დაც ეცვა და მუქ-წითელ პომადას იცხ-ებდა. თბილად მიმიღო, რვეული გამო-მართვა და ერთი კვირის შემდეგ დამი-ბარა.

იმ კვირას ახლო აღმოსავლეთში დაინ-გრა ქვეყანა. ნასერმა სუეცის არხის ნა-ციონალიზაცია მოახდინა, რის საპასუ-ხოდ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის არ-მიები ეგვიპტეს დაეხსნენ თავს. ყოველ-დღიურად იბეჭდებოდა ცნობები ნგრევა-სა და მსხვერპლზე. განსაკუთრებით და-ზარალდა პორტ-საიდი. მეც ამ ამბების შთაბეჭდილებით დავწერე ტრაგიკულ-გულისამძაფუველი მოთხრობა „ეგვიპ-ტელი დედა".

ქალაქონ ნაზისთან ასაკოვანი კაცი იჯდა, ალბათ, ისიც ავტორი. მორცხვად ავიტუზე მაგიდასთან. ქალაქონმა ნაზიმ ამხედა და მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახევრად წავიკითხე ეგ შენი „მე და ნანული“ და ჯერჯერობით ნანული ვერ აღმოვაჩინე!

გავწითლდი. ნანული მართლაც მოთხრობის მეორე ნახევარში გამოჩნდებოდა, მანამდე კი სხვადასხვაგვარ აბდაუბდას ყვებოდი.

— მეორე ნახევარს ნუ წაიკითხავთ!— ვთხოვე. — უმჯობესია ეს წაიკითხოთ!

დახედა სათაურს ქალბატონმა ნაზიმ და უკმაყოფილოდ თქვა:

— რა იყო, ყველანი ამ ეგვიპტეს რომ მიცვივდით, საქართველოში არაფერი ხდება?

ასაკოვანმა კაცმა ამოიოხრა, ეტყობა, მისი მოთხრობაც ეგვიპტეზე იყო.

დავბრუნდი რუსთავში. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მივაკითხე. ქალბატონმა ნაზიმ შემომხედა:

— წავიკითხე! არა უშავს, მაგრამ რად გვინდა ეს ეგვიპტე, ხომ ცხოვრობდი ზუგდიდში, ხომ გყავდა ტოლ-სწორები, იმაზე დაწერე რამე!

რა უნდა მეთქვა! ჩვენს პროვინციულ ყოფაში საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი.

ამდენ სირბილში „პიონერის“ თანამშრომელთა თანაგრძნობა დავიმახსოვრე. ერთი ქალბატონი მუშაობდა მბეჭდავმემანქანედ. მითხრა, ჩემი ძმა ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორია და იმასთან მოგაწყობო.

მოვძებნე ქარხანა. დირექტორმა კარგად მიმიღო, საამქროს უფროსი მითხმო, ჩემი თავი ჩაححარა. საამქროში მითხრეს, ჩამოსხმულ დეტალებს ზედმეტი მინადული თუ სადმე ექნა, ამ ჩაეუჩით ჩამოამტვრიეო. იოლზე იოლი საქმე იყო.

ისევ დირექტორთან შემიყვანეს. მილიციაში გამაგზავნა, საერთო საცხოვრებელში ადგილს გამოგიყოფთ და ჩაგწერინო.

წავედი მილიციაში, შევაფრიალე საჭირო ქაღალდები. ვიღაც მოზვერივით კაცი დამხვდა. სასაღლოდაც არ ეყო თბილისში ჩემი ჩაწერის სურვილი.

ეს უკვე მერამდენე კვირა იყო ჩემი თბილისსა და რუსთავს შორის წოწიალისა. სასწავლებლის დირექტორი პატივს არ მაკლებდა. არდადეგების დროსაც კი, როცა ყმაწვილები დაითხოვეს, ჩემსავით უპატრონო ათიოდე ყმაწვილთან ერთად ქალაქის სასადილოს მიმამაგრეს. იმ ბიჭებს ეკუთვნოდათ, მე კი არა.

მრავალი წლის შემდეგ საგანგებოდ ჩავედი რუსთავში. ის სასწავლებელი მივინახულე. მითხრეს, დირექტორი უკვე ცოცხლებში აღარ არისო. ღმერთმა მისი სული აცხონოს, რაც სიკეთე მე დამმართა, ისიც საკმარისია სასუფევლის კარის შესაღებად... ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორიც მკითხულობდა, თურმე, რატომ არ მოვედი ან ბიჭი, რამეს მაინც გაეუხერხებდიო... მეტი მოთმინება რომ მქონოდა, ერთ-ორ მოთხრობას, ალბათ, მეც მოვაქცევდი და უმოკლესი გზით შემოვიდოდი მწერალთა ძმობაში.

მაგრამ მე სულში ხომ დონ კიხოტს დავატარებდი... ერთ დღეს გავედი სასწავლებლიდან და ჯიბეში კაპიკის უქონლად შევახტი აღსტაფისაკენ მიმავალ საგარეუბნო მატარებელს...

ამასობაში გვიანი შემოდგომა დადგა. აზერბაიჯანის ფართო სანახებში ჯერაც არ ცივდა.

აღსტაფაში დიდხანს არ დავრჩენილვარ. მაღალბორტიანი, უსახურავო ვაგონების ერთი გრძელი შემადგენლობა შევარჩევ, კედელ რკინის კაუჭების საფეხურები აჰყვებოდა. დრო ვიხელთე, ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა და ვაგონში ზევიდან ჩავეკარი. შიგ თუჯის ზოდები ეყარა.

წამოვწექი ამ ზოდებზე. თავზევით მხოლოდ ლურჯი ცა მოჩანდა. მაღალი ბორტები პეიზაჟს მიფარავდა და ამ ცის გარდა, ვერაფერს ვხედავდი. ცაზე მზის მოძრაობით მიმართულებას ვარკვევდი, მატარებელი მართლაც აღმოსავლეთისაკენ მიექანებოდა.

წამისვლის წინ ხელს პური და კატლეტი გამოვაყოლე. ამიტომ არ მშიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მზე მაცხუნებდა, ვაგონი მანანავებდა და ჩამეძინა კედეს.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. როცა გამომეღვიძა, მატარებელი იდგა. ბინდდებოდა და გრილოდა.

სიგრილეშ გამომაღვიძა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ უმალ მივხვდი, გაჩერებული ვაგონის სიწყნარეში რაღაც ფხაკურობდა და იმან გამომაფხიზლა.

წამოვიწიე, მიმოვიხედე და მაღალი ბორტების კუთხეებში სამი თავი დავინახე. ერთს, შავულვაშიან კაცს, თავზე მილიციელის ქუდი ეხურა. გაქცევის აზრი არ ჰქონდა, ჩავბარდი ტყვედ.

საკმაოდ დიდი სადგური იყო. მეხსიერებას ვამოწმებ და მგონი უჯარა იყო, თუმცა იმასაც ვფიქრობ, ერთ გამოძინებაში ასე შორს როგორ გავაღწევდი-მეთქი.

შემოყვანეს სამორიგეოში. ჩემი დამპატიმრებელი ოპერაციით ფრიად კმაყოფილი ჩანდა. დაკითხვა მკაცრად დამიწყო. მე, რა თქმა უნდა, ინტელიგენტური ღიმილით ვპასუხობდი, აქაოდა, თბილისში ვერ ჩავეწერე და ახლა სამუშაოს საძებრად ბაქოში მივდივარ-მეთქი. თანდათან მოლბა და საუბარი შინაურ მუსაიფად გადაიზარდა. ბაქოში მოეწყვეო, მირჩევდა, ჩვენ მაინც კავკასიელი ძმები ვართ, ერთმანეთს დავინდობთ, რუსეთში რომ წახვიდე, დაიკარგებიო. მეც თავს ვუქნევდი, ცხადია...

— წამომყევი ერთი! — შეთქმულივით თვალი ჩამიკრა და გამიძღვა.

ვაგზლის რესტორანში შემოყვანა, აგე, ეს კაცი შენი „ზემლიაკიაო“.

რესტორნის დირექტორი ქართველი აღმოჩნდა, თვალის ერთი შევლებითაც მიხვდებოდა ამას კაცი, ტიპური თბილისელი იყო.

დამსვეს კუთხის მაგიდასთან, დაუძახეს იფიციანტს, მომართვეს პურ-მარილი, პატარა გრაფინით წითელი ღვინოც... კარგად ვივახშმე. ღვინოზე უარი ვთქვი, მაგრამ მომცრო თასი მაინც შეგასვეს. მერე „ზემლიაკმა“ ჯიბეში ფული ჩამიდო.

თქვენი გვარ-სახელი მითხარით-მეთქი, ვთხოვე. ჩემი სახელი რად გინდა, შვილო, სანამ შენ კაცი გახდები, მე ცოცხალი აღარ ვიქნები, წადი, ბეღს ეწიე, ცუდი საქმე არ ჩაიდინო, ასე მიპასუხა.

წამომიყვანა იმ აზერბაიჯანელმა მილიციელმა. პირველ ლიანდაგზე „თბილისი-ბაქოს“ მატარებელი ჩამოდგა. და იმის ერთ გამყოლს ჩაუთათრულა, მერე ჩემს გასაყონად უთხრა, ამ ბიჭს ბაქოში მე ვაგზავნი, დაამინე და ფული არ გადაახდევინო.

გამცილებელმა ზედა თაროზე მიმიჩინა ადგილი. მოხერხებულად მოვეწყვე და დღის ძილს ღამის ძილი წავამატე.

დილით ბაქოში ვიყავი...

30.

ბაქო სუსხით დამამახსოვრდა. კასპიის ზღვას მღვრიე ფერი გადაჰკრავდა. იქიდან ცივი ზღვაური უბერავდა. ერთი დღის მანძილზე ფეხით სანამ მივაღწევდი, ის ადგილები მოვინახულე. თვალის სასეირიც ბევრი რამ ვნახე. სულაც არ იქნებოდა ურიგო, აქ გადამეზამთრებინა, მაგრამ აგორებულ ქვასავით ვიყავი, სანამ დედამიწას არ შემოვუვლიდი და ამერიკის ნაპირებამდე არ მივგორდებოდი, ალბათ, ვერაფერი შემაჩერებდა.

გზის გასაგნებად გეოგრაფიის ჩემეული ცოდნაც კმაროდა. დღის დანახარჯის შემდეგ გადავთვალე ჩემი ფული. მანძილი და შესაძლებლობა ერთმანეთს მივუსადაგე. გამოცდილებაც მქონდა, როცა ბილეთი მინსკამდე ავიღე და სინამდვილეში ბრესტამდე ჩავგრიალდი. ახლაც ასე მოვიქეცი. ბილეთი დერბენტამდე ავიღე იმ იმედით, მატარებელი მახაჩყალამდე და უფრო შორსაც წამიყვანდა.

უძილობა სჭირდა იმ ღამის რევიზორს. ჯერ კიდევ დერბენტამდე ჩამოუარა ვაგონებს, ეჭვიანად შემამოწმა და გამაფრთხილა, ერთ საათში დერბენტში ვიქნებითო.

დერბენტს რომ მივაღწიეთ, თავი მოვიმკვდარუნე. იმის შემდეგაც კარგა ხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეტორტმანობდით ზღვისპირა გზაზე.

ამ დროს ვაგონის ბოლოდან ისმის გამცილებლის ხმა:

— მოამზადეთ ბილეთები!

ზოგ მგზავრს უკვე სძინავს, ზოგიც დასაძინებლად ემზადება.

მე ტუალეტისაკენ მივდივარ, იქიდან ტამბურში გავდგრები. იმ დროს ვაგონებს შორის გადასასვლელ კარს კეტავდნენ.

ვდგავარ ტამბურში, ველოდები, როდის მოახლოვდება უბილეთო მგზავრების რისხვა, თან იმის იმედიც მაქვს, სანამ ის ჩემამდე მოაღწევს, მატარებელი სადმე გაჩერდება.

ასეც მოხდა, მატარებელი სელას ანელებს, ჩერდება. რადაც ჩაბნელებული ვეოგრაფიული წერტილია. კარი გავაღე და ძირს ჩავხტი. სანამ დაიძროდეს, სხვა კარამდე უნდა მივასწრო. იქ უკვე ბილეთები შემოწმებული აქვთ და მგზავრებში შეუმჩნეველად ჩავეკვეხები, ვერავინ გაიგებს, რომ უბილეთო ვარ.

მატარებელი დაიძრა. დარჩენას არაფერი არ ვაპირებ. უახლოეს კიბეს შევახტი. კარის გაღებას ვცდილობ, მაგრამ იგი მაგრადაა ჩარაზული. ამასობაში იმატებს დაგალუგი, მატარებელი ბნელ სივრცეში მიექანება. ჩავეხუტე კიბის სახელურს, ცივი ქარი ტანსაცმელს მაგლეჯს, ხელ-ფეხი მეყინება, კბილებს ეკაწკაწებ...

რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, რამდენ ხანს მეყოფა ძალა, სიცივეს გავუძლო!

ბედმა ისევ გამიღიმა... ისევ წუთიერი გაჩერება უკაცრიელ, ჩაბნელებულ სადგურში.

ჩამოვხტი და უკან გავრბივარ იმ კიბისაკენ, სადაც, ვიცი, კარი ჩარაზული არ არის... უკვე ტამბურში ვარ. ფრთხილად ვაღებ დერეფნის კარს, ტუალეტში შევდივარ... თუ გამცილებელი მნახავს, ბილეთიანი ვეგონები...

ვაგონი გაჭედილია მგზავრებით. სძინავთ. ისმის ფშვინვა, ხვრინვა, ხმადაბალი ლაპარაკი... დასაჯდომი ადგილის მოძებნაც ჭირს.

ვიღაცას ფერხთით მოვკალათდი, სახეს ბნელს ვიფარებ, გამცილებელმა თუ ჩამოიარა, ვერ უნდა მიცნოს.

ცხელა, ჰაერი დახუთულია.

ჩამთვლიმა.

მესმის:

— მახაჩყალა, მახაჩყალა!

დღეა... მგზავრები ღვივიმებენ, ემზადებიან. ჩემთვის არავის სცალია. ერთი მხრიდან მწვანე გორაკები მოჩანს, მეორე მხრივ ჰორიზონტამდე მდვრეე ზღვაა გადაჭიმული.

მახაჩყალაში რომ ჩამოვედი, ჩემს რეკვიზორს პირისპირ შეეჩეხე... მიცნო... ამდენ ათას კაცში დავამახსოვრდი, მიხვდა, რომ დერბენტს შემდეგ უბილეთოდ ვიმგზავრე. ხელი გაასავსავა, ალბათ, უნდოდა ეყვირა. დაეეჯარამებინე. ისეთი ტიპი იყო, თუ ვინმეს არ დაეჯარამებდა, ცუდად გახდებოდა. ღღონდ სანამ აყვირდებოდა, მე უკვე შორს ვიყავი.

ქალაქი არ დამამახსოვრდა. ცივი ნიავი ქროდა და სადგურისპირა სასაწყობო ფარდულებს არც გავცილებივარ. ისევ სატვირთო მატარებელს ავედევნე. ამჯერად ნორმალური ბაქნიანი ვაგონი შევარჩიე და გუდერმესამდე ვიმგზავრე.

ერთხელ მილიციელმა ჩამომსვა, მაგრამ ცოტა ხანში გამიშვა და სხვა ასეთსავე მატარებელზე გადავინაცვლე.

ასტრახანისაკენ მიმავალ სამგზავრო მატარებელში ავიპარე. ისე გავეშმაკდი, ერთ მხარეს თუ ჩამომსვამდნენ, მეორე მხარეს ავეკიდებოდი. ხან ტამბურში ვმგზავრობდი, ხან საერთო ვაგონში ბიძიებსა და დეიდებს შორის ჩავეკვეხებოდი, სანამ მორიგი რევიზია არ ჩამოიელიდა.

ბოლოს და ბოლოს ერთმა ჩამომაგდო. დიდად არ შევწუხებულვარ. ვიფიქრე, მომდევნო მატარებელს წავყვები-მეთქი. შევედი სადგურის შენობაში, განრიგი დავათვალიერე. თურმე ნუ იტყვით, ამ მიმართულებით დღე-ღამეში მარტო ერთი სამგზავრო დადის.

ამ დროს ლაინდაგზე მაზუთის ცისტერნების გრძელი რიგი ჩამომწკრივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ ზომ ვერსაიდან მიუდგები. თუმცა ასეთ გრძელ რიგს აქა-იქ ბაქნიან ცისტერნასაც ჩააყოლებენ გამცილებლისათვის. შაშხანიანი გამცილებელი, თბილ, ბეწვიან ქურქში გახვეული, ბოლო ვაგონის ბაქანზეა მოკალთებული. მე კი სადღაც შემადგენლობის შუა წელში ვპოულობ ბაქანს და მასზე ავცოცდი.

თავიდანვე უნდა მეთქვა, მთელი ამ ოდისეის მანძილზე ისევ საზაფხულოდ, შალიფად მაცვია. თხელი შარვალი, თხელი წინდები და ნაჩერეტებიანი ფეხსაცმელი, ზევით კი ბამბური და ეს მშველის. ესაა, ბაქნისთვის ფიცრები აუგლეჯიათ და ყოველი მხრიდან უბერავს.

ირგვლივ იტალღება უკიდეგანო სივრცეები. არსადაა არც ქალაქი, არც სოფელი, რკინიგზელთა თეთრი სახლებიც კი...

სანამ დღეა, არა მიშავს. ერთ ადგილზე ვცეკვავ, ხელებს გვერდებზე და მკერდზე ვიბათქუნებ, ვინძლო, გავთბე... სივრცეს თანდათან ბინდი ეპარება... ნიავს მშრალი თოვლი მოაქვს, ბაქანში მიყრის.. ჯერ ცოტაა, მერე იმდენი მომიხვეტა, ფეხებში ხრაშუნობს...

ბნელა, მოთმინება მელევა, ალბათ, ფეხები მომეყინება, ასტრახანი კი არა და არა ჩანს.

შეჰკივლა მატარებელმა, სვლა შეაჩერა... ტრიალ, თოვლიან ტრამალზე სადგური შემოტივტივდა, მის უკან რამდენიმე უსახური სახლია.

ბაქანი თოვლს ჩაუნამქრავს.

სადგურის შენობა გაჩახჩახებულია... იქ, ალბათ, თბილა... ჩამოვხტი და სითბოსკენ გავიქეცი...

31.

გადავშალე რუკა და დავხედე. კასპიისპირეთის ეს ადგილი მუქი მწვანე ფერითაა შეღებილი და მოყავისფრო წინწკლები ამჩნევია, რაც ქვიშიან უდაბნოს ნიშნავს. რკინიგზის ხაზი ისარივითაა გაჭიმული კოჩუბეიდან ასტრახანამდე და მთელ ამ გზაზე ორად ორი სადგურია აღნიშნული — არტეზიანი და ულანხოლი. ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც სითბოს მივაშურე, უფრო კი მეორე, რადგან ასტრახანამდე თურმე არც ისე შორი გზა დარჩენილიყო.

შეეყენი მოსაცდელ დარბაზში და კონცერტს წავაწყდი. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილები, ერთი ოცდაათიოდე მაინც, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლაზდადარობდნენ, წიოკობდნენ... საიდანღაც ჩამოსულიყვნენ და სადღაც მიემგზავრებოდნენ... დარბაზის კედელთან ფილებით მოპირკეთებული ღუმელი ჭერამდე აღმართულიყო და იმას მივაშურე, ზურგით თბილ ფილებს მივეყრდენი.

მეამა.

მერე სკამზე დავჯექეი, მუხლები დავსვენე.

გვერდით რუსი მამაკაცი იჯდა, ჭარმაგი ასაკისა, შემომხედა და ამოიხვნეშა:

— ეჰ, ახალგაზრდები, ახალგაზრდები! გამოვესაუბრე.

ივანი მქვია, გული გადამიხსნა. კაცად არ ვვარგიარ და ცოლმა შინიდან გამომაგდო. ამას დიდად არ დარდობდა, მოსწონდა წანწალი. ფილოსოფოსიც იყო, სულ ერთია, მეც მოვკვდები და ნიკიტა ხრუშჩოვიც, ორივეს მიწაში ჩაგვდებენ, რა მნიშვნელობა აქვს, ის რომ პირველი მდივანია და მე მაწანწალაო... მეტად გულითადად ლაპარაკობდა. შემეცოდა.

ამასობაში ახალგაზრდებს ერთი ჯანმაგარი გოგონა გამოეყო, გვერდით მოიჯდა. აქეთურიო-იქეთურიო, ლაპარაკი გამიბა. სად მიდიხარ, სად მიგიწქარება, დარჩი ჩვენთანაო. გავეანალე, თქვენსა რომ წამოვიდე, სად უნდა ვიცხოვრო-მეთქი. ცოლად წამოგყვები და ჩვენთან გაცხოვრებო. მერე რომ დგტოვო? — შევეკითხე... თუ დამტოვებ, წახვალ და ეგ იქნებაო, შემომცინა... ყველაფერი ეიოლებათ რუსის გოგოებს, კომპლექსები არ აწუხებთ..

დილით ბრეზენტიანი სატვირთო მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანა მოადგა სადგურს. ჰე, გაბედე და წამოდგო! — კიდევ ერთხელ მთხოვა ფოგონამ. სჯობდა, ალბათ, გავყოლოდი. სამორცხვეს ვერ ვძლიე, მეგონა, ყველა ჩვენ მოგვჩერებია-მეთქი.

აცვივდნენ მანქანაზე და ქვეშის ბარხანებს მიღმა გაქრნენ.

მომშივდა. ივანსაც შიოდა. იმას კაპიკი არა ჰქონდა, მე კი მთელი სამი მანეთი და ხურდა დამრჩენოდა. იქვე, სადგურის ფლიგელში პატარა სასადილო იყო. თითო ბორშჩი შევხვრიპეთ და თითო პურის ნაჭერი მივაყოლეთ, რაც სულ მანეთნახევარი დაჯდა.

გაიწელა მოსაწყენი დრო, არც მგზავრები ჩანდნენ, არც მცხოვრებნი, არც მატარებლები...

იჯდა ეს ჩვენი ივანი და თავის ფილოსოფიას ავითარებდა სოფლის ამაოების შესახებ.

ისევ მოგვშივდა და სადილიც მანეთნახევარი დაგვიჯდა.

ამასობაში საბრეთისაკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგა. ივანს თბილი ქვეყნები ეზმანებოდა და ვაგონში შეეპარა.

დავრჩი სულ მარტო. მომშივდა. ჯიბეში წვრილი ხურდაღა მიჩხარუნებდა.

შევიჭყიტე სასადილოში. ოცდაათს მიტანებული ქალი მუშაობს. აქ თვითმომსახურეობაა და ქალი მარტოა. მზარეულის თავი თუ გამოჩნდება ხანდახან სამზარეულოს სარკმელში.

ვიღაც მსუქანი ბიძა-კაცი უკვეთავს.

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

ქალი აწვდის ჭიქა ჩაის და პურის ნაჭერს, თან ფასს ეუბნება:

— თხუთმეტი კაპიკი!

ამ ვეშაპივით კაცს არა რცხვენია და მე რატომ უნდა მრცხვენოდეს-მეთქი და დახლთან ავიტუზე.

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

გადავიხადე სამი შაური.

გავისეირნე აქეთ-იქით, სადგურისპირა სივრცეს გავხედე. ბარაკებს მიღმა დანამქრული ბარხანების მეტი არაფერი ჩანდა.

შემოვბრუნდი და ისევ შიმშილი ვიგრძენი.

შევედი სასადილოში, მოვითხოვე:

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

სამი შაური კიდევ მრჩებოდა.

მესამედ რომ დამინახა და შეკვეთა მოისმინა, ქალმა მრისხანედ შემომტია:

— რა ჭიქა ჩაი ამომიჩემე, ასე რანაირი ვაჭრობა მექნება!

— მეტი ფული არა მაქვს და... — წავილუღლუღე ნირშეცვლილმა.

— მერე ადამიანურ ენაზე ვერ მეტყვი? დაჯექი მანდ!

შეტრიალდა და წუთში მაგიდაზე დამიწყო ბორშჩი, შნიცელი და კომპოტი, გზისპირა სასადილოების ეს ტრადიციული სამეული.

მეორე დღესაც შევრჩი იქაურობას. საუზმეზე, სადილზეც და ვახშმზეც ის ქალი გამოვიდოდა თავისი სასადილოდან, დარბაზში მომძებნიდა, შემათრევდა და დამანაყრებდა.

ღამით შეყოვნებულ მატარებელს შევახტი და ასტრახანისაკენ გავუტიე...

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

რა საამურად სადაა

თეთრი გიორგი გზადაა,
გზადა და ტყეში... ღრმადა,
რა საამურად სადაა,
რა — ვერსადაოდ სადა...
სითეთრე მისი სიმწვანეს
ერთობ ცხოველსა ხდის,
თეთრი გიორგი მიწამლებს, —
დიდი ხატება ღვთის.
ჭირიმე მისი სახელის,
მისი მადლის და ძალის,
სიკეთით გადმოახედოს
ჩვენკენ მადალის თვალი;
მისი სითეთრის ღინეთი
სპეტაკდებოდეს სული...
ჩემი ქვეყნისთვის, მოვედი, —
ვთხოვო სიმშვიდე სრული;
რადგან იმდენად სადაა,
თანაც უდაოდ სადა,
გვონია ჰა და, ჰა და, ჰა,
აფრინდებაო ცადა.

რა ცოტა მინდა

მოშუადღევდა, დარია სუფთა,
ბავშვის ბუნების მგვანი,
გადამეწმინდა გუნება ქუფრი,
სავრცეს ემატა განი;
ცა იმნაირად არის კრიალა,
არც კი მეტყობა ხანი,
თან ფარჩის კაბას მოაშრიალებს
მომცრო, თივთიკის ტანი.
აჰა, ჩიტების ხმაც შემომესმა,
აჰა, მეძლევა ფრთებიც,
ჰანგიც კი ამყვა საამო, ძველი,
ამყვა ჰანგი და... ყვავი.

მაინც რა ცოტა, რა ცოტა მინდა,
რომ სიხარული ამყვეს,
გადამეწმინდოს სრულიად ბინდი,
ნაკლებ მტკიოდეს ნამყო;
რა საოცარად მმართავს ბუნება,
ჩემი გუნების წილი...
და რა მალამოდ მიჩანს წყლულებზე
ირგვლივ მრავალი წყვილი...
როგორ მახარებს ზეცა კრიალა,
აღარც მეტყობა ხანი...
თანაც, ფარჩას რომ მოაშრიალებს
წრფელი, თივთიკის ტანი.

უჭკნობი გვირგვინი

მრავალგვარია გვირგვინი ქვეყნად, —
გამარჯვებულის გვირგვინი დაფნის;
ცისფრად მფრფვინავი გვირგვინი
შროშნის,
რომელიც მოჰგავს უბიწოს ნაფიქრს...
გვირგვინი ცხარედ ელვარე ვარდის, —
შეყვარებულის ზრახვების მჩენი;
გვირგვინი თეთრად მკივან გვირილის,
შუბლზე კი — უფრო თეთრი და
წრფელი;
გვირგვინი სოსნის, ღიღილოს,
თრიმლის,

ვაშლის ყვავილის, ენძელის, ფშატის...
ასპეტაკებენ ქალწულის შუბლს და
ამ გვირგვინებით ჩანს მათი ხატიც...
მაგრამ სხვა არის გვირგვინი ეკლის,
კაცთაგან იგი ერთადერთს ერგო;
ერთადერთს, ვინაც ქვეყნად ახარა
სიყვარულის და სიკეთის ნერგი...
მშვენიერია გვირგვინი ყველა,
ყველა მათგანი სალბუნად მეკერის...
მაგრამ ყოველი გვირგვინი ჭკნება,
უჭკნობი არის მარტოდენ — ეკლის.

დავლანდე იგი...

აგერა, თვალებს იფშვნეტავენ ფურისულები,
აჰა, ფეხდაფეხ ფურისულებს ენძელა მოჰყვა,
მე ვვეებები მათ, ჩემს ძვირფას ფერია მოყვასთ,
სურნელს აკმევენ ეს პაწია, წმინდა სულები.

დაყურებ ამ ჩემს გამხარებლებს სიამით, კდემით,
მიმიჩუმათდა დარდი, სევდა, ტკივილი, წყენა...
გრილმა ნიავმაც ამოიდგა უცრად ენა
და აჰა, შორით დავინახე მიჯნური ჩემი;

დავლანდე იგი და მიმტყუნეს კიდეც ფეხებმა,
დამებნა ჭკუა... დავემსგავსე კიდეც რეტიანს...
ქალის ჭკუაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია,

როცა მიჯნურის უცაბედი უწევს შეხედვა...
ჰა, გაზაფხულიც მოიყვანეს ფურისულებმა,
სურნელს აკმევენ ეს პაწია, წმინდა სულები.

თვალებით მაინც

ვდგავარ, გიყურებ... ველარ მიცანი,
ვდგავარ და სიტყვა გამიბედითდა,
ვხედავ, ვით უცხოს, ისე მიცინი, —
გამოუცნობად, მაგრამ ბეჯითად.
თუ თვალებითაც ველარ მიცანი,
რით გაგახსენო თავი ბეჩავი...
თუ ვერ მიცანი, რაღას მიცინი, —
თავი და თავი მაინც ეს არი.
თუკი თვალებით ვერ მოგაგონდი,
აწი სხვა რითი მოგაგონდები,
ვდგავარ უმწეო... დარდი აგორდა,
ველარც ვტირი და ველარც ვღონდები.
თუკი თვალებით ვერ შემიცანი,
რაღად მჭირდება მე ეს თვალები,
რა თავში ვიხლი მაგ შენს სიცილსაც,
უფრო მერჩივნე განამწყრალები...
იმ სიტყვებს, ამა თვალებზე ნათქვამს,
რა გულისყურით, გულზე ვიწერდი...
თვალებით მაინც, მეგონა მართლა,
ვერასდროს ველარ დამივიწყებდი.

ციცინათელა ვნახე

არც სიკოხტავე მოგზიბლავთ მისი,
არცა წარმტაცი ფერი,
ციცინათელა რა არის დღისით, —
ერთი უბრალო მწერი.
სტიქია მისი არის საღამო,
ნათობს მარტოდენ ღამით,
ღამით სიამის არის საგანი,
იგი, სინათლის ჩქამი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით კიდევაც მეშრალვის იგი, —
მზე უკამტვერებს ნათელს;
ღამით მშურს მისი, წესით და რიგით,
თუმცა კდემაც კი მმართებს...

მთვარის ამ ნამცეცს იმგვარად ვეტრფი,
ვნატროთ ტირიფის ახლოს, —
ნეტავი მალე დაღამდეს-მეთქი,
ციცინათელა ვნახო.

ᲬᲣᲮᲘᲚᲘ ᲘᲓᲘᲚᲘᲘᲡᲐᲜ

სოსნების წვრილ-წვრილი კუნძულები,
სოსნები ცალ-ცალკე, ჯუფთად...
ტრფობით აღერილნი, ტრფობით
უძლურები,
იქვე — მეჩხერკბილა გვირილა სუფთა;
ამომავალი მზით ატკრეცილი ალიონი,
ჩამავალი მზით შებრაწული საწიერი...

სიყვარული, ჩემო, ისე იოლია,
როგორც ქარიშხლისთვის სათნო
საქციელი...
ჰა, წამკიდებია ტრფიალის ნატვრა,
წუხილი მედება ნესტივით...
მხოლოდ ჟაბათიჟან მინელებს ღადარს
შორი ხმა შორეულ მესტვირის.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ

გამიქრა, რაც კი ოცნება მქონდა,
უკვე ყოველი დამირჩა უკან...
მეც ბევრი ვცადე და ბევრიც ვცოდე,
ისე, ვით ყველა სიკვდილის ლუკმამ.
მაგრამ ჟამიჟამ გაკრთება ხოლმე
ყველა ჩამცხრალი ტკივილის ელვა...
თვალი ლაღდება მოვერცხლილ ხომლით
და... მიცოცხლდება ჩაკლული ღელვა;

ეს ღელვა ძველი ღელვა არ არი,
იმ ძველი ღელვის ნაპერწკალია,
მაგრამ წმინდა და ისე ალალი,
ვით დღეს ნამღერი ძველი არაა;
დამშადებელო! ბევრი კი ვცოდე,
მაგრამ ცოდვაშიც მართალი ვიყავ,
და თუ არ ვიყავ მართალი, ოდენ
ვნუგეშობ მით, რომ სიცოცხლე მიყვარს.

ᲓᲠᲝᲐ!

მოვა ის წამიც, ის წამიც მოვა,
ჯერ კი, ჯერ ისევ სიცოცხლის დროა.
ჯერ უნდა კვლავაც ჭაპანი ვზიდოთ,
უნდა სხვა თვალით გავხედოთ დიდგორს;
ჯერ მტრის, დახვედრა შევიძლოთ
მტრული,
ჯერ დავიხეთქოთ ტრფიალით გული;
ავაღორძინოთ მამული ჯერეთ
და ქორწილები მოვფინოთ ხმელეთს.
ჰო, საყვარელო, მოვა ის ჟამიც, —
მიჩუმათდება გულების ჩქამი;

ახლა კი, ახლა, ვიდრემდე წავალთ,
გავუძღვეთ უნდა გასაძღოლს მრავალს...
სხვავვარ ვიკითხოთ ვეფხის პოემა,
შემოვაბრუნოთ ძველი დროება;
ისევ დავხედოთ დავითს საფლავს,
საქმენი მისნი მოვიდოთ ზაფრად;
აღორძინდეთ და იმგვარად თანაც,
გავაფერმკრთალოთ ის ოქროს ხანა.
მოვა ის წამიც, ის წამიც მოვა,
ვიდრემდე მოვა, ვიცხოვროთ, დროა!

ᲘᲡ ᲙᲘ...

ჩე ერთგულება ვიქცეე რწმენად,
და ერთგულებით დავალ ოდითგან
და მიყვარს ქვეყნად ერთგული ყველა,
თუმც ერთგულებაც გადის მოდიდან.
ყველას აქვს გულში ერთგულის ხატი
და ერთგულებას სხვისგან მოელის...
ყოველი ცხოვრობს ერთგულის ნატვრით

და ერთგულია სიტყვით ყოველი...
როდის გაიყო სიტყვა და საქმე,
რისთვის და რატომ ან როდის აქეთ...
ვიღაცა ორგულს ვიღაცა აქებს,
ვიღაც ერთგული გდალატობს აქვე;
და ორგულებით სავსეა მიწა,
ათასში ერთი ერთგული ვიცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე თუ იყო, ნეტავი, მიწყივ,
ასე თუ იყო, მითხარით, ვიცდი!
მე კი ერთგულის ვიწამე ყოფა,
და ერთგულებით დავალ ოდითგან,
მე ერთგულებას ვუცხადებ ნდობას,
ის კი უდმერთოდ გადის მოდიდან.

ჩიტებო!

ეს რა ხმა ჩაგიდგათ ასეთი,
რა ძალა გიბოძათ ბუნებამ,
ჩიტებო, რომ ასე დასენილს
უცებ მაცვლევინებთ გუნებას;
ჩიტებო, თქვენ უფრო მეტი ხართ,
ვიდრე ჩვენ გვგონია ჩიტობა,
მკურნალი ხმა რომ გდით მკერდიდან,
ჩიტობას გიფასებთ მიტომაც;
როგორ მეხარბება, ჩიტებო,
თქვენი ჯადოსნური ხმები,
ჩიტებო, მფრინავო ჩითებო,
მე თქვენი სილაღით ვტკბები.
არა, უდარდონი არა ხართ,
უდარდოს რა გიგავთ, ჩიტებო,
მაგრამ დარდებიც კი რა ლაღად
მოგიდით, მფრინავო ჩითებო!

ნუთუ წასულა

დღეს სიყვარულიც ანგარების მსხვერპლი გამხდარა,
დღეს სიყვარულიც გარიგებას დამონებია,
სიყვარული კი, პირველ ყოვლის, ვიცით, ფრთებია,
ანგარებისას სიყვარულს აქვს ფრთები გამხმარი.

არ ეძევება ტრფობას ამგვარს მყუდრო საფარი, —
სიყვარულია მარტოოდენ ბრიალა გრძნობა;
არა ამ გრძნობის ფუფუნების საგნებით მკობა...
ამგვარ სიყვარულს თავიდანვე თან სდევს საფლავი.

არც ეწოდება სიყვარული სიყვარულს ამგვარს,
რის სიყვარული... გული სადაც არ ურევია
და ღამეები ამ გულს ღელვით არ ულევია...

ასეთი გული წარმოადგენს უსულო საგანს...
ვით იცხოვრების, თუკი მართლაც ცეცხლი არ გდაგავს,
ნუთუ წასულა სიყვარული, წასულა სხვაგან.

თქვენს ხმაზე

დღეს გავიგონე ჩიტის გალობა
და ერთიანად შემესხა ფრთები,
ამ ჰანგზე, უცებ რომ მეწყალობა,
მკვდარი ვიყავი და ფეხზე ვდგები.
ჩიტის გალობა, საოცარია,
არცა მსმენია აქამდეც, ვითომ...
ვუსმენ პაწიას და მიხარია, —
მადლობა, ჩიტო, რომ ისევ ჩიტობ.
აღარც მეგონა, ჩიტი თუ გალობს,
აღარც მეგონა, ჩიტი თუ მღერის...
ჩიტი თუ გალობს, ღმერთიცა
გვწყალობს
და დაიძვრება სიმღერის ჯერიც;
ჩიტის გალობას სითბო-სიამის
და გაზაფხულის მოსვლაცა ჰქვია,
რომ მომაწვდინა ამ ჩიტის ჩქამი,
დიდი მადლობა ეკუთვნის ნიავს;
უჩინმაჩინის ქუდიან ნიავს,
ხავერდისხმიანს თავს ვუხრი ჩიტებს,
კელავ ვგალობეთ ალალად, ღიად,
თქვენს ხმაზე იცვამს ველები ჩითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ციგროშვილი

ხანმოკლე დღე

ხანმოკლე არის დღე სიზმარივით,
საღამოს სხივი თანდათან ცხრება.
ისევ გახსენებს ჟამი ჩავლილი
ცოდვილთა სისხლსა და დამარცხებას.

რაც მოხდა —
გახსოვს სუყველა, ხანგრძლივ
ლოდინის მერეც — შავი ღრუბელი...
ხანმოკლე გზა და მდინარე მკატრი,
უფრო საშიში და დამლუპველი.

თბილი ხარ მაინც

განთიადის ხანს ქათქათა ჩანხარ,
დათვისის მთიდან დაძრულო ნისლო.
აბა რა ვიცი (ჯერ წუხხარ გაღმა),
ჩრდილს გადმოაფენ,
თუ წვიმას მისნობ?..

მშვენიერების მაღლობზე ახვალ,
თუ ამბორს არჩევ ჭრელი ჭალების...
ო, ჩემთვის მაინც
თბილი ხარ ახლა,
შენი კვნესით და იდუმალებით.

აქამომდე

აჰა, ფოთლები გაკრიფა ქარმა,
ქარი შიშველი ხეებში მღერის...
ბურუსი მთების ზერხემალს ფარავს,
ოავისთვის მოთქვამს ბალახის ღერი.

რამ შეგაყოვნა,
რა გახსენება,
რა მოგონება გეახლა წამით.
ვესმის (განგებას ასე ენება)
უცხო ხმები და ნაცნობი ჩქამი.

ასე ყოფილა:
დროის დინება
აქრობს ყვავილებს გზათა ნაპირზე.
ზოგჯერ არაგვსაც დაეძინება,
შენ — უხილავის სუნთქვა გაფხიზლებს.

შენ აქამომდე ეძებ სამართალს,
ემსჭვალავს მიმინოს მზერა ტიალი.
ჰყუდიხარ ცის და მიწის სამანთან,
ცითა და მიწით დავლათიანი.

წუთიერი გარდასახვა

თეთრი აკვანი გადაარწია
ქარმა,
ცის ცეცხლით აღზევდა მიწა.
კვირტები დასკდნენ,
ჩამოწვეთა აისის ძარღვმა.

მგალობელთა ხმით,
რიეარაჟის ნამით,
ფოთოლთა სუნთქვით აღივსო სული.
გაღვიძებული ტყეებიდან
ნისლივით ადის
ათასი ფიქრი გამთენიისა.

ახლოა სთველი

ბევრი იარე —
ცოტა იარე, უკვე ახლოა სთველი.
ან რა დაკარგე,
ან რა იპოვნე,

იერი ღამისმთევლის
გაფხიზლებს, მისი სილაღის კოცონს
ისევე ეფიცხები,
ისევე გალხენს,

ისევე გწყალობს
მისი შორეულ გზების,
გზების ტკბილ-მწარე ნაყოფი,
რომლის გემო იგემე შენაც...
კვლავ უდარდელად დაბორიალობს
ქარი ქვენა თუ ზენა.

●

აჰა, ბიბინებს ნამდაფრქვეული,
ხავერდოვანი მოლი,
ნაცნობ ჭალებზე,
არაგვის ფრთებზე
ჰფენია შუქი ბროლის.
საით მეძახი,
წუთის ნათელო,
საით მიფრინავს ქორი!
დროო,
ყოვლისა ხარ გამკითხავი,
უსამანო ხარ ცისებრ...
ამ მარადიულ სამლოცველოში
უწმინდურთაგან მიხსნეს.
სისხლის და რწმენის
უწმინდეს ნაყოფს
შენვე გიბრუნებ ისევ.

ხე მარჩენალი...

ხე მარჩენალი ვიწამეთ, ვზარდეთ
ჩვენივე სარჩო-საბადებელით.
მიწის ხელები აწვდილან ცამდე,
გვწყალობს ღვთიური ზეცის ელფერი.
დასალიერი ჩანს შემკობილი —
როცა მზე ჩადის,
როცა ბინდდება.
მიწის უგია ცის ნამს ლოგინი,
მიწა გვეძახის დასაშვედებლად.

ჯავრის გულისა

ჯავრის გულს, მწარე არაყო,
მოუხდებოდი, მგონი...
მაგ ნისლში ჩაინთქმებოდნენ
ეს არეული დრონი.
წუხილს არ გამახსენებდა
სვე გაბრუნვილი, კრული...
ნეტა დაისვენებდა
თუნდ წუთით — ჯავრის გული.

●

ისეთი დროა,
მგელს მგლობა უჭირს,
არსობის ლუკმა ტყეში ტყიურმა
ლამის რომ ვედარ იპოვოს, ფუჭი
იმედი ზაფრავს ყოველდღიურად.
არა,
არ ცხრება და ვეშაპივით,
მღვრიე მდინარე მიიზმორება.
რა ეშველება,
სად აქვს ნაპირი
ამ ცოდვა-მადლით სავსე ცხოვრებას.

●

ნისლო,
ჩემეულ გზებისა,
რა მთას გადივლი, რას — არა...
ცრემლებს დაანევ ნებისად,
წაბვალ ჩემი ცის დასავალს,
მეც წამიყოლებ ბოლომდის,
ნისლო,
იღბალო — სამსალავ...
რას მეტყვი,
ბოლო მოლოდინს,
დრო უწამლებს თუ დაცარავს.
მომაგებ ან რას — გორობი,
რა პასუხს გამცემ — არცარას?...

ლიკასები
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე ჩაიარა ჩემმა დაბადების დღემ,
რომ ვერაფრით დამამშვიდა,
ვერც მანუგეშა,

გუშინ — გუშინწინანდელი
სიტკბო, სიმწარე
და მყობადის დასავლისკენ
გადახრილი მზე
მიმასპინძლდება
ამ მარადი მდინარის გვერდით.

ვუცდი ფერისცვალებას

ჩავთვლემ,
სიბნელე დადგება წყნარი
და სიზმარივით გამომაღვიძებ.
ციდან შუქი რამ ჩამოვა წამით,
გამოვიხედავ მთების ძახილზე.

თითქოს დაეძებ სიტყვას ლვთაებრივს,
თითქოს რიჟრაჟში ჩნდება სოფელი.
ო, გიცდი როგორ გაუთავებლად,
ო, ნათლიერო,
როგორ მოგელი!...

ვერც მე ვერ ავცდი გაათკეცებულ
ჯავრს,
დგომა მერგო სიმწრის ნამქერთან.
გზას ვადევევარ და ვზაზე ვეცემი,
წუთიც არ მრჩება სულმოსათქმელად.

ულრანში გაბმით ყმუიან მგლები
და ნისლი ბრუნავს დროის კალოზე.
სოფელი ისე ბერდება, კედება,
რომ მცირე სითბოც ვერ ვუწყალობე.

ისეთი ცეცხლი ვინ დაანთო,
რომ გრძელი ღამის
დაეამოს ყველა ტკივილი?..

ისეთი ლოცვა-კურთხევა
ვინ აღავლინა,
რომ ღვთიური სანთელ-საკმევლით
შეანათა ღამის ყველა ყურე-კუნჭულში?

ვინ,
ვინ არსებობს —
ვინც იდუმალს ახდის საფარველს?

ცისიერ ნათელს ჩამოჰყევი

რამდენი რკინის ქალამანი გაცვდა,
რამდენი მღვრიე მდინარის
ღორღი კენტა
კბილებით ჯავრმა,
რამდენი სისხლი გავიმეტეთ
ცდაში, ძებნაში...

ცისიერ ნათელს ჩამოჰყევი,
გადასერე ახლაბუდები,
გადაიარე უხილავმა ლურჯი ქვიშანი,
გამოიხედე დასეტყვილი ბალახებიდან,
ობლად შთენილი
შიმელები დააიმედე.

საგამთენიო მიწის ძახილს
ხმა შეუწყვილე.
გამოაღვიძე შენი ყმანი,
მაავდრებელნი გამოიხმე უფლის
ტაბლაზე
და ჩაასმინე
გაზაფხულის საგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

დალუქული სახლი

მოთხრობა

1

მელვიძა, მაგრამ ლოგინი მაინც არ მეთმობოდა, ბალიშზე პირქვეჩამხობილი, ცალი თვალით ვიჭყიტებოდი. დედა შემოვიდა, რძით სავსე ქვაბქოთანი თარეზე დადგა და მომიბრუნდა:

— კიდევ წევხარ, ბიჭო?! ძროხას ბურთი გაუვარდება ფერდებში, ისეა სულმიხდილი. ადე, გაიყვანე საძოვარზე!

ის იყო წამოდგომას ვაპირებდი, ბებია შემოქოთქოთდა:

— ვაი, ვაი, რა გვეშველება, მეორედ მოსვლა მოდის და ეს არის!..

— რა იყო, ქალო, კიდევ მოხდა რამე? — პირზე შეაფრინდა დედა.

— წუხელ ქართლოს მასწავლებელი დოუჭერიათ, სახლი ქე დოულუქიათ!

— უჰ, საწყალი, დაღუპული და ეგ არის, ქართლოსი ციხეს აიტანს? მეტი არ იქნა ჩემი მტერი!

— ჩიკოც ხომ არ წაიყვანეს?! — წამოვიძახე და ცრემლები ყელში მომებჯინა. ძომიყრუეს. კითხვა გავუმეორე. არც ახლა გამცეს ხმა. სად ეცალათ ჩემთვის, ვიშვიშებდნენ და იყვნენ ერთ ამბავში.

ხალხის დაჭერა რომ დაიწყო, მის შემდეგ ბებია და დედა სულ შეიცვალნენ, დღემუდამ მოუსვენრობდნენ და ფაციფუცობდნენ. მამაჩემს შინ მოსვლა რომ შეაგვიანდებოდა, უგუნებოდ დაბორიალებდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ. ი კაცი სად არის ამდენ ხანს, რამე ხიფათს არ გადაეყაროსო, მოიმწუხრებდნენ ხოლმე და თვალი ჭიშკრისკენ გაურბოდათ. მამამ ერთხელ შემოუძახა:

— რა მოგვიდათ, რომ ირევით და ფეთთაინდებით, მე კაციშვილი არას მერჩის. ან კი რა უნდაო ჩემთან, ერთი უბრალო მიწეს მუშა ვარ, კიდევაც რომ მოვინდომო, თოხს და ბარს ვერ „ბადავ ხრი“, მიწას ვერ დავაშორებო.

2

ქართლოს მასწავლებელი ცხოვრობდა ძველებურ, ძელურ სახლში, რომელსაც მოვვიანებათ ერთი ქვეტკირის ოთახი მიაშენა. იმ ოთახს პატარა სარკმელი ჰქონდა უკანა მხრიდან. იქვე იყო ბუხარი. სარკმელთან იდგა საწერი მაგიდა და მომცრო კარადა. ცოტა მოშორებით კი — ლოგინი. ლოგინთან ახლოს იდგა ყუთი, რომელშიც ჩიკო „ისვენებდა“ და იძინებდა ხოლმე. ეს ძაღლი ქართლოსს ბაზარში შეუძენია, ვიღაც ლოთს ერთ ბოთლ არაყში გაუცვლია თურმე. იმ შეჩვენებულმა ლოთბაზარამ კი ჩიკო ნამდვილად ცირკში მოიპარა. ასეთი გონიერი და დამჯერე პირუტყვი ქვეყნად თუ არსებობდა, ვერ წარმოვიდგენდიო, ამბობდა ქართლოს მასწავლებელი და ძაღლს გულში იკრავდა.

მოპარულიაო, იმიტომაც უფიქრია, გამყიდველს ძაღლის სახელი არ სცოდნია. ქართლოს მასწავლებელს ხელახლა

„მოუნათლავს“ — ჩიკო დაურქმევია. მართლაც, ჩიკო-ჩიკოწელა იყო: პატარა, კოხტა, ლამაზი. კარგად ნაპატიები ორი კვირის კრავი ხომ გინახავთ? ზუსტად იმხელა იქნებოდა, არც მეტი, არც ნაკლები. ბალანიც კრაველივით დახუჭუჭებოდა.

ჩიკო მეტად უცნაური ძაღლი იყო. ტაშს რომ დაუკრავდი, უკანა თათებზე დგებოდა და ცეკვავდა. ეტყოდი, გაიცინეო, იცინოდა, იტირეო, ტიროდა. მერე თვალებში თათს ამოისვამდა, ვითომ ცრემლებს ვიწმენდო.

ქართლოს ბაგიჟებით უყვარდა. ხშირად ეთამაშებოდა, მასთან ერთად ცეკვავდა, იცინოდა... სამსახურში წასვლისას ჩიკო კარამდე მიაცილებდა ხოლმე. ახლა წადი და დამელოდეო, რომ ეტყოდი, მყისვე შებრუნდებოდა, თავის ყუთს მიაშურებდა. მისი დაბრუნების დრო რომ მოახლოვდებოდა, მივიდოდა კართან, ზედ აებღოტებოდა და აწკმუტუნდებოდა. შეხვედრაც საყვარულიანი სჩვეოდა. გახარებული ფეხებზე შეახტებოდა, მერე მკერდზე შეაბობღდებოდა. ჭამაში გულაზიზი იყო, წვნიან ულუფას ეტანებოდა. რძით და შრატით ჩვენ ვუმასპინძლდებოდით, ბებია ყოველ დილით გამატანდა ხოლმე მისთვის სავსე კვაწიას.

ჰოდა, ქართლოს მასწავლებელი რომ დაუპატიმრებათო, სახლი ისე დალუქავეთ, საბრალო ჩიკო შიგ ჩარჩენილი. რა გული მომთმენდა... მოვლაპარაკე მეგობრებს და გადაეწყვიტეთ საჭმელი ბუხრის ყელიდან მიგვეწოდებინა.

3

როგორ მინდოდა, იმ დღეს ჩვენს სახლში სადილად ან ვახშმად ქათამი დაკლულიყო. ჩიკო ქათმის ხორცის წვნიანს მადიანად მიირთმევდა, ქართლოსმა შეაჩვია, ამ ნანატრი კერძით ხშირად უმასპინძლდებოდა. შინ მივირბინე თუ არა, ცეცხლზე მოოუხოუხე ქვაბს ხუფი ავხადე და ჩავხედე. სწორედ ქათამი იხარშებოდა. სიხარულით ხელები გავშალე და სოხანეზე ფეხი გავუსვ-გამოვუსვი.

— რა გიხარია, ბიჭო, შენ გაგახარეს და გაგაბედნიერეს ღვთაშობელმა, დაალოცოს მისი სახელი! — გამიცინა ბებიამ.

— რა უნდა მიხაროდეს! — შუბლი განვეს შევკარი. — ცეკვის წრეში ჩავეწერე და რეპეტიციას გავდივარ.

— აპა, შენ იცი, ცეკვას რავა კაათ ისწავლი და თანატოლს არ დაეჯობინარებ!

— ვისწავლი, ბებია, — შევპირდი.

სადილად რომ დავსხედით, დედას მანამ არ მოვეშვი, სანამ თეფში არ გამიპიპინა. ბებიამ შემაქო:

— ე ბიჭი ამ ბოლო დროს ჯვარსწერილადაა, ალარ აზიზობს, საჭმელს ეტანება.

— ჰო, მადაზე მოვიდა, — დაემოწმა დედაც.

სუფრასთან რომ დავჯექი და ორიოდე ლუკმა გადავყლაპე, უჰ, დამცხა, გარეთ უნდა გავიდე, ჰაერზე ვჭამო-მეთქი და ჩემი თეფშიანად ეზოს მივაშურე. ზვინში შემალული მქონდა თიხის ქილა. გამოვიღე, შიგ ჩემი ულუფა ჩავასხი და მერე ისევ ზვინში შევმალე. იქვე შევინახე გრძელი, მაგარი თოკი და ელექტრომაშუქა.

ის დღე უსაშველოდ გაიჭიმა, არ იქნა და ალარ დადამდა. რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო, მით უფრო ვწრიალებდი და ადგილს ვეღარ ვპოულობდი. დედამ და ბებიამ მოუსვენრობა არ შემამჩნიონ-მეთქი, წიგნი ყასიდად დავიჭირე ხელში და ვითომ ვკითხულობდი, დროდადრო გადავფურცლავდი ხოლმე და ავბუტბუტდებოდი: „ჩიკო, ჩიკო, ჩემო ჩიკო, ჰქენი ვაჟკაცობა, შიმშილს და წყურვილს ცოტა ხანს კიდევ გაუძელი და მალე მოვალ, ისეთ წვნიან კერძს ჩამოგაწოდებ, იტყვი, ეს რა კარგი დღე დამდამბეიაო“.

შებინდდა თუ არა, დაიქმულ ადგილას შევიკრიბენით.

სოფელმა მსხვილფეხობა და წვრილფეხობა რომ დააბინავა, შარაგზები მიწყნარდა, მიბუსუნდა, ეზოებშიც სიჩუმემ დაისადგურა, ჩვენც საქმეს შევუდექით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკლის მეშვეობით სულ მალე სახლის სახურავზე გავჩნდით და ბუხართან მივედით. ხელში მაშუქა მოვიმარჯვე და ბუხარს გადავეყუდე, თანაც ხმადაბლა ჩავძახე:

— ჩიკო! ჩიკო!

დავყურე. მხოლოდ ჩემი გულის ბაგაბუგი მესმოდა.

ამოვწიე თავი და ბიჭებს სასოწარკვეთით წავჩურჩულე:

— აღარ წკმუტუნებს, ვაითუ...

— რას ამბობ, ძაღლი ერთ დღეს კი არა, ერთ თვესაც ძლებს მშიერ-მწყურვალი, — ჩურჩულითვე მიპასუხა ავთანდილმა.

— უწყლოდ ერთ კვირას ძლებსო, — შეუსწორა გიგლამ.

ბუხარში კვლავ გადავეყუდე, ჩიკოს ისევ მოვუხმე, თანაც ანთებული მაშუქა მთელი მკლავის სიგრძეზე ჩავწიე დაბლა. გავყუჩდი, სუნთქვაც კი შეეწყვიტე, ყურს მომწედა რაღაც წკმუტუნისმაგვარი.

— ჩიკო! ჩიკო! — ავუწიე ხმას და თვალებად ვიქეცი. კერასთან, სადაც სამფეხა იდგა, პატარა, ციცქნა ლანდი გამოვარჩიე, ძლიეშესაძრნეკად რომ მოძრაობდა. ის ლანდი ცოტა ხანში სამფეხას თავზე მოექცა.

— გამოჩნდა!.. — მივახარე მეგობრებს. მერე თოკი ქალას ჩავაბი და ბუხარში ჩავუშვი, მაშუქაც ჩავანათე. ქალა ზედ სამფეხას წინ „დაჯდა“. სულ მალე გაბმული წკმუტუნი მომესმა. „ჭამს უკვე და სიხარულით ჭყლოპინებს“, — გავიფიქრე, თოკი დავიგრძელე და ბუხრის ყელთან ჩავჯექი. ერთხანს ხმას არ ვიღებდით, სიხარულმა დაგვამუნჯა.

— კოჭი ალჩუზე დაგვიჯდა, ვაშა!.. — დაარღვია სიჩუმე ავთანდილმა.

— ამოსწიე თოკი, ენახოთ, რა ქნა! — წამჩურჩულა გიგლამ.

— ვიცი, რასაც იზამდა, ქალას ამოასუფთავებდა ვაჟკაცურად! — ჩაიქირქილა ავთანდილმა. მართლაც, ქალა რომ ამოვიღე, ისე იყო ამოლოკილი, ვერ მიხვდებოდი, ხუთიოდე წუთის წინ შიგ თუ რამე ესხა.

— არ ეყო, ალბათ, — თქვა გიგლამ.

— ხვალ „ულუფა“ გავუდიდოთ, ჰო, ზაზა?! — მხარზე ხელი წამკრა ავთანდილმა. მაგრამ მე მათთვის უკვე აღარ მეცალა. ქალას თოკს რომ ვხსნიდი, უეცრად გავიფიქრე: რომ მოვკვდე, ახლა ბუხარში ჩასვლას მაინც ვეცდება-მეთქი. ჩიკოს ნახვის სურვილმა გულში ისე მძლავრად იფეთქა, უკვე ვერაფერი შემაყოვნებდა, ვერავინ შემაჩერებდა. თოკი იღლიებქვეშ საიმედოდ შემოვიხვიე და მეგობრებს წავჩურჩულე:

— აბა, თქვენ იცით, როგორ მაგრად დამიჭერთ!..

— რას ამირებ? — ხელი მკერდზე მკრა გიგლამ.

— ჩავდივარ.

— სად?

— ჩიკოსთან.

— გაგიჟდი?!

— თოკი დაიხვიეთ ხელებზე, ბოლო კი კაკლის ტოტზე გამოაბით. თუ ვინაცობაა, გაგისხლტათ, ტოტი შემაჩერებს!

— ნუ სულელობ! — ხმას აუწია გიგლამ.

— სსუ! „ოპერაცია“ არ ჩამიშალო! — გავაფრთხილე.

— ყოჩაღ, ზაზა, კარგად მოგიფიქრებია, ჩადი, მაგრად დაგიჭერთ, ნუ ეშინია! — დამაიმედა ავთანდილმა და თოკს ორივე ხელით ჩაეფრინდა.

მაშუქა მკერდზე მივიმაგრე, ჩავძვერი ბუხარში, მის ყელთან ფეხები გავაბაჯიჯგე და სანამ „სვლას“ განვაგრძობდი, შევყოყმანდი. „წავიდნენ ვაჟები, მიადგნენ ქვესკნელის პირს და ნახეს, რომ ალმური ამოდის ქვესკნელიდან. მიიბა მზე-თეიმურაზმა თოკი და ჩაუშვეს ხაროში. შუაზე რომ მიატანა, იყვირა: დავიწვი, დავიწვი, ძმებო, ზევით ამწიეთო. ძმებმა ამოიყვანეს. შემდეგ მთვარე-თეიმურაზმა მოიბა თოკი, მაგრამ იმასაც ისე დაემართა. ბოლოს მიდგა ჯერი შაე-თეიმურაზზე. მოიბა თოკი და სთხოვა ძმებს: — ჩავალ, მაგრამ თუ ვიყვირო, სულ ძირს და ძირს ჩამიშვით, ზევით არ ამომიყვანოთო. ჩავიდა თუ არ შუამდე, იყვირა: — დავიწ-

ვი, მიშველეთ, ზევით ამიყვანეთო, — მაგრამ რას გაუგონებდნენ! სულ ქვევით და ქვევით ჩაუშვეს“.

ფიქრებიდან გიგლამ გამომიყვანა. ჩამომძახა:

— რა შვრები?

ჩემდა უნებურად თვალი ქვემოთ, ჩიღრმეში გამექცა. მაშუქას ეკრთალ შუქზე ბუხრის ღრმული უფსკრულად მომეჩვენა და შიშის ჟრუანტელმა დამიარა.

— ამწიეთ! — ვიყვირე. თოკი არ შერხეულა. თურმე უხმოდ ვიყვირე, სიტყვა არ ამომყვა.

— არ ჩადის, მგონი შეშინდა, ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქირქილა ავთანდილმა.

დაცინვამ შემაფუცხუნა.

— ჩავდივარ, თოკი ნელ-ნელა გამოუშვით! — ჩემი ხმა მეც ვეღარ ვიცანი.

დავიძარი მხრებაწურული და ფეხებგაჭიმული. ერთგან კინალამ გავეკვეტე, აგურის სლიპ კედელს მხრები მტკივნეულად გავკარი. ბიჭები მარჯვობდნენ, თოკს მთელი ძალით ექაჩებოდნენ და კერიამდე მანძილს სანტიმეტრობით მაზომნებდნენ.

ჩიკომ იგრძნო, რომ ვუახლოვდებოდი. მის შემდეგ, რაც „შინა პატიმრობაში“ აღმოჩნდა, მგონი პირველად წამოიყეფა, თანაც ძალმოცემული აწკმუტუნდა. სანამ კერიაზე დაეშვებოდი, ფეხებზე ამომეტლტა. ხელი რომ მოვკიდე და გულში ჩავიკარი, სულ გადაირია, ძუძუს მიძახრული ბალღივით კრუსუნებდა, მთელი სახე გამილოკა.

— ჩახვედი? — ყრუდ მომწვდა ავთანდილის ხმა. ავიხედე. ბუხრის თავზე იყო გადმოკიდებული.

გული ყელში მებჯინებოდა სიხარულით. როდის-როდის ვუპასუხე:

— ჩავედი, აპა!

— ჩიკო რავაა?

— კაათ. კინალამ შემჭამა...

— ამოსვლას არ აპირებ?

ამ კითხვამ სიხარულით აფართქალებული გული ერთბაშად დამიცხრო. ასვლაზე აქამდე არც მიფიქრია. ჩანდა, არც გიგლას და ავთანდილს უფიქრიათ, თორემ გამაფრთხილებდნენ: შეიძლება ჩახვიდე, მაგრამ ამოსვლა გაგიჭირდებაო.

„შავ-თეიმურაზი ქვესკნელში რომ ჩავიდა და თავისი საქმე მოაკეთა, დაღონდა, მაღლა როგორღა ავიდეო. დედაბერმა ჩასძახა: მანდ, ბოსელში სამი თხა აბია: წითელი, შავი და თეთრი. წითელზე თუ შეჯდები, იქით-აქეთ მიგახეთქებს და დაგლუპავს, შავი თხა რქებით დაგჩხვერავს, თეთრი კი ქვესკნელიდან ამოგიყვანსო. შავ-თეიმურაზმა დედაბერს დაუჯერა, შეჯდა თეთრ თხაზე და ამოვიდა მშვენივრად“.

— ჰე, რჩები თუ მოდიხარ?! — კითხვა გამიმეორა ავთანდილმა.

— თეთრი თხა რომ მყავდეს...

— რა დროს ზღაპრებია, მოემზადე, ამოგქაჩავთ!

— მზად ვარ, ამწიეთ!

— ჩიკო მოგყავს?

— აპა, რისთვის ჩამოვედი?!

ავთანდილმა გიგლას რაღაც გადაულაპარაკა, მერე კი მე გამაფრთხილა:

— აპა, ჰე, ვიწყებთ: ერთი! ორი! სამი!..

ილლიებში თოკმა მომიჭირა. ჩანდა, მთელი ძალით მეწეოდნენ, მაგრამ ძვრა ვერ მიყვეს.

— ტანი აიმჩატე, ბიჭო! — მირჩია გიგლამ.

— ვიმჩატებ, მეტი რა ვქნა?!

კვლავ გაისმა: ერთი! ორი! სამი!

თოკი ახლა კიდევ უფრო ჩამეჭირა, მაგრამ ვერ იქნა და კერას ვერ ავშორდი. წუთით დუმილი ჩამოვარდა, სასოწარკვეთილების დუმილი.

— თეთრი თხა ვვიშველის ახლა, მარა სად არის! — შანი მომიგო ავთანდილმა. ბებია გამახსენდა. ზღაპარს რომ მიამბობდა ხოლმე, რას წარმოვიდგენდი, ქვესკნელში მოხვედრილი ვმირის ბედი მე თვითონ თუ მელოდა. ბებიას გახსენებამ გული ამიჩუყა. „ამალამ შინ რომ არ მივიდე, ბებია და დედა დარდით ვეღარც გაათენებენ... რა მეშველება?“

— ზაზა, მაგ სახლში სტუმრობას ნაჩვევი ხარ, იყავი დ ეთამაშე ჩიკოს, ზვალ-ღამ მოვალთ და საჭმელს ჩამოგაწოდებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ცალკე და ძაღლს ცალკე! — მირჩია ავთანდილმა.

— ჩემები გადაირევიან.

— ეგ საქმე ჩვენ მოგვანდე!

— რას ეტყვიან?

— მოვიგონებთ რაღაცას.

— არ დაგიჯერებენ, — უკვე გული ამომიჯდა და თვალებზე ცრემლები მომწვა.

— აპა, რა გიყოთ! — ჩამომძახა ავთანდილმა. — რომ ახტი და ბუხარში ჩაძვერი, რა გეგონა?!

— ნუ გეშინია, მეც ჩამოვალ, თოკი ამოგზავნე! — დამაამეცა გიგლამ.

— ჩახვალ კი არა!.. — გაუტრიზავა ავთანდილმა. — როგორ ჩახვალ, ამხელა ზაქს მარტო მე შეგიკავებ?! ზაზასაკით მოცუცქნული რომ იყო, კიდევ იტყოდა კაცი! ხელიდან რომ გამისხლტე, ხი ლეტყვეპე კერიას უსულოდ!

ავთანდილის უკმეხმა კილომ თითქოს გამამაგრა და ცრემლების სადინარი გადამიკეტა. „ვიქნები აქ მარტოდმარტო, რაც მომივა, მომივა!“ — გავიფიქრე და თოკი შემოვეხსენი.

ონდაც ას წელიწადს ვიცოცხლო, იმ ღამის შიში და ელვა მაინც არ დამავიწყდება, ხსოვნაში ჩამრჩა საზარელი სიზმარივით. ავთანდილმა რომ ჩამომახა, კარგად იყავი, ჩვენ მივდივართ და ხვალღამ გინახულებთ, საჭმელსაც მოვიტანთო, არ დავიჯერე. არ მეგონა, თუ მიმატოვებდნენ. შეიძლება ვინმემ მითხრას, რომც დარჩენილიყვნენ, მაინც ვერაფერს დაგეხმარებოდნენო. როგორ არა, სახურავიდან ხანდახან მაინც ჩამომახტებდნენ იმედიან სიტყვას და შიშს გამიფანტავდნენ. მაო „ერთგულებაში“ ისე ვიყავი დარწმუნებული. ჯერ გიგლას ხმა მოიესმა, მერე ავთანდილისა. ბუხარში გაფაციცებით ავიხედე. სინუმემ კიდევ უფრო დამზაფრა.

რომ დავრწმუნდი, ეგ არის, მარტო დავრჩი-მეთქი, ჩავწექი ლოგინში და სანანი წავიფარე. ერთადერთ იმედად ჩიკო შემრჩა, მეხუტებოდა გულზე და დროდადრო წამოიწკმუტუნებდა ხოლმე. შიშმა და ზაფრამ იმოქმედა, თუ სქელმა საბანმა დამაცხუნა, ვერ გეტყვით. მთელ სხეულზე ცეცხლი შემომენთო და ოფლად გავიღვარე. თვალს მაგრად ვხუჭავდი და გაუნძრეველად ვწევდი, ჩახვეღებაზეც კი თავს ვიკავებდი. დეკ-ქაჯებსა და მაჯლაჯუნებზე რაც ზღაპრები მომესმინა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაგონდებოდა, ერთმანეთში მერეოდა და შემეზარა სურათებად წარმომიდგებოდა. მთელი ღამე ცახცახში გავათენე, მკონი, წუთითაც არ წამძინებია. როგორც კი წავთვლემდი, მყისვე შეკრთებოდი და ძალბურანიდან ისევ საშინელ სიცხადეს ეუბრუნდებოდი. თვალის ბაგლას იმდენად ვეფერთხოდი, სანატრელი მომენტი გამომეპარა: ღამის ბინდბუნდის გაფანტეა და განთიადის შემობრძანება ვერ გავიგე.

ამ წუთებზე რომ ვფიქრობ, ყველაფერი ცოცხლად მეხატება თვალწინ. აი, თვალს ვაჭყეტ და ისე გაფაციცებული ვიხედები აქეთ-იქით, ოთიქოს ეს ოთახი ახლიდა ალმომეჩინოს, აქ ფეხი არა ადროს შემომედგას. საბანს ორივე ხელით ვიშორებ და ვდგები, ფანჯარასთან მივდივარ, ჩიკოც მომყვება. ჰგონია, მეთამაშებაო, ფეხებზე მახტება და შემობღერტებას იწყებს ძველებურად. ახლა მე მკითხოს, თუ ვარ ღლაბუცისა და თამაშობის გუნებაზე! ქართლის მასწავლებელი მიდგას თვალწინ და გული მიწუდება. აგერ მისი სამუშაო მაგიდა, წიგნი გადაშლილი დევს. კითხულობდა, ალბათ, და „დიუპატიეებელმა სტუმრებმა“ შეაწყვეტინეს. ენახოთ, რა წიგნია: ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი I, 1928 წ. ამ სახელურიან სკამზე უყვარდა ჯდომა. ზოგჯერ კითხვას შეწყვეტდა, სახელურზე იდაყვით ჩამოეყრდნობოდა და ჩაფიქრდებოდა. ამ დროს მეც გავისუსვებოდი ხოლმე, ან კუთხეში მივდგებოდი უხმოდ, ანდა ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდოდი. სულელი ჩიკო კი სწორედ მაშინ უხელთებდა დროს და არ უსვენებდა, ჯერ კალთაში ჩაუჯდებოდა, მერე ზედ ნიკაპზე მისწვდებოდა. ქართლოსი რიდისროდის გამოერკვეოდა, წამოდგებოდა,

ჩიკოს გაეთამაშებოდა, შემდეგ კი ისევ წიგნს დაუბრუნდებოდა.

საფერფლეში მინახეკრებული პაპიროსი იდო. იქვე იყო ასანთიც. ავიღე პაპიროსი, მოვუკიდე და გავაბოლე. თავს ეიქცევი, თორემ პაპიროსის მოწევა არ ეიცოდი, ნაფაზის არა გამეკვბოდა რა. ქარლოს მასწავლებელმა პაპიროსსადმი მიდრეკილება შემამჩნია თუ რა იყო, ერთი ორჯერ გამაფრთხილა, ამ სიგლახეს არ შეეჩვიო, მეც მეყოფა, პაპიროსმა ლოყებში სინათლე რომ გამიყენაო ის, მართლაც, გამხდარ-ჩამოფხავებული იყო, მაგრამ ახლა რომ ეუკვირდები, პაპიროსს ტყუილა აბრალებდა, ცხოვრება ჰქონდა დალაგებული და სადავიდარაბო, თანაც ნერვული და საოცრად მგრძნობიარე კაცი იყო.

მახსოვს, ერთხელ ვესტუმრე, ოთახის კარი ღია დამხვდა, თვითონ იჯდა მაგიდასთან და გაზეთს ჩასცქეროდა. ჩემი მისვლა ვერ გაიგო, არც მივესალმე. კითხვით ისე იყო გართული, მომერდა, მყუდროება არ დავურღვეო-მეთქი. მივდექი კუთხეში და ჩიკოს უხმოდ მივაკვერეს. სწორედ ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა: ქარლოსმა მაგიდას ხელი დაჰკრა, გაზეთი გადაფხრიწ-გადმოფხრიწა და ფრიალ-ფრიალით მოისროლა. გავიფიქრე, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი და დაბნეული კედელს ავეკარი. ჩემკენ არც მოუხედავს, ერთხანს მაგიდას დაჰყურებდა წარბშეკრული, მერე გულამოჯდარმა ამოილაპარაკა:

— საამურად ვიცხოვრობ მე?!

სწორედ ამ დროს ჩიკომ თითზე კბილი მომახვედრა, მეც თავი ვერ შევიკავე და წამოვეყვირე. მასწავლებელმა გაკვირვებით შემომხედა:

— აქა ხარ, ბიჭო, შენ? როდის შემოხვედი?

— გაზეთს რომ კითხულობდით, — წამომცდა.

შეეტყვე, არ ესიამოვნა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე გაღიმებული მოიბრუნდა და მითხრა: რაღაც ეშმაკად, ფრამატულ წრეში ჩავეწერე და ახლა წავიკარჯიშე, ერთი პატარა სცენა გავითამაშეო.

...ოთახის დათვალიერებისას ყველაზე მეტად დამაღონა პიჯაკისა და შარვლის დანახვამ, საკიდარზე რომ ეკიდა. ფეხსაცმელიც იქვე ეწყო... „ნუთუ საშინაო ტანსაცმლით წაიყვანს?“ — გავიფიქრე და პიჯაკს ხელი შევახე. ვიგრძენი, გულში თითქოს ძარღვი ჩამწყდა.

კარადაც გამოვალე. ყურადღება მიიქცია ლამაზყდიანმა სქელმა წიგნაკმა. გამოვიღე და კითხვას შევუდექი. გაკრულად იყო ნაწერი, მაგრამ ასოები კოხტად გამოყვანილი ჩანდა, ადვილად იკითხებოდა. პატარ-პატარა ამბები თუ შთაბეჭდილებები დღეების მიხედვით მისდევდა ერთმანეთს.

წიგნაკი ის იყო უნდა დამეხურა და თავის ადგილას დამედო, სამწუხაროდ, ბოლო ფურცლებიც გადავშალე. ერთგან თვალში მომხვდა მამაჩემის სახელი. გამეხარდა, ერთხელ რომ წავიკითხე, კიდევ დაუბრუნდი: „ვარლამ ქველაძეს შეეხვდი, ხარ-ურმით მოდიოდა. გამოველაპარაკე. მიყვარს მასთან საუბარი. ენაკვიმატი კაცია. ისეთ იგავ-არაკსა და სხარტულას შემოგაპარებს, რომ გაშორდები, მერეც ფიქრობ: ეს რა მითხრაო. ამ შეხვედრაზეც იქარაგმა: ადრე თუ გვიან, კიტასაც დაუდგება შავი დღე, ცოდვებს გაუხსენებენ, უდანაშაულო მსხვერპლს მოჰკითხავენო... მგონი, სკოლის კარი სულაც არ უნახავს, ზოგიერთ დოცენტსა თუ პროფესორზე აზრიანად კი ლაპარაკობს... ბიჭიც კაი ეზრდება. თუ ხელისშეწყობა ექნა და რიგიანად აღიზარდა, ნამდვილად ივარგებს. ყურადღებას არ მოვაკლებ“.

მამაჩემს წაუკითხავ, გაუხარდება-მეთქი, გავიფიქრე და წიგნაკი უბეში ჩავიდე.

ოთახის თვალიერებაში ისე გავერთე, გასაჭირი თითქოს გადამავიწყდა. ეს სულ ცოტა ხნით. გულისხმაში მალე ჩავარდი და დალუქულ სახლზე ფიქრი ისევ შემომეწინო. სულ მალე კუჭმაც თავი შემახსენა. სკოლაში დროულად წასვლა რომ მომესწრო, უკვე რვა საათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსაუზმობდი ხოლმე. ახლა კი მეტი თუ არა, ცხრა მაინც იქნებოდა.

დავჯექი სკამზე და ჩიკოს გამოვეს-უბრე:

— გშია, ჩიკო?

თავი გააქიცინა, არ მშიაო.

— მე მშია...

თითქოს თანამგრძნო, დაიწკმუტუნა და ადგილზე ცმუკვა დაიწყო.

— ჩიკო, ვითომ გვეშველება რამე?

თავი დამიქნია, გვეშველებაო.

— ყიჩად, ჩიკო, იმედიანი რომ ხარ, მიტომ მიყვარხარ, შე კაცო! — მოეხვივ ხელი და გულში ჩავიხუტე. ამ დროს გარედან ხმაური მომესმა. მივირბინე კართან და გასაღების ღრეჭოში გავიჭიტე. ცხენებზე ამხედრებული ორი კაცი ჭაშკარს მოადგა, მკვირცხლად ჩამოხტნენ, აღვირები იქვე, ლობეზე მიამაგრეს და ეზოში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდნენ. ერთი მათგანი კაკლის მოსარეკი ჭოკივით იყო აწოწილი, მეორე კი შედარებით დაბალი და ტანჩადგმული ჩანდა.

ეონებაში საშინელმა აზრმა გამიელვა: „მეგობრებმა გამცეს, ჩემი ამბავი ვიღაცას გააგებინეს, იმ ვიღაცამ კიდევ ჩეკისტებს აცნობა“.

შიშით და ნერვულობით მუხლები მომეკვეთა. რომ არ წავქცეულიყავი, იატაკზე ჩავჯექი. ჩიკოს ეგონა, მეთამაშეაო და გულზე შემომახტა. ხელი ვტაცე და მოვისროლე. პირველად იყო, ჩიკოს რომ ვაწყენინე, საცემად გავიმეტე. ამასობაში კარზე ხრაგუნიც მომესმა, ჩანდა, ლუქის ახსნა დაიწყეს. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ლოგინამდე მივფოფხდი, ჩავწექი და საბანი წავიფარე. კიდეც შემოვიდნენ. ჩიკომ უცხო სტუმრებს შეუტია, მაგრამ ყეფაზე ეტყობოდა, მალაც ეშინოდა, ჩემი არ იყოს.

— ვაპ, ამას აქ რა უნდა?! — შესძახა ერთმა.

— მემკვიდრე დაუტოვებია, — იხუმრა მეორემ.

ერთმა ჩეკისტმა ჩიკოს იატაკზე ფეხი დაურტყა:

— დატ!..

ჩიკო შეშინდა, მიშველეო, ჩემკენ გამოიქცა, შემოხტა ლოგინზე და თათებით საბანს დაუწყო პოტნა, თან საწყალობლად წკმუტუნებდა.

სტუმრებმა რაღაც გადულაპარაკეს ერთმანეთს.

— დაგვნებდი! — დამყვირა მკლერმა ხმამ.

— გამოდი, თორემ გესვრი! — ხმა გაბოხდა, ჩანდა, ახლა მეორე სტუმარი მფრთხილებდა.

გავშეშდი, მინდოდა საბანი გადამეწია, მაგრამ ხელი ვეღარ გავანძრიე.

— გესვრი! — კვლავ გაისმა ბოხი ხმა.

— მოიცა, მელქო, აქ რომ სულიერი იყოს, ხომ უნდა სუნთქავდეს?! — ეჭვი გამოთქვა მეორემ და საბანი ზედ ცხვირთან გადამიწია.

თქვენს მტერს, მე რომ დღეში ჩავვარდი: ერთსაც და მეორესაც ნაგანი ეჭირაო ხელში, ჩემკენ მომიზნებული.

— არ მეკრილოოთ! — ვილრიალე და ლოგინზე წამოვჯექი.

— ნუ გეშინია, ბიჭო! — თავზე დამადგა მაღალი კაცი. ნაგანი უკვე აღარ ჰქონდა ხელში, სად მიმალა ისე უცებ, ვერ შევამჩნიე.

დაბალი გრაფინს ეცა, ჭიქაში წყალი ჩაასხა და მომიტანა:

— დალიე, ბიჭო!

— არ მწყურია, ბიძიაა! — ამოვთქვი სლუკუნით.

— დალიე, დალიე, რომ გეუბნებიან! — გამიწყრა მაღალი. ჩამოვართვი ჭიქა, მაგრამ სანამ პირთან მივიტანდი შიგ წყალი აღარ შემრჩა, ხელი მიკანკალებდა. დაბალმა ისევ გაავსო ჭიქა და ახლა თავისი ხელით დამალევინა, მერე მხარზე ხელი მომკიდა, ლოგინიდან გადმომყვანა და მისაყვედურა:

— რამ შეგაშინა, ბიჭო, შენ ვინ რას გერჩის?! ვისი ხარ?

— ვარლამ ქველაძის.

— აა, ვარლამისა ხარ?! — გაიკვირვა დაბალმა.

— კეცი გვარზე ხტის, — დუმატა მაღალმა და მერე უბეზე ხელი წამაკრა:

— რა გაქვს?

— არაფერი... ის, — ამოვილუღლუღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანახე! — მიბრძანა, მაგრამ არ დამელოდა, ხალათი თვითონ ამომიშალა. წიგნაკი იატაკზე დავარდა. მან აიღო, გადაშალა და გაბრაზებით თქვა:

— იმ გარეწრის დღიურებია!

— ვაჰ, — გაიკვირვა დაბალმა. — ამ ბაღანას მისი დღიურები რად უნდოდა?!

დავაპირე, ვეტყვი, წიგნაკი რისთვისაც მიმაქვს-მეთქი, მაგრამ მაღალმა დამასწრო:

— ფიქრი ნუ გაქვს, მელქო, ყველაფერს გავარკვევთ. ახლა ეს ბიჭუნა შინ გავუშვათ, ცოდვაა, ამხელი შიში ჭამს.

მათ ეგონათ, ალბათ, რაკიღა შინ წასვლის ნება დავრთეთ, ადგილიდან მოწყდება და სირბილით გავარდებაო. მე კი ვიდექი ზამთრის ბელურასავით მიბუზული და თვალებს საწყალობლად ვაცეცებდი. თქმას ვერ ვბედავდი, მხოლოდ გამშრალ ტუჩებს ვაწვალებდი.

— თქვი, რა გინდა, ბიჭო? — მკითხა დაბალმა.

— ძაღლს წავიყვან, — ამოოხერილ როგორც იქნა. წაიყვანეო, დამთანხმდნენ.

სანამ ძაღლს ავიყვანდი და ოთახიდან გავიდოდი, მათი ხმა მომწვდა:

— როგორაა გამჭვარტლული, ბუხრიდან ჩამოუძვრენიაო!

— აქ მავე ხელი ურევია, არ უნდა ლაპარაკი!

— დავდგენთ და ვუტირებთ დედას!..

კიდევ თქვეს რაღაც, მაგრამ აზრი ვეღარ გამოვიტანე. გამოვედი შარაგზაზე და ეონებაში „ეუტირებთ დედას“ მიტრიალებდა, ოღონდ ვერ ვხვდებოდი, მუქარა მარტო ქარილოს მასწავლებელს ეკუთვნოდა, თუ მამაჩემსაც.

დალუქულ სახლს კი დავუძვერი, მაგრამ გული მანც უსიამოდ მეკუმშებოდა: რა მექნა, ჩემიანებს, რა პირით შევხვედროდი?

შინ მხოლოდ ნაშუადღევს გავბედე მისვლა, ხათრიანად მივიბუზე და შუა ეზოში დავდექი, ჭიშკარი კი ღია დავტოვე. მამა არ დამხვდა შინ. ბებიამ სალალათთა რომ დამინახა, მოცუხცუხდა, გულში ჩამიკრა და მერე საყვედურებით ამავსო, ეს რა გვიყავი, შიშს ცახცახით გაგვათენებინე, სული რავარლა შეგვრჩა, მეკვირსო. გამეტებით არც დედას ვუცემივარ, სიხარულით იყო თუ სიბრაზით, თვალებზე ცრემლები მოადგა და ერთი ორჯერ მომიტყაპუნა საჯდომზე ხელი, თანაც დამემუქრა, მოვა მამაშენი, ისეა გაბრაზებელი, ტყავს გაგაძრობს და ცემით სულს ამოგზდისო.

ნეტავ, საბრალო მამას ჩემთვის, მართლაც, ტყავი გაეძრო და სულიც ამოეხადა, ოღონდ იმ ღამეს სატანის დაგებულ მახეში არ მოხვედრილიყო... ვიფიქრე, რა პირით შევხვდე-მეთქი და ადრიანად დავწექი. დაღლილს და ნანრვიულევს ღრმად ჩამძინებოდა. თითქოს უაზრებია, უბედურება მელისო, მამა რომ დაბრუნებულა, ჩემს ლოგინთან მოსულა, ერთხანს გაღიმებული დამყურებდა თურმე, მერე დახრილა და უკოცნია. ნაშუადამევს კი მოთქმამ და ყიოკობამ გამომაღვიძა. ბებია თავში ხელებს იცემდა და ცრემლებად აღვრებოდა, დედა კიდევ უარეს დღეში იყო... გველნაკბენივით წამოვხტი. მამაშენის აღარ შეგეშინდება აწი, წადი და იხეტიალე შენებურადო, მომახალა დედამ ცრემლების ყლაპვით. დედას გვერდი ავუარე და ბებიას მივვარდი:

— რა მოხდა, ბებო?

— მამაშენი წაიყვანეს, შვილო, ვაი ჩემს სიცოცხლეს!

მე დალუქული სახლი და მისი მოულოდნელი „სტუმრები“ წარმომიდგა თვალწინ. მთელ ტანზე ცეცხლი შემომენთო, დავემხე ლოგინს და აკვნითინდი.

4

უკვე სტუდენტი ვიყავი, მესამე კურსზე ვსწავლობდი. ზამთრის არდადეგები დაგვეწყო და სოფელს მივაშურე, დედას დარდ-ვარამი შევუმსუბუქე. ბებია აღარ მყავდა, ორი წლის წინათ გარდაგვეცვალა. ჰოდა, ერთ მთვარიან ღამეს, ცა საოცრად მოკრაიალებული რომ იყო და ყინვა ქვას ხეთქავდა, მოღუღუნე ბუხრის პირას ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. დედა დერეფანში გავიდა, იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწყობილი შეშის შემოტანა უნდოდა, ცეცხლს გავაძლიერებო. უშეშოდ შემობრუნდა შეცბუნებული და ერთგვარი შიშით გამიმეცადინა: ჩვენს ჭიშკარს ვიღაც კაცია გადმოყუდებული და აქეთ იყურება. მთვარის სინათლეზე გავაბიჯე, ერთი ორჯერ კიდეც ჩავახველე, მაგრამ არ გამომეხმაურა. გადი, შენც დაეხვევ, ოღონდ ახლოს კი მიეკარო, ვინმე მოგზავნილი არ იყოსო. გავედი. ერთხანს სახლის წინ ვიდექი, მეგონა, გამომელაპარაკება-მეთქი. გაგიგონია, კრინტსაც არ სძრავდა. მივუახლოვდი, საღამო მშვიდობისა-მეთქი, მივესალმე. კელავ ღუმდა, ვამჩნევდი, დაძაბულად მაშტერდებოდა. ჩამოძონძილი „ტელეგრეკა“ ეცვა, ქუდი არ ეხურა, მთლად გათეთრებული თმა-წვერი აბურძგვნოდა და მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცოდვა გამხელილი სჯობია და შევფიქრიანდი, დავაპირე მეზობლებს დაეუძახებ-მეთქი. სწორედ ამ დროს ამოილუღლუღა ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

— ზაა-ზუნი ხარ, ბიჭო, შენე?

ზაზუნეო?! თვალები დავქარე და გულმა ბაგბაგები დამიწყო. „ზაზუნის“ ბალღობაში მამაჩემი მეძახდა. მის შემდეგ არავისგან გამიგონია. დედას და ბებიასაც არასდროს წამოსცდენიათ.

— ჰო, ზაზუნი ვარ, —ვოქვი გაუბედავად და რატომღაც ორი ნაბიჯით უკან დავიხიე.

— შვილო!.. — ამოიღუღლუღა მან და ტყვიანაკრავივით ჩაიკეცა. მივვარდი, მკლავში ჩავაფრინდი, თანაც დედას მოვუხმე. დედამ როგორც კი ხელი შეახო და დააკვირდა, იცნო. ახლა ის ჩაიკეცა... მიკვირს, რომ არ დავიბენი, თოვლი ავიღე და დედას სახეზე მივუსვ-მოვუსვი. სანამ თვალს გაახელდა, უშალ ეს ამოილაპარაკა: ციხიდან გამოიპარა, ალბათ, არავინ გაგვიგოს, დასმენენო...

მართლაც, ვაპირებდი, მეზობლებს დაეუძახებ, მომეხმარებიან-მეთქი, მაგრამ დედის გაფრთხილებამ შემაჩერა. იღბლად, მამას ჯული არ შეღონებია. ოღონდ ეგ იყო, მუხლები მოწყდა, თანაც ტანს ველარ იჭერდა, ციებიანივით ცახცახებდა. მხარში შეეუდექი და ჯერ დედა შეეიყვანე შინ, მერე მამა. ბუხარს შეშა შეეუმატე, ცეცხლი წამოვაბრიალე, მერე მამას მივხედე, „ტელეგრეკა“ გავხადე. შავი სატინის ჩამოხეული ხალათი ეცვა, ხორცი მოუჩანდა. შარვალიც ასევე თხელი, საკერებლებით დაბლანდული შემოტმასნოდა გაყინულ თეძოებზე. ძველ, ჯარისკაცურ ფარდალალა ჩექმებში ნახევრად შიშველი ფეხები მთლად გალურჯებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ფეხებს მიეხედე, მოვდექი და ჯერ ცივი წყლით დაეუზილე, მერე ენელ-ნელა თბილი წყალიც შევაპარე. ამასობაში დედაც მოღონიერდა და წამომეხმარა... მამა დაბანეთ, დავაღერიჭინეთ, თბილ ტანსაცმელში გამოვაწყვეთ, კიდეც გავალამაზეთ. ჯერ მაკრატლით გავკრიჭე თმა და წვერი, მერე პირიც გავპარსე. უჭირვეულოდ, ბავშვივით დაგვყვა ნებას, რასაც ვეტყოდით, მყისვე ასრულებდა, ოღონდ ხმას არ იღებდა. რომ ვკითხავდით რამეს, ნაღვლიანი თვალებით შემოგვაჩერდებოდა, ვერ იქნა და სიტყვა ვერ ვთქმევინეთ. მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე დროდადრო, ეს იყო და ეს!

ვიფიქრე, ღვინო მოაგუნებებს და ენას აუხსნის-მეთქი, გავედი მარანში, ბოციდან ღვინო ჩამოვასხი და სავახშმო სუფრაზე სავსე ღოქი შემოვდგი. შევატყვე, გაუხარდა, დოქს ხელი მიუსვ-მიუსვა, თითქოს მოეფერა.

ჭიქებში ღვინო ავაკამკამე და თამადობას შევუდექი. შეეცადე, ისეთი სადღეგრძელოები მეთქვა, მამის ტანჯულ გულს მალამოდ რომ მოეცხებოდა. ორი ჭიქა უხმოდ დალია. ღვინო დიტყო, სახეზე მოფერიანდა, წარბებქვეშ მიკარგული თვალები გამოაჩინა. მესამე ჭიქით ზოგადი სადღეგრძელო წამოვიწყე, სამართლიანობაზე ჩამოვაგდე სიტყვა. მამა აქამდე საჭმელს ეტანებოდა და თითქოს უგულისყუროდ მისმენდა, ახლა კი იდაყვს დაეყრდნო და თვალგაუტეხლად დამიწყო ყურება. სადღეგრძელო რომ დავამთავრე და ის იყო ჭიქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავცალე, მან უცებ სვენებ-სვენებით ამოილაპარაკა:

— ზაზული, რამხელა გაზრდილხარ შენ! პატარა ბიჭი იყავი, სათევზაოდ გეპარე... ძირული ადდებული იყო მაშინ...

— მადლობა ღმერთს, — შენი ხმა კიდევ რომ გავიგონე! — გაიცინა დედამ, თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ქმარს პირველად მოხვია ხელი და აკოცა. წამოვდექი და მეც ეაკოცე, თანაც ჭიქები შევავსე. სწორედ ამ დროს დერეფნიდან ჩვენი კატის კნავილი გაისმა. დედა წამოდგა და კარი გაუღო. მამას კი შევამჩნიე, კნავილი რომ გაიგონა, სახე რაღაც უცნაურად დაეღრიჯა და თვალები დაექანა. მაგრამ იმას რას წარმოვიდგენდი, რაც შემდეგ მოხდა... კატა რომ შემოცუნცულდა და სუფრას კნავილით მოუახლოვდა, მამა წამოხტა და წიხლი ჰკრა, თან გინებაც მიაყოლა. საცოდავმა ფისუნამ კართან მოადინა ზღართანი. მამა მივარდა, უნდოდა ხელი ეტაცნა, მაგრამ კატამ წამოდგომა მოასწრო და ჩემკენ გამოიქცა, იქნებ მიშველოსო. მეც არ დავიბენი, კარი გავაღე და გაქცევის საშუალება მივეცი. მამა მიჰყვა და მანამ მისდია, სანამ იგი თვალს არ მიეფარა.

„მეგონა, ფეხზე დგომა უჭირს-მეთქი და ეს რა ქნა?! საოცარია საიდან გაუჩნდა ამდენი ძალა, კატის დევნაში რომ გამოამეღავნა". — გავიფიქრე და დედას გადავხედე. ის კიდევ უფრო გაკვირვებული ჩანდა.

რომ შემობრუნდა, მამას მთელი სხეული უთრთოდა და კარისკენ ისე სახეძოქუფრული იყურებოდა, თითქოს მოსისხლე მტერი მოიშორა, მაგრამ მისი თავდასხმის შიში ისევ აწუხებსო.

— რა იყო, მამა, კატამ გაგაბრაზა?! — შევბედე და ნაძალადევად გავუღიმე.

— კატამ დამღუპა მე, — თქვა და ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლა.

— რა გვეშველება, მგონი აურია! — ყურთან პირი მომატანა დედამ. მის ჩურჩულს ყურადღება არ მივაქციე, მივედი მამასთან და მხარზე ხელი მოვუთათუნე:

— მართლა კატამ დაგღუპა, მამა?

— ჰო, კატამ დამღუპა, კატამ ამირია დაწყობილი ცხოვრება!

— გვითხარი, როგორ დაგღუპა, რა დაგიშავა და მერე მე ვიცი, კატის სინისლას არ გავუშვებ, მოვსპობ, გავანადგურებ! — ხმას ავუწიე და სახეც სერიოზული მივიღე.

მამამ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინია, ხომ არავინ მისმენსო და რაღაც იდუმალი ხმით დაიწყო:

— გამიყვანეს დაკითხვაზე. გამომძიებელი სქელი, ჯმუხა კაცი იყო, შავი ულვაშები ჰქონდა. მელქოს ეახდნენ. მეუბნება:

— ხომ თქვი, კატას, როცა იქნება, თავისი ცოდვები მოეკითხებაო?

— ვთქვი.

— კატაში ვინ იგულისხმე?

— კატა ვიგულისხმე, სხვა-ვინ უნდა მეგულისხმა?

სტყუიო, მომდგნენ, მცემეს, ჭეკეს: მუშტებით, ჩექმებით, ქამრებით... მერე წამათრიეს და ჯურღმულში შემაგდეს. მეორე დღეს, ცოტა რომ მოვსულიერდი, ისევ გამომიყვანეს:

— კატაში ვინ იგულისხმე?

— ხომ გითხარით, კატა ვიგულისხმეთქი?..

სტყუიო, კიდევ მომდგნენ, მცემეს, ჭეკეს, სისხლი მადინეს, მიმასულმკვდარეს... შემდეგ ისევ ჯურღმულში შემაგდეს. ფეხზე დგომა რომ შევძელი, ისევ დამკითხეს:

— კატაში ვინ იგულისხმე?

— არავინ...

— სტყუი, ბერია იგულისხმე! მოგვიწერე ხელი, თუ გინდა გაპატიოთ...

სხვა რა გზა მაქვს, ვაწერ ხელს... ვაი, თქვენს ვარლამს!..

ეს ყველაფერი ისე თქვა, თითქოს დაკითხვა იმ წუთს მიმდინარეობდა. ერთი წერტილი ამოეწერეთინა და თვალსაც არ ახამხამებდა, ისე ლაპარაკობდა. დროდადრო ხმას აუმაღლებდა ხოლმე, მერე ისევ დაუწევდა. რომ დამთავრა, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუჩდა. ჩვენც კრინტს ვერ ვძრაავდით. დუმილი ისევ მან დაარღვია, მუხლზე ხელი გაბრაზებით დაირტყა:

— კატამ დამღუპა და დამაქცია!

შევეცადე საუბრის თემა შემეცვალა, მაგრამ მამა ვერ ავიყოლიე. ან დუმდა, ანდა ისევ კატას გაიხსენებდა, შერე კი ისევ ხელახლა დაკითხვის ამბავს დაიწყებდა იმავე სიტყვებით, იმავე თანმიმდევრობით.

...როგორც კი დაწვა დასაძინებლად, შფოთვა და ბორგვა დაიწყო. მგონი სიცხე აქვსო, მითხრა დედამ. დავხედე, სახე წამოსწითლებოდა. შუბლი უხურდა. მეზობლად ექთანი ცხოვრობდა. მივედი, თერმომეტრი ვინათხოვრე. ორმოცს ორი ბაზი აკლდა. ის ღამე თეთრად გავათენეთ. დილით რაიონის ცენტრს მივაშურე, ექიმი მოვუყვანე, კიდეც ვუწამლეთ. სიცხემ თანდათან დაუწია და ერთ კვირაში უკვე ფეხზე წამოდგა. ამასობაში არდადეგებიც დამიმთავრდა და ქალაქს დავუბრუნდი. ორი კვირა გავიდა და დედის ბარათი მივიღე. მწერდა: „შვილო, მამაშენი მოღონიერდა, ოღონდ მიხედა, ცოტ-ცოტას უკვე საქმიანობს, მაგრამ ავი ჩვევა ვერ იქნა და ვერ მოიშალა. ჩვენს კატას ველარ ვხედავ, მგონი მოკლა საცოდავი. ახლა მეზობლების კატებსაც დაუწყო დევნა, სადაც კი თვალს მოჰკრავს, ჯოხით მისდევს, სხვის ეზოში შესვლაც არ ერიდება. უბნის ბავშვებმა მონახეს გასართობი. აედევნებიან ხოლმე და მისძახიან: ციცუნია, ციცუნიაო. ამაზე მთლად გიჟდება, ბალღებს დედისა და მამის სულს უტრიალებს... მითხრეს, თბილისში პროფესორი სარაჯიშვილი ნერვულებს სანაქებოდ აქიმობს, ვისაც ხელი მოჰკიდა, ყველა განკურნაო. შვილო, იქნებ წაიყვანო მამაშენი და იმ პროფესორს აჩვენო“.

ბარათმა შემაშფოთა, დაღონებულმა ხელში გადავატრიალ-გადმოვატრიალე და თარიღს დავხედე. ორმოცდათოთხმეტი წლის ხუთ მარტს იყო დაწერილი, სტალინის გარდაცვალების წლისთავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ჟუთათელაძე

მეგობარს

რა გითხრა, აბა, ჩემო ძვირფასო,
რით მოვერიოთ დარდს, დროზე ხანგრძლივს,
ცივ სარკეებში თვალს ვერ ვადევნებთ,
ვით იცრიცება სინათლე სანთლის.
რა გითხრა, აბა, ჩემო ძვირფასო,
ვინ არის ნადი ამგები „საყდრის“,
ან „ღვთის“ წყალობა და შეწყალება
დღეს ვისთვის რა ღირს.
და როგორ გვალპობს ჭაობის სუნი,
ნათელს კოსმიურს რა ხშირად ვკარგავთ,
გარდასულია წარსული სრულად
და ვგავართ მზეში მზედახშულ საკანს.
რა გითხრა, აბა ჩემო ძვირფასო,
როგორ გვაკლდება სულ მისხალ-მისხალ
სურვილის თაფლი, სიგრილის გემო,
მთის წყაროსავით ანკარა სიტყვა.
რა გითხრა, აბა, ჩემო ძვირფასო,
გატიალებულ სულში ბნელდება
და რაც წლები გვაქვს, სულ ყველა ერთად
ჩამწკრივებულან წმინდა სევდებად.
ამდენ სიყალბის და თვალში ნაცრის
შეყრით განგება დაგვირჩა სახტად,
ვინც იყო გუშინ ჩვენს წინ მავალი,
ჭამა-სმითა და ქეიფით წახდა.
ჩვენს შემდეგ ბევრი მოდის მახვილით,
დაუნდობლობა მძიმე იქნება,
ტყუილი ხშირად მართალს წააგავს,
დაფლეთილია გული სიტყვებად...
ვერ მოვერიეთ დარდსა და ავდარს,
ვერ შევაყვარეთ მომავლებს ქრისტე,
თანალმობა და ლმობიერება
ახლა მხოლოდ ჩვენ გვიხეხავს კისრებს.
რა გითხრა, აბა, ჩემო ძვირფასო,
დღეს ყველას გვეჭირს: მართალს და ცოდვილს,
ვინც ჰკლავს და კვდება, აცდენს და ცდება,
მშიერს და მაძღარს, მაშვრალს და მოცლილს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც იცის ცოდვის და ლოცვის ფასი,
ვისაც სიბერე დღესაც აწამებს,
ვისაც არ უნდა იყოს ცოცხალი
და თავის ხელით ვერ ჭრის სამარეს.
რა გითხრა, აბა, ჩემო ძვირფასო,
ღმერთია ჩვენი სინდისის მოწმე,
ჩვენ დავდგეთ ასე ცოდვებახდილი
და ყველა დაშნა შიგ გულში მოგვხვდეს.

●

ლოცვა მიელავს
და ღამის დარდში
ვდია წალკოტი —
მწვანე წიაღი
გულში ამოდის
და ფესვი, როგორც
მისნის ისარი
სისხლით ირწყვება,
აღმოსვლად
ანდა
აღმოცენებად
მომზადებული მომავალი
ციატებს ცაზე...

და სულ ერთია
რა ერქმევა,
ვისი ხელი წაეშველება,
ვინ იპოვნის,
ვის თვალები დაუბრმავდება,
ის მაინც მოვა,
ეს ხომ ნებაა განგების
და მადლი უფალს,
რომ ამქვეყნად
როგორც არ უნდა ეცადის კაცი
მის არმოსვლას,
ის მაინც მოვა,
შუა გზაზე არ გაჩერდება!

●

მე — სევდიანი ნიშნების ქარი
დავსევდიანობ,
დავალ ვიდრემდე,
განწირულია ჩემი სავალი —
უთქმელ ქარაგმებს უნდა ვიმკიდე;
უნდა ვიმკიდე სიყალბის თავსხმას
და მაინც ვიდვე, როგორც ნათელში

და თვითმკვლელივით ვეძებდე ჩახმახს,
ტყვიათა წარღვნას გულთან ასხლეტილს,
ჩუმად მოსთქვამდეს ჩემი ნიბლია —
სული პატარა და უჩინარი,
მე სხვა სიმღერა არ შემიძლია,
მკერდზე გადამდის მღვრიე მდინარე.

●

ჩემს თეთრ სამოსში გამოხვეული
ველარც ვდარდობ და
ველარც ვიცინი...
შენთან სიშორე —
წლების სიცივით
მიახლოვდება
აპრილის თვეში.

თეთრი სამოსი,
როგორც სუდარა,
როგორც ნაყოფი
შავი და მრეში
ხეებს ახმება;
ჩემს სულში ახლა ტყდება სიმშვიდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამებულ სულის
    შავ-თეთრი დროშა
ფრიალებს გარეთ.
და ტკივილს ანთებს,
ანთებს და აქრობს
მონაცვლეობა
მკვეთრი და მძაფრი
დროთა და ქართა.
როცა უძლურნი მომძლავრებულნი
უკვე მძლავრებად იქცევიან,
ინაწილებენ სისხლსა და სხეულს
დაძაბუნებულ ერთ დროს ძლიერთა,
მე მენატრება ძველი ფილმები,
ან გლუვ დარბაზში
მარინისტების ნახატებზე —
ზღვა — ნაცრისფერი,
ნავი — შავი
    და თეთრი დროშა
ზღვასთან დაზავების.
მე ვუზავდები არყოფნას
და შორეთში აფრებს
    გაშლილს, მღელვარეს,
წასასვლელად
    და არმოსასვლელად
განმზადებულებს,
    თავს დაგტრიალებს
    ფიქრი ჩემი ჯერარნათქვამი,
დარდი, რომელიც ვერ ვიდარდე
და ისევ მიყვარს
შენი ზღაპრები,
რომლებსაც ახლა შავ-თეთრად ვხედავ,
რადგან შენ შორს ხარ
და ჩემდა ბედად,
    ისევ კაშკაშებ
    განვლილ მინდორზე.

●

ვიქნები ასე ძალიან დიდხანს
და აღარავის გავახსენდები,
სანამ ფრიალა თეთრ ალუბლებზე
მოფრინდებიან შავი მერცხლები.

ალბათ ვიქნები ასე ეულად
და სულ არავის გავახსენდები,
ვიდრე თეთრად არ აყვავილდება
ჩემს სამარეზე შავი ბელტები.

ბიბლიოთეკა

თამილა მაკარიძე

მოთხრობები

ეძღვნება მათ, ვინც ერთხელ მაინც დაინახა მონბლანი

ზაფხულში ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი ნაკლებად ამართლებს ამ სახელწოდებას: არის სიმრავლე მუსიკოსთა, მათი მუსიკოსი შვილებისა, მაგრამ ესენი თავიანთი დასვენების წესით არაფრით განსხვავდებიან სხვა დამსვენებელთაგან. ხანდახან თუ წაივარჯიშებს ვინმე ფლეიტაზე, ან ნახევარი საათით შეაწუხებს ფორტეპიანოს. ძირითადად, მაგნიტოფონი მუშაობს შეუსვენებლად და როკ-მუსიკა ფორტისიმოთი აყრუებს იქაურობას. ფარაღ მოსიარულე მოზრდილები, ყმაწვილები ახლა იქვე, სახლის წინ ჩამომსხდარან; უაზრო საუბრით, საღეჭისაგან დაღლილი ყბებით, ევროპულად და ამერიკულად ხელგადაბვეულები — ჩვენებური უსაქმობით არიან დაკავებული. ნადგურდებ ძვირად ღირებული, ჩვენში კი უფასო დრო და ნიჭი.

და მაინც, რარიგ ლამაზები არიან ეს ახალგაზრდები, გამორჩეულად ლამაზები, ჯიშიერნი!..

როგორც წესია, შვილიშვილებთან ერთად ვისვენებ. უფრო სწორად, მათ შობლებს ვასვენებ.

ნატუკა ექვსი წლისაა, მაგრამ ბრეგნია; ბიჭო-ბიჭო ხუთისაა და ნატასთან შედარებით გულუბრყვილოა. ნატუკა ყველაფერს ეჭვით უყურებს, ამოწმებს; ბიჭო-ბიჭოს ყველაფრისა სჯერა, მიმნდობია. თავის სახელს ამართლებს: ორმაგად ბიჭია, რაინდია.

ერთმანეთი უყვართ და ამიტომ ჩხუბობენ. ერთი აზრი არ ასვენებს ორივეს: რომელი უფრო უყვარს ბებიას. თითოეული ცდილობს ისე გაარკვიოს ეს საკითხი, რომ მეორე არ იყოს ახლომაზლო. თუ ერთს ზედმეტად შეხედე, მეორე იბუტება და მათი შერიგება ძვირი მიჯდება: უნდა მოვუყვე ბევრი რამ, წავუკითხო „ბუნების კარი“ ან ვუყიდო „რაიმე“, არა აქვს მნიშვნელობა — რა მთავარია — ორივეს ერთნაირი ვუყიდო.

ერთი ასეთი შერიგების აღსანიშნავად პლატოდან ქალაქში დავეშვით. გავუყვით ბორჯომულას ნაპირს. საცოდავი ბორჯომული! ნაგვით აუვსია მისი რიყე, უცხოდ გამოწყობილი დამსვენებლები, ბებიები და უსაქცეელო ბავშვები დსერონბენ მის ბაღმა-გამოღმა. ნფცქვენებით, ნაყინის ქაღალდებით და გამჭვირვალე პარკებით ავსებენ ბორჯომულას ისედაც შეწუხებულ ნაპირებს.

ჩემს ბავშვობაში ბორჯომში, უმეტესად, უფროსები ისვენებდნენ, ასაკოვანი ხალხი. ბავშვები — ცემში, ქვიშხეთში, წაღვერში, ახალდაბაში. შვილიშვილების სანახავად ადიოდნენ იქ ბორჯომიდან ბებიები და ბაბუები. უცხო სანახავები იყვნენ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, კბილის პასტით ფეხსაცმელგაქათქათებული, ლამაზი ჯოხებით — „ტროსტებით“ ხელდამშვენებული მოხუცი რაინდები, ბაბუები, ხელკავით რომ მიაცილებდნენ მეუღლეებს „პარკში“, ჯადოსნური „ბორჯომის წყლის“ დასალევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლამაზი „ტროსტები“ იყიდებოდა მაშინ ბორჯომში! ძველი ბორჯომელების გადმოცემით, სანატორიუმ „ფარეულს“ უკან, კლდეში ლეკებს ჰქონიათ სახელოსნო და სწორედ ისინი აკეთებდნენ საგულდაგულოდ და სიყვარულით, თავისი საქმის პატივისცემით და ხალხის საამებლად ამ ხელჯოხებს. ეტყობა, თოფ-იარაღის, ქამარ-ხანჯლის ტრფიალს ამ ხელჯოხების მოჩუქურთმებასა და მოსავდებაში აქსოვდნენ. დაეყრდნობოდი ასეთ ჯოხს და არ გიღალატებდა. ეს ბევრს ნიშნავს.

ჰოდა, ავიარეთ ბორჯომულას ნაპირი, გადავედით ხიდზე, მარცხნივ დარჩა ძველი, ოდესღაც ლამაზი, ამჟამად ავადმყოფი სასტუმროს შენობა, მარჯვნივ, ხეივნისაკენ გავუხვიეთ. კინოდარბაზის გვერდით ხალხი იყო შეგროვილი. ჩემი გონიერი ნატუკასთვის რიგი იმის მაჩვენებელია, რომ იქ რაღაც საინტერესო იყიდება. მეც იქით გამწიეს. მივედით ახლოს და გაიხარა ბებიის გულმა: დავინახე ჩემი ბავშვობიდან მოსული ძველი ნაცნობი, ბაკშვობის მეგობარი! თვალს ვერ მოაცილებდი, გულგრილად ვერ ჩაუვლიდი. სიძველის კეთილშობილური ფერი და იერი დასდებოდა. ზღაპრული ელფერით მკვეთრად გამოირჩეოდა ამ გარემოში და იდგა დედოფალივით. ზღაპრული, მაგრამ — მაინც დედოფალივით!

კორპუსი არომატული ხისა იყო. გვერდებზე ჩინელი ქალების უნატიფესი, სპილოს ძვლის პატარა ქანდაკებები ჰქონდა ჩარიგებული. ამავე მასალის დბალი, ჩინური ხეები ამშვენებდა წინა და უკანა მხარეს. მთელი კორპუსი მაღალ ფეხებზე იყო შემდგარი, რომლებზედაც მაძღარი მწვანე ფერის, მაგრამ გაქეცილი ხავერდი იყო დაშვებული, ბურუულებით გარშემოვლებული.

ამ მშვენიერებას სულ ზევით, ოთხიენ მხარეს, ადამიანის თვალების სიგანეზე, გამადიდებელი წყვილი ლინზა აქვს ჩასმული, რომლებსაც ბავშვები მიჰკვრიან და თვალს ვერ აცილებენ. უკანა მხარეს, მარჯვნივ ზის სამპათიური მოხუცი, პეწიანად ჩაცმული, მარჯვენა ხელით სახელურს ატრიალებს, თვითონაც მარჯვენა ორ ლინზაში იყურება და მათში დანახული სურათების შინაარსს დინჯად უხსნის ბავშვებს:

— პარიზი, ეიფელის კოშკი. ზევით რესტორანია.

— ბირმა. ბირმული ტაძრები.

— საფრანგეთი. სასაფლაო პერ-ლაშეზი. მონპარნასი. კაფეები ქუჩაშია გამოტანილი.

— რომი. წმინდა პეტრეს ტაძარი.

— ბიძაო! რომ იყურება მეორედ შიგ, მაგას ფული უნდა! ვერ მიყურებ, გამოწყვიდილი რომ ვზივარ ამ სიცხეში აქ? მანეთი ღირს ერთი სეანსი, აბა!

— ინდოეთი, ყველაზე დიდი, მაღალი ტაძარი. კი არ დამავიწყდა... რა ჰქვია? — და ჩვენმა მეგზურმა ჯიბეზე იკრა ხელი, სადაც მისი მოღალატე მეხსიერების პატრონს ჩაწერილი სახელწოდებები ეგულებოდა. ვერ იპოვა. ხელს ყოველ ჩაყოფაზე მანეთიანები ამოჰქონდა.

— თაჯ-მაჰალი, — მორიდებით შეეახსენე.

— გაცოცხლათ ღმერთმა! ნამდვილად თაჯ-მაჰალია. ეჰ, ასაკი თავისას შვრება, — გამოლიმა მოხუცმა.

— ამერიკა, ჰოლივუდი, კინოვარსკვლავების ქარხანა.

— ლამაზში. სრუტეა. დიდი სანაძლეოების მიზეზი. ბევრჯერ გადაუცურავთ.

— კუნძული სახალინი. ესეც ასე. დამთავრდა. შემდეგი სეანსი. აბა, ჩქარა!

ასე მოულოდნელად და პროზაულად დაამთავრა ჩვენება და თხრობა მოხუცმა. ბავშვები კი მაინც არ შორდებოდნენ ადგილს.

უსმენდნენ ფინურ კაბებში, უნგრულ ადიდასებში, თურქულ ქოშებში გამოწყობილი პატარები ბაბუას, რომელიც მანეთს ითხოვდა ასეთი ეგზოტიკური მოგზაურობისათვის და გამახსენა... ორმოცი წლის წინანდელი „ალექსანდროვის“ და „კიროვის“ ბაღი, ლინზებზე მიკრული იდაყვგამოხეული „ფორმიანი“ მოსწავლეები, მუხლებზე საკერებელდადებული, ფეხსაცმელმობლანდული —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ კაპიკად რომ მოგზაურობდნენ ბადენ-ბადენში, პარიზში და სად არა.

უტელევიზორო, უვიდეო თაობა, რომელმაც ეკოგრაფია წიგნებითა და რუკებით ფრიადზე ისწავლა, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში ილუზიებით ცხოვრობდა, მოგზაურობდა ისეთ ქვეყნებში, სადაც მაშინ ვერც ერთი ვერ იფიქრებდა მოხვედრას. ამ ბავშვებს ცომბირს იქით მოგზაურობა ვერ წარმოედგინათ, რადგანაც მათი მშობლების მოგზაურობა, ძირითადად, ცომბირთან იფარგლებოდა, ხოლო იმიდან — გერმანიიდან მოსულ წერილებს არაფერი ჰქონდათ საერთო იმ ზღაპრულ ბერლინთან და იმ ცხოვრებასთან, რასაც კიროვის თუ „ალექსანდროვის“ ბაღში აჩვენებდა რუბენა თუ სანდრო ბიძია.

— მონტე-კარლო, მდიდრების კურორტი. მილიონერები ისვენებენ.

— პარიზი, კაფე. მილიონერების ცოლები ყვავა სვამენ.

— იტალია, ქალაქი პიზა. პიზას კოშკი. ასე დახრილი აშენდა. ახლაც დახრილია. არ ეცემა. ისევ დგას.

— აფრიკა. აქლემების ქარავანი. ულაბნო. აქლემები ერთკუზიანებიც არიან და ორკუზიანებიც.

— ინგლისი. ლონდონი. დედოფალი ცხენით სასეირნოდ გამოსულა.

— იტალია. ვატიკანი. რომის პაპი აქ ცხოვრობს.

— მილანი. ლა-სკალა. ცნობილი ოპერის თეატრი. გამოჩენილი მომღერლები მღერიან.

— ესეც მონბლანი. მორჩა, სეანსი დამთავრდა. აბა, წადით, სკოლაში დაგაგვიანდებათ. მერე თქვენი დირექტორი მე მიჩივლებს.

ბავშვებიც უჯერებდნენ მას, ვინც უმამობის ხანაში მათი დამრიგებლობა იკისრა.

და აი, ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის შემდეგ კვლავ შევხვდი ჩემი ბავშვობიდან მოსულ საოცრებას და ახლა აქ, ბორჯომში, ლინზებზე აკრული ეჭვასავით ალბათ არც ერთ ბავშვს არ უხაროდა ასე ამ სურათების ნახვა და, რაც მთავარია, მეგზურის კომენტარების მოსმენა. ბებიასათვის ეს სურათები „ვიორონცოვის“ მოედნის, მალაზია „ბოგ-ცის“, მისი იქნებ გაჭირვებული, მაგრამ მაინც მშვენიერი ბავშვობის მოგონება იყო, ბავშვებისათვის კი, ალბათ, მხოლოდ გადიდებული სურათები.

პლატოზე ვბრუნდებოდი — გაახალგაზრდავებული, გახალისებული. ერთ-ერთ სულ ქონდა ვინმესთვის გამეზიარებინა ამ მოულოდნელი შეხვედრის სიხარული. დამსვენებელთა ერთ ჯგუფს მიეუახლოვდი და მოჭარბებული ექსპრესიით მოვყევი, რაც გადამხდა. სახელი რა ერქვა იმ აპარატს, ვერ გავიხსენე, ვერც სხვებმა გაიხსენეს. ვიღაცამ თქვა, მაგ აპარატს უწინ ბრონოგრაფი ერქვა და რევოლუციამდე პორნოგრაფიულ სურათებს უჩვენებდნენო. რევოლუციურმა მორალმა შეცვალო სურათების შინაარსი.

ჩემთვის სულ ერთია — რაც ერქვა. ძველი ნაცნობის ნახვით გახარებულს სახელის გახსენება არ გაგჭირვებიათ? მეც ასე დამემართა. მთავარი სახელი არ იყო, მთავარი — მისი დაბრუნება იყო წარსულიდან. მოხუცებმა ძილის გაფრთხრობა იციან და ჩემს უძილო ღამეებს ეს რემინისცენციებით სავსე ღამეც დეემატა.

მეორე დღეს საგზურების ვადა მთავრდებოდა. მთელი დღე ისმოდა მანქანების გრიალი. ახალგაზრდები ეშშვიდობებოდნენ ერთმანეთს. იყო კოცნა, ტელეფონების ნომრების ჩაწერა. ბოლოვლა ტყეში ნამვი — წინა ღამეს, გამოსათხოვარ ვახშამზე ანთებული და დანახშარებული.

დამთავრდა დღე; სიწუმე და ბინდი ერთად ჩამოდგა. აღარ ჩანს გუნდი ჩვენი უზნეო, ლამაზი ბავშვებისა. აღარ

ისმის სიბნელეში მათი კისკისი, ყვირილი, დასაცავლად გამზადებული ხმების ღრიალი.

პატარებს მშვიდად ეძინათ, ალარ აწუხებდათ მოზრდილების ხმაური.

დაფრთხა გული. შეშინდა. ცოდნა-წყნარე დადგა ამათ გარეშე. დადუმებული სიწყნარე. ღმერთმა ნუ ქნას ასეთი სიჩუმე.

ესეც მონბლანი!

ცოტაოდენი მამაზე ანუ სულს ასე სურს

პარმენი ექსმთავარი ექიმის ექსმძღოლი გახლავთ. ამჟამად საავადმყოფოს ჭიშკართან დარაჯობს. თუმცა არც შემოსულს უშლის ვინმეს და არც გასულისას ეღობება წინ. რამდენი წლისაა პარმენ ბიძია — არ ვიცი. არავინ იცის მისი მეუღლისა და კადრების განყოფილების უფროსის გარდა. ვიცი მხოლოდ, რომ მამაჩემთან მეგობრობდა და ეროვნული უყვარდათ. ამიტომ მეც მიყვარს პარმენი. ჩემს თვალში არც შეცვლილა ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც მას ვიცნობ. მხოლოდ თბილმა ტანსაცმელმა ამატა მისი „კოსტიუმის“ ქვეშ — ფერდების დასთბობად, ფილტვების დასაზოგად.

საავადმყოფოს ეზოში შემოსულს ხელს მართმევს, ორივე ხელს, თან მიდიმის და გულს მიხარებს:

— ასე მგონია, მამაშენს ვართმევ ხელს. რაფერ უხდებოდა ამ ეზოს, როს შემოვიდოდა. რა სალამი იცოდა, რა კარგს გეტყოდა, გასიამოვნებდა, გაგიღიმებდა. სადღაა ამისთანა ხალხი? წავიდნენ კარგები. ხურდა დარჩა, ხურდა, რავარი კაცი იყო, პეწიანი!

მართლა პეწიანი იყო ცხონებული მამაჩემი. ყველაფერს მოიხდენდა. მის ტანზე უბრალო ძვირფასად მოჩანდა, ძველა ახლად გამოიყურებოდა. სილამაზის ფასი იცოდა. ლამაზი — ყველაფერი მოსწონდა. ქალიც. მაგრამ ვიგლახად ამას არ შეიმჩნევდა. შინაურს და ახლობელს მოწიწებით ექცეოდა.

— სხვის ცოლს უნდა მოერიდო, უშნოდ და ზედმეტად ხელი არ უნდა მოჰკიდო. არაფერი წესია ეს. თუ ქალი მოგწონს, არსებობს სხვა ხერხები ამის გასამჟღავნებლად, — იტყოდა ხოლმე, თუმცა ამ ხერხების შესახებ ლუმილს არ ჩვევდა.

ასე იყო თუ ისე, გამიგონია, საშა მაკარიძე ქალებში დიდი მოწონებით სარგებლობდაო. ლამაზად გამოიყურებოდა ყოველთვის, ლამაზი შეხვედრა იცოდა და ასევე ლამაზი დამშვიდობება. ჯიშიერება ჩანდა მის ყოველ მოძრაობაში.

კონფერენციაზე რომ დაჯდებოდა და ფეხს ფეხზე გადაიდებდა, ჩემი ახლობელი პროფესორი ქალი ჩამიჩურჩულებდა ხოლმე:

— შეხედე, შეხედე, რა ლამაზი ტერფები აქვს მამაშენს. მაინც რა სხვანაირი კაცია!

ეს „სხვანაირობა“, ეს თავისებურება და განუმეორებლობა იყო, რაც ამ ულამაზო კაცს „ალასიკურად“ ლამაზი მამაკაცისაგან განასხვავებდა, თანაც არ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

— საქმე სწორ ნაკვთებში კი არაა; მთავარია, სიმპათიური უნდა იყო, — ხშირად მეტყოდა ხოლმე დამშვიდების მიზნით, როდესაც ჩემი გარეგნობის გამო დავიწუწუნებდი.

სიმპათიური კი ნამდვილად იყო.

ერთხელ, თერჯოლაში ეზოში, ნიგვზის ხის ქვეშ ვიჯექით. საღამო იყო, ალერსიანი საღამო. ვმუსაიფობდით.

— საშა ბაბუ! რა დიდი ცხვირი და რა დიდი ყურები გქონია, ახლა შეგამჩნიე, — უთხრა მოულოდნელად ჩემმა ქალაშვილმა, თამუნამ.

— რა უშავს, თამუნა! ეს არაფერი. რამდენ ლამაზ ქალს და რამდენჯერ ეკონცნო ამ ყურებზე, იმდენი სიცოცხლე, თქვენ და ყველა ახლობელს, — დაამშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მამაჩემმა და თამუნაც კმაყოფილი დარჩა, რომ ბაბუა არ ინაგრებოდა.

მამასთან ყოფნა ყოველთვის საინტერესო იყო. მოგონებებით გაგართობდა. მოსაყოლი ბევრი ჰქონდა, ათას ამბავს გაიხსენებდა. თბილისიდან თერჯოლამდე ყოველი ხე, მდინარე, მოსახვევი რაღაცასთან ან ვიღაცასთან იყო დაკავშირებული. აქ მდინარეში კინაღამ გადავარდა, იქ ვიღაცამ რაღაც თქვა, აქ ითვეზავა და ასე, რამდენი...

უკანასკნელი სამი წელი შეუძლოდ იყო, მეხსიერებამაც უმტყუნა. მაგრამ ცდილობდა ვაუკაცური იერი შეენარჩუნებინა. გარდაცვალებამდე ექვსი თვით ადრე ბარძაყის ძვალი მოსტეხდა და მალე, ძალიან მალე იგრძნო თავისი მდგომარეობის ტრაგიზმი. ერთი კვირის შემდეგ მითხრა:

— იწამე ღმერთი, მომეცი რამე, რომ გავთავთო ყველაფერი. ჩემი ასე ყოფნა არ ივარგებს. ჩემი გასაცოდავება არ შეიძლება.

— კი მაგრამ, მამა, რატომ მიმეტეტა ასე! რაღა მე შემარჩია ამ ავი საქმისათვის, რა მემჩნევა მკვლელის? — ვუპასუხე, თან სიბრალულის ცრემლები ვასდრობდა. წინ ბავშვივით უსუსური მამა მეწვა და ამ უსუსურობამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა.

დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, სამი წლიდან, ისეთ უშვილო მამიდა-ბიძასთან ვიზრდებოდი, რომ მოყვარეობაც კი შეშურდებოდა. კეთილშობილებია, განათლებით, კაცთმოყვარეობით ბევრი ვერ შეედრებოდა მათ. მამიდა სამშობლოდ მიწევდა და ათმაგ მამობას — ბიძა. მაგრამ იყო საღაც მამაჩემი, ახალგაზრდა ქვრივი, რომელმაც შვილი საიმედო ხალხის ხელში დაგიუა და თავისი პირადი ცხოვრების მოწყობისა გახლდათ დაკავებული.

მთელი ჩემი ბავშვობა მამაჩემის ლანდის ალერსს ვუნდებოდი, მის ძოლოდინს.

— კვირას მოვალ და წაგიყვან! — დაპირდებოდა.

კვირას, დილადანვე შევჯდებოდი ფანჯრის რაფაზე, ჩამოეფარებდი ფარდაც და ველოდი. დაღამდებოდა და არავითარ ძალას არ შეეძლო ფანჯრიდან ჩემი ჩამოყვანა: იქიდან კიბე მოჩანდა, საიდანაც მამა უნდა ამოსულიყო. მხოლოდ დაძინების დრო წყვეტდა ჩემს მოლოდინს და ძაიძულებდა დამეტოვებინა იმედისა და საყვარულის საოთალთალი. გული მწყდებოდა და მაინც არ ვემდუროდი. მიყვარდა მამა უსაზღვროდ და მრცხვენოდა ამ საყვარულის გამეღავნებისა. ბიძაჩემისა მრცხვენოდა და მერიდებოდა, — კაცის, რომელიც სულს არ იშურებდა ჩემთვის, უფრო მეტად მაინც მამა მიყვარდა. ვინმეს რომ ეკითხა, ვისთან არ ჩვენ ცხოვრებასო, ბიძასთან ვამჯობინებდი უთუოდ. მაგრამ მამა სხვა იყო და მას, როგორც ზეიმს, ისე ველოდებოდი.

მერე, ვვიან მოვიდა ჩემთან მამაჩემი, ვისაც ასე დიდხანს ველოდებოდი ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი. ერთად ვმუშაობდით. ამან დაგვაახლოვა. ჩემზე კარგს რომ იტყოდნენ, ეამაყებდა, ჩემს შეცდომას მძიმედ განიცდიდა, გულთან ახლოს მიჰქონდა.

სამსახურში მისვლისთანავე დამირეკავდა:

— ჩამოდი ერთი, თუ არ დაგირეკე, არ უნდა ჩამოხვიდე? — ისე, თითქოს მე და ფანჯარა არც ვარსებობდით...

ჩავდიოდი მასთან, კაბინეტში. მომიყვებოდა ყველაფერს, რაც აწუხებდა, ჩემს აზრს ითხოვდა; წყენას გამიზიარებდა. თვითონ განთავისუფლებოდა, მე კი განცდებით დამტვირთავდა. ერთ-ორ რჩევას მომცემდა, ერთ-ორ ამბავს ძველს მოიგონებდა, ცოტას წაიტრაბახებდა (ხანდახან იცოდა, შემინდოს) და დავცილდებოდით ერთმანეთს. ასე იქცა მოგვიანებით მამაჩემი ჩემს მეგობრად, ძმად. შვილად. ასეც ხდება.

რა ექნა ახალგაზრდა კაცს? მოაწესრიგა თავისი პირადი ცხოვრება. მშვენიერი ოჯახი შექმნა: ერთგული ცოლი, წესიერი შვილი, კარგი რძალი, ჭკვიანი შვილიშვილები (ჩემი — არ ითვლება). მოათავა, მოაგვარა ყველაფერი: პირადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაც, სამსახურიც, ყოფითი კეთილმოწყობაც.

მამამ შვილსო, ასე ამბობენ, სახლი და სახელი უნდა დაუტოვოსო. ორივე დაუტოვა და მეტიც. იშრომა, იღვწა, მიალაგ-მოალაგა ყველაფერი და არცოუ მოხუცს ბედმა უმტყუვნა; ორმოცდაათი წელი სხვას მკურნალობდა და თვითონ შეიქმნა სამკურნალო.

იწვა ფეხმოტეხილი, უსუსური მამაჩემი და ახლა მისთვის ჩემი მისვლა იქცა ზეიმად.

— მადლობა ღმერთს, სად ხარ ამდენ ხანს! — საყვედურით შემხვდებოდა ერთი დღის უნახავს.

ვიჯექი მის საწოლთან და იყო მშვიდად. ალბათ ისე, მე რომ ვიქნებოდი მის გვერდით პატარაობისას, დროზე რომ მოსულიყო.

ეკმნეზიები მოეძალა ბოლოს. ძილში, მღვიძარე, მთელმარე გამუდმებით მეგობრების, ახლობლების, ნათესავებიც გარემოცვაში იმყოფებოდა. წარმოსახვით ინაცვლებდა წარსულში, თავის ბავშვობაში, ახალგაზრდობაში. თვალს გაახელდა და იტყოდა:

— ახლა ცხინვალის საავადმყოფოში ვმუშაობდი ვითომ. (მართლაც მუშაობდა 1940 წელს).

— ახლა დედაშენი ვნახე (დედაჩემი 1939 წელს გარდაიცვალა — მე და მამა ამ საკითხს არ ვეხებოდით. ეს აკრძალული თემა იყო).

— თვალს დავხუჭავ თუ არა, თერჯოლა მიდგას თვალწინ. ჩვენი სახლი და ეზო-გარემო. საკვირველია პირდაპირ. ამხელა სახლი ავაშენე კიკეთში, თან გადავყევი, არც შესაზრდება და არც თვალწინ მიდგას. სულ თერჯოლაში ვარ, ჩემიანებთან, იქაურ მეზობლებთან, — უკვირდა ორმოცდაათ წელიწადს ფსიქიატრად ნამუშევარს და არაფერი საკვირველი ამაში არ იყო. ყველაფერი გასაგები და ფსიქოლოგიურად ადვილად ასახსნელია. მისთვის ძმიმე დღეებში, სიკვდილის წინა პერიოდში მამა დაბრუნდა იქ, „თავის ბავშვობაში“, საიდანაც წამოვიდა ისიც, მეც, ეგზუპერიც და ყველა... ამ პერიოდში მას ჩამოსცილდა ფსიქიატრი პროფესორი საშა მაკარიძე და იგი ისევ იქცა თერჯოლელ პატარა ბიჭად, რომელიც თავისი დედ-მამის სახლში, თავის და-ძმებთან და ტოლებთან ცხოვრობდა. ახარებდა ეს მოგონებები და წარმოსახვები, რომლებიც აცილებდნენ მას ცივ, „უამურ“ რეალობას — სადღაც, თბილისში, საირმის ქუჩაზე, ქალაქის გარეუბანში, მეექვსე სართულზე, ძვირფასი ნივთებით გარშემორტყმული, ძვირფას საწოლში იწვა ფეხმოტეხილი მოხუცი, უსუსური და სხვების მორჩილი, რომელმაც მთელი სიცოცხლე კი არ იარსება, იცხოვრა. აქტიურად იცხოვრა, იშრომა. მას უყვარდა და იგი უყვარდათ. დისერტაციებიც წერა და მეგობრებშიც დრო ატარა. და ახლა, მხოლოდ ახლა, მშრალ რეალობასთან პირისპირ მყოფი მიხვდა — მასხარა ყოფილა ეს წუთისოფელი. ყველაფერი რჩება და მიდის ადამიანი, მარტო...

— ახლა რომ მოიყვანდეთ მანქანას, როგორმე ჩავეჯდები. ჩავალ თერჯოლაში და იქ უსაოუოდ გავივლი, — ღრმად სუნთქავდა, რომ თერჯოლაში ჩასვლისთანავე ფეხი მოურჩენოდა და გაიელიდა

ამიტომ ეხმიანებოდა, ეფერებოდა ბოლო წუთებში თავისი ღედის ლანდს, ესაუბრებოდა მამას, და-ძმებს, ხვდებოდა თავის სკოლისდროინდელ შეყვარებულს. ამ წარმოსახვებში თერჯოლაში, „ბიჭების“ ოთახში, ძმებთან ერთად ეძინა და ბუხარს გერმანელი ტყვე, მოსამსახურე ფრანცი ანთებდა, რომელიც ბაბუამ ქუთაისიდან ჩამოიყვანა.

აქ, ძველებურ სარეცელზე, მისი საყვარელი თერჯოლიდან შორს, მამაჩემის რეალობიდან გასვლა არჩია, თავის მოგონებებში ისევ პატარა ბიჭად იქცა და ალბათ იმ წუთებში, როდესაც სული ამოსდიოდა, საღდაც, თერჯოლის ჭალებში, ჩხარაპირებში თამაშობდა ან ბაბუას კუთვნილ ზშირ ტყეს უვლიდა ცხენით. შეიძლება ჭიშკართან, ბავშვებისათვის საგანგებოდ ამოთხრილ გუბეში სველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყალო მიწით კოშკებს აგებდა თავის ძმებთან და მეზობლის ბიჭებთან ერთად. ამიტომ იყო მისი სული ასე მშვიდი სიცოცხლის ბოლო წუთებში.

თუკი სიკვდილის წინ ადამიანი ბავშვობაში ნასწავლ, მივიწყებულ ენაზე იწყებს ლაპარაკს, რა გასაკვირია, სულმა სიცოცხლის ბოლოს იქ ირნიოს ცხოვრება, სადაც უხარია და სიანოვნებს, თუნდაც მოგონებებში.

მრავალი კითხვიდან, რომლებსაც ეს წუთისოფელი წარმოქმნის, ერთი განსაკუთრებით არ მასვენებს: როგორ აჯობებდა, აგვესრულებინა მამაჩემის ოცნება, წაგვეყვანა თერჯოლაში იმ იმედით, რომ ფეხი უსათუოდ მოურჩებოდა და თავისუფლად გაიარ-გამოიარ? რომ არ მოხდებოდა ასე, — ვერ გაუმრთელებდა თერჯოლა ძვალს და დაკარგავდა რწმენას თერჯოლის ჯადოსნური ძალისა?

იქნებ ჯობდა, რომ არ წავიყვანეთ სოფელში და თავისი საყვარელი თერჯოლის სასწაულმოქმედების რწმენა თან გაჰყვა? რწმენის დაკარგვას იქნეა სჯობს — რწმენით დატოვო ეს წუთისოფელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურად მერკვილიშვილი

შეგონება

მოთხრობა

— შენთვისაც სახეიროა, ბიძიკო და ჩემთვისაც. მაინც ტყუელა ხარ, საყვარელო მეგობარო, აქ. დავაწყობ, ბიძიკო ამ 10 „მეშოკ“ შაქარს მაგ ლამაზ „გრუზავკაზე“ და მიმაჩინდრიკე სახლამდე. გულს არ დაგწყვეტ, თან ერთიმეორეს გვევცნობთ, ხელს ხელი დაბანს, ორი-ვე — პირს და, კი არ ვართ არცერთი პირდაუბანელები, მაგრამ ასეა თქმული... აპა, პა, ვაჭრობა არ დამიწყო ახლა, ხომ გითხარი, მიმოყვანე სახლამდე. შენ არ იფიქრო, შაქარი რომ მიმაქვს, რაიმე მამაძაღლობა მაქვს გულში. ხომ იცი, ოჯახი ხრამია. ჩაი გინდა დალიო, კამპოტი გინდა, ჩემო ბატონო, მურაბა ხომ გინდა? ნამცხვარიც ხომ გიყვარს, ჩემო ბიძია? ხოდა, იმიზა მინდა, აპა, ღვინოს კი არ ვაკეთებ მაგით. შენი სახელი მითხარი ბარემ.

— თენგიზი, ჩემო ბიძია.

— ჰოდა, ჩემო ჩინგიზ, მამათქვენოვინ, მოვლაპარაკდით?

— შენ იმისთანა მოლაპარაკე ჩანხარ, გატყობ, არ მომცემ საშველს, რაც იქნება — იქნება, დაყარე. წავიღოთ, მარა ფულზე არ დამიწყო მერე წუწუნი. შენ თუ მურაბა და კამპოტი გიყვარს, ამ მანქანას ბენზინი და ზეთი უყვარს. ზეთსაც და ბენზინსაც, თავი რომ მოიკლა, უფულოდ არავინ მოგცემს. ცოტა მეც მინდა...

— დამთავრდა!.. ხომ გითხარი, არ ვიჩხუბებთ, კირილე ლობჟანიძეს მეძახის მე ქვეყანა. კაცი ვარ, ქუდი მბურავს, რაცხა ეშმაკებად დღეს დამრნა სახლში მაინცდამაინც... ჰასე კი არაა...

მანქანა ჯაყჯაყით შეუდგა ოღრო-ჩოღრო გზას.

— ახლა, ჩემო ჩინგიზ... არ გაგიკვირდეს, ჩინგიზას რომ გიძახი, ჩინგიზაა ქართული. თენგიზაც კაია, მარა, ქვეყანას ქვია. ისევ ჩინგიზა ჯობია, ხომ იცნობდი შენ ჩინგიზია ყაენს. რა ამბები აქვს დატრიალებული. ხოდა, იმას გეუბნები, არც ჩემს თავზე დატრიალებულა მსუბუქი წისქვილის ქვა. დიდი ნაუბედურალ-ნაწვალები კაცი ვარ, ბიძიკო მეც. ახლა მაინც აქ ვართ, არც გზაა მაინცდამაინც მირონცხებული და უბრად ჯდომას, ერთ ეპიზოდს მოვიყვები ჩემი ცხოვრებიდან. ახალგაზრდა კაცი ხარ, დეიმახსოვრებ და მერე შეიძლება ქეც გამოგადგეს ცხოვრებაში.

— რაც იქნება — იქნება, გისმენ! — ამწუანებულ, აბიბინებულ მინდვრებს გახედა მძღოლმა.

— შენ არ გაგიგონია კირილე ლობჟანიძე, ბიძიკო?

— როგორ არა, წეხან არ მითხარი, კირილე ბიძია?

— ხოდა, ის ვარ მე, — ვიცნობდეთ დღეიდან ერთი მეორეს. შენ ჩინგიზი ხარ, როგორც ვიცი.

— მადლობთ, ნათლია, — გაიღრიჭა მძღოლი.

— მე, ჩემო ჩინგიზ, ერთი პერიოდი ძალიან ავარდნილიო, რომ იტყვიან, ის ვიყავი. არადა, ახლა გაქვენ თქვენ სოციალიზმი, თავისუფლება, თეთრი პური და ნეტარი ცხოვრება, თორემ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცი, მე რა ცხოვრება მქონდა შენ ხნობაზე?... სასწაული! მაშინ, ბიძიკო, მოსწრებაზე იყო ყველაფერი. ვაჟკაცი თუ იქნებოდი, ხომ კაი, თუ არა, ცუდად წაგივიდოდა საქმე. მე, როგორც მოგეხსენება, ახლა რავარი ვარ... შენ მაშინ უნდა გენახე. ცხენი მყავდა ხონის ბაზარზე ნაყიდი, ოდიშარიას მოპარული — არ დაგავიწყდეს. ისეთი ცხენი, მგონი, მთელ დუნაზე არ დეიარებოდა. დეიარებოდა კი არა, რომ შეხედავდი — „პოლკა-მაზურკას“ ცეკვავდა, „პაბოტკა“ ჰქონდა ისეთი. ახლა დამბაჩას არ იკითხავ? — „ბრაუნიკი...“ კარბუხტიკა ბასკანჩალაძემ მარუქა ქეიფის დროს სამტრედიის დუქანში. დამბაჩა იყო იმისთანა, თითის გამოუკრავად ისვროდა. ორჯერ მაქეს მორტყმული, ერთხელ ფეხში. ერთხელ — რა გასამხელია და დუნდულზე... ახლა შენ წარმოიდგინე, რავარი თავმოწონე ვიქნებოდი. სასწაული, ველაპარაკები მე შენ... ცოლი მყავდა. ახლა აღარაა, თორემ მაშინ ცოცხალი იყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სამი ქმარი ყავდა, ბიძიკო, გამოცვლილი და ბოლოს მაინც მე მამჯობინა სამივეს. მომთხოვდა მეოთხეთ... კელესჯერიძის ქალი იყო, ზემო იმერეთიდან. ოლია ერქვა ცხონებულს. მე ზედმეტი სიყვარულით ოლიფანტეს ვეძახდი. ძაან სიამოვნებდა.

— კი მაგრამ, რა ამბავს მიყობი, კირილე ბიძია. ძაან მაინტერესებს.

— შენ პატარა ხარ, ბიძიკო ჯერ. ცოტა ზრდილობა და თავდაჭერა იქნინე. თუ არ დევიწყე, ისე ხომ ვერ დავამთავრებ?..

— ბოდიში და ბოდიში, კირილე ბიძია!

— ხოდა, ამიტყდა ერთხელ ოლია, სხვა თუ ცხოვრობს კარგად და განცხრომით, ჩვენ რატომ არ უნდა ვიყოთ მდიდრებიო. შევცდი, თუმცა მერე აღარ მინანია და დავდექი ყაჩაღობის მაცდურ გზას. ყაჩაღი, იცოდე, კარგი ვიყავი, ხალხს ვძარცვავდი. მეტს კი აღარაფერს ვაშავებდი. თანდათან გამიტკბა იოლად ფულის შოვნა. ორ თვეში იმდენი დავაგროვე, „გაზ-24“ ვიყიდდი ხელზე, მაგრამ მაშინ არ იყო, მოგვიანებით გამოიგონეს.

— კი მაგრამ!...

— არავითარი მაგრამ. მაცალე და გზას უყურე შენ... მიმდიოდა საქმე წყაროს თვალვით, მომქონდა და მომქონდა ნაძარცვი ქონება ოჯახში. მოგეხსენება, საქმე და სიამოვნება ერთად ძნელია. სანამ მე საშოვარზე ვიყავი გადავარდნილი დღე და ღამე, ჩემი ოლია ამასობაში ქე გაყოლია კოლიას.

— გიღალატა, კაცო? — გაფითრდა თენგიზი და მოზრდილ ორმოში ჩაარტყა.

— ახლა ღალატს ვერ დაარქმევ. პატიოსნად გაყვა ცოლად. კოლია ბათაშვილი იმ დროში სახელოვანი აბრაგი იყო ხარაგოულის რაიონში. ხარაგოულის ერთ მხარეს ის აკანტროლებდა... ძარცვავდა ბობოლებს, რაიონის მეორე მხარეს — მე...

— შენ არ გეწყინოს, კირილე ბიძია და ახლა, მაგას რომ მიყობი, შიში შემეპარა გულში. ასეთი ცნობილი ყაჩაღი იყავი და შენ ფულს მომცემ მე? — ამოილაპარაკა თენგიზმა.

— არც გეივლო შიში გულში, შენხელა მეც ქე ვიყავი ადრე. ერთი-მეორეს თუ არ ვენდეთ, აპა, რაა ჩვენი ცხოვრება!.. დამაცლი ახლა მოყოლას, თუ არ გაინტერესებს?

— თქვენი ენით ანგელოზი მელაპარაკება, კირილე ბიძია, — მუჭში ჩაახველა მძღოლმა, ერთხანს იფხუკუნა და დაწყნარდა.

— ახლა, ჩემო ჩინგიზ, შენთვის რომ წეერთმია ცოლი კოლიას, შენ რას იზამდი?

— ნამეტანი ძნელი გადასაწყვეტი საქმეა, თუ არ გამოვცადე, ვერ გეტყვი...

— მალადეც! მომეწონა შენი განჭვრეტელობა. ახლა მე, ასეთი სახელის მქონე კაცს, რა უნდა მექნა? შვილი არ გამანნდა და ძირი. ჩემმა ოლიფანტემ რაც შვილება გააჩინა, სუყველა წინა ქმრებს მიაყარა. ერთადერთი შურისძიება იყო ჩემი საქმე. ვეძებდი კოლიას აბდუშაძილვით დღე და ღამე, მაგრამ ცამ უყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი თუ დედამიწამ, ვერ გეკოგე. ჯარში იმას არევენ წეიეკანდა, ავარიაში არ მოყობოდა, მანქანა არ ეშავა. ასე იყო, თუ ისე, მე მაინც ვაგრძელებდი ძებნას.

— რა მოუსვენარი იქნებოდი, ა! — გაშინაურდა მძღოლი.

— მოსვენება რა იყო, არც ვიცოდი, ჩემი თენგიზ, მაგრამ ერთი იცოდე შენ, სანთელ-საკმეველი არ კარგავს გზას... ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს გადავეყარე იმ წაწყმედილს — კოლიას ეგუ-ლისხმობ.

— ასე, შე კაცო! მერე? — გამოცოცხლდა თენგიზი.

— მერე იყო, რაც იყო. კოლიამ მითხრა: — ხომ გაჯობე, წაგართვი ოლიაო! ნერვულობისგან, ვატყობ კბილებიანად ვთეორდები.

— წამართვი კი არა, თავისით წამოგყვა, შე მათხოვარო-თქვა, ვუთხარი. და თუ ვაჟკაცი ხარ, ამეიღე იარაღი... იარაღმა გაგვასწოროს-თქვა, — ვუთხარი.

— „არწივი მნახე დაჭრილი“ — გამბურდა თვალებით კოლიამ. თურმე იმ უბედურს დარჩენია იარაღი მაინცდამაინც იმ დღეს სახლში. ცოლი მაინც დაკარგულია ჩემთვის, — ვფიქრობ გუნებაში. კოლიას ქეიფ რომ წავართვა, რაღად მინდა. მეზობელთან რომ გადასულიყო და ლობიო ეჭამა ოლიას, მაგი მწყინდა, მეზობელთან რავა იყო-თქვა და იმ ღამეს მარტო ვიძინებდი ხოლმე და იმ სამს თავი დავანებთთ, კოლიასთანა ყაჩაღთან ნამყოფი ცოლი რაღა ჯანდაბად მინდოდა...

— მაგაში კი ხარ მართალი, — სიჩქარე გამოცვალა თენგიზმა. გზა გასწორდა, მანქანამ ამოისუნთქა და თანაბარი სიჩქარით განაგრძო სავალი.

— პატარა მონაკვეთია ასეთი სწორი, მალე ისევ ავჯაჯაყდებით — ფერი არ მომწონს შენი... ხომ არ მოგშიედა? — შეუუხდა „კლიენტი“.

— არა, რას ლაპარაკობ! ვნერვიულობ და ფერს ვიცვლი მაგ დროს, მერე...

— აწიე, აპა, ხელები-თქვა — შეკაყენე ფეხზე ჩემი „ბრაუნიკი“. კოლიამ ორივე ხელი ასწია, ისე იყო შეშინებული, კიდო ორი ხელი რომ ქონოდა, იმათაც აწევდა. თვალი, მოგეხსენება, სწრაფია და, წუთშიეე გადავთვალე, ორ ხელზე თერთმეტი თითი ქონდა, კი გავიოცე, მაგრამ არაფერი მიკითხავს. ერთ თითზე არ დევიწერილმანე თავი.

— „ცუდ დროს ჩამიგდე ხელადა“, — ამოცრა კოლიამ მძიმედ.

— არ გეისვრიდი ხელს. არ იკადრებდი! — შეწუხდა მძღოლი.

— ეჰ, ბოვში რომ ხარ, რავა ყორისფელზე გეტყოობა, ჩინგიზია, შენ! ბიჭო, კოლიას დანდობა შეიძლებოდა? — რაც მე მაგის სეხნიამ სისხლი მწოვა, რუსების მეფე რომ იყო, — ნიკოლოზა. მერე რომ გადაადგენ რომ იცოდე, ბოვშვობაში იმასაც კოლია ერქვა (გაწყდა კოლიების სინსილა), მარა დატანჯა ხალხი. ხოდა, იცოდე, ყველა კოლია დედამიწაზე — დესპოტია. გინდა მეფე იყოს, გინდა კინომეხანიკი. შენ ტყვეი, რა დაეშავა, რა დაეშავა ამ კოლიამ მეფე ნიკოლოზისოდენიო. ჯიშით არაა, ბიძიკო, დასანდობა კოლიები... იკნე რომ იყო, კიდო, მრისხანე. ისიც სპპატივცემული კაცად ითვლებოდა, სანამ საკუთარი ფრიადოსანი ბავშეი არ შემოაკვდა ხელში. იცოცხლე, მერე კი იჯავრა და იმიტომ გახდა მრისხანე, თუ არა რა უჭირდა, ჩვეულებრივი ვანია იყო... თუ გიყვარდე, ბიჭი რომ შეგეძინება, ჩემო ჩინგიზ, არაფრით ივანე ან კოლია არ დაარქვა. მაგას ჯობია საშა დაარქვა. ეგ სახელი ქალზეც მოდის, კაცზეც. კოლია რომ ვაჟკაცი ყოფილიყო, ერთი ცოლი მყავდა სულ და იმას რავა წამართმევდა... მე მაგის...

— დაამთავრე, თუ არა გამოჩნდა სოფელი...

— ამეიღე ფული თუ გაქვს-მეთქი, შეეუძახე ხელებაწეულს. ამოალაგა. ოთხი დასტა ქონდა, სულ გაუტეხავი მეფის თუმნიანები. ოთხივე ამეიღო და მითხრა: დღეს შენი ამინდია, გაიხარე... ტყვეია გიწყობს ხელს, თვარა რასაც წამართმევდი, ვნახავდიო.

— აპა, იშოვე ხომ, მილიონი! — შეწრიალდა საავრძელზე მძღოლი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— თუ იცი, რას გეტყვი. კაცი არ უნდა იყო ღორი. ჩემი ჩინგიზ, კაცი რომ გაღორდება, ისაა საზიზღარი სანახავი, თუ არა, ღორი ქეც მიყვარს მე. მით უმეტეს, გოჭობის პერიოდში. ხოდა, ზუსტად ღორობა გამომვიდა მაშინ მე. კიდევ და კიდევ გიმეორებ, კაცს რომ შეხედავ, მიიუმეტეს, თუ ნორმალურია, არ შეიძლება არ მოგეწონოს ღვთის შვილი კაცი, მაგრამ როგორც ყველა კაცში, ისე ქალში მეტნაკლებად ზის თითო გოჭი. გოჭი — კარგად მომისმინე— როგორც ასეთი, მოუჭკნარია და ქალს, თუ კაცს ის ორგანიზმშ. განსხეულებული გოჭი მიმზიდველს ხდის, შუშპარას, მჩქეფარეს და რაღაცნაირად მიმზიდველს. მაგრამ უბედურებაა, ის გოჭი ადამიანში რომ ზის, თუ გაღორდა და გაიზარდა, გავეებერთელდა, ნამუსი დაკარგა და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გაღორდა... თუ გასიკდა და ოს აღრუტუნდა, ტლაპოში ჩაწოლას თუ ადამიანიც შეაწვია, მერე, მოგზა

— მერე და როგორ გადარჩი? — შეწუხდა თენგიზი.

— ღორს უდანოდ მოკლავ, ბიძია? ღორს ან დანით უნდა მოუსწრაფო დღე, ან ქვით უნდა გაუჩეჩქვო უტვინო თავი. მისთვის ფეხის ამორტყმა — მოფხანაა და სიამოვნება, მარა სამი კბილი ქე დავკარგე იმ მომენტში.

— ესე იგი მოგერია.

— მომერია რომელია, მე კი არა, ღორს მოერია. აიღო კოლიამ თავისი ფულები, დინჯად ჩაიცვა, ჩემი დამბაჩაც (ბრაუნიკი) გაირჭო ქამარში. ერთი პირობა დაფურთხებაც უნდოდა ჩემთვის, მაგრამ შევატყვე, ფურთხიც ვერ გაიმეტა, ჩემთვის ისიც ზედმეტად ჩათვალა. ღორი თუ არ ვიყავი და თუ იმ ჩემმა ღორულმა სიხარბემ არ გადამძლია, წამელი ის ოთხი „პაჩკა“, რად მინდოდა ის ოხერი ჭინჭები?!

— აბა რა ვიცი! — ძალიან ცუდ გუნებაზე კი დამყენე, კირილე ბატონო. ავერ, შემოვედით კიდევაც სოფელში. თქვენი სახლი რომელია?

— ეგერ ე, ბიძიკო, ავურით ნაშენი სახლი რომაა, ლამაზი და კოხტა, ხომ ხედავ?

— კი!

— ხოდა, იმის გვერდით რომ ხის ქოხია, ისაა ჩემი. ყველა იმით ცნობს ჩემს სახლს, რომ ერთი სახლია უჭიმკრიდ მთელ სოფელში. გადაკეთებას დამპირდა ქეციანი შალიკოს კობაია, შარშან რომ გაზეთში იყო გამოჭიმული., მოწინავე მუშაოა და მერე რომ ნარკომანობაზე დაიჭირეს — ის და, ვუცდი. ე, ესაა ჩემი ეზო და დაატორმუზე, რავა შენი სახელი? — ჩინგიზა. ა, შენ წითელი თუმნიანი, ჩემი ჩინგო და მადლობელი ვარ, — ბოლო ტომარაც რომ ჩამოაგდო, მიაჩეჩა ფული ძძღოლს.

— აქ ხუთ თუმან ნაკლებ ვინ წამოგყვებოდა, კირილე ბიძია? — აღშფოთდა თენგიზი.

— კი, მარა ამდენხანს რას გელაპარაკე, ბიჭო მე შენ? არ გითხარი, ადამიანი არ უნდა გაღორდე-თქვა? წეიღე, ბიძია ეგ თუმანი და მშვიდობაში მეიხმარე. მიყურე აქეთ. ღორმა... ღორმა არ გაჯობოს, ჩინგოია... არ აყვე, ბიჭო ღორს. მაგი დამპალი კბილივით შენც გაქვს ორგანიზმში განსხეულებული.

— მადლობელი ვარ, კირილე ბიძია. შენ გაიხარე, როგორც მე გამახარე, თუმანი ჯიბეში ჩაიდო ძძღოლმა. მანქანა ჩიტივით გაფრინდა ორღობეში და უსაშველო კვამლი დატოვა.

— კაი გოჭი ხარ შენც, ვინც ხარ, ჩინგოია ხარ. — სიყვარულით გაყოლა თვალი კაცმა „ვრუზოვიკს“, რომელიც დაპატარავდა, დაპატარავდა და თვალს მიეფარა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ტაკიძე

●

ვერ შევიპყარი სული — მსაჯული,
ჩემს სასახლიდან ვერ დავითხოვე,
ვიღაც ჩურჩულებს: რა დროს მამული...
რა მარტივია, ხედავ, სიცოცხლე!

ტაძარში ვუსმენ ლოცვას მეძავის
და გურიელის ვაბიჯებ საფლავს,
გარეთ კი შრება მზის გულზე ხვლიკი,
გაჰფითრებია სხეული ტაძარს.

დადუმდა სულ თუ თავს იმძინარებს
ხმა გალავნის ძირს დაცემულ ზარის,
გადმა თავს ახლის ქვებზე მდინარე
და აფოთლილი იონჯა ჰყავის...

●

ბეღლის მაგივრად,
მეზობელი აშენებს სათბურს,
ბეტონზე ბეტონს გულძოდგინედ,
აგურზე — აგურს...
ყოველ ნაბიჯზე უცნაური
ამბები ხდება:
კაცს რომ არ ელი,
გაიხედავ,
სწორედ ის კვდება.

აკვირდები და არც ის უწყი,
დღეა თუ ბნელი,
ვისთვის ან რატომ
იწერება ლექსები შენი,
და ტაძრის მდუმარ სამრეკლოზე
აწყვეტილ ზარებს
წუხს სოფლის ქედზე განხირული
ნაცნობი მთვარე...

●

ეს გზა, რომელიც ახლა დაიწყო,
ეს გზა არ ვიცი, საით მიმიყვანს,
ზის ჭორიკანა, მარტივი ქალი,
თავის დიეტურ ლექსებს მიკითხავს.

და გამურული ყავის ფინჯნიდან
ცდილობს შეიცნოს დღე ხვალინდელი,
და გაბზარული გოდებს ფირფიტა
და ლპება თოვლი შარშანწინდელი.

არ უჩანს ბოლო, ან დასაწყისი
ამ დაჩვარულ და ფუყე მოლოდინს
და მეძავები ჰყიდიან ვნებებს
ქალაქის მღვრიე ქუჩის ბოლოში.

მანეკენებით, ბუტაფორიით
და რობოტებით სავსე ქალაქში
არა აქვს ფასი გვირილებს, ტიტებს,
ან უფლისწულებს ფერად ზღაპარში.

ვიღაც მანიშნებს — შენც დაიცალე,
ხელზე გაყიდულ სკივრის განძივით
და დღე ისე, ვით ძველი მევალე,
ფეხდაფეხ დამდევს მშიერ ძაღლივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ქალაქი სავსე არის მთვრალებით
(რადგან ქალაქი დიდზე დიდია),
ბაღში სალამოს მოვლენ ქალები
და შიშველ სხეულს ფულზე ჰყიდიან.

ხურათი: დანას ლესავს ყასაბი,
სურათი: მორგში იხილეთ მკვდარი.

ლოთის ხრინწიან სიმღერასავით
ავადმყოფ ტანში ქირქილებს ქარი.

და თითქოს რუხი ღრუბლები თოვდა,
უცხო ქალაქში საღამო მოდის
და ვით კრამიტი ძველ ფიცრულ ოდას,
ისე აკლიხარ ორღობეს სოფლის...

●

შუადღე იწვის, წყალი ხევებთან
შრება და აღარ ევლება ბექობს
და ძველი ციხის ნაშალ კედლებთან
ისევ საყდრული სიჩუმე მეფობს.

მთები თავწახრით მგლოვარედ დგანან,
ვის, ვის მივუთხრათ საყვედურები,
და ჯვარმოტეხილ ტაძართან ჩანან
ურწმუნო კაცის ნაფეხურები...

●

პატარა, მაგრამ სასტიკი ბავშვი
ფრთებს აცლის პეპლებს და იღიმება,
თითქოს ეკლები დგასხვეს ტანში,
დაგდალეს უკვე ძველმა ნიღბებმა.

და ცრემლი მაინც არ არის ცრემლი,
ქცეული კირად თუ უფრო ლოდად,
პანაშვიდებზე ახალი კაბით
წასვლა, უბრალოდ, გჩვევიათ მოდად.

ფრთებს აცლის პეპლებს, ბავშვის
სიცილი
ეზოებს ყინვის სალტედ ედება.
ხოლო იუდას შავი ქირქილი
მედუზასავით სულს ეწებება.

ბავშვობა... ხელში უმწეო ფრთები
ვიდევს, არ ცხრება შენი სიცილი,
მკვდარი პეპლების სასაფლაოზე
პატიმარ ხეებს გაქვთ ქვითინი.

ავთო ვარაზის პორტრეტი

ვზა საცალფეხო და ღორღიანი
ჩემი შინიდან მიდის უკვალოდ,
ვალბობილია ცრემლით ეს გული,
ყველა განშორდა ჩემი ერთგული,
შენ მაინც ნუღარ მტოვებ, უფალო.

ციხეა მარტო, რუხი კედელი,
ქვეყანა ესე — ცოდვის საკანი,
ეხლები მკერდით გამურულ ხედებს
და ქარში მაგლეჯს ყინულის ღვედებს
ბოღმა, გულიდან გამონატანი...

●

მითში იყავი, მითის სქელ ხუფში
საგულდაგულოდ შეფუთული და
დაგმანული,
ერთ დღეს ახადეს ამ ხუფს თავი
და დაგანახეს
ღრიანკალებით და ბუზანკლებით
სავსე ჭაობი,
ესეც შენი სამშობლოა — დააყოლეს

და შენ გაიცდი, —
რაო, უნდა შევიყვაროო?
ჰო, უნდა შეიყვარო, უნდა შეიყვაროო—
დაგკიოდნენ
ღამის მიკიოტებივით.
გამოხდა ხანი,
ახლა შენ ხარ და
ჭაობის სუნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჯი ასენა

თურქი პოეტი ქალის ინჯი ასენას პოეზიისადმი დაინტერესება მარტო მისი უაღრესად საინტერესო შემოქმედებით არ არის განპირობებული. ინჯი სამშობლოში ცნობილი პოეტია, თურქეთში უდიდესი გამომცემლისა და მეცენატის ბატონ ნაზარის მეუღლე, მაგრამ ჩვენთვის, ცისკრელთათვის უმთავრესია, რომ იგი წარმოშობით ქართველია, ხშირადაც გვსტუმრობს ხოლმე, თუმცა, ამაზე მეტი, სამწუხაროდ, არც თავად იცის მგონი: ჩვენი წინაპრები ქართველობდნენო, იტყვის თავმომწონედ და ჩვენც, მისი ოჯახის ქართველი მეგობრები, სიამაყესთან ერთად სალღაც გულმოწყალენი ვრჩებით და, ვფიქრობ, ეს გრძნობა მკითხველთათვის გასაგები უნდა იყოს. კიდევ ერთ რამეზე შეიძლება „დაგვწყდეს“ გული: ინჯი ასენა 1967 წელს თურქეთის ნომერ პირველ ხანგრძლივ(!)ლად იყო აღიარებული...

მიუხედავად იმისა, რომ იმ დედოფლობიდან აქამდე თითქმის სამი ათეული წელია გასული, ინჯი ასენა, აქ წარმოდგენილი ლექსებივით, უაღრესად თანამედროვე და მშვენიერი, მომხიბვლელი და, რაც მთავარია, საქართველოზე, როგორც ჯადოსნურ ქვეყანაზე, მლოცველია და შეყვარებული.

ზაურ კალანდია.

ტკივილი 1

ულამაზესი ჩემი ყვავილი
ტაილანიდან მოვატანინე,
ის მეძავ ქალს ავართვი ძალით...
ძწველი მზის ბული ტრიალებს ირგვლივ,
შორით კი ცივი ქარი უბერავს.
ბული ინახავს დღეს ყველა ტკივილს,
ბული — ცრემლის და დარდის შემკრები...
და მომლოდინე ჩემი ტუჩები
ტაილანურ ვარდივით ღვივის
და ენებისაღმძვრელ სურნელს გამოსცემს...

ტკივილი 2

ვინც ყვავილად ვერ ამოვიდა,
მას მუდამ სტანჯავს მწარე ნაღველი...
ბავშვი იღვიძებს დედის ხმაზე,
ჩიტი მიფრინავს;
მშვენიერია
სიყვარული
უკანასკნელი,
შეუზედავი პატარა გოგოც, —
გამზადებული პირველ კოცნისთვის...

სტამბოლის დაცემისას

ათას ოთხას ორმოცდაცამეტს,
როცა სტამბოლი ეცემოდა,
მე კალმაშში ვიყავი მაშინ
და ვუმზერდი, ვით არწევდა ზღვის ლურჯ ტალღებს
მაისის ქარი...
არც შემინიშნავს, სტამბოლი როგორ ეცემოდა...
შეყვარებულებს, თვალზე ლიბრი ებურვის თურმე...

როცა სტამბოლი ეცემოდა, უძლური ვიყავ
და თოჯინებს ეხედავდი სიზმრად,
ხელი ჯადოსნური ჯოხი მეჭირა
და ყვავილებს ვიწნავდი თმაში.
უცებ საათმა ჩამოჰკრა ცხრაჯერ.
არც შემინიშნავს, სტამბოლი როგორ ეცემოდა...
შეყვარებულებს თვალზე ლიბრი ებურვის თურმე.

გუშინ ყველა ერთი ხნის იყო

დღეს მე ვიგრძენი სიყმაწვილე პოეტის სულის,
მისი ცხოვრება
და მისი ტრფობა,
მამულზე, ხალხზე მისი ფიქრი, მისი წუხილი
და საკუთარი თავისადმი
სიყვარული ყოვლის მომცველი...

ვიხილე, ირგვლივ ყოველივე
ჩალისფერად როგორ ანთია
და ცისქვეშეთი შემოდგომის
სევდას მოუცავს...

ეიმედია დღეს ყველაფერი:
ზღვა, მზე და ზეცა.
თითო-ოროლა მეთევზელა ჩანს ზღვის ნაპირზე,
თითო-ოროლა მეძავი და
ნიჟარების მძებნელი ბავშვი...

ყველა, ჩემსავით,
საკუთარ დარდს ეტარებს გულით,
მცირე სიხარულს და მცირე იმედს.
ეს არის ჩვენი დასაბამიც და დასასრულიც...

თარგმნა **ბადათერ არაგულმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის ლექსი 1

სამარადჟამოდ გისახსოვრე შენ არმაღანი —
თვალები სავსე მონატრებით და
სურნელოვანი ბალახების თაფლის დინდგლებით.

ან ეს მცირედი არმაღანი — ცრემლით შეკრული
ყორივარდები —
გაზაფხულის გულუბრყვილო გაღიმილება —
ბაგეთა წიაღ ჰყვაოდნენ და
თრთოლვით მოგართვი...

შენ შეგავედრე, უშენობით განწირულები.

სიყვარულის ლექსი 2

თეთრი წვიმა,
თოვლი — ცისფერი,
შენი თვალები — ღამე ლუსკუმი.

ფლიდი წვიმა,
თოვლი — გულგრილი,
შენი თვალები — მგლოვიარე უსასრულობა...

ცივ წყაროთი გულის დარდი ვერ მოვიიზე, —
ო, ჩემო ერთავ, მაგ თვალების ჭას დამაწფე.

აი, ასე

ვნებითღა მთვრალმა შემოგაჭდე წელზე გველივით
მკლავი... და თმები გაშმაგებით გადაყიტკიცე;
ხან შენს თეძოზე დაცურავენ ცელქი თითები,
ხან — ყოველდღიურ მოგონების ლაბირინთებში...

დუმდება მუზა, თუ უბეში არ შეგეყუჟე,
თუ შენს სხეულზე არ გავითბე ხელისგულები...
თუკი მაგ ტუჩებს, როგორც ბადგს არ დავეწაფე,
არ გაგიღვივე თვალთა წიაღ ჟინი ველური...
ასეა ახლაც, თბილ უბეში შეყუჟებული
ქანცგაწყვეტილი, მეათასედ გეთავისები.

თავდავიწყებით მიყვარხარ და ნუ შემმიოკლებ
ამ ნეტარებას, რაკი ასე მომესურვილე.

თარგმნა **ელგუჯა ფარღიამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპრების დასასრული

არც კი ამიხსნეს ზღაპრების ბოლო,
ან რატომ მოკლა პრინცმა პამუკის
ულამაზესი პრინცესა, ანდა
რა საიდუმლოს მალავს ორმოცი
ყაჩაღი დღემდე,
გაუგებარი დარჩა ჩემთვის და აუხსნელი
(როგორც ბავშვობის განვლილი წლები),
ან რატომ იყო მელა მშიერი,
ან რად დაძრწოდა მგელი ღამეშ.
მიზეზი მაინც ეამბნათ ჩემთვის,
ეამბნათ ჩემთვის მიზეზი მაინც.
ჰგავს ზღაპრების ეს საიდუმლო
მკაცრ ხელმწიფეთა ბრძა უგნურებას.
ლამაზ ზღაპრების მთხზველებს
უნდა სცოდნოდათ ალბათ,
რომ ყველაფერი არ ხდება ისე,
როგორც მათ უნდათ,
რომ ყველაფერში ძევს სინამდვილე...
რომ სინამდვილე მკაცრი არის და მტკივნეული.

ნოსტალგია

ახალგაზრდობავ, მშვენიერო და საოცარო,
ეს შენგან მოდის უკურნელი დღეს მონატრება...
თორემ ტრამვაი საბაბია გამოგონილი.

თარგმნა **ირაკლი ბაზაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ ნაბოკოვი

ლ ო ლ ი ტ ა

16.

ბავშვობაში ჩრდილოეთ ამერიკის რუკას ვაკვირდებოდი და ვოცნებობდი ხოლმე. „აპალაჩის მთები“ მსხვილი შრიფტით გადაჭიმულიყო ალაბამიდან მენამდე, ასე რომ მთელი ეს არე (პენსილვანიისა და ნიუ-იორკის ჩათვლით) ვეება შვეიცარიის ან, თუ გნებავთ, ტიბეტის სახით წარმომიდგებოდა: ალმასებივით მოელვარე დიდებული პიკები, გოლიათური წიწვოვანი ხეები, დათვისტყაოსანი გადასახლებული მთიელები, და გოლდსმიტის პოემიდან გადმოსული ვეფხვი, და კატალპებქვეშ მდგარი წითელკანიანი ინდიელები. სამწუხაროდ, ყველაფერი გარეუბნის უბადრუკი ბალჩითა და ნაგვის დასაწვავი ახრჩოლებული რკინის კალათით შემოიფარგლა. გადავიარეთ აპალაჩის ქედი, გადაეჭვრით ოჰაიო და სამი შტატი, რომელთა სახელწოდება ი-ზე იწყებოდა, და ჩვენ წინაშე გადაიშალა ნებრასკა. ო, რა საამო იყო დასავლეთის პირველი მონაკრული! არ ეჩქარობდით. ლოლიტას სურდა, დასწრებოდა „კლდოვან მთებში“ შეყუჟულ პატარა ქალაქ უეინში „ჯადოსნური მღვიმის“ საზეიმო გახსნას (რაც ყოველწლიურად ტარდებოდა) და ინდიელთა საწესჩვეულებო ცეკვები ენახა, მანამდე კი მთელი ერთი კვირა იყო. ამის შემდგომ სამი კვირის განმავლობაში უნდა მიგვეღწია დასავლეთის შტატების ერთ-ერთ მარგალიტამდე, ელფინსტონი რომ ერქვა; ლოლიტას ოცნება იყო, აბობღებულიყო წითელ კლდეზე, საიდანაც ეკრანის ერთ-ერთი არცთუ ახალგაზრდა ვარსკვლავი ამას წინათ გადმოხტა და დაიღუპა (მას შემდეგ, რაც სამთვრალეში თავის სუტენიორს წაეჩხუბა).

წინდახედული მოტელები კვლავ გვესალმებოდნენ შუაკედლისებზე გაკრული განცხადებებით, მაგალითად:

„ჩვენთან ისე იგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში. თქვენი ჩამოსვლის წინ შევიძინეთ სრული (ხაზგასმულია) ინვენტარი. თქვენი ავტომობილის ნომერი ჩაწერილი გვაქვს. ზომიერად ისარგებლეთ ცხელი წყლით. ვიტოვებთ უფლებას, გაუფრთხილებლად გავასახლოთ ნებისმიერი ბრასსურველი პიროვნება. ნუ ჩაყრით (ხაზგასმულია) უსარგებლო ნივთებს უნიტაზში. მადლობას გწირავთ. კვლავ გვეწვიეთ. დირექცია. პოსტსკრიპტუმი: ჩვენი კლიენტები საუკეთესო ადამიანებად მიგვაჩნია მთელ ქვეყანაზე“.

ამ ამაზრზენ დაწესებულებებში ორი საწოლის საფასური დღე-ღამეში ათი დოლარი იყო. დერეფანში ბუზები რიგში დგებოდნენ და კარის გაღებისას ერთმეორის მიყოლებით ძვრებოდნენ ოთახში. საფერფლეებში ნელა იბუგებოდა ჩვენი წინამორბედი სტუმრების ნეშტი: ბალიშზე ქალის თმის ღერი ეგდო; მეზობელ ნომერში ვიღაც ყველას გასაგონად ჰკიდებდა პიჯაკს კედ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 8, 9, 10, 11, 12, 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კარადაში. საკიდრები ეშმაკურად იყო მიმაგრებული ღერძზე ქურდობის თავიდან ასაცილებლად და — ბოლო შეურაცხყოფა — ორი საწოლის თავზე დაკიდებული სურათები იდენტურ ტყუპებს წარმოადგენდა. შეინიშნებოდა კოტეჯების გაერთიანებისა და ქარვასლად ქცევის ტენდენცია. ნელ-ნელა შენდებოდა მეორე სართული, ქვემოთ კი იმ დროს ჰოლის გამოქვაბვა იწყებოდა და თქვენი ავტომობილი უკვე თქვენივე ნომრის კართან კი აღარ იდგა, არამედ კომუნალურ გარაჟში გადაჰყავდათ, მოტელი კი არხეინად ემსგავსებოდა მესამე თანრიგის ძველებურ სასტუმროს.

ახლა დაბეჯითებით ვთხოვ მკითხველს, არ დამცინოს და არ გააქილიკოს ჩემი ამღვრეული გონება. ძალზე იოლია ახდენილი ბედ-იღბლის გაშიფრვა, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი იდუმალებთაა აღსავსე. არც ერთი ადამიანის ცხოვრება არ ჰგავს იმ ეგრეთ წოდებულ დეტექტიურ რომანებს, რომელთა კითხვისას საჭიროა მხოლოდ, არ გამოვრჩეთ ესა თუ ის არსებითი ქარაგმული მინიშნება. ჭაბუკობისას წაკითხულ ერთ მოთხრობაში შესაბამისი დეტალები კურსივით იყო დაბეჭდილი; მაგრამ მაკ-ფატუმი ეგზომ მარტივად როდი მოქმედებს — კიდეც რომ ჩასწვდე ზოგიერთი სახიფათო მინიშნების არსს.

მაგალითად, ლოლიტამ ერთხელ (სანამ ჩვენი მარშრუტის შუა-დასავლეთ ნაწილს მივალწევდით ან ამ ეტაპის დასაწყისში) მკონი მოახერხა, რაღაც ეუწყებინა უცნობი ადამიანისა ან ადამიანებისთვის; ფფიქრობ, გოგონა რაგორღაც დაუკავშირდა მას ან მათ: ის იყო, შევჩერდით ბენზინის სადგურთან, რომელიც ჰეგასის ნიშნით იყო დამშვენებული. ლოლიტა მანქანიდან გადმოძვრა და სადღაც, გარაჟის უკან, მიიმალა. ამ დროს მანქანის აწეულ კაპოტთან ვიდექი და მექანიკოსის მანიპულაციებს თვალს ვადევნებდი. მივიხედ-მოვიხედე, ლოლიტა ვერ დავინახე, მაგრამ თვინიერ განწყობილებაზე გახლდით და ამიტომ მხოლოდ გადავაქნიე კეთილი თავი. საერთოდ, სასტიკად აკრძალული ჰქონდა საზოგადოებრივ საპირფარეშოებში შესვლა — ინსტინქტურად გვრძნობდი, რომ საპირფარეშოები და ტელეფონი, გაუგებარი მიზეზის გამო, იმ პუნქტებს წარმოადგენდა, რომელსაც დროდადრო გამოეედებოდა ხოლმე ჩემი ბედ-იღბლის ქსოვილი. ყოველ ადამიანს შეუნიშნავს ასეთი საბედისწერო საგნები ან მოვლენები, — ესაა, ერთ შემთხვევაში, განმეორებადი ლანდშაფტი, მეორეში — ციფრები, რომელთაც ღმერთი საგანგებოდ შეარჩევენ ხოლმე ჩვენთვის ღირებული მოვლენების განსახორციელებლად: აქ ჯონი აუცილებლად წაიბორძიკებს ხოლმე; იქ ჯენის აუცილებლად გაუტყდება გული.

მას შემდეგ, რაც ბენზინის სვეტთან მომემსახურნენ, ავტომობილი დაეძარი — სატვირთო მანქანას ადგილი დაუთმე. ქარიანი დღის რუხ სიცარიელეში მყისვე აზღვავდა ლოლიტას არყოფნა და წამების გზას დავადექი. უხალისო მდელვარებით უკვე მერამდენედ ვათვალიერებდი უძრავ წვრილმან საგნებს; მათ თითქოს უკვირდათ (სოფლელი დოყლაპიების მსგავსად), რომ შეყოვნებული მოგზაურის თვალთახედვის არეში ექცეოდნენ: ასეთი იყო, მაგალითად, ფეკი მწვანე ფერის სანაგვე ვედრო, შავი, თეთრგვერდიანი გასაყიდი სალტეები, მანქანის ზეთით გავსებული ყვითელი თუნუქელები, განსხვავებული სასმელებით გაჭედილი წითელი მაცივარი, ოთხი, ხუთი... ექვსი ცარიელი ბოთლი, რომლებიც ნაწილობრივ შეევსებული კროსვორდის მსგავსი ხის ყუთის უჯრედებში ელაგა, აგრეთვე — საერმინტაო კანტორის ფანჯრის შიდა მხარეს მოთმინებით მცოცავი მწერი... კანტორის ღია კარიდან რადიომუსიკა მოისმოდა. მისი რიტმი არ შეესაბამებოდა ქარით გაცოცხლებული მცენარეების რხევას. ეს ძალზე წააგავდა საკუთარი კანონების მქონე ხელურ ფილმს, რომელშიც პიანინოს ან ვიოლინოს მუსიკალური ხაზი არ ეთანხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეკრანზე ხილული ათრთოლებული ყვავილის ან აქანავებული რტოს მოძრაობის რიტმს. შარლოტას უკანასკნელი ქვითინის გამოძახილმა უცნაურად გამგმირა, როდესაც ლოლიტა სრულიად მოულოდნელი მხრიდან გამოჩნდა. კაბის (მუსიკის შუუსაბამო) რხევით მოდიოდა. აღმოჩნდა, რომ კლოზეტი დაკავებული იყო. მას ქუჩა გადაეკვეთა და მისულიყო სხვა გარაჟთან, რომელზეც ნიჟარა იყო გამოსახული. გარაჟზე ეწერა: „ვამაყობთ ჩვენი სატუალეტო ოთახებით. ისინი თქვენი საპირფარეშოებივით სუფთაა. კლიენტების კომენტარებისთვის მომზადებულია ღია ბარათები უკვე დაწებებული მარკებით“. მაგრამ საპირფარეშოში არც ღია ბარათები იყო, არც — საპონი, არც სხვა რამ. უკომენტაროდ.

ნათესების გასწვრივ საკმაოდ უინტერესო მგზავრობის შემდეგ (იმავე თუ მომდევნო დღეს) მივაღწიეთ ლამაზ ქალაქს, რომელსაც ქასბიმი ერქვა. ღამე გავათენეთ მოტელში „წაბლნარი“, სადაც დაგვხვდა კოპწია სახლები, ხასხასა გაზონი, წაბლისა და ვაშლის ხეები, ძველი საქანელა — და საუცხოო დაისი, რომელსაც დამაშვრალმა ბალღმა ყურადღება არ მიაქცია; სურდა, გაგვეცალო ოცდაათი მილი, ქასბიმს მისი მშობლიური ქალაქიდან რომ აშორებდა. ამასთან, მეორე დილას ლოლიტამ აღარ მოინდომა, თვალი შეეცალა ტროტუარისთვის, სადაც ხუთი წლის წინათ კლასობანას თამაშობდა. მეც გარკვეული მიზეზების გამო ვერიდებოდი ამ დამატებით მგზავრობას, თუმცა შევთანხმდით, არავისი ყურადღება არ მიგვექცია — მანქანიდან არ გამოვსულიყავით და ძველ მეგობრებს არ ეწვეოდით. გამოხარდა, რომ მან ეს პროექტი უკუაგდო; მეორე მხრივ, რომ სცოდნოდა, რაგორ მაძრწუნებდა პისკის ნოსტალგიური შესაძლებლობები, ასე ადვილად როდი დათმობდა ამ მგზავრობას. როდესაც ეს ვაუწყე და ამოვიოხრე, მანაც ამოიხვნეშა და შესაბრალისად შემომჩივლა, მოკამული ვარო — და ლოგინში წოლა მოინდომა, თან უამბავდა ულტრაიისფერად ჟურნალის დათვალიერებას აპირებდა. მითხრა, თუ გამოვმჯობინდი, ლენნის შემდგომ გზა გავაგრძელოთ და უკვე პირდაპირ დასავლეთის მიმართულებით გავეშუროთო. უნდა ვაღიარო, რომ ლოლიტა ძალზე ნაზი და მოთვინიერი იყო და „სიგიჟემდე“ ესწრაფოდა ახალი ხილით პირის ჩაქციმრიელებას. ამიტომ გადაეწყვიტე, ქასბიმის ცენტრი მომეხახულებინა და ავემრიელი სურსათი მეყიდა. ჩვენი პატარა კოტეჯი ბორცვის ტყიან მწვერვალზე იდგა. ფანჯრიდან მოჩანდა გზა, რომელიც ჯერ დაღმართზე მიიკლაკნებოდა, შემდეგ კი წაბლის ხეების ორ რიგს შორის თმის განაყოფივით სწორად მიემართებოდა მშვენიერი ქალაქისკენ, დილის გამჭვირვალე ჰაერში სათამაშოს რომ წააგავდა; შეიძლებოდა, გაგერჩიათ ველოსიპედზე მჯდარი ელფისმაგვარი გოგონა; მის გვერდით შეუსაბამოდ დიდი ძაღლი მირბოდა — ყოველივე არაჩვეულებრივად მკაფიო იყო. ძველებურ სურათებზე ასეა გამოსახული მოლურჯო ფორავები და პაწაწინა ადამიანები, აგრეთვე სანთლისფერ გზებზე ზევით მიმავალი პელეგრიმები და ჯორები.

ქვეითად სიარული მიყვარს, როგორც ევროპელებს სჩვეოდათ. ამიტომ აუჩქარებლად დავეშვი გზაზე და რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი დაპირებულ ველოსიპედისტს. ის ულამაზი, მსუქანი, ნაწნავებიანი გოგონა აღმოჩნდა. გოროზი სენბერნარი ახლდა. ძაღლს თვალები ხავერდის უზარმაზარ იებს მიუგავდა. ქასბიმში უხეიროდ გამკრიჭა დაწაჩანაკებული პარიკმახერმა: განუწყვეტლივ მიამბობდა რაღაცას თავისი ბეისბოლისტი ვაჟიშვილის შესახებ და თითოეული ბაგისმიერი ბგერის წარმოთქმისას კისერზე ნერწყვს მაშხეფებდა. დროდადრო ჩემი პირსახოცით სათვალეს იწმენდდა; ზოგჯერ ძველისძველი მაკრატლის ჭრიჭინს წყვეტდა და გაზეთების ‹გაყვითლებულ ამონაჭრებს› მიჩეჩავდა; მის ლაპარაკს ყურადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას არ ვაქცევდი. ამიტომ შევძრწუნდი, როდესაც ბოლოს ძველ, მტვრიან ბოთლებს შორის ჩადებულ მოარშიებულ ფოტოსურათზე მიმითითა — მივეხედი, რომ ეს ყმაწვილი სპორტსმენი ოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილიყო.

ერთი ჭიქა ცხელი, უგემური ყავა დავლიე, ჩემს პატარა ძაიმუნს ბანანების აცმა ვუყიდე და გასტრონომიულ მაღაზიაში კიდევ ათი წუთი დავყავი. სულ საათნახევარმა განვლო — და აი, პაწაწინა პილიგრიმი ჰუმ-ჰუმი კვლავ დაადგა „წაბლნარისკენ“ მიმავალ გზას.

ადრე ნანახი გოგონა ახლა თეთრეულის დასტის ქვეშ თითქმის არ ჩანდა: კაბინების დალაგებაში შველოდა ცალთვალა ტეტიას, რომლის მოზრდილი თავი და სახის ტლანქი ნაკვთები იტალიური ბალაგანის ერთ-ერთ პერსონაჟს, ეგრეთ წოდებულ „ბერტოლდს“ მაგონებდა. ჩვენს „წაბლნარში“ თორმეტი შორიშორ მდგარი მომცრო სახლი მწვანეში იყო ჩაფლული. ახლა, შუადღეს, მათმა უმრავლესობამ ზამბარიანი კარების ფინალური ჯაჭუნის თანხლებით თავი დააღწია მდგმურებს. მიხრწნილმა, სიბერისგან სრულიად ჩამომხმარმა წყვილმა პატარა გარაჟიდან ფრთხილად გამოიყვანა სრულიად ახალი კონსტრუქციის ავტომობილი (ყოველ კოტეჯს საკუთარი გარაჟი ახლდა); მეორე ასეთივე მომცრო გარაჟიდან საკაიად ურცხვად იყო გამოშვერილი წითელი სპორტული მანქანის წინა ნაწილი; ჩვენი კოტეჯის მახლობლად ლამაზი, ბრგე ალნაგობის, შავქოჩრიანი, ლურჯთვალა ჭაბუკი პორტატიულ მაცივარს დებდა „შარაბანის“ ტიპის ავტომობილში. რატომღაც გაუბედავი ღიმილით შემომხედა. პირდაპირ, გაზონის შუაგულში, ტოტებგაბარჯღული ხეების ჩრდილში ნაცნობი სენგერნარი პატრონის ველოსიპედს დარაჯობდა, მის გვერდით კი დღე-დღეზე მოსალოგინებელ ახალგაზრდა ქალს ნეტარებისგან გაშეშებული ჩვილი საქანელაზე დაესვა და წყნარად არწევდა; ორი-სამი წლის ეჭვიანი ბავშვი დედას ხელს უშლიდა, ცდილობდა, თავისკენ მოეწია საქანელას დაფა ან ებიძგა მისთვის; ყოველივე იმით დასრულდა, რომ დაფა მიეხალა და მდელოზე გააგორა. ბავშვი ატირდა, ხოლო დედა კვლავ ნაზად ულიმოდა ჯერ არდაბადებულ შვილს. ამ წვრილმანებს ასე მკაფიოდ იმიტომ ვიხსენებ, რომ რამდენიმე წამის შემდეგ იძულებული გავხდი, საფუძვლიანად შემემოწმებინა ჩემი შთაბეჭდილებები; გარდა ამისა, ბერდსლეიმი გატარებული იმ საშინელი საღამოს შემდეგ ყოველთვის ფრთხილად ვიყავი. ახლა ყურადღებას აღარ მიფანტავდა გასეირნებით გამოწვეული სასიამოვნო შეგრძნებები: ადრეული ზაფხულის ნიავით გაგრილებული კეფა, სველი, დრეკადი ხრეშის წრიპინი, ჭიანი კბილიდან ბოლოს და ბოლოს გამოწუწნილი გემრიელი ნამეცი, და თვით კიმფორტაბელური სიმძიმე ნავაჭრისა, რომელიც, გულის მდგომარეობის გამო, ალბათ, არ უნდა მეტარებინა; მაგრამ ეს ჩემი საბრალო ტუმბოც კი თითქოს დინჯად მუშაობდა და როდესაც ჩვენი კოტეჯი და დოლორესი ვიხილე, სასიყვარულო ნეტარებამ გამთანგა.

ჩემდა გასაოცრად, ლოლიტა ჩაცმული დამხვდა. ტილოს ლურჯი შარვალი და გუშინდელი მაისური ემოსა, საწოლის კიდეზე იჯდა და ისე მიყურებდა, თითქოს ვერ მცნობდა. ტრიკოტაჟის დაჭმუჭნილი ქსოვილი ცხადად აჩენდა გოგონას აკიკრილ მკერდს, რამაც მყისვე გამაღიზიანა. ჯერ არ ებანავა, მაგრამ ტუჩების შეღებვა მოესწრო და გაეთხიპნა ფართო წინა კბილებიც — ღვინოგადასხმული სპილოს ძვალივით ან პოკერის ვარდისფერი კოჭებივით ულაპლაპებდა. აი, ასე იჯდა, გადაჭდობილი თითები მუხლებზე ედო და ერთიანად ასხიებებდა კაშკაშა და ჯოჯოხეთურ შუქს, რომელსაც ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ქალაღდის მძიმე პარკი მაგიდაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდე და რამდენიმე წამის განმავლობაში ჯაკვირდებოდი მის სანდლებსა და შიშველ ფეხებს, დროდადრო მზერა გადამქონდა ლოლიტას ნეტარებით აღსავსე, უაზრო სახეზე, შემდეგ კი კვლავ ამ ცოდვილ ფეხებს ვაშტერდებოდი.

„ეზოში გასულხარ“, — ვუთხარი (სანდლებზე ხრეში შევამჩნიე).

„ეს-სა, ავდექი, — მომიგო მან და დაუმატა (რადგან თვალი მოჰკრა ქვემოთ მიმართულ ჩემს მზერას): — ერთი წუთით გავედი, მინდოდა მენახა, ხომ არ ბრუნდებოდი“.

მიხვდა, რომ ბანანები მოვიტანე და მაგიდისკენ შებრუნდა.

მქონდა თუ არა ეჭვიანობის საფუძველი? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ეს დანისლული, მეოცნებე თვალები და მისი სხეულიდან გამოსხივებული უცნაური სითბო მაინც დამაფიქრებელი იყო. არაფერი მოიქვამს, მხოლოდ გავხედე გზას, ეგზომ თვალნათლივ რომ მოჩანდა ფანჯარაში. ჩემი ნდობის ბოროტად გამოყენების მსურველი ადამიანისთვის ეს ფანჯარა შესანიშნავ საადაგილო პუნქტს წარმოადგენდა. ლოლიტა მადიანად შეექცა ხილს. უეცრად გამახსენდა მეზობელი კოტეჯის მკვიდრი ჭაბუკის პირფერული ღიმილი. ეზოში გავკარდი. არც ერთი ავტომობილი არ ჩანდა, შარაბანის გარდა, რომელშიც იმ ტიპის ახალგაზრდა, ფეხმძიმე ცოლი ჩვილითურთ ჩამჯდარიყო. იქვე დავინახე მეორე, მეტ-ნაკლებად გაუქმებული ბავშვიც.

„რა მოხდა, სად მიდიხარ?“ — დაიყვირა ლოლიტამ პარმაღიდან.

არაფერი მითქვამს. ისეთი ფაფუკი იყო, რომ ვერ მოვითმინე, ოთახში შევაგდე და შევფეთე. მაისური ჩამოვგლიჯე. ელვა-შესაკრავმა გაიტკრცაალა და ყველაფერი ერიად გავხადე. სწრაფად გავაძრე ფეხსაცმელი. გაშმაგებით ვეძებდი ღალატის კვალს, მაგრამ ის იმდენად მკრთალი იყო, რომ შეშლილის გამონაგონისგან ვერ განასხვავებდით.

17.

ახირებულ გასტონს მეგობრების დასაწუქრება უყვარდა. ეს იყო მისი გემოვნების შესაბამისი გამაოგნებელი ან, ყოველ შემთხვევაში, უწვეული საწუქრები. ერთხელ შენიშნა, რომ ჭადრაკის კოლოფი გამიტყდა. მეორე დილას თავის ერთ-ერთ კათამიტიკოსს გამოატანა სპილენძის ზარდახშა, რომლის სახურავი აღმოსავლური ტვიფრით იყო შემკული და მეტად საამედოდ იკეტებოდა. პირველი შეხედვისთანავე ვიცანი ფულის შესანახად განკუთვნილი იაფფასიანი ყუთი, რომელსაც რატომდაც „ლუიზეტს“ უწოდებენ. საღდაც, მალაგაში თუ ალჟირში, ზზად ყიდულობენ ხოლმე და შემდეგ არ იციან, რა უყონ. ყუთი ძალზე ბრტყელი იყო და ჭადრაკისთვის არ გამოდგებოდა, მაგრამ სრულიად სხვა დანიშნულებისთვის გამივიყენე.

ბედის მიერ დაგებულ მახეში რომ არ გავბმულიყავი, გადავწყვიტე (ლოლიტას წყენის მიუხედავად), „წაბლნარის“ კოტეჯებში ზედმეტი ღამე გამეთენებინა. დილის ოთხ საათზე საბოლოოდ გამეღვიძა და დავრწმუნდი, რომ გოგონას ჯერ კიდევ ძინა (პირი ისე დაეღო, თითქოს უხალისო გაოცებას გამოთქვამდა იმის გამო, თუ რაოდენ უცნაური და უხეირო ცხოვრება მოვუწყვე). „ლუიზეტის“ ძვირფასი მიგთავსი ხელუხლებელი იყო. იქ შენახული ძმინდა თეთრი შალის ყელსახვევში შეფუთული ჯიბის პისტოლეტი: კალიბრი — ნოლ ოცდაოთრმეტი, ტევადობა — რვა ვაზნა, სიგრძე — ლოლიტას სიმაღლის დაახლოებით ერთი მეცხრედი, ტარი — კაკლის ხისა, უჯრედებიანი, ფოლადის მოსართავები — მთლიანად მოსივადებული; კატალოგთან ერთად, ემეკვიდრეობით მიეიღე განსვენებული ჰაროლდ ჰეზხისგან. კატალოგში უდარდელი უმეცრებით ეწერა: „გამოსადეგია სახლისა და ავტომობილის, ავრეთვე — პერსონის მიმართ“. პისტოლეტი მზად იყო პერსონის ან პერსონების მიმართ გამოსაყენებლად. შემარეული ჩახმახის „მოსრიალე საკეტს“ მცველი იფარავდა უნებლიე გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლისგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პისტოლეტი წინაპაპრა ცენტრალური კიდურის ფროიდისტული სიმბოლოა.

მიხარიდა, რომ პისტოლეტი ამ მქონდა, — განსაკუთრებით მახარებდა ის, რომ მისი ხმარება ვისწავლე ორი წლის წინათ, ჩემი და შარლოტასეული ტბის მახლობლად, ქვაშის საათს რომ წაგაგდა. ფარლო, ეისაკ ამ ულრან ტყეში დაეყვებოდი, ჩინებულად ისროდა: მოახერხა, კოლტით კოლიბრი მოეკლა. ამასთან, ნადავლი ბდღვნად არ ღირდა—ჩიტუნასგან მხოლოდ ცოტაოდენი ფერადოვანი ბუმბული დარჩა. ერთხელ მსუქანი პოლიციელი, გვარად კრესტოვსკი (რომელმაც ოცად წლებში მარჯვედ მოკლა ორი გაქცეული ტუსაღი) შემოგვიერთდა და სანადირო ჩანთას პაწაწა კოდალა დაუშატა — ეს წელიწადის იმ დროს მოხდა, როდესაც ნადირობა სრულიად აკრძალული იყო. ამ ნამდვილ მსროლელებთან შედარებით მე, რა თქმა უნდა, ახალბედა ვიყავი და განუწყვეტლივ ვაცდენდი მიზანს, სამაგიეროდ, როდესაც სანადიროდ მარტო წავედი, ბედმა გამიღიმა და ცოცხი მოვკალი. „წყეი, იწეი“, — წაჰჩურჩულე ჩემს პორტატიულ, კომპაქტურ „ძამიკოს“ და მის სადღეგრძელოდ ერთი ყლუპი ჯინანასი გადავკარი.

18.

ახლა მკითხველმა წაბლნარისა და კოლტის ამბავი უნდა დაივიწყოს და დასავლეთის მიმართულებით გამოგვყვეს. გზაში რამდენიმე ძლიერმა გრიგალმა მოგვისწრო. შესაძლოა, ერთი და იგივე გრიგალი მთელ ქვეყანაში ბატყიენით მძიმედ დახტოდა და მას ისევე ვერ ვაღწევდით თავს, როგორც — მაძახარ ტრაპს. ვინაიდან სწორედ ამ დღეებში ჩემ წინაშე დაისვა იდუმალი ამოცანა აცტეკისფერ-მოწითალო „იაკისა“, რომელსაც გადასახსნელი ზედი ჰქონდა. ამან სრულიად დამავიწყა ლილიტას სატრფოების თემა.

საინტერესოა! წინათ ყოველი შემხვედრი ბიჭის გამო ვეჯავიანობდი, ახლა კი ძალზე ზერელედ მოვეკიდე ბედისწერისეულ მინიშნებებს! შესაძლოა, ამ ზამთრის განმავლობაში ლილიტას მოკრძალებულმა ქცევამ მოადუნა ჩემი სიფხიზლე. ყოველ შემთხვევაში, გიყიე კი ვერ იფიქრებდა, რომ მავანი ჰუმბერტ მეორე ახლა ვრცელსა და ძალზე ულამაზო ველებში კისრისტეხით მისდევდა (ზევსის მაშხალების თანხლებით) ჰუმბერტ პირველსა და მის ნიფეტს. ამიტომ ვივარაუდე, შინდისფერ „იაკში“ მაძებარი იჯდება-მეთქი. ეს უკანასკნელი, ალბათ, რომელიმე მოცლილ, შფოთიან კაცს უნდა დაექირავებინა ჰუმბერტ ჰუმბერტისა და მისი მცირეწლოვანი გერის ურთიერთობაში გასარკვევად. ჩვეულებრივ, ატმოსფეროში ელექტრული მოვლენებისა და ელვათა ტკაცატკუცის პერიოდებში ჰალუცინაციები მაწუხებს. ახლაც ასე იყო. დასაშვებია, რომ ამჯერად ჰალუცინაციებზე უფრო მნიშვნელოვანი რამ მაწამებდა. არ ვიცი, ერთხელ რა ბანგით შეაზავა ლილიტამ ან მაძებარმა ჩემი ჯინი, მაგრამ მან მხოლოდ ოდნავ გამაბარუა. ღამით მკაფიოდ გავიგონე კაკუნი. კოტეჯის კარი გამოვალე და მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ დედიშობილა ვიყავი. ზღურბლზე მდგარი კაცი მკრთალად ციმციმებდა წვიმით გაჟღენთილ წყვდიადში. მის სახეზე აფარებული ნიღაბი გამოსახავდა „ჩინს“, მსხვილნაკაპიან გროტესკულ ღეტექტივს, რომლის თავგადასავლები კომიქსებში ქვეყნდებოდა. მოწვენებამ ყრუდ გადაიხარხარა და გაიძურწა; ბარბაცით დაეუბრუნდი ჩემს საწოლს და მაშინვე დამძინა — უცსაერია, მაგრამ ჯერაც ვერ დავადგინე, ეს სინამდვილე იყო თუ ბანგით გამოწვეული ზმანება; ამასთან, მას შემდეგ საფუძვლიანად შევისწავლე ტრაპის თავისებური იუმორი და ეს საქციელი მის საკმაოდ დამაჯერებელ ნიმუშად წარმომიდგება. ო, რა ტლანქი და ღვარძლიანი ჩანაფიქრი იყო! ალბათ, ვიღაც კომერსანტი იმ ურჩხულებისა და ბრიყვების ნიღბების გაყიდვის მეშვეობით დიდძალ ფულს ხვეტდა. მეორე დღეს შევნიშნე, რომ ორი ბიჭუნა ნაგვის ყუთში იქექებოდა და „ჩინის“ ნიღაბს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზომებდა. ეს თანხვედნა იყო თუ მეტეოროლოგიური პირობების შედეგი?

მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო, მე გახლავართ მკელელი, რომელსაც საოცარი, მაგრამ, ამასთან, ძალზე ჭირვეული მეხსიერება აქვს. ამიტომ ვერ გაუწყებთ ჩემ მიერ ალუბლისფერი „ოპაკის“ შემჩნევის ზუსტ თარიღს. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, როგორ დავინახე პირველად მისი მძღოლი. ერთ საღამოს მანქანა ნელა მიმყავდა კოკისპირულ წვიმაში. გვერდით სარკეში მოჩნდა ვნებისგან ათრთოლებული და ფორმაშეცვლილი წითელი ჩრდილი. მალე წარღვნის ზრიალი შენელდა, წვიმა წვეთწვეთად აკაკუნდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა. მოელვარე მზემ ღრუბლები გაპო და ბზატკეცილ სხივები მათრახებივით გადაუჭირა. მუქმინიანი სათვალის ყიდვა მომინდა და ბენზინის სვეტთან შეეჩერდი. ყოველივე ავადყოფობად, ავთვისებიან სიმსივნედ მიმაჩნდა, რის წინააღმდეგაც ვერაფერს გავხდებოდი. ამიტომ გადავწყვიტე, უბრალოდ, ყურადღება არ მიმექცია ჩვენი აუღელვებელი მდეგრისთვის; ამ უკანასკნელმა მანქანა ცოტათი უკან შეაჩერა, იქ, სადაც იდეოტური ფირნიში იყო გაკრული: „ბენზინი“, ქვემოთ კი ეწერა: „ბენ, გაისეირნე ზინასთან ერთად“. მანქანამ წყურვილი დაიოკა. კანტორაში წავედი სათვალის საყიდლად და ბენზინის საფასურის გადასახდელად. როდესაც სამგზავრო ჩეკს ხელს ვაწერდი, შეეეცდე, მომესაზრებინა, სად ვიმყოფებოდი და შემოხვევით ფანჯარაში გავიხედე. ნანახმა შემზარა: მხარბეჭიანი, მელოტი, ჩალისფერ სპორტულ პიჯაკსა და ყავისფერ შარვალში ჩაცმული მამაკაცი ლოლიტას უსმენდა; ჩვენი ავტომობილის ფანჯარაში თავგამოყოფილი გოგონა სხაპასხუპით ლაპარაკობდა და თითებგაფარჩხულ ხელს ზეკით-ქვევით აქნევდა. ასე მაშინ იქცეოდა, როდესაც სერიოზულ და გადაუდებელ საკითხზე მსჯელობდა. განსაკუთრებით განმაცვიფრა — მტანჯველად განმაცვიფრა — მისი ქცევისა და მეტყველების ენით აუწერელმა სილაღემ. ისინი თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ; შემდეგ მამაკაცმა ლოლიტას თავი დაუქნია, ლოყა მოიქექა, მიტრიალდა და თავისი მანქანისკენ გაემართა. ეს ჩახმული, ჩემი ხნოვანების კაცი რამდენადმე წაადგავდა მამაჩემის ბიძაშვილს, გუსტავ ტრაპს. მას, ძია გუსტავის მსგავსად, მზემოკიდებული (ჩემსაზე გაცილებით მრგვალი) პირისახე და მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაში ჰქონდა. დეგენერატული პირი ვარდის კოკორს მიუგავდა. როდესაც ავტომობილთან მივედი, ლოლიტა საგზაო რუკას ეცნობოდა.

„რა გკითხა იმ თავხედმა, ლოლიტა?“

„რომელმა თავხედმა? ოჰ — იმან? ოჰ — რა ვიცი. მკითხა, რუკა ხომ არ გაქვსო. ალბათ, გზა აერია“.

მანქანა დავძარი და დავიწყე:

„ყური მიგდე, ლოლიტა. არ ვიცი, მატყუებ თუ არა, ან იქნებ ჭკუიდან შეიშალე. ამჟამად ეს ჩემთვის სულ ერთია; მაგრამ ის ვაუბატონი მთელი დღის განმავლობაში უკან მოგვდევს (ვფიქრობ, პოლიციის აგენტია); გუშინ მისი მანქანა ჩვენს ქარვასლასთან იდგა. კარგად იცი, რა მოხდება და სად გაგვგზავნიან, თუ პოლიცია რაამეს შეიტყობს. ახლა კი აბსოლუტურად ზუსტად მითხარი, რა გკითხა და რა უპასუხე“.

ლოლიტას სიცილი წასკდა.

„თუ ის კაცი მართლაც პოლიციელია, — წამოიძახა ხმამაღლა, მაგრამ საკმაოდ გონივრულად, — მაშინ არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ შეგვეშინდა. ყურადღება არ მიაქციო, მამაკო“.

„გკითხა თუ არა, საით მივემართებით?“

„ეს თვითონაც იცის“, — იყო დამცინავი პასუხი.

„ყოველ შემთხვევაში, — დაუუთმე მე, — მის სიფათს თვალი შეეკელე. საკმაოდ შეუხედავია. სხვათა შორის, გასაოცრად ჰგავს ჩემს ერთ ბიძას, გვარად ტრაპს“.

„იქნებ ის ტრაპია. შენს ადგილას რომ ვიყო, — ოჰ, შეხე, სამი ცხრაინი ათასად იქცა. როდესაც სულ პატარა ვიყავი — ანაზდად დაუმატა და ოდომეტრზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითა, — მჯეროდა, რომ თუ დედა მანქანას უკუსვლით წაიყვანდა, ნულები კვლავ ცხრიანებად იქცეოდა".

მგონი, პირველად გაიხსენა თავისი ჰუმბერტამდელი ბავშვობა; შეიძლება, სცენაზე ასწავლეს ამგვარი რეპლიკების მეშვეობით საუბრის თემიდან გადახვევა. სრულ სიჩუმეში გზას განვაგრძობდით.

საბედისწერო ავადმყოფობისას მორფის ზეგავლენით ტკივილი ქრება, შემდეგ კი ხელახლა იჩენს თავს, როდესაც წამლის მოქმედება სუსტდება და იმედი ილევა. ზუსტად ასევე, მეორე დღეს კვლავ ვამოჩნდა წითელი ნაღარი. გზატკეცილზე იმ დღეს არცთუ ისე ბევრი მგზავრი იყო; არავინ უსწრებდა ერთმანეთს; და არავინ ცდილობდა, ჩვენს სადა ლურჯ მანქანასა და მის მორჭმულ წითელ ორეულს შორის მოქცეულიყო: ცუღლუტმა ვრძნეულმა თილისმით შეკრა ჩვენ შორის არსებული ინტერვალი და ამ ზონის ბრლევით ნატიფი სიზუსტე დ ურყეობა თითქოს ხელოვანის ნაღვაწს წარმოადგენდა. ჩვენი მდევრის ბაბმით დატენილი მხრები და ბიძაჩემისგან ნასესხები ულვაშები ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენს მაგონებდა, ხოლო მისი ავტომობილი, ერთი შეხედვით, მხოლოდ იმიტომ მოძრაობდა, რომ უხილავი და ფარული ბაგირით იყო დაკავშირებული ჩვენს უბადრუკ „სედანთან". დიდებულ, ვალაქულ „იაკთან" შედარებით გაცილებით ნაკლები ძალა შეგაწევდა, ასე, რომ არც კი გვიცდია თავის დაძვრენა. „ო, ნელა გაგვეცალეთ, ღამეულო დრაკონებო!". აუჩქარებლად ვიპყრობდით ციცაბო ალმართს, შემდეგ კი ქვემოთ ვეშვებოდით. ნებადართული სიჩქარის მითითებებს ვექვემდებარებოდით. ბავშვებს მომდევნო კლასში გადასვლის საშუალებას ვაძლევდით. ხელის ნარნარი მოძრაობებით ვიმეორებდით ყვითელ ფარებზე დახატულ შავ, კლაკნილ ხაზებს, მოსახვევის შესახებ რომ გვაფრთხილებდნენ; და სადაც უნდა ვყოფილიყავით, მინუსხული ინტერვალი უცვლელად მისრიალებდა ჩვენ უკან, მათემატიკური მირაჟის ან ჯადოსნური ხალიჩის საგზაო დუბლიკატის მსგავსად. ამასთან, გამუდმებით ვგრძნობდი, როგორ გიზგიზებდა ჩემს მარჯვენა მხარეს ბაწაწინა ინდივიდუალური ხანძარი: ლოლიტას აღტყინებული თვალი, მისი შეფაკლული ლოყა.

საფაბრაკო ქალაქის გარეუბნის გზაჯვარედინზე (დღის ოთხ საათსა და ოც წუთზე) ჯოჯოხეთური მოძრაობის განმგებელმა პოლიციელმა ბედისწერის კარნახით საცთური გააქარწყლა. ხელით მანიშნა, გზა გაგრძელეო, შემდგომ კი იმავე ხელით შეაჩერა ჩემი ანრდილი. ჩემსა და „იაკს" შორის, გადამკვეთ ქუჩაზე, ავტომობილების ჯარი დაიძრა. მანქანა გავაქროლე, შემდეგ კი მარჯვედ გავუხვიე. მაღლიდან ბელურა ჩამოფრინდა, პურის მოზრდილი ნამცეცი ჩამოიტანა. მას მეორე ბელურამ შეუტია და ლუკმა გააგდებინა.

გულდამძიმებულმა, მანქანა რამდენჯერმე შევაჩერე და გზა განზრახ დავხლართე. როდესაც გზატკეცილზე დავბრუნდი, ჩემი ორეული არსად ჩანდა.

ლოლიტამ გამკილავად ჩაიფრუტუნა და მითხრა: „თუ ის კაცი მაძებარია, მისგან დამალვა სისულელეა".

„ამჟამად მდგომარეობა სხვაგვარად წარმომიდგება", — ეუპასუხე მე.

„მაძებართან კონტაქტი რომ არ გაგეწყვიტა, შენს წარმოდგენას შეამოწმებდი, ძვირფასო მამიკო, — შენიშნა ლოლიტამ, რომელიც საკუთარი სარკაზმის რგოლებში იკლაკნებოდა. — მაინც როგორი ფლიდი ხარ", — დასძინა ჩვეულებრივი ხმით.

პირქუში ღამე ამაზრზენ მოტელში გავატარეთ. თქრიალა ოქვნა ხმაურობდა. ჩვენს თავზე განუწყვეტლივ გაისმოდა მართლაც რომ წარღვნამდელი მეხის გრუხუნი.

„ქალბატონი არა ვარ და ელვა არ მიყვარს", — უცნაური აზრი გამოთქვა ლოლიტამ და ჩამეკონა (სამწუხაროდ, ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედა, რომ ქარიშხლებისა ავადმყოფურად ეშინოდა).

დილას ვისაუზმეთ ქალაქში, რომელსაც ერქვა, მი, მოს. 1001 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ ამ ერთიანის მიხედვით ვიმსჯელებთ, — შევნიშნე მე, — ჩვენი თავგასიებული მდევარი უკვე აქაა“.

„შენი იუმორი — შემესიტყვა ლოლიტა, — სწორედ რომ სასეიროა, ჩემო ძვირფასო მამიკო“.

ამ დროისთვის უკვე აბზინდის ტრამალს მივაღწიეთ და ორიოდ დღის განმავლობაში ვტკბებოდი გოგონას ლმობიერებით (ბრიყვო, ვეუბნებოდი ჩემს თავს, ყველაფერი კარგადაა, უსიამოვნება მხოლოდ დაგროვილი გაზებით იყო გამოწვეული); და მალე მართკუთხა ზეგნებმა ადგილი დაუთმეს ნამდვილ მთებს და ქალაქ უეისს დთქმული ვადაში მივაღწიეთ.

აი, უბედურება! თურმე რაღაც შეგვშლოდა; ლოლიტას თავის დროზე არაწერად წაეკითხა მეგზურში აღნიშნული თარიღი — ჯადოსნურ მღვიმეში გამართული როკკა და დიდი ხნის წინათ დასრულებულიყო! ლოლიტამ ამის გამო წარბიც არ შეიხარა,—და როდესაც აღმოჩნდა, რომ კურორტ უეისის საზაფხულო თეატრში საგასტროლო სეზონი დაწყებულიყო, გულმა იქით გაგვიწია (ივნისის შუა რიცხვებში, ერთ მშვენიერ საღამოს).

ღმერთმანი, ვერ მოგითხრობთ ნანახი პიესის სიუჟეტს; ეს იყო მდარე წარმოდგენა ელვის გამომხატველი პრეტენზიული შუქური ეფექტებით. მთავარ როლს უნიჭო მსახიობი ქალი ასრულებდა. ერთადერთი ვარგისი დეტალი გახლდათ სცენაზე მეტ-ნაკლებად უძრავად გახვევული ზეიდი პაწაწინა გრაციისგან შედგენილი ყვავილწნული — ზეიდი რეტდასხმული, სახეშეღებილი, ხელშიშველი, ფეხშიშველი სასკოლო ასაკის გოგონა. ფერადი მარმაშის კაბები ეცვათ და ადგილობრივი წარმომაგლობისა იყვნენ (ამაზე მიუთითებდა მიკერძოებული მღელვარება, დროდადრო რომ შეიმჩნეოდა მაყურებელთა დარბაზის სხვადასხვა ნაწილში): გოგონებს უნდა გამოესახათ ცოცხალი ცისარტყელა, რომელიც მთელი უკანასკნელი მოქმედების განმავლობაში საკმაოდ შთამბეჭდავად, თანდათანობით იძარცვებოდა უამრავი ეფთალისგან. მახსოვს, ვიფიქრე, კლერ კუილტმ და ვივიან დამორ-ბლოკმა „ბავშვებისგან შედგენილი ცისარტყელის“ იდეა ჯოისს მოჰპარეს-მეთქი. ისიც მახსოვს, რომ ამ ცისარტყელის ორი ფერი უწვეულოდ მომხიბვლელი არსებებით იყო წარმოდგენილი: ნარინჯისფერი განუწყვეტლივ ცმუტავდა განაიებულ სცენაზე, ზურმუხტისფერმა კი მალე შეაჩვია თვალი მაყურებელთა დარბაზის სიბნელეს და უეცრად გაუღიმა დედას თუ მეურვეს.

როგორც კი წარმოდგენა დამთავრდა და ირგვლივ ტაშისცემა გაისმა (რაც ჩემს ნერვებს აუტანლად აღიზიანებდა ხოლმე), ლოლიტა ბიძგის კვრით წავიყვანე გასასვლელისკენ. მსურდა, ბუნებრივი სტრფიალო აღგზნება დამეცხრო ჩვენი ნეონურ-ცისფერი კოტეჯის საიმედო სამყუდროვეში, განცვიფრებული ღამის საფარველქვეშ: ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ბუნებას აოცებს მისი იდუმალი ღამეული დაკვირვებები. ლოლიტა შეყოვნდა, თვალები მოწკურა და ვარდისფრად გახევდა; მხედველობამ იმდენად შთანთქა მისი სხვა გრძნობები, რომ მოდუნებულ ხელისგულებს ერთმანეთს არ აკარებდა, თუმცა მექანიკურად განაგრძობდა ტაშის-კვრას. ბავშვებში ადრეც შემინიშნავს ამგვარი ექსტაზი, მაგრამ ეს, ეშმაკმა დალახვროს, განსაკუთრებული ბავშვი იყო. ბეცი თვალების სხივიერი მზერა შორეული რამპისთვის მიეპყრო — იქ შევამჩნიე პიესის ორივე ავტორი (უფრო ზუსტად — მათი საუთო მოხაზულობა): ᲗᲛᲘᲙᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲜᲣᲚᲘ მამაკაცი და ძალზე მაღალი, შაგგრემანი ქალი, რომელსაც შიშველი მხრები და ქორული პროფილი ჰქონდა.

„მხეცო, ისევ მატკინე მაჯა“, — დაიწუწუნა წვრილი ხმით ლოლიტამ და ჩემ გვერდით დაჯდა ავტომობილში.

„მაპატიე, ჩემო თვალისჩინო — ჩემო ულტრაიისფერო თვალისჩინო“, — დაუფუფავე და ამაოდ ვცადე, იდაყვზე ხელი წამევლო; მინდოდა, საუბრის თემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცვალა — და ბედის მიზანმიმართულება სხვა გზით წარმემართა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო: „ვივანაი ძალზე სანდომიანი ქალბატონია. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გუშინ ენახეთ ქალაქ მიმოსში, სადილობისას“.

„ზოგჯერ საშინლად ყეყეჩი ხარ“ — შენიშნა ლოლიტამ. — ჯერ ერთი, ვივანაი მახაკაცია, ქალი კი — კლერკი. მეორეც, ის ორმოცი წლისაა, გათხოვილია და ძარღვებში ზანგის სისხლი უჩქეფს“.

„მე კი, — განვაგრძე და ალერსით წავეხუმრე, — მე კი კუილტი შენი ყოფილი სატრფო მეგონა — გახსოვს, მასზე ვსაუბრობდით ჩვენს ძვირფას რამზდელში, მაშინ, როდესაც გიყვარდი?“

„რაო? — შემოდავა ლოლიტა დაძაბული ვრიმასით, — რამზდელელი ბებერი დანტისტი? შენ, ალბათ, ვიღაც სხვა, კახა გოგონაში გეშლები“.

მე კი გავიფიქრე, რომ ამ გოგონებს ყველაფერი, ყველაფერი ავიწყდებათ, ჩვენ კი, ნიმფეტების ბებერი თაყვანისმცემლები, მათ ყოველ სანუკვარ გოჯს დავკანკალებთ...

19.

ბერდსლეიში ყოფნისას (ლოლიტასნებართვით) იქაურ ფოსტის უფროსს ვთხოვე, ჩვენი წერილები გადმოეგზავნა მოკითხვამდე ჯერ უეიში, თხუთმეტი ივნისის შემდეგ კი — ელფინსტონში. მეორე დილას ვეწვეოთ უეიის ფოსტამტს, სადაც მოკლე, მაგრამ ხანგრძლივ რიგში ლოდინი მოგვიხდა. ლოლიტა აუღელვებლად ათავალიერებდა შუაკედლისზე გამოფენილ გაიძვერების ფოტოსურათებს. ლამაზი არამზადა ანატოლ ბრაინსკი, იგივე ანტონი ბრიანი, იგივე ტონი ბრაუნი, თვალები — თაფლისფერი, სახის ფერი — მქრქალი, ბრალი ედება ბაავშის მოტაცებაში, იძებნება პოლიციის მიერ. თვალებში სევდაჩამდგარი ხანდაზმული ბატონის შეცოდება იმაში მდგომარეობდა, რომ საფოსტო უწყება მოატყუა. გარდა ამისა, — თითქოს ეს არ კმაროდა — ტერფების უკურნებელი დეფორმაცია აწუხებდა. შუბლშეკრული შუბერტის სურათზე მიწერილი იყო გაფრთხილება: ალბათ, შეიარაღებულია და საკმაოდ საშიშად უნდა ჩაითვალოს. თუ გსურთ, ჩემი წიგნი ფილმად გადაკეთოთ, ამგვარ ტრიუკს გთავაზობთ: სანამ დამნაშავეთა ფიზიონომიებს ვათვალიერებ, ერთ-ერთი მათგანი თანდათან გარდაიქმნება ჩემს სახედ. ვნახე ბაკარგული გოგონას ჭუჭყიანი სურათიც. თითხმეტი წლის იყო, უჯრედებიანი ქვედატანი ემოსა, ბერეტი ეხურა, მიმართეთ შერიფ ფიშერს, ფიშერიფს...

მეორნი, წერილები არ მიმიღია, რაც შეეხება დოლის, მისი სასკოლო შეფასება გამოგვიგზავნეს. გარდა ამისა, მიიღო ძალზე უჩვეულო, ძალზე გრძელკონვერტიანი წერილი, რომელიც უფიმანად გავხსენი და წავიკითხე. ლოლიტამ გულგრილი გამომეტყველებით ზურგი შემაქცია და გასასვლელთან მიეუჭეული კიოსკისკენ გაემართა. დავასკვენი, რომ ჩემი მოქმედება წინდახედულად გაითვალისწინა. „დოლი-ლო! ესეც ასე — პიესამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. სამივე ქოფაკი წყნარად იწვა — ალბათ, ჩვენმა ძვირფასმა ექიმმა მათ რაიმე წამალი შეუშხაუნა. ლინდამ, (შენმა შემცვლელმა) მშვენივრად ითამაშა, ერთდროულად მკვირცხლიც იყო და თავდაჭერილიც, მაგრამ ამაო იქნებოდა ლინდაში შენი გულითადობისა და უშუალო აღმაფრენის ძიება; მასში არ შეიმჩნევა ჩემთვის — და ავტორისთვის — მეტად ძვირფასი დიანას ხიბლი; ამასთან, ავტორი ამჯერად თეატრში არ მოვიდა, ხოლო უჩვეულო გრიგალმა რამდენადმე ჩაახშო ჩვენი მოკრძალებული „კულისებში გავარდნილი მეხის“ ხმა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დაუოკებელია ცხოვრება! ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა — სკოლა, სპექტაკლი, ჩემი ურთიერთობა როისთან, დედაჩემის ფეხმძიმობა (სამწუხაროდ, ბაავში მალე გარდაიცვალა), ყოველივე ეს უხსოვარდროინდელი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, თუმცა სინამდვილეში ვრიმი ჯერ კიდევ მიღიტნებს სახეზე.

საუზმის შემდეგ ნიუ-იორკში მივყავართ და, ალბათ, შშობლებთან ერთად, ევროპაში გავემგზავრები, თუმცა ეს სულაც არ მსურს. უარესი ამბავიც უნგა გაუწყო, დოლი-ლო! არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა ბერდსლეიში, მაგრამ თუ დაბრუნდები, შეიძლება, იქ არ დაგხვდე. ჩემი ერთი რომანი შენთვის ცნობილია, მეორის შესახებ კი ბევრი არაფერი იცი, — ასეა თუ ისე, მამაჩემი ჩაერია და პარიზში სასწავლებლად მაგზავნის ერთი წლით; თვითონაც იქ იცხოვრებს. მე ხომ ფულბრაიტის სტიპენდია მომანაწილს.

მოლოდინისამებრ, საბრალო ᲐᲝᲔᲛᲘ დაიბნა მესამე სცენაში, იმ ადგილას, სადაც ყოველთვის ვბორძიკობდი, იმ სულელურ სტრიქონებზე. გახსოვს?

ხიმენის სატრფოს ტბამ როგორი უჩვენა ძირი,
შემᲙᲣᲚი თეთᲠი შრᲝშანათი, ᲘᲚხენს თუ ᲦᲘრის.

აქ ხაზი გავუსვი ძნელად წარმოსათქმელ ადგილებს. აბა, Ჭკვიანად მოიქეცი, გოგუცუნა! პოეტი Გულითად სალამს გიძღვნის, მამაშენს კი მოწიწებით მოიკითხავს.

შენი მონა.

ჩემი თავგადასავლის გამო (რომელშიც მამაჩემი ჩაერია) ისე მოხდა, რომ კორესპონდენციას მკაცრად მიმოწმებენ. ამიტომ ჯერ არაფერი მიპასუხო, სანამ ევროპიდან არ მოგწერ“.

როგორც ჩანს, მონამ არ შეასრულა დაპირება. მით უკეთესი; მისი წერილი შეიცავდა უსიამო მინიშნებებს, რომელთა შესახებ მსჯელობა ახლა ძალზე მიმძიმს. ის დიდი ხნის შემდეგ ვიპოვე ერთერთი ჩვენი მეგზურის ფურცლებს შორის და აქ უბრალოდ, დოკუმენტაციის სახით მოვიყვანე. წერილი ორჯერ გადავიკითხე.

თავი ავწიე და დავაპირე — ესეც ახალი ამბავი — დიანა, სადღაა? სანამ მონას გრძნებით ვინუსხებოდი, ლოლიტამ მხრები აიჩეჩა და გაუჩინარდა. „შემთხვევით ხომ არ შეგიმჩნევიათ...“ მივმართე კუზიან კაცს, გასასვლელთან დერეფანს რომ ხვევდა. რა თქმა უნდა, შეამჩნია. ბებერი მრუში. მისი აზრით, ლოლიტამ ვიღაც დაინახა გარეთ და გავარდა. მეც გავვარდი. ტროტუარზე შევჩერდი, მაგრამ იქ გოგონა ვერ ვნახე. კვლავ გავიქეცი. შევჩერდი. ამგვარად — აღსრულდა. სამუდამოდ გაქრა.

მომდევნო წლებში ხშირად ვეკითხებოდი თავს, რატომ სამუდამოდ არ გაქრა ლოლიტა იმ დღეს. ჩემს ჩაკეტილ ავტომობილში შენახულმა საზაფხულო კაბებმა ხომ არ შეაკავა? ან, იქნებ, საერთო გეგმის რომელმე ნაწილი არ იყო სათანადოდ მომზადებული? ან კიდევ, უფრო მარტივად: უნდოდა, ელფინსტონში მიმეყვანა (სწორედ ეს ქალაქი იყო საბოლოო პუნქტი). მახსოვს, იმ წუთს ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საᲦᲝლოოდ მიმატოვა. ქალაქს ნახევარწრედ გარს ევლებოდნენ იისფერი მთები, რომლებიც ჩემს შეკითხვებს უუნლებელყოფდნენ. მომეჩვენა, თითქოს მაიზე მიბობღავდნენ აქოშინებული ლოლიტები. ისინი ბორძიკობდნენ, კისკასებდნენ, კიდევ უფრო მძიმედ ხვნეშოდნენ და გამჭვირვალე ნისლში უჩინარდებოდნენ. ციცაბო ფერდობზე თეთრი ქვების მეშეეობით გამოსახული იყო ქალაქის სახელწოდების უზარმაზარი პირველი ასო, რაც ჩემი ძრწოლის ინიციალად მეეიჩნიე.

ფოსტამტის ახალი, მშვენიერი შენობა ჯერ კიდევ მთელემარე კინემატოგრაფსა და შეთქმულებათა თავშეყრილ ალვებს შორის იდგა. მთიანი ზონის დროის მიხედვით, დილის ცხრა საათი იყო. ქუჩას „მთავარი“ ერქვა. მის ლურჯ მხარეზე მივაბიჯებდი და ვთვალიერებდი მოპირისპირე ტროტუარს; ეს უკანასკნელი უკვე მოაჯადოვა და დაამშვენა ზაფხულის სათუთმა დილამ, რომელშიც აქა-იქ მინაც ლაპლაპებდა და თაკარა შუადღის მოლოდინში მერყეობა და გულის შემაღონებელი უილაჯობაც იგრძნობოდა. ქუჩა გადავჭერი. დავხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიალებდი და სახლების გრძელი რიგის ფირნიშებს „ვფურცლავდი“: „აფთიაქი“, „უძრავი ქონება“, „მოდები“, „ავტომობილის ნაწილები“, „კაფე“, „სპორტული საქონელი“, „უძრავი ქონება“, „ავეჯი“, „ელექტროსელსაწყობები“, „ტელეგრაფი“, „სამღებრო“, „საბაჟალო“; ოჰ, პატრული, პატრული, ჩემი გოგონა გამექცა... მაძებარს შეუთანხმდა! შანტაჟისტი შეუყვარდა! ჩემი სრული უმწეობით ისარგებლა! ყოფმანობდი, რომელიმე გამვლელს ხომ არ გამოველაპარაკო-მეთქი. შემდეგ ეს განზრახვა უკუვაგდე. ერთხანს მანქანაში ვიჯექი. ვერ გავძელი და ქალაქის ბაღის ჩრდილიანი მხარის დასათვალიერებლად გავწიე. შემდეგ „მოდებსა“ და „ავტომობილის ნაწილებს“ დავუბრუნდი. გაშმაგებით, სარკასტული სიცილით ვუთხარი თავს, რომ მხოლოდ შემლილს შეეპარებოდა ეჭვი ლოლიტაში, რომ ის ახლავე გამორნდებოდა...

გამორნდა.

სწრაფად მივტრიალდი და სახელოდან მოვიცალე მისი ხელი. მოკრძალებული, ბრიყვული ღიმილით შემომცინებედა.

„მანქანაში ჩაჯექი“, — ვუბრძანე.

დამემორჩილა; ტროტუარზე ბოლთას ვცემდი, ბუნდოვან აზრებს ვებრძოდი და ვცდილობდი, მოდალატეს რამენაირად მივდგომოდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ავტომობილიდან გადმოვიდა და შემომიერთდა. მელეკვარება თანდათან დავიოკე და მიმღები ლო-ს ტალღაზე დავაყენე. ლოლიტა განმიმარტავდა, რომ ნაცნობ გოგონას შეხვედა.

„მართლა? მაინც ვის?“

„მხოლოდ მისი სახელი ვიცი“.

„მერი თუ ჯენი?“

„არა, დოლი — ჩემსავით“.

„ეს ჩახეა (ესე იგი, სარკე, ცხვირპირს რომ მიამტვრევ ხოლმე). კეთილი. ახლა სხვაგვარად ვცადოთ. ოცდარვა წუთის განმავლობაში არ იყავი. რას აკეთებდა ორივე დოლი?“

„რძის ბარს ვეწვეით“.

„რა შეუკვეთეთ?“

„ოჰ, უბრალოდ, კოკა-კოლა“.

„მიფრთხილდი, დოლი! ამის შემოწმება შემიძლია“.

„ყოველ შემთხვევაში, მან კოკა-კოლა დალია, მე კი — წყალი“.

„კეთილი. აი, იქ იყავით?“

„ჰო, მგონი“.

„კეთილი. წავიდეთ, მესიფონე დავკითხოთ“.

„დაიცა, დარწმუნებული არა ვარ, შეიძლება, სხვა ბარი იყო, უფრო მოშორებით“.

„სულ ერთია, ჯერ აქ შევიდეთ. შედი, ვეთაყვა. ახლა ვნახოთ (კ.დავშალე სატელეფონო წიგნი, რომელიც ჯაჭვით იყო მიმაგრებული პიუპატრზე). კარგი. „კეთილშობილი დამკრძალავი ბიურო“. არა, უფრო ზემოთ იქნება. აი, „აფთიაქები“ და „რძის ბარები“: ერთი „მთის შესახვევშია“, მეორეში ახლა ვიმყოფებით, ესაა ლარკინის საოფთიაქო მაღაზია, და კიდევ ორია. და ეს ყველაფერია, რაც უეისს ან, ყოველ შემთხვევაში, მის სავაჭრო კვარტალს შეუძლია შემოგვთავაზოს გაზიანი წყლებისა და ნაყინის თვალსაზრისით. რას იზამ, თითეული მათგანი უნდა მოვინახულოთ“.

„ჯანდაბას შენი თავი!“ — წამოიძახა ლოლიტამ.

„უზრდელობა არ გიშველის, ჰატარაჟ!“

„კარგი, — თქვა მან. — მაგრამ არ გაბედო ჩემი ხაფანგში მომწყვდევა. კარგი, მართალი ხარ, არსად არ შევსულვარ. უბრალოდ, ვსაუბრობდით და ვიტრინებში ვბმოფენილ კაბებს ვთვალიერებდით“.

„რომელ ვიტრინებშია ამაში?“

„დიახ, ამაშიც“.

„ოჰ, ლოლიტა! კარგად შეხედე!“, და მართლაც ულაზათო სანახაობა წარმოგვიდგა. კოპწია ახალგაზრდა ნოქარი მტვერსასრუტით წმენდდა ნოხს, რომელზეც ორი (თითქოს აფეიქების შედეგად დაზიანებული) ფიგურა დაედგათ. ერთ-ერთი მათგანი სრულიად გაშშვლებული იყო, პარიკი არ ეხურა, ხელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც არ ჰქონდა მიმაგრებული. ფიგურის მცირე ზომა და მანერული, კეკლუცი პოზა ააშკარავებდა, რომ ის ლოლიტას სიმაღლის გოგონას შეესაბამებოდა. ამასთან, ახლა მას გარკვეული სქესის ნიშნები არ ეტყობოდა. იქვე იდგა თავსაბურავიანი პატარძლის შედარებით მაღალი და დასრულებული (მაგრამ ცალხელა) ფიგურა. იატაკზე, პატარძლის ფერხთით, სადაც ნოქარი გულმოდგინედ დაფორთხავდა, ეგდო ქერა პარიკი და სამი მოხრილი, შიშველი ხელი. ორი მათგანი შემთხვევით შეერთებულიყო და სასოწარკვეთილების, ვედრების შემაძრწუნებელ ჟესტს გამოხატავდა.

„შეხე, ლოლიტა, — ვუთხარი აუღელვებლად. — კარგად შეხედე. განა ეს წარმოუდგენელი უბედურების შესანიშნავი სიმბოლო არაა? თუმცა (განვაგრძე და ავტომობილში ჩავჯექი), უკვე მივიღე წინასწარი ზომები. აი, აქ (ხელთათმანების განყოფილება გამოვაღე) ამ პატარა ბლოკნოტში, ჩვენი ძეიფფასი მეგობრის მანქანის ნომერი მიწერია“.

სიბრაზეს გამო თავი არ შევიწუხე და ეს ნომერი მეხსიერებაში არ ავიბეჭდე. მხოლოდ საწყისი ასო და ბოლო ციფრი დამამახსოვრდა. სხვა ციფრებშა თითქოს ნახევარწრე შეკრეს მქრქალი ფერადი მინის მიღმა. ამიტომ კიდური ნიშნების — ლათინური P-სა და ექვსიანის გარდა, ვერაფერს ვარჩევდი. ამ დეტალებს (რომლებიც თავისთავად მხოლოდ პროფესიონალ ფსიქოლოგს თუ დააინტერესებს) იმიტომ აღვწერ, რომ ჩემმა მკითხველმა (ნეტავ ის ქერაწვერიანი ერუდიტი იყოს, ვარდისფერი ბაგეებით რომ წუწნის ხელჯოხის ბუნიკს და ჩემი მანუსკრიპტით ტკბება) სრულად შეაფასოს ანაზდეული ელდის სიმძაფრე: ასო P-ს ხაბარდა კაბა ჩაეცვა და B-დ ქცეულიყო, ექვსიანი კი საერთოდ აღარ ჩანდა. ცენტრალურ ნაწილსაც საშლელის კვალი ეტყობოდა: ციფრების ნაწილი ვიღაცას გაეთხუპნა, სხვები კი ბავშვური ხელწერით გადაეკეთებინა. ასე რომ მთელი რიგი ლოგიკური ხერხებით მიუწვდომელ მავთულხლართს დამსგავსებოდა. უკვე მხოლოდ ერთადერთი რამ ვიცოდი (ამას ჩემ მიერ დამახსოვრებული ასო მიუწმობდა): მტერი ბერდსლეის მეზობელი შტატიდან იყო.

არაფერი მითქვამს. ბლოკნოტი შევინახე და უეცისდან გავეგზავრეთ. ლოლიტამ ხელი სტაცა უკანა სავარძლიზე დაგდებულ ახალ კომიქსებს და მორიგი ყვეყეჩის თავგადასავალს ჩაეღრმავდა. მის თეთრ ბლუზს ქარი აფრიალებდა. მარჯვენა ყაეისფერი იდაყვი ფანჯარაში ჰქონდა გაყოფილი. უეცს თხზიოდ მიღით რომ დავშორდით, გადავუხვიე საპაკიკო მოედნის ჭრელი ჩრდილისკენ, სადაც დილას ცარიელ მაგიდაზე მიმოვნია თავისი მზიური ნამუხრევი; ლოლიტამ ჟურნალს თვალი აარიდა და გაოცებით გაიღიმა. არაფერი მითქვამს, ისე ლაზათიანად შემოვკარი სილა თბილ, მკკრივ, პაწია ყვრიმალზე.

შემდეგ კი — მონანიება, გულამოჯდარი ქვითინის სიამე, ფეხქვეშ გაგება, ვნებანი, უიმედო შერიგება. ღამის ხავერდოვან წყვდიადში, მოტელში, რომელსაც „ჩირანა“ (ჩირანა!) ერქვა, ლოლიტას მოყვითალო ფეხისგულებს კეკონდი — ამაზე მეტად არასოდეს დამიმცირებია თავი... მაგრამ ყოველივე ამაო იყო. განწირულნი ვიყავით. და მალე ჯოჯოხეთური წამების ახალ წრეში გადავინაცვლე.

როდესაც უეცისდან გავეგზავრეთ, ერთ-ერთ განაპირა ქუჩაზე... შემიძლია, დავიფიცო, რომ ეს არ მომლანდებია. ამ განაპირა ქუჩაზე თვალი მოვკარი ნაცნობ ალუმინისფერ „იაკს“ (ან მის ორეულს). ტრაპის ნაცვლად, იქ სხვადასხვა სქესის ოთხი თუ ხუთი ხმამაღალი წარმომადგენელი იჯდა, რომლებიც მსახიობებს მივამსგავსე. ამაზე ლოლიტასთან არაფერი მითქვამს. ამასთან, უეცისდან გამგზავრებისთანავე სრულიად სხვა რამ შეენიშნე. თავდაპირველად, ერთი-ორი დღის განმავლობაში, შინაგანი თავდაჯერებით ვარწმუნებდი თავს, არც ახლა, არც ადრე არავინ გამოგვკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებია-მეთქი; შემდეგ კი გავერკვეე, რომ ტრაპს ტაქტიკა გამოეცვალა და კვლავ მოგვდევდა, მაგრამ ამჯერად დაქირავებულ მანქანებს იცცლიდა.

ეს ჭეშმარიტი პროტეუსი განსაცვიფრებელი სისწრაფით ხტებოდა ერთი ტიპის აეტომობილიდან მეორეში. გადაადგილების ამგვარი ხერხი საგარაჟო პუნქტებს საჭიროებს, რომლებიც მგზავრებს ამარაგებს „საფოსტო“ მანქანებით; პირადად მე ზუსტად ვერასოდეს დავადგინე ამ სადგურების ადგილმდებარეობა. თავდაპირველად ტრაპი უპარატესობას „შევროლეს“ მოდელს ანიჭებდა — დაიწყო „კოლეჯ კრემის“ ფერის ღია მანქანით, გადავიდა პატარა „სედანზე“ („ლურჯი ლაგუნა“), შემდეგ კი გამოხუნდა და „ჭალარა ჭიუხად“ და „გამხმარ გოგრად“ გადაიქცა. ამის შემდგომ მანქანების სხვა მარკებს მიმართა და კვლავ განველო კომერციული ფერების მქრქალი ცისარტყელა. იძულებული გავხდი, დამედგინა ფაქიზი განსხვავება ჩემს „ლურჯი ოცნების“ ფერის იკაროსსა და მის „ლურჯი მთების“ ფერის ოლდსმობილს შორის. ამასთან, ყველაზე მეტად მაინც რუხი ფერი უყვარდა და მტანჯველ კოშმარებში ხშირად ამაოდ ვცდილობდი იმ ნიუანსების გარჩევას, რომლებიც ურთიერთისგან განასხვავებდა კრაისლერის „რუხ მგელს“, შევროლეს „რუხ აბრეშუმს“ ან დოჯის „რუხ პარიზს“...

გამუდმებით ვუთვალთვალებდი მის ულვაშსა და გაღეღილ საყელოს — ან მის მელოტ თავსა და ფართო მხარბეჭს. ამიტომ ყურადღებით ვზერავდი მზის სხივებში მოციმციმე ყველა შემხვედრ მანქანას. ასეთი იყო, მაგალითად, შვებულებაში მყოფი დარბაისელი მამაკაცის ავტომობილი, რომლის უკანა ფანჯარასთან ქალალდის ხელსაწმენდებით სავსე მუყაოს კოლოფი იდო; ფატაკი ოჯახის ძველისძველ „ფორდს“ შეჯახების შედეგად ცალი ფრთა შეზნექილოდ. მის ფანჯარაში, ფერმკრთალი ბავშვების გარდა, გაბურძგნილი ძაღლის თავიც მოჩანდა; მარტოხელა ჭაბუკის „სედანი“ მთლიანად გავსებულიყო საკიდრებიანი კოსტიუმებით; უშველებელი, ვაგონგანიერი მანქანა (ნამდვილი მოძრავი სახლი) არხეინად მიგორავდა და სრულ სიმშვიდეს იჩენდა მის უკან მბობდავი ავტომობილების რიგის მიმართ; სპორტულ მანქანაში ქალაშვილს თავაზიანობა გამოეჩინა და სავარძლის შუაგულში დამჯდარიყო, რათა საჭესთან მჯდარ ვაჟაკს მიახლოებოდა. ერთ-ერთი ავტომობილის სახურავზე გადაბრუნებული ნავი დიმავრებინათ... რუხი მანქანა ჩვენ წინ ამუხრუჭებდა, რუხი მანქანა გვეწვოდა...

ერთხელ, „კლდოვანი მთების“ რაიონში, სადღაც, სნოუსა და ჩამპიონს შორის, ოდნავ შესამჩნევ დაღმართზე მივგორავდით. სწორედ მაშინ (მეორედ!) მკაფიოდ დავინახე „შეყვარებული მაძებარი“. რუხი ჰრდღილი, რომელიც უკან გვდევდა, გამუქდა, კომპაქტურ სილურჯედ გადაიქცა. უეცრად „სედანი“ თითქოს გამოეხმაურა ჩემი ბედშავი, გაწამებული გულის ძგერას — აქეთ-იქით ქანაობა და სრიალი დაიწყო, ქვემოდან კი უმწეო ფრატუნი მომესმა.

„სალტე კაპუტ, მისტერ“, — მხიარულად წამოიძახა ჩემმა კეთილმა გოგონამ.

მანქანა მთის უფსკრულის პირას შევაჩერე. ლოლიტამ გულზე ხელები დაიკრიფა და ფეხი ხელსაწყოთა დაფას მიაბჯინა. გამოვძვერი და მარჯვენა უკანა ბორბალი შევაბოლშე. საბრალო სალტის ქვედა ნახევარს შემზარავი ოთხკუთხა ფორმა მიეღო. ტრაპი ჩვენგან ორმოცდაათიოდე იარდის მანძილზე შეჩერდა. მისი სახე მხოლოდ ბინძურ ლაქად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იყო მოცინარი ლაქა. გადაეწყვეტე, შემთხვევით მესარგებლა და მისკენ გავეძართე. გამიჩნდა ბრწყინვალე იდეა, ტრაპისთვის ბერკეტი გამომეფთია (თუმცა საკუთარი ბერკეტიც მქონდა). მან ცოტათი უკან დაიხია. ქვას ფეხი წავკარი, მეტკინა — და საყოველთაო მხიარულების ატმოსფერი წარმოიქმნა. ამ დროს ტრაპის მანქანის უკან უზარმაზარი სატვირთო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მანქანა გამოჩნდა, გრუზუნით გამიარა და უეცრად დამისიგნალა. უნებლიედ მოვტრიალდი და დავინახე, რომ ჩემი ავტომობილი ნელ-ნელა მიგორავდა დაღმართზე. შორიდან გავარჩიე ლოლიტა, რომელიც უაზრად იჯდა საჭესთან. ძრავა მუშაობდა, თუმცა კარგად მახსოვდა, რომ გამოვრთე.

შიშისგან ავცახცახდი და მანქანისკენ თავქუდმოგლეჯით გავექანე. სანამ მასთან მივირბენდი, ვიაზრე, რომ ორი წლის განმავლობაში ჩემი გოგონა უეჭველად დაეუფლებოდა მანქანის მართვის ელემენტარულ წესებს. კარს გაშმაგებით ვტაცე ხელი და გამოვაღე. ალბათ, ლოლიტამ ძრავა იმიტომ ჩართო, ჩემი ყურადღება ბატონი ტრაპისგან „სედანზე“ რომ გადაეტანა. ეს ფანდი ზედმეტი აღმოჩნდა. როდესაც მანქანას მივდევდი, ტრაპმა სწრაფად შეატრიალა მანქანა გზის შუაგულში და გაქრა. დავჯექი, სული მოვითქვი. ლოლიტამ მკითხა, მადლობას ხომ არ გადამიხდი იმისთვის, რომ ასე მარჯვედ დავამუხრუჭე დაქანებული ავტომობილიო. როდესაც პასუხი არ მიიღო, საგზაო რუკას ჩაუღრმავდა. ავტომობილიდან გამოვედი და „დაპირბლეას“ (განსვენებული შარლოტა ასე უწოდებდა ამ ოპერაციას) შევუღექი. გონება მიბნელდებოდა.

ბორბალი გამოვცვალე და ჩვენი ეგრეთ წოდებული „მოგზაურობა“ გავაგრძელეთ. უხალისო და სრულიად ზედმეტი დაღმართის შემდეგ გზატკეცილმა მთის კალთებისკენ აუხვია. განსაკუთრებით ციცაბო ადგილას გზა გადაგვიღობა უზარმაზარმა სატვირთო მანქანამ, რომელმაც დიდი ხნის წინათ გაგვისწრო. საზარელი გმინვით მიბობღავდა კლაკნილ აღმართზე; გვერდს ვერ აუვლიდით: მისი კაბინიდან ვერცხლის ბრტყელი ნაკუწი გამოფრინდა — საღეჭი რეზინის შესახვევი — და წამით ჩვენს წინა მინას მიეკრო. ვიფიქრე, თუკი მართლაც ვგიჟდები, შეიძლება, ვინმე შემოგვდეს-მეთქი. ყოველ შემთხვევისთვის (უთხრა ხმელზე ჭადარმა ჰუმბერტმა იმ ჰუმბერტს, რომელიც ღმერთმა იცის, სად /ფართხალებდა) კარგი იქნებოდა, მოვემზადებულიყავი, — მაგალითად, პისტოლეტი კოლოფიდან ჯიბეში გადამედო, რათა თავის დროზე ლაღად მესარგებლა სიგიჟის მიერ ბოძებული თავისუფლებით.

20.

როდესაც ლოლიტას თეატრით თავის შექცევის ნება დავრთე, გოგონა სიცრუეში გაიწაფა. გამოიკვეთა, რომ საქმე არ იფარგლებოდა მზა პასუხების გაცემით ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა: რას წარმოადგენს „ჰედა გაბლერის“ მთავარი კონფლიქტი; ან ცნობილი პიესის — „სიყვარული თელამუშებქვეშ“ — რომელ სცენებში შეიმჩნევა მოქმედების აღმავლობა; როგორ განვსაზღვროთ „ალუბლის ბაღის“ ძირეულ განწყობილებას; სინამდვილეში მას ღალატის სხვადასხვა ხერხებს ასწავლიდნენ. ო, რა აღშფოთებთ ვიხსენებდი ახლა ხუთი ვრძნობის სიმულაციას, რაშიც ლოლიტა ასე ზშირად ვარჯიშობდა ბერდსლეიში, ჩვენს სასტუმრო ოთახში! შეუმჩნეველად ვუთვალთვალებდი, როდესაც მინუსხული აღამიანივით ან მისტიკური რიტუალის მონაწილესავით მოძრაობდა; ეს იყო იმ ბავშვური თამაშის დახვეწილი ვერსია, როდესაც გოგონები პრიმადონებად წარმოიდგენენ ხოლმე თავს; ლოლიტა მიმიკით განასახიერებდა, თუ რას იზამდა წყვდიადში ვიღაცის კვნესის გაგონებისას, „ახალთ-ახალი“ დედინაცვლის პირველ დანახვისას, უგემური ლუკის (მაგალითად, მოყვითალო ჟელეს) გადაყლაპვისას, ხეხილის ბაღში ცვრიანი გაქელილი ბალახის სურნელის დაყნოსვისას, ან ნიმფეტის გრძნეული, ნატიფი თითებით ამა თუ იმ არარსებული საგნის, მოსინჯვისას. ჩემს ქაღალდებში აქამდე შემორჩა ქვემოჩამოთვლილი დავალებების მიმეორგრაფიული ნუსხა.

„შეხებითი ვარჯიში. წარმოიდგინე, რომ ხელს, ჰკიდებ პინგ-პონგის ბურთს, ვაშლს, მწებვარე ფინიკს, ტენისის ახალ, ფაფუკ ბურთს, ცხელ კარტოფილს, ყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულის კუბურას, კნუტს, ნალს, ჯიბის ცილინდრული ფორმის ფარანს“.

„თითებით შეეხე შემდეგ წარმოსახულ საგნებს: პურის გულს, რეზინს, ახლობელი ადამიანის მტკივან საფეთქელს, ზავერდის ნაჭერს, ვარდის ფურცელს“.

„შენ ბრმა გოგონა ხარ. სახიდან დაწყებული, ხელი შეავლე შემდეგ ადამიანებს: ბერძენ ჭაბუკს, სირანო დე ბერჟერაკს, თოვლის პაპას, ჩვილს, ლიტინისგან ახთახითებულ ფაეზუს, მძინარე უცნობს, საკუთარ მამას“.

მაინც, რა მშვენიერი იყო მეოცნება ლოლიტა, როდესაც ამა თუ იმ ტკბილ საცთურს მოუზმოდა ან სხვაგვარ ჯადოსნურ მოვალეობებს ასრულებდა. ბერდსლეიმი, განსაკუთრებით მუყაითი ღამეული ჯაფის შემდეგ, გოგონას რაიმე სიამოვნებას ან საჩუქარს აღვუთქვამდი ხოლმე, თუკი ის ჩემთვის იცეკვებდა. ლოლიტას ერთფეროვანი ნაზტომები პარიზელი მცირეწლოვანი ბალერინების ნარნარ და, ამასთან, რამდენადმე მოუქნელ მოძრაობებს როდი წაგავდა. ისინი უფრო მაგონებდა მოკლე ქვედატანებსა და სქელ სვეტერებში გამოწყობილ იმ გოგონების როკვას, ორგანიზებული ყვირილითა და გიმნასტიკური სიშმაგით რომ აქეზებენ ამერიკული რეგბის მოთამაშე სტუდენტებს. ძალზე მომწონდა მისი ჯერ კიდევ გაწუვთარებელი კიდურების რიტმიკა. მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ ენით აუწერელ ნეტარებას, რასაც მანიჭებდა ჩოგბურთის თამაშში ლოლიტას მონაწილეობა. ასეთ წუთებში არგაონილ აღტყინებას განვიცდიდი — მეჩვენებოდა, თითქოს არაამქვეყნიური ჰარმონიის, ზებუნებრივი სხივმოსილი არის კიდეზე ვირწეოდი.

ხანდაზმულობის მიუხედავად, თეთრ საჩოგბურთო ტანსაცმოსში ჩაცმულ მზისფერ ლოლიტას ჭეშმარიტი ნიმფეტის იერი ჰქონდა. ფრთოსანო მსაჯულნო! არავითარი საეჭვო არ მჭირდება, თუ მასში ვერ ვიპოვი ლოლიტას — ისეთს, როგორიც ის იყო კოლორადოს კურორტზე. მოვითხოვ, რომ იქაც ყოველივე განმეორდეს: ფართო, თეთრი ტრუსები, ვიწრო, გარუჯული, შიშველი წელი, თეთრი სამკერდე მოსახვევი, რომლის ლენტები კისერზე ჰქონდა გასკვნილი — და რომელიც არ ფარავდა ატმისებრი ღინღლიით დაფარულ ბეჭებს, თვალწარმტაც, ნაზ ძელებსა და კრიალა ზურგს! მის კეპს თეთრი წინაფარა ჰქონდა. მისი ჩოგანი ძალზე ძვირი დამიჯდა. დიყლაპია, დიყლაპია! ხომ შემეძლო ლოლიტას კინოფირზე გადაღება! ის ახლაც ჩემთან იქნებოდა, ჩემ თავლწინ, ჩემი სასოწარკვეთილების საპროექციო კამერაში მეყოლებოდა გამომწყვდეული!

სერვისის დაწყებამდე ლოლიტა ცარცით გახაზულ მიჯნასთან ისვენებდა. დროდადრო ბურთს მიწაზე აგდებდა ან თეთრი ფეხსაცმლის წვერით მიწას ჩხაპნიდა. ყოველთვის ლაღი, მხიარული და მშვიდი იყო — მაგრამ რა იშვიათად ლაღობდა უღიმღამო ოჯახურ გარემოცვაში! ასე მგონია, ამ ნორჩმა არსებამ ჩოგბურთის თამაშში სასცენო ხელოვნების დონემდე აიყვანა. ამასთან, თვით ლოლიტასთვის, ეს, ალბათ, მხოლოდ ცხოვრებისეული, ძირეული სინამდვილის ეგომეტრიულ არსს წარმოადგენდა.

გოგონას მიხრა-მოხრის მკაფიო სიცხადეს შეესაბამებოდა მისი თითოეული დარტყმის წმინდა, მსუყე ელვარადობა. როდესაც ბურთი მისი ძალაუფლების სფეროში ექცეოდა, თითქოს თეთრდებოდა და კიდევ უფრო მეტ დრეკადობას იძენდა. ლოლიტას პრეციზიული ჩოგანი ბურთს არაჩვეულებრივად მჭიდედ და აუჩქარებლად ეზებოდა. მეტსაც ვიტყვი: მისი სტილი ჩოგბურთის მართლაც რომ საუკეთესო სტილის სრულიად ზუსტი იმიტაცია იყო, რომელიც არავითარ პრაქტიკულ შედეგს არ იძლეოდა. ბაღის მერხი ჩემ ქვეშ თრთოდა, როდესაც ვაკვირდებოდი დოლორეს ჰეიზს, მთელ კორტზე რომ არბენინებდა კოპწია ლინდა ჰოლს (ამ უკანასკნელმა მაინც დაამარცხა ლოლიტა). ერთერთ ასეთ მომენტში ედუზა გოლდის დამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრამ (შესანიშნავმა ნორჩმა მწვრთნელმა) მითხრა: „ოქვენს დოლის თითქოს მაგნიტური ჩოგანი აქვს, მაგრამ, ღმერთმანი, ვერ გამიგია, რატომ იჩენს ასეთ თავაზიანობას?“ აჰ, ელექტრა, რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ გოგონა ესოდენ ბრაგიოზულია! მახსოვს, როდესაც მათ პირველ თამაშს დავესწარი, ამ მშვენიერებამ გამაოგნა. სასერვისო ციკლის ლაღსა და მოქნილ დასაწყისში ლოლიტას ნახევრად მოხრილი მარცხენა ფეხის აწევა სწვეოდა. ამ დროს იბმებოდა და წამიერად იჭიმებოდა გამაწონასწორებელი ცოცხალი ბადე მზით გაცისკროვნებულ ოთხ წერტილს — ფეხის წვერს, ოდნავ შეღინღლულ იღლიას, მზემოკიდებულ ხელსა და უკან გაწეული ჩოგნის ოვალს შორის. გოგონა ღიმილით იყურებოდა ზევით: იქ, მაღლა, ძლევამოსილსა და მწყობრ კოსმოსში ეკიდა პაწაწინა პლანეტა, რომელსაც ლოლიტის მსუნხავი ოქროს მთორახით უნდა დასხმოდა თავს. მის მიერ ლაღად, ლამაზად, ყმაწვილურად მიწოდებული ბურთის ტრაექტორია კლასიკური სიწმინდით ვამოირჩეოდა. ამასთან, ის ადვილი მოსაგერიებელი იყო, რადგან ბურთის გრძელ, ელეგანტურ ნახტომს არავითარი ეშმაკური ჩანაფიქრი არ ედო საფუძვლად.

ო, როგორ ვნანობ! რა იოლად შემეძლო ამ ჯადოსნური ნაყშების უკვდავ ყოფა და ცელულოიდის ლენტზე მათ აღბეჭდვა! რამდენად აჯობებდა ისინი მყისიერ ფოტოსურათებს, რომლებიც მე (შეშლილმა!) დავწვი! მისი „სმეშის“ მიმართება სერვისთან წაადავდა სონეტში სექსტეტისა და ოქტეტის ურთიერთდამოკიდებულებას. ბურთის მიწოდების შემდეგ ჩემი თვალისჩინი მყისვე ბადისკენ მიეცუნცულებდა თავისი მკვირცხლი, თვალისმომჭრელი, თეთრხამლიანი ფეხებით. ვერავინ იტყოდა, რა უფრო ეხერხებოდა — დრაივი მარჯვნიდან თუ დრაივი მარცხნიდან: ყოველი მათგანი მეორის სარკისებრ ასახვას წარმოადგენდა. წელში ახლაც ჭეალი მადგება ამ დარტყმების პისტოლეტისმაგვარი ბათქაბუთქის მოგონებისას (რასაც ეხმიანებოდა ელექტრას წამოძახილები და მკვეთრი ქქო). დოლის თამაშში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოკლე დარტყმა, რომელიც სახელგანთქმულმა ნედლითამმა ასწავლა კალიფორნიაში.

ლოლიტა ცურვასთან შედარებით სცენას ანაჭეზდა უპირატესობას, მაგრამ ჩოგბურთის თამაშს ცურვა ერჩიენა; და მაინც ვამტკიცებ: გოგონა სულიერად რომ არ გამეტეხა (მაშინ ეს არ მეშმოდა!), მისი იდეალური სტილი შეუურთდებოდა გამარჯვების წადილს და ლოლიტასგან ნამდვილი ჩემპიონი დადგებოდა. დოლორესი, რომელსაც ორი ჩოგანი ამოუფლეთავებია უამბილდონში (1952). დოლორესი „დრომადერად“ წოდებული პაპიროსების რეკლამაზე (1960), პროფესიონალ მოთამაშედ ჩამოყალიბებული დოლორესი (1961), დოლორესი, რომელიც ჩოგბურთის ჩემპიონს თამაშობს კინოდრამაში (1962). დოლორესი და მისი მხცოვანი, თვინეერი, მდუმარე ქმარი, მეუღლის ყოფილი მწვრთნელი, ღრმად მოხუცებული ჰუმბერტი (2000).

თამაშის ლოლიტასეული მანერა არავითარ ხრიკს არ შეიცავდა — თუ ნიმფეტურ ეშმაკობად არ მივიჩნევდით თამაშის ანგარიშისადმი მხიარულებით აღსავსე განურჩევლობას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ის ძალზე უმოწყალო და ცბიერი იყო, მაგრამ აქ იმგვარ უმანკოებას, გულითადობასა და კეთილმოსურნეობას იჩენდა, რომ უხეირო, ტლანქი, მაგრამ ჯიუტი მოთამაშე ყოველთვის მოახერხებდა გამარჯვებისკენ გზის გაჩიჩქნას. მომცრო ტანის მიუხედავად, თამაშის რიტმში ჩართული ლოლიტა არაჩვეულებრივად სწრაფად დაჰქრიდა მოედნის საკუთარ ნახევარზე (1053 კვადრატულ ფუტზე) და ამ რიტმს მართავდა. თუკი მხლოდ ერთი პუნქტი აკლდა პარტიის მოსაგებად, მაშინ მეორე, კიდევ უფრო ძლიერი და მოხდენილი სერვისი, რომელშიც არ იგრძნობოდა ფრთხილი მოთამაშეების დამახასიათებელი შინაგანი ყოყმანი, წკრიალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდებოდა ბადის მუსიკალურ ხიმს — შემდეგ კი სხლტებოდა და აუტში ვარდებოდა. ლოლიტას მიერ მძიმის მიელვარე მარცვლივით გასროლილ ბურთს იჭერდა და კუთხეში აბრუნებდა მოწინააღმდეგე, რომელსაც თითქოს ოთხი ფეხი ჰქონდა და გაღუნული ნიჩაბი ეჭირა; დრამატულად გაგზავნილი ლოლიტასეული ბურთები გულუბრყვილოდ ეცემოდა მოწინააღმდეგის ფეხებთან. ის კვლავ და კვლავ აცდენდა ოგანს ადვილად დასაჭერ ბურთებს — და სიცილით განასახერებდა წყენას: ბალერინასავით მოხდენილად წინ იხრებოდა — და შუბლზე კულულები ეყრებოდა. ლოლიტას გრაციოზული, ბრწყინვალე თამაში იმდენად უნაყოფო იყო, რომ მან ვერ დაამარცხა თვით ძველმოდური მოთამაშე, აქოშინებული ჰუმბერტი.

ეფიქრობ, განსაკუთრებით მგრძნობიარე ვარ თამაშის მაგიის მიმართ. როდესაც გასტონთან ერთად ჭადრაკის სესიებს ვმართავდი, დაფის ნაცვლად წარმომიდგებოდა ზღვის გამჭვირვალე წყლით ავსებული კვადრატული ფოსო, რომლის ბრტყელ მოზაიკურ ფსკერზე ვარდისფრად ციმციმებდნენ იშვიათი ნიჟარები და ხაფანგები. ჩემს შეუსმენელ პარტნიორს ეს მღვრიე შლამი ან სეპიის ღრუბელი ეგონა. ამასთან, ჩოგბურთით ლოლიტას წამებასა და წვრთნას ვიხსენებდი როგორც უბალისო დავიდარაბას (სანამ გამოჩენილი კალიფორნიელი ოსტატის გაკვეთილებმა თვალი აუხილა ამ თამაშის არსზე) — და არა მარტო იმიტომ, რომ უნიათო შეგირდს ასე აუტანლად აგულისებდა ყოველი რჩევა — არამედ იმიტომაც, რომ კორტის ფაქიზი სიმეტრია საბოლოოდ იბღალებოდა პედაგოგის უნიჭობით დაღლილი და გაბოროტებული ბავშვის მიერ. შემდგომ ყოველივე შეიცვალა და იმ ღღეს, კოლორადოს ნათელ ატმოსფეროში, „ოტელ ჩამპიონისკენ“ მიმავალი ქვის ცაცაბო კიბის ძირას გაშენებულ შესანიშნავ კორტზე მომეჩვენა, თითქოს ლოლიტას გაურკვეველი ღალატის კოშმარისგან გამათავისუფლებდა მისი სტილის, სულისა და გრაციის სინატიფე.

წყნარი ამინდი იდგა. ლოლიტა ხელმარჯვედ, ბრტყლად, ლაღად სცემდა ჩოგანს, და ბურთებს კორტის სიღრმეში ისროდა. დარტყმების რიტმი კლასიკური სისადავით გამოირჩეოდა, რის გამოც კორტზე ჩემი გადაადგილება მხოლოდ დინჯ ბოლთის ცემაზე დაიყვანებოდა (ჭეშმარიტი მოთამაშეები მიმიხვდებიან, რისი თქმაც მსურს). თამაშის მანერა მემკვიდრეობით გადმომცა მამაჩემმა (რომელმაც ის, თავის მხრივ, ფრანგი დეკოუეისა თუ ბელგიელი ბორმანისგან შეითვისა—ეს მისი ძველი მეგობრები და სახელგანთქმული ჩემპიონები იყვნენ); ლოლიტასთვის მრავალი დაბრკოლების წარმოქმნა შემძლო, მაგრამ ვინ აწყენინებდა ასეთ თვალუუშუნა პაწია ფერიას? მოგახსენეთ თუ არა, რომ მკლავზე რვაანივით აჩნდა ნაჭდევი, ვვაკილის აცრის შემდეგ რომ შემორჩენოდა? რომ ის უსასოოდ მიყვარდა? რომ მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო?

ცნობისმოყვარე პეპელა დროდადრო ნელი ფარფატით გაიფრენდა ხოლმე ჩვენ შორის.

უეცრად, სად იყო და სად არა, საჩოგბურთო ტანისამოსში გამოწყობილი წყვილი გამოჩნდა. ჩემზე, ალბათ, რვა წლით უმცროს წითურ მამაკაცს მუხლები გარუჯოდა; საკმაოდ ფერმკრთალ (ლოლიტაზე ოროდ წლით უფროს) გოგონას ჭორვეულად დაღრეცილი პირი და სუსხიანი მზერა ჰქონდა. კეთილსინდისიერი ახალბედა მოთამაშეების ჩვეულებისამებრ, ჩოგნები შალითებსა და ჩარჩოებში შეეფუთათ და ბუნებრივად, მარჯვედ როდი ეკავათ; თითქოს ვეება უროები, მუშკეტები, ციბრუტები ან ჩემი საკუთარი უშველებელი, ამაზრზენი ცოდვები მოჰქონდათ. ახალმოსულნი რამდენადმე უტიფრად დასხდნენ ხოდინის მარცხენა მხარეს დადგმულ მერზზე ჩემი ძვირფასი (გარკვეული გაგებით) პიჯაკის მახლობლად. ძალზე ხმამაღალი აღტაცება გამოთქვეს უწყვეტად, თანმიმდევრული დარტყმების გამო, როდესაც

ბურთმა თითქმის ორმოცდაათჯერ გადაინაცვლა ბადის ორივე მხარეს. ლოლიტა უზადოდ თამაშობდა, სანამ სერიის გაწყვეტის გამო არ ამოიკვნესა — მისი „სმეში“ მოედნის ხაზს გასცდა. გოგონა (ჩემი სიხარულის!) წამით წელში მოიხარა სიცილისგან.

მომწყურდა და წყლის შადრევნისკენ გავეშართე. წითურმა ამით ისარგებლა, მომიახლოვდა და თავაზიანად შემთავაზა, ოთხივეს ერთად გვეთამაშა. „ბილ მიდი მქვია, ეს კი ფეი პეიჯია, მსახიობი, ჩემი საცოლე“, — დაუმატა (და ულაზათოდ შეხვეული ჩოგნით მიმითითა ფეიზე, რომელიც უკვე ეტტინენბოდა ლოლიტას). ვუპასუხე: „გმადლობთ, მაგრამ...“ (ვერ ვიტან, როდესაც ჩემს ჯიშიან გოგონას მეკუდნენებთან ურთიერთობას ახვევენ თავს) და იმავე წამს საოცრად მუსიკალურმა წამოძახილმა სიტყვა შემაწყვეტინა: ოტელის მსახური ბიჭი ბაკაბუკით ჩამორბოდა კიბეზე, ჩვენი მოედნისკენ და რაღაცას მანიშნებდა. თურმე ტელეფონთან მიხმობდნენ სპალალაქთაშორისო ექსტრაორდინარული გამოძახების გამო — რაც იმდენად სასწრაფო იყო, რომ ჩემთვის ხაზიც კი დაეკავებინათ. მოვდივარ-მეთქი, დავუყვირე, პიჯაკს ხელი ვტაცე (თან შიდა ჯიბეში შენახული კოლტის სიმძიმე ვიგრძენი) და ლოლიტას ვუთხარი, მალე მოვბრუნდები-მეთქი. გოგონა მიწაზე დავარდნილ ბურთს იღებდა (ევროპული წესით, ესე იგი, ფეხის წვერითა და ჩოგნის კიდით) და გამიღიმა, — ლოლიტამ გამიღიმა!

ავბედითი შტილის მეშვეობით გულმა როგორღაც გამიძღო, სანამ ბიჭს ოტელისკენ მიეყვებოდი. გამახსენდა, რომ ერთ ამერიკულ მოკლე ფრაზაში მხილება, შურისგება, საწამებელი ჯურღმული, სიკვდილი და მარადისობა გამოიხატება საოცრად უსხვავსი ფორმულით: „ზის ის ით“, — „აი ის!“, „ეს სწორედ ისაა!“ ლოლიტა საკმაოდ უსიამოვნებაში დატოვე, მაგრამ არა უშავს. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებ, გაიფორებით ვიბრძოლებ. უმალ ყოველივე აღვგვი პირისაგან მიწისა, ვიდრე მას დავთმობ. დიახ, მართლაც ციცაბო კიბეა.

სასტუმროს ბიუროში ცხვირკეხიანმა მამაკაცმა (რომლის ბნელი წარსული, ალბათ, საგანგებო გამოძიებას საჭიროებდა) მისი ხელით ჩაწერილი ცნობა გადმომცა. საქალაქთაშორისო ხაზმა ვეღარ მომიცადა. ცნობაში ნათქვამი იყო: „მისტერ ჰუმბერტ. დაგიარეკათ ბურდოლეის (სწორედ ასე ეწერა!) სკოლის დირექტორმა. საზაფხულო ნომერი: ბურდოლეი — 2-82-82. ვეთაყვა, სასწრაფოდ დურეკეთ. ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა“.

ჩემი გრძელი სხეული მოვკეცე და სატელეფონო ჯიხურში შევატეე. შემდეგ ახი გადავფლაპე და ათი წუთის განმავლობაში მოჩვენებებით დასახლებული სივრცის ნაშიერებს ვეომებოდი. თანდათან აიწყო კვარტეტი; სოპრანომ წაიმღერა, რომ ბერდსლეიში ასეთი ნომერი არ იყო; ალტმა განაცხადა, მის პრატი ევროპაში ვაემგზავრაო; ტენორმა მაუწყა, რომ ბერდსლეის სკოლიდან არავის დაურეკავს; ბანმა კი წაიბუნუნა, რომ მისს პრატი ვერ დარეკავდა — არავინ იცოდა, რომ ზუსტად ამ დღეს კოლორადოს სწორედ ამ სასტუმროში ვიძევებოდი. გულნატკენი ცხვირკეხიანი მოსამსახურე თავაზიანად დამთანხმდა, გაერკვია, მართლაც დარეკეს თუ არა „ბურდოლეიდან“. აღმოჩნდა, რომ არავის დაერეკა. ალბათ, რომელიმე ადგილობრივმა ცუდლუტმა მოზარდმა ნომერი აკრიფა და მიიმალა. მოსამსახურეს მადლობა გადავუხადე. მან მიპასუხა, არაფრისო. მოჩქრიალე პისუარში გავიარე, შემდეგ კი ბარში სასმელი გადავკარი.

ლოლიტასკენ გავეშურე. პირველივე ტერასიდან თვალი მოვკარი ჩვენს კორტს — და ცუდად გაწმენდილ გრიფელის დაფას მივამგვანე. მზისფერი ლოლიტა შერეული წყვილების თამაშში მონაწილეობდა; ფლამანდიური სკოლის გონჯ ხეიბართა შორის მოხეიდრილ მშვენიერ იტალიელ ანგელოსს ჰგავდა. ერთ-ერთმა პარტნიორმა ადგილი გაუცვალა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუმრობით ჩოგანი გაუტყაპუნა უკანალზე. ამ კაცს უჩვეულოდ მრგვალი თავი ჰქონდა; მისი ყავიოსფერი შარვალი საჩოგბურთოდ არ იყო განკუთვნილი. ანაზდად შეკრთა — კიბეზე დამინახა. ჩოგანი (ჩემი ჩოგანი) ძირს დაადგა და შეეცადა, აბობღებულიყო ციცაბო გაზონზე, რომელიც ბულვარსა და კორტს მიჯნავდა. კომიკურად განასახიერებდა მოკლეფრთიან ფრინველს, რისთვისაც მაჯებსა და იდაყვებს აქნევდა; და აი, ასე, გაღეღნული ფეხებით ავიდა ქუჩამდე, სადაც ნაცრისფერი აუტომობილი ელოდებოდა. მომდევნო წუთს ისიც გაქრა და მანქანის გამონაბოლქვიც. როდესაც კორტზე მივედი, დარჩენილი სამეული უკვე აგოვებდა, ათვალიერებდა და ახარისხებდა ბურთებს: დილას ექვსი ახალი ბურთი ვიყიდე, ხხვისაზე კი სისხლისფერი ნიშნები იყო დასმული.

„მითხარით, მისტერ მიდ, ვინ იყო ის ვაჟბატონი?“

ჯერ მიდმა, შემდეგ კი ფეიმ ძალზე სერიოზული გამომეტყველებით, უარყოფითად გააქნიეს თავები.

„წარმოიდგენიათ, — ამოხსნა ფეიმ, — ვიდაც ახირებული თავხედი კაცი შემოგვიერთდა, რათა მეორე წყვილი შეგვეგენა. ხომ ასე, დოლი?“

ისინი უკვე „დოლის“ ეძახდნენ ლოლიტას. ჩემი ჩოგნის სახელური გულისამრევად თბილი იყო. ოტელში დაბრუნებამდე ლოლიტა ვიწრო ხეივანში წავიყვანე. იქ, ლურჯყვავილებიან სურნელოვან ბუჩქნარში უკვე დავაპირე, ქვითინით შევვედრებოდი მოჯადოებულ, უნდილ გოგონას, სიცრუით მაინც გაეფანტა გაუსაძლისი შიშის ზარი, — რომ უცნაურად მოკრუნჩხული წყვილი დავინახეთ. ასე შეეტაკება ხოლმე ურთიერთს ორი წყვილი ძველი კომედიების იდილიურ გარემოცვაში. ბილი და ფეი სიცილით კვდებოდნენ — ალბათ, მათ რომელიმე პრეჯიფარ ხუმრობას შეეფარით. ამას მნიშვნელოვნა აღარ ჰქონდა.

ლოლიტამ მითხრა, რომ საბანაო კოსტუმს ჩაიცვამდა (ისეთი კილო ჰქონდა, თითქოს ცხოვრება კვლავ ავტომატურად ტრიალებდა ყოველდღიური გასართობი საქმიანობის წრეში) და საღამომდე აუზის მახლობლად იყაალებდა. ამინდი ხომ ისეთი ჩინებული იყო, ლოლიტა!

21.

„ლო! ლოლა! ლოლიტა!“ — ასე გავყვიროდი ზღურბლიდან მზიურ შორეთში. დროის ტალანების აკუსტიკას ჩემს ხრინწიან ძახილში იმდენი მღელვარება, ენება და ტანჯვა შეექცნა, რომ თვით მკვდარი ლოლიტას ელვა-შესაკრავით დაგმანული ნეილონის სუდარა მყისიერად გაიხსნებოდა. მას ხასხასა მოლით დფარულ ტერასაზე დაეეწიე (სანამ ტანთ ვიცვამდი, გამექცა). ო, ლოლიტა! გოგონა ძაღლს ეთამაშებოდა — ძაღლს, და არა — მე! მურია (უცნაური ხახვარტეერიერი) ძირს ანარცხებდა, შემდეგ კი კვლავ კბილებით აჭერდა და ყბასთან მოიგდებდა ხოლმე წითელი გუტაპერჩის სველ ბურთს, შემდეგ წინა თათებით სწრაფ აკორდებს იღებდა დრეკად გაზონზე და სადღაც გარბოდა. მხოლოდ ის მაინტერესებდა, სად იმყოფებოდა ლოლიტა; გულის მძიმე მდგომარეობის გამო (რაც არავის აინტერესებდა) მაინც ვერ ვიბანავებდი. და აი, გოგონა ძაღლს ეთამაშებოდა, მე კი იქვე ვიდექი და აღარ ვეძახდი; უეცრად მის მოძრაობებში რაღაც მნიშვნელობა ამოვიკითხე... წითელ საბანაო კოსტუმში ჩაცმული ლოლიტა აქეთ-იქით დახტოდა და ეს უგონო ლაღობა ბევრად ჭარბობდა ჩვეულებრივ მხიარულებას. ძაღლსაც კი ეუცხოებოდა მისი გაზეიადებული აღტყინება. ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე და მკერდზე ფყნარად მივიდე ხელი. ფირუზისფერმა აუზმა ჩემს მკერდში გადმოინაცვლა და შინაგანი ორგანოები შიგ ისე ატივტივდნენ, ადამიანის სკორე რომ ტივტივებს ხოლმე ზღვის ცისფერ ტალღებში ნიცის სანაპიროსთან. ერთ-ერთი მობანავე აუზს გასცილდა და ფოთლების ფარშავანგისებრ ჩრდილში გახევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებზე მოხურული პირსახოცის კიდეებისთვის ხელები ჩაეკლო და ქარვისფერ მზერას ლოლიტას არ აცილებდა. ასე იდგა შუქჩრდილში მიმალული, ააუარისებრი ათინათებით აჭრელებული და საკუთარი სიშიშვლით შენიღბული ეს მეთვალყურე: სველი შავი თმა — უფრო ზუსტად, თმის ნარჩენები — მრგვალ თავზე მისწებებოდა; წითელ ტუჩებს ულაკაშის სველი ნაღვენთი „უმშვენებდა“, მკერდზე ბალანი ორმხრივი ალამივით ირხეოდა, ჭიპი უტოკავდა, გაბანჯგველულ ბარძაყებზე წყლის მოცემცმე წვეთები ასხდა, ვიწრო შავი საბანაო ტრუსი ტანზე თითქმის ასკდებოდა იქ, სადაც გამოზნექილი, უშველებელი, ზემოთ აჭიმული სათესლე დიდრონი ფარეიანი ეკვროდა სატირის ზემოთ აწეული ასოს. უეცრად მივხვდი, რომ მის მრგვალ, ყვავისფერ სახეზე ჩემი ასულის სახე ირეკლებოდა — ეს იყო ნეტარების იგივე გრიმასა. გარდა ამისა, ვიაზრე, რომ გოგონამ, ჩემმა გოგონამ იცოდა, ვინც უთვალთვალებდა, დამკვირვებლის ჟინიანი მზერით ტკბებოდა და სწორედ მისთვის ლაღობდა და ხტოდა. საძაგელი, სათაყვანო როსკიპი! ლოლიტა ბურთს გაეკიდა, ვერ დაიჭირა, ზურგზე გადაკოტრიალდა და ნორჩი, უხამსი ფეხები ჰაერში აიფართხალა; შორიდანვე ვიყნოსე მისი აღგზნების სურნელი; და მაშინვე წმიდათა წმიდა ზიზღისგან გავქვავდი — დავინახე, როგორ მილულა თვალები მამრმა, შემდეგ სწორი, მომცრო, ბილწი კბილები დაკრიჭა და მიეყრდნო ხეს, რომლის ფოთლებში დაწინწკლული პრაჟაოსების მთელი გუნდი ცახცახებდა. მაშინვე შევესწარი უცნაურ მეტამორფოზას. ეს სატირი ჩემს ძალზე კეთილმოსურნე და ბრიყვ შვეიცარიელ ბიძად გარდაისახა — ზემოთ არაერთხელ ვახსენე გუსტავ ტრაპი, რომელიც ღრეობის (მსუნაგს რძენარევი ლუდის სმა ეყვარდა) ნეიტრალიზებისთვის ნამდვილი შტანგისტინვით სწევდა სიმძიმეებს, ტორტმანებდა და ხვნეშოდა ტბის პირას; ცალ მხარზე ჩაშვებული ძველმოდური საბანაო კოსტიუმი ვაკკაცურ იერს ანიჭებდა. აწინდელმა ტრაპმა თვალი მომკრა, გაჭიმული პირსახოცით კეფის ზელა გაგრძო და მოჩვენებითი დაუდევრობით გაემართა აუზისკენ. ლოლიტა ვაყუჩდა და ისე აუჩქარებლად წამოდგა, თითქოს კაკაში მზე ღრუბლებს მიაფარებოდა. არც კი შეუხედავს ბურთისთვის, რომელიც ცუგამ მარჯვედ დაუდო წინ. ვინ იცის, რამდენ ღრმა წყენას ვაყენებთ ძაღლებს იმით, რომ თამაშს ვწყვეტთ ხოლმე! რაღაც წარმოვიქვი, მაგრამ უეცრად ბალახში მოწყვეტით დავეცი გულის აუტანელი ტკივილისგან და ყავისფერ-მოწვანად ვაღებინე, მსგავსი კი არაფერი მეჯამა.

ლოლიტას თვალებს წავაწყდი: მის მზერაში უფრო ფხიზელი აგზარშაენობა გამოსჭვიოდა, ვიდრე — შიში. გავეგონე, როგორ უთხრა მოახლოებულ კეთილ ქალბატონს, მამაჩემს „რაღაცის შეტევა“ აქვსო. შემდეგ დიდხანს ვიწექი შეზლონგზე და სულმოუთქმელად ვცლიდი სირჩებს. მეორე დილას უკვე მოვმჯობინდი და გზა გავაგრძელეთ (რაც მოგვიანებით არ დაიჯერეს ჩემმა მკურნალმა ექიმებმა).

22.

„ვერცხლის დეზის“ ნიშნიანი, ოროთახიანი კოტეჯი, ელფინსტონში წინასწარ რომ ვიქირავეთ, იმ გალიქულ, მუქი ფიჭვისგან ნაგებ ქოხებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ჩვენი პირველი მგზავრობისას ლოლიტას ეგზომ მოსწონდა. ო, ახლა ყველაფერი შეიცვალა... ტრაპს ან ტრაპებს როდი ვგულისხმობ... ბოლოს და ბოლოს... ხომ გესმით... ბოლოს და ბოლოს, ბატონებო, მივხვდი, რომ სხვადასხვა ავტომობილში მსხდარ ამ იდენტურ ფეტიქტივებს დევნის ჩემი მანია წარმოშობდა; განმეორებადი ლანდები შემოხვევითი მსგავსებებისა და თანხვედნის საფუძველზე ცოცხლდებოდნენ. ლოგიკას მივმართოთო, მაძლევინწობდა ჩემი ცნობიერების გალური ნაწილი და ებრძოდა ყოველგვარ წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ლოლიტას მიერ მოუდღეებული რომელიმე კომივოიაჟორი ან

ლოლიტა
LOLITA
LOLITA

კინოკომედიიდან გამოსული განგსტერი და მისი ამფსონები მდევნიდნენ და ათასნაირი მასხრული ხერხით მასულელებდნენ — მათ ხომ იცოდნენ კანონის წინაშე ჩემი უცნაური მდგომარეობის საიდუმლო; მახსოვს, პანიკის დასაძლევად რაღაცას ვღიღინებდი ხოლმე. საგანგებო თეორიაც კი მოვიფიქრე, რითაც განვმარტავდი „ბურდოლეის“ დირექტორის მიერ ჩემთან დარეკვის ფაქტს... შემეძლო, გამედვენა ფიქრები ჩამპიონის მდელოზე კონვულსიებისა და ტრაპის შესახებ, მაგრამ ვერაფრით დავძლიე სხვა სახის სიმძიმილი: ლოლიტა ჩემთან ასე ახლოს იმყოფებოდა და, ამასთან, ასე მიუწვდომელი იყო; როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა იმ ახალი ეპოქის მოლოდინში, როდესაც, ჩემი გრძნეული აღრიცხვის თანახმად, გოგონა ნიმფეტობის ასაკიდან უნდა გამოსულიყო და აღარ გავეწვალებინე...

ელფიზტოწში ბედმა დამატებითი, საბაგელი და სრულიად ზედმეტი საზრუნავი გამიჩინა. ჩემი გოგონა დაღვრემილი და მდუმარე იყო უკანასკნელი ორასი მილის მანძილზე მგზავრობისას, როდესაც რუხი მაძებრებით ან ზიგზაგით მოსიარულე ტაკიმასხარებით წაუბილწავი მთები გადაკვეთეთ. შუხედის ღირსადაც არ ჩათვალა სახელგანოქმული, უჩვეულო, დიდებული ალისფერ კლდე, მთების თაეზე რომ იყო გადმოკიდებული. სწორედ აქედან ისკუპა ნირვანაში ერთმა ფიცხმა მსახიობმა ქალმა. ქალაქი ახალი გაშენებული ან ხელახლა გაშენებული იყო ზღვის დონიდან შვიდი ათასი ფუტის სიმაღლის მქონე ველზე; ვნატრობდი, ლოლიტას ელფინსტონის მაღე მობეზრებოდა; მაშინ სამხრეთი კალიფორნიისკენ გავეშურებოდით, სადაც მექსიკის საზღვარი, საზღაპრო ყურეები, საგუარის უდაბნოები და ფატამორგანები გველოდებოდა. ბიზე ლიზაჩოვენდოს (მერიმეს ცნობილ მოთხრობაში) სურდა, თავისი კარმენი შეერთებულ შტატებში წაეყვანა. წარმოვიდგინე მექსიკაში გამართული საჩოგბურთო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ დოლორეს ჰეიზი და კალიფორნიელი კოხტა გოგუცუნები. კეთილმეზობლური ტურნეები ამ ღიმილიან დინეზე წარხოცავენ განსხვავებას პასპორტსა და სპორტს შორის. რატომ მეგონა, რომ საზღვარგარეთ ბედნიერნი ვიქნებოდით? იქნებ გარემოს შეცვლა ტრადიციული შეცდომაა, რომელზეც იმედს ამყარებენ განწირული სიყვარული და განუკურნავი ჭლექი?

მოტელის დიასახლისის გვარი წარმოითქმებოდა როგორც „ჰეიზი“ (მაგრამ სხვაგვარად იწერებოდა). ამ მხნე, ცისფერთვალება ქვრივმა, აგურისფერ სახეზე ფერუმარილი რომ ჰქონდა წასმული, მკითხა, შვეიცარიელი ხომ არ ხართო? თურმე მისი და სათხლამურო სპორტის შვეიცარიელ ინსპექტორზე გათხოვილიყო. კვერი დავუკარი და დავუმატე, ჩემი ქალიშვილი ნახევრად ირლანდიელი არის-მეთქი. ჟურნალში ხელი მოვაწერე და სახეგაბრწყინებულმა მისის ჰეიზმა გასალები გადმომცა, შემდეგ კი მანქანების სადგომი მაჩვენა. ლოლიტა ავტომობილიდან გამოძვრა და მოიბუზა: საღამოს სხვიერი ჰაერი მართლაც გრილი იყო. გოგონა კოტეჯში შევიდა, გასაშლელ მაგიდას მიუჯდა, თავი იდაყვზე დადო და მითხრა, ძალიან ცუდად ვარო. თვალთმაქცობს, ვიფიქრე მე, თვალთმაქცობს, რომ ჩემი ალერსი თავიდან აიცდინოს; ენებით ვიდავებოდი, მაგრამ როდესაც მოვეფერე, ბედშავი გოგონა ძალზე საწყალობლად ასლუკუნდა. ლოლიტა ავადაა! ლოლიტა კვდება! მთლად ვარვარებდა. პირში თერმომეტრი ჩავუდე, შემდეგ ბლოკნოტში ჩაწერილ ფორმულას ჩავხედე და ბოლოს გაუგებარი ფარენჰაიტის ციფრი ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობ ასგრადუსიან შკალაზე გადავიტანე. აღმოჩნდა, რომ ორმოცდაორი გრადუსი ჰქონდა. ისტერიულ ნიმფეტებს ზოგჯერ ფანტასტიკურად მაღალი სიცხე აქვთ ხოლმე — იმ წერტილზე მეტი, ჩვეულებრივი ადამიანები რომ ვერ იტანენ და კვდებიან; ვაპირებდი, ცხელი ვლინჭვაინი და ორიოდ აბი ასპირინი დამელევინებინა ლოლიტასთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მხურვალებას ბაგეებით დავწაებოდი და მთლიანად გამომეწოვა. მაგრამ რბილი სასის თავლწარმტაცი გამონაზარდი (მისი სხეულის ერთ-ერთი მთავარი მარჯანი) ცეცხლოვანი შეფერილობისა ალმირნდა. გოგონას ტანისაშოსი გაეხადე. მომწყრო-ტკბილი სუნთქვა ჰქონდა. ყავისფერ ვარდს სისხლის ვემი დაპკრავდა. თავით-ფეხამდე კანკალებდა, როდესაც შემომჩივლა, კისერი ისე მტკივა, თავს ვერ ვატრიალებო, მე (როგორც ყველა ამერიკელმა შობილმა) პოლიომიელიტი ვივარაუდე. სქესობრივი ურთიერთობის იმედი გამიქარწყლდა, ბავშვი შოტლანდიურ პლედში გავახვიე, ავიტატე და ავტომობილში ჩავსვი. ამასობაში კეთილმა მისის ჰეზმა ადგილობრივ ექიმს დაურეკა. „კიდევ კარგი, რომ ეს აქ მოხდა“, თქვა მან, რადგან არა მარტო ეს ექიმი ითვლებოდა სახელმოხვეჭილ მკურნალად, არამედ ელფინსტონის ჰოსპიტალიც, შეზღუდული ფართობის მიუხედავად უახლესი მოწყობილობით იყო აღჭურვილი. გოეთესეული „ელფების ხელმწიფის“ მსგავსად (ამასთან, მისგან განსხვავებით, ბიჭუნების მოყვარული კი არ ვიყავი, არამედ — გოგონებისა) ისე გამალებით გავექანე დაბლობის მხარეს დამაბრძავებლად მოკაშკაშე მზისკენ, თითქოს ტყის მეფე მომდევდა. ჩემი მეგზური იყო პორტატიული კუდიანი დედაბრის მსგავსი ბებრუცუნა (შესაძლოა, ელფების ხელმწიფის ერთ-ერთი ნათესავი), რომელიც მისის ჰეზმა მათხოვა და რომელიც შემდგომ აღარ მინახავს. არ მიყვარხართ, ექიმო ჰართ, და რატომ არ მიყვარხართ, თვითონაც არ ვიცი, ექიმო ჰართ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მედიკოსის განსწავლულობა გაცილებით ჩამორჩებოდა მის რეპუტაციას. მარწმუნებდა, ლოლიტას „ვირუსული ინფექცია“ აქვსო და როდესაც გოგონას მიერ ცოტა ხნის წინათ გადატანილი ინფლუენცა ვახსენე, ციცად მიპასუხა, რომ ამჯერად სრულიად სხვა მიკრობთან გვქონდა საქმე და ორმოცი ამგვარი პაციენტი ჰყავდა (ყოველივე ეს ძველი ბელეტრისტების „ციებ-ცხელებას“ წაადგებს). დავაპირე, ღიმილით მეთქვა (ყოველ შემთხვევისთვის; ვინ იცის, როგორ გასინჯავდნენ ლოლიტას), ახლახან ჩემმა თხუთმეტი წლის ქალიშვილმა „ავარია“ განიცადა, როდესაც მეგობარ ყმაწვილთან ერთად, წვეტიან მესერზე ძერებოდა-მეთქი; ამასთან, ძალზე მთვრალი ეიყავი და გადაწყვიტე, ეს ცნობა უფრო ხელსაყრელ მომენტში მომეწოდებინა. დოლორესი კვლავ იზრდებოდა: შუბლშეკრულ ქერა მდივან ქალს (ქეციან ძუანას) ვუთხარი, ჩემი ასული, საერთოდ, თექვსმეტი წლისაა-მეთქი. სანამ მოეტრიალდებოდი, გოგონა ხელიდან ამაცალს! ამაოდ დავიჟინე, რომ დამეს ჭლილბზე (რომელზეც ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“) გავატარებდი ამ წყეული საავადმყოფოს რომელიმე საკუჭნაოში. კონსტრუქტივისტული კიბეზე დავრბოდი და ჩემს თვალისჩინს ვეძებდი. ვშიშობდი, არაფერი წამოეროშა, თავი ხომ ჩემსაკით გაბრუებული ჰქონდა: უკმეხად დაეცალპარაკე ძალზე ახალგაზრდა და ძალზე თავხედ ექთანს, რომელსაც აქატისფერი თვალები და ჰიპერტროფირებული უკანალი ჰქონდა; როგორც შემდგომ შეეიტყვე, ბასკური წარმომავლობისა გახლდათ. მამამისი ერთ-ერთი იმ მწყემსთაგანი იყო, ნაგაზების საწერთნელად რომ შემოჰყავთ ხოლმე ესპანეთიდან. ბოლოს ავტომობილში დავბრუნდი, მოვიკუნტე და არ ვიცი, რამდენი საათი გავატარე წყვდიადსა და უნეკეული მარტოობაში. ჩირდაღებული ვუცქერდი ხან სუსტად განათებულ, კოლოფისებრ, ბრტყელსახურავიან ჰოსპიტალს, რომელიც კეკრტულ მდელოზე თითქოს ოთხზე დამდგარიყო, ხან კი ვარსკვლავთა ნისლეულსა და ვერცხლისფერ, თვალუწვდენელ მთებს ეზვერავდი, სადაც ამ დროს მარიას მამა, მარტოხელა ჟოზეფ ლორი ოლორნინს, ლაგორის, როლასის დამეებზე ოცნებობდა — ხოლო ზოგჯერ ცხვარს აცოუნებდა. ამგვარი სურნელოვანი აბდაუბდა ყოველთვის მანუგეშებდა სული-

ლოლიტა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერი დაძაბულობის მომენტებში; მათარას ხშირ-ხშირად ვიყუდებდი, მაგრამ უძილობისა და ღამის სიცივისგან მალე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მოტელში დაბრუნება გადაწყვიტე. კუდიანი მეგზური გაქრა, გზას კი ცუდად ვიცნობდი. შენობათა ბუნდოვან მართკუთხედებს ხრეშმოყრილი ფართო ქუჩები ჰკვეთდნენ. თვალი მოვკარი სახრჩობელას სილუეტს, მაგრამ ეს, ალბათ, სკოლის ეზოში დადგმული სატანგარჯიში ღერძი იყო. უკაცრიელი კვარტალის გუშაბათისებრ სიჩუმეში ჩემ წინ ანაზდად რომელიღაც ადგილობრივი სექტის მკრთალი ტაძარი ამოზარდა. ბოლოს გზატკეცილს მივადწიე და მალე დავინახე „ვერცხლის დეზის“ მოკაფე ნიშანი და ლილისფერი წარწერა „ადგილები არ არის!“ მის გარშემო მილიონობით პეპელა ფარფატებდა, რომელთაც (მოთეთრო ფერის გამო) „მეწისქვილეებს“ უწოდებენ. ძალზე ადრე — დილის სამ საათზე — ვიბანავე, რამაც, ფიქსაციის მსგავსად, მხოლოდ განამტკიცა ჩემი სასოწარკვეთილება და უილჯობა. შემდეგ ლოგინში ჩავწექი. მას წაბლის, ვარდის, პიტნის, ყინულკარამელისა და იმ ფრანგული მეტად ნაზი, მეტად თავისებური სუნამოს სურნელი უდიოდა, რომლის ზმარების უფლება ბოლო დროს მივეცი ლოლიტას. ვერაფრით ვერ შევეგუე ულოლიტობას. უეცრად გავიფიქრე, რომ მისი სენი მხოლოდ ძირითადი თემის უცნაურ განვითარებას წარმოადგენდა; რომ ამ სენს ისეთივე გეშო და კილო ჰქონდა, როგორიც ურთიერთდაკავშირებული შთაბეჭდილებების გრძელ რიგს, გზაში რომ მაღელვებდა და მაწამებდა; წარმოვიდგინე საავადმყოფოს გარშემო მოხეტიალე რომელიმე აგენტი, ან იდუმალი მიჯნური, ან საზიზღარი, ცელი არსება, ან ჩემი ჰალუცინაციების ნაყოფი — სულ ერთია, ვინ; ავრორამ ოდნავ „გაითბო ხელები“ (ასე ამბობენ ლავანდის მკრეფავები ჩემს სამშობლოში), როდესაც კვლავ მივადექი ლოლიტას ციხესიმაგრეს და მის მწვანე კარზე დავაკაკუნე. უსასრულო ტანჯვისგან გათანგულს, არ მისაუზმია; არც კუჭს უმოქმედია.

ეს იყო სამშაბათს, ხოლო ოთხშაბათს თუ ხუთშაბათს ჩემი გოგონა რომელიღაც (სპილოს სპერმისა თუ ნერბის ნერწყვთისან შემზადებული) შრატის ზეგავლენით საგრძნობლად მომჯობინდა და ექიმმა მითხრა, ორი დღის შემდეგ ისევ ბეკეკასავით იხტუნებსო.

დღეში ორჯერ ვნახულობდი — სულ, ალბათ, რვაჯერ ვეწვეე — მაგრამ გარკვეეთი მახსოვს მხოლოდ უკანასკნელი სტუმრობა. იმ დღეს ჩემთვის დიდ ვმორობას წარმოადგენდა შინიდან სადმე გასვლა; გრიპმა ერთიანად დამაოსა. არავინ გაიგებს, რა ვაი-ვაკლახით მივუტანე ძღვენი — თაიგული, სიყვარულის კრთი და წიგნები, სამოცი მილის დაცილებით განლაგებულ მაღაზიაში რომ ვიყიდე: ბრაუნინგის „დრამატული თხზულებები“, „ცეკვის ისტორია“, „კლოუნები და კოლომბინები“, „რუსული ბალეტი“, „კლდოვანი მთების ყვავილები“, „თეატრალური გილდიის ანოლოგია“ და „ჩოგბურთი“; ამ უკანასკნელის ავტორმა, ელენ ვილსმა თავის პირველ ეროვნულ ჩემპიონატზე თხუთმეტი წლის ასაკში გაიმარჯვა. როდესაც ბარბაცით მივუახლოვდი ლოლიტას კერძო პალატას (დღეში ცამეტი დოლარი რომ მიჯდებოდა), მარია ლორმა (ეს იყო ლოლიტას მესასთუმლე ახალგაზრდა ასპიტი, რომელმაც პირველივე დღიდან შემიძულა) იქიდან ნასუფრალიანი სინი გამოიტანა. მან მარჯვედ დაახეთქა სინი დერეფანში მდგარ სკამზე და გავის რხევით კვლავ ოთახში შევარდა, — ალბათ, იმისთვის, რომ საწყალი პატარა დოლორესი გაეფრთხილებინა, ბებერი ტირანი რეზონისძირიანი ფეხსაცმლით უნებურად მოიპარება და ბუკინისტური ხარახურა და თაიგული მოაქვსო. მინდვრის ყვავილები და ლამაზი ფოთლები ჩემი ხელით დავკრიფე მთის უელეტხილზე, გამთენიისას (იმ საბედისწერო კვირას თითქმის არ მიძინია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ კვებავენ ჩემს კარმენსიტას? სინს თვალი შევავლე. კვერცხის გულით დასვრილ თეფშზე მოჭმუჭნილი კონვერტი შევამჩნიე. მასში ადრე წერილი იდო, რასაც მოხეული კიდე ამტკიცებდა. მისამართი არ ეწერა; მწვანე, უხაშ, ყალბ ჰერალდიკურ ვინიეტზე აღნიშნული იყო მხოლოდ მოტელის სახელწოდება „პონდერროზის ფიჭვი“. ოთახიდან გამოსულ მარიას შევეფეთე — უცნაურია, როგორ ფუსფუსებენ და რა ცოტას ასწრებენ ეს ფართოგავიანი ფისუნიები. მან მრისხანე მზერა ესროლა კონვერტს, რომელიც გავასწორე და ისევ თეფშზე დავდე.

„აჯობებდა, ხელი არ გეხლოთ, — წაიბუზღუნა და თავი ისე გააქნია, თითქოს პელენგს ეძებდა. — თითეი არ დაიწვათ“.

პასუხის გაცემა არ ვიკადრე და მხოლოდ ფრანგულად შევეკითხეს:

Ie croyais que c'etait un'bill—pas un billet doux (ანგარიშის ფურცელი მეგონა და არა სატრფიალო უსტარი), შემდეგ მზით გაცისკროვნებულ ოთახში შევედი და ლოლიტას უნდა მივსალმებოდი, მაგრამ მარია ლორმა შემაწყვეტინა.

„დოლორეს!“ წამოიძახა მან (ზორზოძმა ფეთხუძმა!), თვალები დაახამხამა, თეთრი ფლანელის საბანი დაკეცა და თვალები კვლავ დაახამხამა. „დოლორეს, მამთაქვენს ჰკონია, რომ შეყვარებულისგან წერილს ღებულობთ. ეს მე (და ამაყად დაიტყაპუნა ხელი მოოქრულ ჯვარზე), მე ვღებულობ მათ. და მამაჩემმა პარლეფრანსე მამთაქვენზე ნაკლებად როდი იცის“.

მარია გავიდა. დოლორესს შიშველი ხელები საბანზე ეწყო და გულუბრყვილოდ იღიმებოდა (არ ვიცი, მე მიღიმოდა თუ სიცარიელეს). გოგონას სახე ვარდისფრად უღვიოდა, ტუჩები ახლახან შეეღება, ოქროსფერი თმა კი ისე გულმოდგინედ დაევარცხნა ჯვგრისით, მხოლოდ ამერიკელ გოგონებს რომ ჰსვვეთათ. მაგიდაზე, ქაღალდის ხელსაწმენდსა და ფანქარს შორის მისი ტოპაზის ბეჭედი კიაფობდა. „რა შემზარავი, სამგლოვიარო ყვავილებია,— მითხრა ლოლიტამ და ყვავილება გამომართვა. — მაგრამ მაინც გმადლობ. ოღონდ, თუ შეიძლება, ფრანგულად ნუ ლაპარაკობ — ამით მხოლოდ აღიზიანებ ადამიანებს“.

ამ დროს მწიფე ახალგაზრდა აშაღლარი კვლავ შემოვარდა; შარდითა და ნივრით ყარდა: ლოლიტას გაზეთი „დეზერეი“ შემოუტანა; მომზიბვლელმა პაციენტმა ხარბად სტაცა მას ხელი და ყურადღება არ მიაქცია ჩემ მიერ მიტანილი საუცხოოდ დასურათებულ ტომებს.

„ჩემი და, ანა, — უთხრა ბასკმა ქალმა (ადრე ნათქვამის დასასრულებლად), — პონდერროზში მსახურობს“.

ცნობილი ზღაპრის, „ლურჯწვერას“ პერსონაჟი ყოველთვის მეცოდებოდა. ეს ბრუტალური ძმები... „აღარ გიყვარვარ, ჩემო კარმენ?“ არასოდეს ვუყვარდი. ჩემი სიყვარული უიმედო იყო; ამასთან, ვხედებოდი, რომ ისინი რაღაცას მიმზადებდნენ და ურთიერთ, ბასკურ თუ ზემფიროულ ენაზე უთანხმდებოდნენ ჩემი უიმედო სიყვარულის წინააღმდეგ. მეტსაც ვიტყვი: ლოლიტა ორპირობდა და ასულელებდა ბრიყვ, სანტიმენტალურ მარიას. ალბათ, დაარწმუნა, ხალისიან ბიძასთან მსურს ცხოვრება და არა მკაცრ, უკარება მამასთან ყოფნაო. ამ მზაკვრული ჩანაფიქრის გასწორციელებაში მეორე მესასოუმლეც მონაწილეობდა, აგრეთვე — საწოლებისა და კუბოების ლიფტით გადამტანი ერთი ბეჩავი კაცი და, ბოლოს, ორი იდიოტური მწვანე თუთიყუში, მისაღებ ოთახში დადგმულ გალიაში რომ დახტოდა. მარიას წარმოდგენით, კომედიური მამა — პროფესორი ჰუმბერტოლდი ხელს უშლიდა სასიყვარულო ინტრიგას დოლორესსა და მამამისის მოადგილეს, გარუმბულ რომეოს შორის (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი რომკა საკმაოდ ჩასორსლილი იყო, ყველა ამ ნარკოტიკის — „ფიფქის“, „სიხარულის წვენის“ და ა. შ. მიუხედავად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელი მტკიოდა; ფანჯარასთან მდგარი, ნერწყვის გადაყლაპვას ვცდილობდი და ვუმზერდი რომანტიკულ კლდეს, მოღიმარ ცაში მაღლა რომ ეკიდა.

„ჩემი კარმენ, — მივმართე გოგონას (ზოგჯერ ასე ვეძახდი). — როდესაც ადგომის ნებას მოგცემენ, მივატოვოთ ეს გადაუბუგული, მნთბარე ქალაქი“.

„ჰოდა, ჩემი ნიუფები მჭირდება“, — წაიდუდუნა პატარა ხიტანამ, მუხლები მოხარა და გაზეთის მეორე გვერდის კითხვას შეუდგა.

„ამიტომ, რომ, — განვაგრძე მე, — აზრი არა აქვს ამ ქალაქში დაყოვნებას“.

„არსად დაყოვნებას არა აქვს აზრი“, — თქვა ლოლიტამ.

სიწუმე ჩამივარდა. მხოლოდ ბუი ზუზუნებდა. კრეტონის საკრძალვლი ჩავჯექი და ლამაზი პოტანიკური ატლასი გადავშალე. შევეცადე, ჩემი ყვავილები ამომეძებნა. ვერ შევძელი. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში მუსიკალური ზარის ხმა გაისმა.

არ მგონია, ამ პრეტენზიულ ჰოსპიტალში თორმეტზე მეტი ავადმყოფი ჰყოლოდათ (მთვარ სამი თუ ოთხი გიჟაიო, მხიარულად განაცხადა ერთხელ ლოლიტამ); თანამშრომლებს ძალზე ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ. ამასთან — მეტი ლაზათისთვის — წესებს ზკაცრად იცავდნენ. ვიღიარებ, რომ ლოლიტასთან ზშირად მოვდიოდი მნახველთათვის აკრძალულ საათებში. მეოცნებე ცბიერებით აღტყინებულმა, ხილვებს ჩვეულმა მარია ლორმა (მის მორიგ ხილვას ლურჯკაბაინი მშვენიერი ქალბატონი წარმოადგენდა, ნიუ-ლურდში ნაპარის გასწვრივ რომ მიცურავდა) ხელი მტაცა და ჩემი გაყვანა დაიპირა. ხელზე ალმაცერად შევხედე და ქალი გამერიდა. როდესაც მივდიოდი, — ჩემი ნებით მივდიოდი, — გავიგონე, — რომ დილორეს ჰეიზი მიმეორებდა, ხვალ, დილას მომიტანეო — ა ვერ გაიხსენა, რომელი ტანისამოსი და სხვა ნივთები სჭირდებოდა. „მომიტანე, — დაიძახა (უკვე ვეღარ ვხედავდი, რადგან კარი ამოძრავდა, კარი იხურებოდა, იხურებოდა). — მომიტანე ახალი რუხი ჩემოდანი და კიდევ ის, დედაჩემის ნაყიდი!“; მაგრამ მეორე დღეს მაკრეკლებდა, და ძალზე მთვრალი ვიყავი, და ვკვდებოდი მოტელის საწოლში, სადაც ძან მზოლოდ რამდენიმე წუთი გაატარა და ამ აუტანელ მდგომარეობაში მხოლოდ ის მოვახერხე, რომ ჩემი ქვრივი დიასახლისის სატრფოს, სატვირთო მანქანის ახმახი და კეთილი მძღოლის ხელით ორივე ჩემოდანი გაუგზავნე. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ აჩვენებდა ჩემი გოგონა მარიას თავის საუნჯეს... თავბრუ მესხმოდა... მეორე დღესაც ძალზე უსუსური და მიმტკნარებული ვიყავი; როდესაც საბაზანის ფანჯრიდან მეზობელ მდელოს გავხედე, დავინახე ჩემი დოლის მშვენიერი, ნორჩი ველოსიპედი. ამასთან, წინა გრაციოზულ ბორბალს, როგორც ყოველთვის, ზურგი შეექცია ჩემთვის, უნაგირზე კი ბეღური ჩამომჯდარიყო. მაგრამ ეს დიასახლისის ველოსიპედი აღმოჩნდა. ნაზ ოცნებას სუსტი ღიმილით გავაყოლე თვალი, თავი გადავაქნიე და ძლიერ მივლასლასდი საწოლთან. დიდხანს ვიწექი. წყნარი და წმინდა (როგორც რობერტ ბრაუნინგი ამბობს — ზუსტი ციტატა არ გეგონოთ) ვიყავი.

ო, წმინდა? ფარისტი! როს ჩვილ კოინდარზე
შავტუხა დილორესს გართობა ენება —
ათას სისულელის ამოკრა იტაცებს,
კინო-ოცნებებზე რაც კი ინერება.

ჭრიდა ჭრელი ჟურნალებიდან, რომელებიც დილორესის გარშემო ეყარა ხოლმე ყოველ ჩვენს სადგომში. ამ დროს ქალაქში დიდი ეროვნული დღესასწაული აღსანიშნავი ზეიმი დაიწყო; ძმლავრი ტკაცუნები (ნამდვილი ყუმბარები) განუწყვეტლივ სდებოდა და ზუსტად დღის პირველ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე კოტეჯის ნახევრად ღია კართან ვიღაცის სტვენა, შემდეგ კი — კაკუნი მომესმა.

ეს იყო სატვირთო მანქანის მძღოლი, ფრანკი — ვეებერთელა ვაჟკაცი: ზღუბლზე შედგა, კარის წირთხლს ხელი შეავლო და ოდნავ წინ გადმოიხარა.

„ხალჭამი. საავადმყოფოდან რეკავენ. მესასთუმლე ლარი კითხულობს, მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერ ჰუმბერტი თუ გამომჯობინდა და დღეს ზომ არ შემოველისო“.

ოცი ნაბიჯის მანძილზე ფრანკი სახელაჟღაჟა, ჯანსაღ დეკემბრის ჰაკვდა; ხუთ ნაბიჯზე (როგორც ახლა) კი ნათლად ეტყობოდა მოწითალო-ლურჯი ნაჭრევების მოზაიკა. იტალიაში, უკანასკნელი ომის დროს, ყუმბარის აფეთქებისას ჰაერის ტალღამ აიტაცა და კედელი გაანგრევინა. ენით აუწერელი სახიჩრობის მიუხედავად, ფრანკი უზარმაზარ მანქანას მართავდა, მეთვეზეობით ერთობოდა, ნადირობდა, ლოთობდა და დაუღალავად სარგებლობდა გზისპირა ქალებით. ამ დღეს –დიდი დღესასწაულის გამო თუ ავადმყოფის შეკცევის მიზნით – მან წაიძრო ხელთათმანი მარცხენა ხელიდან (რომელიც წირთხლზე ჰქონდა მიდებული) და მოჯადოებულმა მარტყელმა იხილა არათითისა და ნეკის სრული არარსებობა, აგრეთვე – დამახინჯებული ხელის ზურგზე მომხიბვლელად ამოსვირინგებული შიშველი გომბიო, რომელსაც წითელი კერტები და ლურჯი სამკუთხედი ამკობდა: სარკვენებელი და შუა თითები მის ფეხებს გამოსახავდა, მაჯაზე კი ყვავილების გვირგვინით დამშვენებული თავი მიეხატათ. ოჰ, მართლაც რომ ლამაზი რამ იყო... განსაკუთრებით ახლა, როდესაც ის ცუღლუტი ფერიასავით ეყრდნობოდა ძელს.

ვთხოვე, მარია ლორისთვის გადაეცა, რომ დღეს ლოგინში ვიწვებოდი, ხვალ კი ჩემს ქალიშვილს დავურეკავდი, თუ, პოლინიზიური წარმომავლობისად ვიგრძნობდი თავს (აზრებში ჯერ კიდევ ბეჭდვით შეცდომებს ვუშვებდი). ამ დროს ფრანკმა ჩემი მზერა დაიჭირა და ხელი ისე შეათამაშა, რომ დახატული ქალის თეძო ავზორცულად შეტოკდა.

„ოკო-დოკი“, წაიმღერა გოლიათმა, კარის ფრთხლს ხელი მაარტყა და სტკენა-სტკენით გაეძართა ჩემი დავალების შესასრულებლად. სმა განვავრძე და ღილისთვის სიცხეშ დამიწია. თუმცა გომბეშოსავით დინდღლო ვიყავი, მაინც მოვახერხე ყვითელ პიჟამაზე იისფერი ხალათის გადაცმა. გავეშურე მოტელის კანტორისკენ, სადაც ტელეფონი მეგულებოდა. ყოველივე კარგად იყო. წკრიალა ხმამ მაუწყა, რომ დიახ, ყოველივე კარგად იყო, ჩემი ქალიშვილი გუშინ, დღის ორ საათზე გამოწერილიყო საავადმყოფოდან. თუმცა ბიძამისმა, მისტერ გუსტავმა შავი იაკით გამოუარა თავისი კოკერ-სპანიელის ჯიშის ლეკვთან ერთად და ყველა მოიკითხა; მან დღილის ანგარიშზე ნაღდი ფული გადაიხადა და მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ არ შეუწუხდეთ და თბილ ლოგინში გამოშუშდეთ, ისინი კი ბაბუას რანჩოზე გაემგზავრებიან, როგორც ადრე შეგითანხმდნენო.

ელფინსტონი კოჰწია ქალაქი იყო (ვიმედოვნებ, ახლაც ასეთია). მაკეტს წაგავდა – თითქოს მწვანე ბამბისგან ნაკეთი კოხტა ხეებითა და ეელის პარკეტზე გეგმაზომიერად მიმოფანტული წითელსახურავიანი მომცო სახლებით. მგონი, უკვე ვახსენე მისი სანამუშო სკოლა, ტბაძარი და ვრცელი მართკუთხა საკარმიდამო ნაკვეთები; ამასთან, ზოგიერთ მათგანზე ნახავდით მხოლოდ ბაკს, სადაც ივლისის ნისლიან რიჟრაგზე ჯორი ან მარტორქა ბალახს ძოვდა. სასაცილოა: ერთ მკვეთრ, ხრეშიან-მოღრეჭილე მოსახვევში გვერდი გავკარი ტროტუართან მდგარ მანქანას, მაგრამ ჩემს თავს აპათიურად (მანქანის გაფთრებულ მძღოლს კი – ტელეპათიურად) ვუთხარი, რომ თავის დროზე დავბრუნდებოდი. მისამართი: ბურდის სკოლა, ბურდის შესახვევი, ქალაქი ქაბურა; ჯინი გულს მიმაგრებდა, მაგრამ გინებას მიმდევრევდა. სიზმარეული ეპიზოდებისთვის ჩვეული რამდენიმე ხარვეზისა და მარცხის შემდეგ, საავადმყოფოს მისაღებში აღმოვჩნდი. აქ ექიმის მიბეგვა დავაპირე. ვუფვიროდი სკამებქვეშ დამალულ ადამიანებს და ვუხმობდი მარიას, რომელიც, მისდა საბედნიეროდ, იმ დღეს საავადმყოფოში არ მისულა; ტლანქი ხელები ხალათის კალთებზე მეჯაჯგურებოდნენ და ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ჯიბე მომალოჯეს; აღმოვჩინე, რომ ვიღაც შავვერძან, მელოტ პაციენტზე ვიჯექი და ის ექიმი არმიყვარჰართი მეგონა. ბოლოს და ბოლოს ეს კაცი იატაკიდან წამოდგა და ანეგდოტური აქცენტით შენიშნა: „გეკითხებით, ვინაა აქ ნევროტიკი?“; ამის შემდეგ მაღალმა, პირქუშმა მოწყალების დამ შვიდი დიდებულად ილუსტრირებული, დიდებულყდიანი წიგნი და იდეალურად დაკეცილი შოტლანდიური პლედი გადმომცა, თან ხელწერილი მომთხოვა; უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში შევამჩნიე პოლიციელი, რომელსაც წეღან ნანახი კოლეგა-ავტომობილისტი ჩემზე მიუთითებდა; ამიტომ მორჩილება გამოვიჩინე და ხელი მოვაწერე წიგნებისა და პლედის მიღების საბუთს — ეს იყო სიმბოლური ჯესტი, რომლის ძალით ამ მაკაკებს ლოლიტას ვუთმობდი, მაგრამ სხვა რა შემეძლო? ერთი მარტივი აზრი თითქოს შაშველი სახით მედგა თვალწინ: მთავარი იყო თავისუფლების შენარჩუნება. ნებისმიერი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ჩემი დანაშაულებრივი ცხოვრების ყველა წვრილმანის განმარტება მომიწევდა. თავი ისე მოვიკუტუნე, თითქოს სიმთვრალისგან გამოთაყვანებული ვიყავი. კოლეგა-ავტომობილისტს სადაზღვევო თანხაზე გაცილებით მეტი ფული გადავუხადე. ცისფერთვალება ექიმ ჰართს, რომელიც ახლა ხელზე მეფერებოდა, ქვეთინით შევეხვენე: ძალზე ბევრს ვსვამ, რათა გავამხნევო არასამედო, თუმცა კი სავსებით ჯანსაღი გულიჩეთქი; საავადმყოფოს მთელი პერსონალის წინაშე ბოდიში მოვთხადე და თავი ისე მდაბლად დავუკარი, რომ კინალამ ძირს დავვარდი; დავუმატე, რომ ჰუმბერტების კლასის სხვა წარმომადგენლებთან ცუდი დამოკიდებულება მქონდა. ჩემს თავს კი წავეურჩულე, რომ პისტოლეტი გამაჩნია და თავისუფლება ჯერ კიდევ არ დამეკარგა — შემეძლო გაქცეული გოგონას დაბრუნება და ძმის მზის დაბნელება.

23.

აბრეშუმივით გლუვი გზატკეცილის ათასი მილი ურთიერთთანაგან აცილებდა ქასბიმსა (სადაც წითელი ეშმაკი პირველად გამოჩნდა) და სანედილწერო ელფინსტონს (რომელსაც დამოუკიდებლობის დღესასწაულამდე ერთი კვირაი ადრე ვეწვეოთ). ეს მოგზაურობა მაშინ ივნისის უმეტესი დროის განმავლობაში გაგრძელდა, რადგან დღეში ას ორმოცდაათ მილზე მეტს აშვიათად გავდიოდით. დღე-ღამის დანარჩენ დროს სხვადასხვა სადგომებში ვატარებდით. —მახსოვს, სადღაც ხუთი დღეც დავყავით), რაც, ალბათ, დეტალურად იყო გათვალისწინებული მდევრის მიერ. ამგვარად, სწორედ აქ უნდა მეძებნა ეშმაკის ნაკვალევი; ამიტომ, რამდენიმე გუსაძლისი დღის შემდეგ, უკვე ელფინსტონის გარეუბნების უმოწყალოდ განტოტვილ გზებზე დავძრწოდი.

წარმომიდგინე, მკითხველო! მე ზომ ძალზე მოკრძალებული ვიყავი და არ მიყვარდა, როდესაც ყურადღებას მაქცევდნენ. გარდა ამისა, წესიერების თანდაყოლილი ეჭვნობით გამოვირჩეოდი. ამიტომ მეტისმეტად ვეწამებოდი, როდესაც უსაზღვრო მწუხარებას გულში ვიკლავდი და გაუბედავი, პირფერული ღიმილით ვიგინებდი ათას საბაბს, რათა მოჩვენებითი დაუდევრობით გადამფფურცლა სასტუმროს დავთარი და ცადამეთვალიერებინა მგზავრების გვარები, მისამართები და ავტომობილების ნომრები. „მისმინეთ, — ვამბობდი მე, — მგონი, აქ ერთხელ უკვე ვიყავი. ნება მომეცით, ივნისის შუა რიცხვების ჩანაწერებს თვალი გადავავლო. მაშ ასე, არა, შეეშალეთ? — ქალაქის რა სასაცილო ქუჩაზე ცხოვრობს ეს მისტერ კუკი. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ“. ანდა: „ერთი ჩემი კლიენტი თქვენთან ცხოვრობდა. მისი მისამართი დავკარგე. იქნებ, ნება დამრთოთ...“ და თუ დირექტორი უგუნებო მამაკაცი იყო, დავთრის დათვალიერების უფლებას არ მაძლევდნენ.

ჩანიშნული მაქვს: 5 ივლისსა და 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერს შორის ხელი მოვაწერე (თუმცა დამე ყოველთვის არ გამითენებია) 342 სასტუმროსა და მოტელის დავთრებში. ეს ციფრი მოიცავს ქასბიმსა და ბერდსლეის შორის განლაგებულ რამდენიმე დაწესებულებას; ერთ-ერთმა მათგანმა ეშმაკის მკაფიო ჩრდილი დამანახა: „რობერტ რობერტი, მოლბერტი, ალბერტა“. ძიებას ძალზე ფრთხილად ვანაწილებდი დროსა და სივრცეში, რათა ეჭვის თვალით არავის შემოეხედა. დაახლოებით ორმოცდაათ პუნქტში უბრალო გამოკითხვას არავითარი შედეგი არ მოუტანია; თუმცა, კეთილმოსურნეობისა და დამაჯერებლობის პლატფორმის შესაკოწიწებლად, ჩემთვის სრულიად უსარგებლო ოთახის საფასურს ვიხდიდი. დავრწმუნდი, რომ დაახლოებით სამასი დავთრიდან ოცი მაინც მათ მიერ დატოვებულ კვალს შეიცავდა: დინჯი ეშმაკი ან ჩვენზე უფრო ხშირად ჩერდებოდა, ან – რისი უნარიც მას გააჩნდა – დამატებით ჩანაწერებს აკეთებდა და უხვად ანნეედა დამცინავ ქარაგმებს. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა იმავე სასტუმროში (და იმავე დროს), სადაც ჩვენ ცცხოვრობდით, – და მის საწოლს ლოლიტას ბალიშიდან რამდენიმე ნაბიჯი აცილებდა. რამდენჯერმე იმავე ან მეზობელ კვარტალში იქირავა ბინა; ხშირად საფარში ან ორ დათქმულ სადგომს შორის განლაგებულ შუალედურ პუნქტში იცდიდა. კარგად მახსოვდა, რომ ბერდსლეიდან გამგზავრების წინ ლოლიტა ხალიჩაზე იწვა და მეგზურებსა და რუკებზე პომადით აღნიშნავდა ჩვენი მოგზაურობის მოსალოდნელ ეტაპებსა და შეჩერებებს.

ყოფილმა მდევარმა გაითვალისწინა ჩემი ძიება და დამატებით მომაწოდა უამრავი დამამცირებელი ფსევდონიმი, კალამბური და სხვაგვარი ნართაული გამოთქმა. როდესაც პირველსავე მოტელს (ეს იყო „პონდერროს ფიჭვი“) ვეწვივე, თორმეტიოდე აშკარად ადამიანურ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲜᲘᲨᲐᲜᲔᲑᲘᲡ წავაწყდი: „ადამ ს. არდაულევია, ნოემბისვა“. ჩემმა მახვილმა მზერამ ეს ფრაზა მყისვე დაშალა ორ თავბედურ წინადადებად. დიასახლისმა ინება და მაუწყა, რომ მისტერ არდაულევია ხუთი დღის განმავლობაში ლოგინად ჩაგდო მწვავე გრიპმა; რომ მან ავტომობილი შესაკეთებლად დატოვა გარაჟში და მოტელიდან ახალი მანქანით გაემგზავრა 4 ივლისს. დიახ, ქალიშვილი, რომელსაც ანა ლორი ჰქვია, აქ მართლაც მუშაობდა, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. ახლა ანა სიდარ სიტიელი მებაყლის ცოლია. ერთ მშვენიერ მთვარიან დამეს დავუდარაჯდი მარიას, რომელიც ცარიელ ქუჩაზე მესახთუმლის თეთრი ფეხსაცმლით მიაბიჯებდა. ავტომატი იყო და დაკვლება დააპირა, მაგრამ საკმაოდ მარტივი ხერხით ვაქცევ ადამიანად – მუხლი მოვიყარე და ხრინწიანი ყვირილით, წმინდანთა მოხსენიებით შევეევედრე, დამშმარებოდა. ქალი მეფიცებოდა, არაფერი ვიცო. ვინ არის ეს არდაულევია? მარია თითქოს შეყოყმანდა. სწრაფად ამოვიღე ასდოლარიანი ბანკნოტი. მან მთვარის შუქზე გასინჯა ფული. „თქვენ ძმაა“, წაიწურჩუნა ბოლოს. ფრანგულად შევივინე, მთვარიანი, ცივი ხელიდან ფული გამოვგლიჯე და მოვკურცხლე. ამგვარად, მხოლოდ ჩემს თავს უნდა მივნდობოდი. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მაძებარი ვერ იპოვიდა იმ სანიშნო ადგილებსა და მისახვედრ ნაჭდევებს, რომლებსაც ტრაპი სწორედ ჩემს გონებას უსადგებდა, სწორედ მე მიმზადებდა. უეჭველია, ის ნამდვილ გვარს არსად ჩაწერდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ამა თუ იმ ზედმეტად ინდივიდუალური დეტალის მეშვეობით ფეხი წაუცდებოდა თავის დახვეწილ გონებაზე; ან იქნებ უმნიშვნელო რაოდენობრივი ნაწილებისგან შედგენილი თმელის თვისებრიობას გაემჟღავნებინა რაამე? ერთი კი მოახერხა: დემონური ბადით შებოჭა ჩემი აფართხალებული, მფეთქავი დარდი. ჯამბაზის უსაზღვრო ოსტატობით ტორტმანებდა და ბორძიკობდა და მაინც როგორღაც იბრუნებდა წონასწორობას. ამასთან, ყოველთვის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვებდა სპორტულ იმედს, — თუკი შეიძლება, ასე ითქვას, როდესაც ლაპარაკია დალატის, სიმშვიდის, ჭეშმუნვარების, ძრწუნვისა და სიძულვილის შესახებ, — რომ შემდეგში უსათუოდ გადაამეტებდა. ეს არასოდეს ხდებოდა, თუმცა მტერი ძალზე კადნიერი იყო. ყველანი აღტაცებაში მოვყავართ ბრჭყვიალა ტანისამოსში გამოწყობილ აკრობატს, რომელიც პროჟექტორების მოთეთრო შუქში კლასიკური გრაციითა და სიზუსტით მოძრაობს დაჭიმულ სიმზე; მაგრამ რამდენად მეტი ოსტატობა სჭირდება ჩაწეულ თოკზე მოსიარულე სპეციალისტს, რომელსაც საფრთხობელას კონკები აცვია და მთვრალივით პარბაცებს! ამას როგორ ვერ დავაფასებდი...

ტრაპის მიერ დატოვებული მასხრული კვალი არ მეხმარებოდა მისი პიროვნული თვისებების გარკვევაში, მაგრამ მასში გამოსჭვიოდა მტკიცე და დაუცხრომელი ხასიათი. იუმორის მის ჟანრში (ან ყოველ შემთხვევაში, ამ იუმორის საუკეთესო გამოვლინებებში) და გონების „კილოში“ ჩვეულ ნიშნებს ვამჩნევდი. ის ჩემს იმიტირებასა და გაქილიკებას ცდილობდა. ქარაგმები ბარკვეული დახვეწილობით გამოირჩეოდა. ნაკითხი კაცი იყო. ფრანგული ენას ფლობდა. დედალოგიასა და ლოგომანტეიაში ერკვეოდა. ერუტიკა ფრიად უყვარდა. ქალური ხელწერა ჰქონდა. გვარის შეცვლა შეეძლო, და თუმცა ზედმოწევნით ცდილობდა ზოგიერთი ასოს, — მაგალითად, თავისებური ტ-სა და უ-ს შენიღბვის, არაფერი გამოსდიოდა. კუნძული „სადღაც“ მის ერთ-ერთ უსაყვარელს ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. თვითმწერი კალმით არ სარგებლობდა, ეს კი (რასაც ყველა ფსიქიატრი დაგიმოწმებთ) იმას მოწმობდა, რომ პაციენტი რეპრესიულ უნდინისტს წარმოადგენდა. კატამოყვარეობის ზეგავლენით ეუსურვოთ, რომ სტიქსის ტალღებში პატარა ალქაჯებს წააწყდეს!

ძირითადად მეტოქეს გაქირდვით ერთობოდა. ღმერთო ჩემო, როგორ მოსწონდა ამ უბადრუკ არსებას ჩემი ამბავი ნად აგდება! ჩემს ერუდიციაში ეჭვი ეპარებოდა. საკმაოდ ფართო ცოდნა გამაჩნია, ეამყოთ ამით და თავმდაბლად ვაღიარებ, რომ რაღაც-რაღაცები ჩემთვისაც უცნობია. შესაძლოა, რაიმე გამომრჩა ამ კრიპტოგრაფიულ თამაშში. ლხენისა და ზიზღის როგორი ჟრუანტელი მივლიდა სათუთ სხეულში, როდესაც სასტუმროს დივთრის მარტივ, უმანკო გვარებში ამოვიკითხავდი ხოლმე მის მიერ შედგენილი თავსატეხის იდუმალ შინაარსს. ეშმაკეული თვისლის ზხეფები პირდაპირ სახეზე მცემდა! ვამჩნევდი, რომ ტრაპი მტრის მისატყუებლად საგანგებოდ ამარტივებდა თვით ჩემნაირი ექსპერტისთვისაც გაუგებარ გამოცანებს. „არსენ ლუპენზე“ ნაცნობი რაღა იქნებოდა ნახევრად ფრანგისთვის, რომელსაც ახსოვდა ბავშვობაში გატაცებით წაკითხული დეტექტიური მოთხრობები; და, ალბათ, კინემატოგრაფის ცოდნა აუცილებელი არ იყო ისეთი უხამსი ქარაგმის ამოსაცნობად, როგორიცაა: „პ. ო. ტიომკინი, ოდესა, ტეზასი“. მის ამაზრზენ გემოვნებაში თავს იჩენდა კულტურული ადამიანი და არა პოლიციელი, არა რიგითი ბანდიტი ან უწმაწური კომივოიაჟორი. ერთ დავთარში ამოვიკითხე „ერუტარ რომბი“ („ლურჯი ხომალდის“ ავტორის გადაკეთებული სახელი) — ნება მომეცით, ცოტათი მეც ვილაზღანდარო, ბატონებო! — მეორეში კი „მორის შმეტერლინგი“ (ასე ერქვა „მთვრალი ფრანველის“ ავტორს, ცნობილ დრამატურგს). სულელური, მაგრამ სასაცილო „დ. ორგონი, ელმირა, ნიუ-იორკი“, რა თქმა უნდა, მოლიერიდან იყო ნასესხები; არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეეეცადე, დამეინტერესებინა ლოლიტა მეთვრამეტე საუკუნის სახელანთქმული კომედიით; ამიტომ ძველი ნაცნობივით მივესალმე „ჰარი ბუმპერს, შერიდანს, ვაიომინგი“. ბერამუდის უბიწო კუნძულებიდან ტრაპმა შეთხზა კალამური, რომელსაც, წესიერების მოთხოვნების გამო, აქ ვერ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყვან. ყოველი საქმეში ჩაბედული ᲒᲐᲠᲛᲔᲜᲘᲡ წარმომავლობის ფროიდისტი, რომელიც ოდნავ მაინც გათვითცნობიერებულია რელიგიური პროსტატუციის სფეროში, მყისვე მიხვდება საზელში — „დრ. კიტელერი, ერიქსი, მისს“. — ნაგულისხმევ ქარაგმას. რას ვიზამდი, უნდა ამეტანა. ეს იყო საკმაოდ უღიმღამო (მაგრამ პირადი გამოხდომებისგან თავისუფალი) და უწყინარი გართობა. არ მომყავს აშკარად დაშიფრული, მაგრამ გაუგებარი ჩანაწერები; ეგრძნობდი, რომ ხელის ცეცებით მივიკვლევდი გზას სასაზღვრო ბურუსში, სადაც სიტყვიერი მაქციები ზოგჯერ ცოცხალ ტერისტებად გარდაისახებოდნენ. რას ნიშნავდა, მაგალითად: „ფრატერ გრიმი, ოკეანი, კელკეპარი?“ იქნებ ნამდვილად არსებობდა (და მხოლოდ ჩემი მდევრის იდენტური ხელწერა ჰქონდა) „კატაველაში“ მცხოვრები ვიღაც „ნ. ს. არისტოფი?“ სადაა შენი ნესტარი, კატაველა? რაღაა „ᲯᲔᲛᲘ მანორ მორელი, კალამბურგი, ინგლისი? „არისტოფანე“, „კალამბურგი“ — ძალიან კარგი, მაგრამ რა ვერ გავიგე?

ნაყალბევ ზმებში განმეორებული ერთი ნიშანი ავადმყოფურ ჟრუანტელს მგვრიდა. ჩანაწერი: „გ. ტრაპი, ᲕᲔᲜᲔᲕᲐ, ნიუ-იორკი“ ჩემი ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲡ მუზეუმთან-ბაზე მიუთითებდა. კომბინაცია „ი. ბერდსლეი, ლილიტა, ტეხასი“, ტეხასში ასეთი ქალაქის არსებობის მიუხედავად (და ჩამპაინის დამახინჯებულ სატელეფონო უწყებაზე უფრო მკაფიოდ) ამტკიცებდა, რომ მთელი ამ ამბის სათავე ატლანტიკის სანაპიროზე უნდა მეძებნა. „ლუკა პიკადორი, მერი მეი, მერილანდი“ შეიცავდა საშინელ მინიშნებას იმაზე, რომ პატარა კარმენმა არამზადას აუწყა ჩემ მიერ შეთხზული სალერსო სახელების უბადრუკი შიფრი. უგემოვნო „ჰარილდ ჰეიზი, მაᲜᲮᲚᲔᲣᲚᲘ, მექსიკა“ ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲡ წარსულის ცოდნას გულისხმობდა — და წამიერად გამოელვა საზარელმა აზრმა — იქნებ ნევადის შტატის ქალაქ სიერას მკვიდრი „დონალდ ოტო კიხი“ ოჯახის ძველი მეგობარი (და, შესაძლოა, შარლოტას სატრფოც) იყო და უანგაროდ იცავდა ბავშვებს. მაგრამ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მეტად გამაოგნა ჩვენი პირველი (1947 წლის) დოკუმენტური თავშესაფრის მკრეხელურმა ანაგრამამ, ქასბიმის მოტელის (სადაც მან ჩვენ ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ გაათია ღამე) დავთარში რომ ვიპოვე: „თომას ᲯᲐᲒ მოშელუპორი, თაფარი, ნევადა“.

ᲧᲕᲔᲚᲐ ამ თომასების, ფატამორგანებისა და ტრაპების მიერ დატოვებული შეცვლილი საავტომობილო ნომრები მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ სასტუმროთა პატრონები ᲯᲔᲠᲝᲕᲜᲐᲓ არ ამოწმებენ მგზავრთა მიერ აღწერილ მანქანებს. უეცისა და ელფინსტონის შორის ჩემი მდევრის მიერ დაქირავებული მანქანების სწორად მითითებულ ან შეცვლილ ნომრებს, რა თქმა უნდა, ᲔᲠ შევამოწმებდი. მისი პირველი (ალბათ, საკუთარი) „იაკის“ ნომერი მოცემაᲪᲘᲗ ცვალებადი ციფრების სახით წარმომიდგებოდა. ზოგიერთს ის გადასვამდა ხოლმე, სხვებს კი ცვლიდა ან ტოვებდა; თვით ამ ციფრების კომბინაციები რაღაცით წაᲐᲒᲐᲕᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡ (მაგალითად, 3Თ—1564 და 3Წ—1616 ან კუ — 6969 დმ კუკუ — 9933); ამასთან, ამ ეშმაკურად შედგენილი ნომრების გაერთმნიშვნელიანება ᲔᲠᲐᲠᲐᲤᲘᲗ ᲔᲠ მოვახერხე.

თუმცა ტრაპმა ალუბლისფერი „იაკი“ თავის უეიესელ დამქაშებს გადასცა და „ᲙᲐᲤᲔᲡᲢᲝᲡ“ ტრანსპორტის სისტემაზე გადავადა, მაგრამ მის ნაკლებად წინდაᲬᲘᲜᲔᲣᲚ მემკვიდრეებს შევძელით ამა თუ იმ საᲐᲣᲛᲠᲝᲗ დავთარში დეტოვებენათ ურთიერთდაკავშირებული ნომრების პროტოტიპი. უცნობი მაშრეᲣᲢᲔᲑᲘᲗ მოსიარულე ავტომობილისტების ძებნა კიდევ უფრო რთული, უაზრო და უიმედო საქმე იყო, ვიდრე ეშმაკის დევნა მას მიერ განვლილ გზებზე.

24.

როდესაც ბერდსლეის მივაღწიე, წარმოსახვამ ტრაპის საკმაოდ სრული სა-

ხე დამიხატა. ავადმყოფმა გონებამ და მერყეევმა მეხსიერებამ ეს სახე გამორიცხვის (ყოველთვის სარისკო) გზით დიფენა სავარაუდო კონკრეტულ პირველწყარომდე.

ღირსი მამის, „რიგორ მორტიხისა“ (ასე შეარქვეს გოგონებმა პასტორს) და დარბაისელი ბერიკაცის (რომელიც ფაკულტატურ გერმანულსა და ლათინურ ენებს ასწავლიდა) გარდა, ბერდსლეის გიმნაზიაში მამრობითი სქესის მუდმივი პედაგოგები არ ჰყავდათ, მაგრამ 1948-49 სასწავლო წლის განმავლობაში ბერდსლეის უნივერსიტეტიდან ორ-სამჯერ მოვიდა ხელოვნებათმცოდნე. მან გოგონებს დაათვალიერებინა ფრანგული სასახლეების ფერადი სურათები და იმპრესიონისტული ფერწერის ნიმუშები. მის პროექციებსა და ლექციებზე დასწრება დავაპირე, მაგრამ ფოლმან ამიკრძალა და მეც დავემორჩილე. გარდა ამისა, მახსოვდა, რომ გასტონი სწორედ ამ პედაგოგს ბრწყინვალე ჭაბუკს უწოდებდა; ეს იყო და ეს. მეხსიერებამ არ მიმაწოდა ძველებური შატოების მოყვარულის სახელი.

მისი სიკვდილით დასჯის ღღეს უნივერსიტეტის ჭყაპაიანი ეზო გავიარე და მივადექი ერთ-ერთ შენობას. მითხრეს, რომ ხელოვნებათმცოდნის გვარი იყო რეგნი (რაც რამდენადმე წაგავდა კულტის ჩვენთვის ნაცნობი მსახურის გვარს), რომ უცილო იყო და ათი წუთის შემდეგ გამოვიდოდა უნივერსიტეტის მუზეუმიდან, სადაც ახლა ლექციას კითხულობდა. ჩამოვჯექი მარმარილოს მერხზე (ეს ვიღაც ცეცლია რამბლის ძღვენი იყო), მუზეუმის სალექციო დარბაზის კართან რომ იდგა. წინამდებარე ჯირკვალი უსაამოდ ფეთქავდა. ალკოჰოლისა და უძილობისგან დაოსებული, მაკნტოშის ჯიბეში ჩაყოფილ ხელს მაგრად ვუჭერდი კოლტს. უეცრად ვიაზრე, რომ სისულელეს ჩავდიოდი. წარმოუდგენელი იყო, დოცენტ ალბერტ რიგს ლოლიტა თავის სახლში (ლინტერის ქუჩა, 69 — ეს სახელწოდება მეცნობოდა) გამოემწყვდია... არა, ის არ იქნებოდა ჩემი დამაქცევარი. ჭკუიდან ვიშლებოდი და დროს ამაოდ ვკარგავდი. ისინი კალიფორნიაში იმყოფებოდნენ და არა ბერდსლეიში.

მალე ვესტბიიულის თეთრ ქანდაკებებთან ბუნდოვანი გამოცოცხლება შევამჩნიე. კარი — ის კი არა, რომელსაც ხარაბად ვუთვალთვალებდი, — არამედ მეორე, უფრო შორეული, სწრაფად გაიღო და სტუდენტი ქალიშვილების გუნდში საცობივით ახტუნავდა კიდანდარა ლექტორის მელოტი თავი, შემდეგ კი მისი მოცამცამე ყავისფერი თვალები მომიახლოდა. არასოდეს მენახა, თუმცა მან დაიჭინა, ერთმანეთი ბერდსლეის სკოლის ბაღში გამართულ წვეულებაზე გავიცანითო. როგორაა თქვენი მომხიბვლელი, ჩოგბურთის მოყვარული ქალიშვილი? რიგს, სამწუხაროდ, კიდევ ერთი ლექციი უნდა ჩაეტარებინა. ნახვამდის!

ტრაპის ამოცნობის ხმა ცდები ასე სწრაფად როდი დასრულდა. ლოლიტას მიერ დატოვებულ ერთ-ერთ ჟურნალში წავაწყდი კერძო მაძებრის (ყოფილი მოკრივის) განცხადებას. რათა ამ ახალი ნაცნობისთვის გარკვეული წარმოდგენა შემექმნა ჩვენი მდგომარეობის შესახებ, ჩემ მიერ გზაში შეგრავალი ზოგიერთი სახელი და მისამართი ვიჩვენე. მაძებარმა საკმაოდ დიდი ავანსი მოითხოვა. ოცი თვის განმავლობაში — ოცი თვის განმავლობაში, მკითხველო! — ეს ყეყეჩი გულმოდგინედ ამოწმებდა ამ აშკარად ნაყალბევ მონაცემებს! მასთან უკვე გაწყვეტილი მქონდა ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა, როდესაც უეცრად მესტუმრა და ძლევამოსილი იერით შემდეგი რამ მაუწყა: ბობ ბრაუნინგი თურმე მართლაც ცხოვრობდა დაბა დოლორესის მახლობლად, კოლორადოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ის ოთხმოცზე მეტი წლის წითელკანიანი კინოსტატისტი იყო.

25.

ეს წიგნი ლოლიტას ეძღვნება (მის უკანასკნელ ნაწილს „გაუჩინარებულ ლოლიტას“ დავარქმევდი, ერთ-ერთ სხვა მარტვილს – ჩემსავით შიდა წვის მსხვერპლს – რომ არ გავეფრთხილებინე), ამიტომ უკანასკნელი სამი ცარიელი წლის (1949 წლის ივლისიდან 1952 წლის ნოემბრის შუა რიცხვებამდე) დაწვრილებითი აღწერა უსარგებლოა. რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს, ალბათ, მივუთითებ, მაგრამ, საერთოდ, ზოგადი შთაბეჭდილებით შემოვიფარგლები: ცხოვრების სწრაფ ხომალდში ჯახუნით გაიღო გვერდითი კარი და დაგვაყრუა შავი მარადისობის ღმუილმა, ერთეული ადამიანის განწირული ყვირილი კი ქარბუქმა ჩაახშო.

უცნაურია – სიზმარში არასოდეს მინახავს ისეთი ლოლიტა, როგორც ის წარმომიდგებოდა ცხადში, წარმოსახვაში (ავადმყოფისთვის ჩვეული ახირებით), აგრეთვე – ჰალუცინაციებით ალსავსე დღეებისა და უძილო ღამეების განმავლობაში. გაუჩინარების შემდეგ თუ მაინც მესიზმრებოდა, უცნაური, შეუსაბამო სახე ჰქონდა – ეს იყო ვალერია ან შარლოტა, ან ორივე მათგანის ნაჯვარი. შეჯვარებული ზმანება მიახლოვდებოდა და თანდათან იხდიდა ტანისამოსს უდიდესი მელანქოლიის ან უდიდესი ზიზღის ატმოსფეროში. ცრუ-ლოლიტა (და ცრუ-ვალერია) უხალისოდ მიწვევდა, მის გვერდით დავმჯდარიყავი მაგარ დივანზე, ან, უბრალოდ, ვიწრო ფიცარზე, ან გინეკოლოგიური სარეცლის მსგავს საწოლზე, თვითონ კი იშოტებოდა და ისე ხსნიდა სხეულს, თითქოს ბურთის რეზინის კამერას სარქველს აძრობდა. გატეხილი ან საბოლოოდ დაკარგული კბილის პროთეზით საძაგელ იაფფასიან სასტუმროში ვხვდებოდი, სადაც ჩემთვის ვივისექციის ძალზე მოსაწყენი საღამოები ეწყობოდა. ბოლოს, ჩემს სისხლიან მკლავებში ქვითნებდა შარლოტა თუ ვალერია, რომელსაც ძმური ალერსით ეკოცნიდი. სიზმარში გარდამორტყმული ვიყავი აუქციონზე გასაყიდი ვენური აბდაუბდის, სიბრალულის, იმპოტენციისა და ყავისფერი პარიკების (რომლებიც ახლახან აირით მოწამლულ ტრაგიკულ დედაბრებს ეხურათ) სრული დომხალით.

ოარგმნა **თამარ ლომიკეი**

გაბრძელება იქნება

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲭᲔᲓᲚᲣᲠᲘ

„ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

(1991-1992 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲐ)

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმოხილვას ზოგადი ხასიათი ექნება, რადგან შეუძლებელია იმ უამრავი ლექსის გამოწვლილვითი განხილვა, ეფუნალ „ცისკრის“ ბოლო ორი წლის ნომრებში რომ არის გამოქვეყნებული.

კაცმა რომ თქვას, ამგვარი წერილის გამოქვეყნების აუცილებლობა არც არსებობს, მაგრამ დღეს ჩვენი სალიტერატურო ცხოვრება კრიტიკული აზრის, მით უფრო — ცოცხალ ლიტერატურულ პროცესთან დაკავშირებული კრიტიკული აზრის შიმშილს განიცდის და მხოლოდ ამის შეგნება მაბედვინებს ამ მიმოხილვის გამოქვეყნებას. აქვე აღვნიშნავ, რომ წერილს საფუძვლად დავდო 1993 წლის იანვარში მწერალთა კავშირში წაკითხული მოხსენება.

●

განსახილველ პერიოდში „ცისკრამ“ რამდენიმე რედაქტორი გამოიცვალა, მაგრამ ამან უარყოფითი გავლენა როდი მოახდინა შინაარსსა და ფორმაზე. უფრო სრულყოფილი გახდა „ცისკრის“ გაფორმება მხატვრული თვალსაზრისით, უფრო თამამად გამოჩნდა მწერალთა ახალი თაობა როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში. ბოლო ორი წლის ნომრებში განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი პოეზია, დაბეჭდილია ასზე მეტი პოეტის ლექსები. მათ შორის არიან როგორც უფროსი და საშუალო თაობის, ასევე ახალგაზრდა ავტორები.

ყურადსაღებია, რომ განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა პოეტების უფროსი თაობა; ბევრი მათგანი ვრცელი ციკლებით წარმოჩნდა ეფუნალის ფურცლებზე. აქ შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ უფროსი თაობის ცნობილი პოეტები თავიანთი ავტორიტეტისა და გავლენის წყალობით იკვლევენ გზას, იოლად აქცეფენენენ ნაწარმოებებს ახალგაზრდა და ჯერ უცნობი ავტორების ხარჯზე. სიმართლე გითხრათ, სანამ ეფუნალის ორი წლის ნომრებს მთლიანად გავეცნობოდი, მეც ასეთი ეჭვი მქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი ვარაუდი სიმართლეს მოკლებულია. ახალგაზრდობის ფონზე უფროსი თაობა ღიმენივად გამოიყურება, საგრძნობია პოეტური ფორმის სრულყოფილება, ლექსის შინაგანი ენერგია, პროფესიონალიზმი... სამწუხაროდ, ყოველივე ეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გააჩნია ახალგაზრდა თაობას და ბევრი ლექსი ლიტერატურული ვარჯიშის დონეს არ სცილდება. ამის მაგალითებს ქვემოთ მოვიტან, აქ კი მინდა აღვნიშნო, რომ კონსერვატორი არ გახლავარი და გამოდმებით თვალურს ვადევნებ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას; ვიცი, რომ არიან საინტერესო, ნიჭიერი პოეტები, არის მოდერნისტული მიმდინარეობები, მზადდება რაღაც ახალი და უჩვეულო, იბადება ქართული პოეზიის ხვალინდელი დღე; სამწუხაროდ, ამის კვალი „ცისკარში“ არ იგრძნობა და ეს ჩვენი ლიტერატურული ახალთაობის ბრალი სულაც არ არის...

ახლა კი, ალბათ, უმჯობესია ქრონოლოგიურად გავყვეთ თითოეულ ნომერს და ორიოდ სიტყვით მიმოვიხილოთ ცალეულ ავტორთა ნაღვაწი.

1991 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში ყურადღებას იქცევს ოთარ თურმანაულის ლექსები, განსაკუთრებით საინტერესოა ვრცელი ლექსი „ზოეს კიდობანი“. მიუხედავად ერთთა ნაცნობი და ბანალური სათაურისა, პოეტი ახერხებს თავისებურად დაინახოს დღეგანდელი ცხოვრების ქაოსი და ის სულიერი განწყობილება, რაც ამ ქაოსის შემყურეთ გვახასიათებს. თანდათან თავს იჩენს საშინელი უმწეობისა და სიმარტოვის განცდა, განწირულების შეგრძნება, შიში თავისივე მსგავსის წინაშე და მოულოდნელის მოლოდინი:

ალარაფერი არ ხდება გარეთ,
ზღვა და ჰაერი გვარტყია ირგელივ,
ხოლო ზიგნით კი, ქიდობნის ზიგნით,
ჩაბუდებულა ეკენი ლამე

და ნელა-ნელა გვიწოვს და გვჯიჯგნის,
ღამე დგას საგანს და საგანს შორის,
ღამე დგას სხეულს და სხეულს შორის,
ყოველი ჩემი მთრთოლვარე ნერვის
შუა და შუა ჩამდგარა ღამე.

გულზე მატყვია სიბნელის დამღა,
თვალებში მიდგას სიბნელეით დაღლა,
ღამეა იქით, ღამეა აქეთ,
ღამეა დაბლა, ღამეა მაღლა,
ღამედ ქცეული „ბუშინ“ და „ახლა“,
ღამედ ქცეული „ხვალ“ და „მერე“...

თუმცა ამ ლექსში ედგარ პოს „ყორანის“ ქართულ თარგმანთა ინტონაციები მოგვესმის და პოეტი ღამესთან პოეტური დიალოგების მსოფლიო ტრადიციას ეხმიანება, არა მგონია, ეს ლექსი მარტოოდენ ლიტერატურული სკოლებიდან მომდინარეობდეს: მთელი ამ განსაცდელის საფუძველს, რაც ავტორს აღუწერია, ჩვენი დრო, ჩვენი ყოფა, ჩვენი სამშობლოს დღევანდელობა, ჩვენი დროის ადამიანის სულიერი ტანჯვა იძლევა, თუმცა კარგი იქნება, თუ პოეტი უფრო ორიგინალურ ფორმებს გამოსახავს თავისი განწყობილებების გამოსახატავად, თავს დაადწევს ნოეს კიდობნისა და ღამის ტრადიციულ ჩარჩოებს, რაც უნდა მიმზიდველი იყვნენ ისინი.

ამავე ნომერში საინტერესოა ნინო ქუთათელაძის და ზაურ მოლაშხიას ლექსები. ნინო ქუთათელაძეს ლირიკულობა, ტკივილიანი განცდები სჩვევია, მისი ლექსი ფორმით ტრადიციულია, შეიძლება ითქვას — თემებიც ტრადიციული აქვს, თუმცა აქ დაბეჭდილი რამდენიმე ლექსი სერიოზული მსჯელობის საშუალებას მაინც არ იძლევა.

ზაურ მოლაშხიას შინაგანი ღაძაბულობა ახასიათებს, ეს წარაფვის ვერსიფიკაციულ მრავალფეროვნების, მისი ლექსი მოქნილობით ვერ გამოირჩევა, მაგრამ პოეტს უსათუოდ გაანნია პროფესიონალიზმი. (წარმეიოთხეს ზაურ მოლაშხის უკეთესი ლექსები და ეფიქრობ, რომ აქ დაბეჭდილი ლექსები სრულად ვერ წარმოსაჩენენ პოეტის შესაძლებლობებს).

მე არ ვიცნობ პოეტ სპარტაკ მხეიძეს, — „ცისკრის“ პირველი ნომერში მისი ექვსი ლექსია დაბეჭდილი; არც ის ვიცი, რა ხნისაა ავტორი, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს ლექსები ძალიან სუსტია, რაც, ალბათ, რედაქციამაც იგრძნო, როცა ისინი სადღაც შორს, 119-ე გვერდზე მოათავსა.

ვიცი, რომ ავტორთა ღაეინებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ, სასურველია, რედაქციის მოთმინებაც არანაკლები იყოს, ყოველ შემთხვევაში, „ცისკარში“ დღეს აღარ უნდა იბეჭდებოდეს სამოყვარულო პოეზიის ასეთი ნიმუშები:

თუ მიწას უმძიმს მისი ტარება,
თუ ზეცას უმძიმს მისი ყურება,
ეს არის კაცის გადაგვარება,
ეს არის ტრის უბედურება.

ბრძოლა და ბრძოლა! უნდა ეიბრძოლოთ,
რომ კვლავ აყვავდეს ერის ზნეობა,
თორემ რა ხდება, ბოლოს და ბოლოს,
იზრდება მხოლოდ მოსახლეობა.

ამ უხეირო მორალთმქადაგებლობას რამენაირად მოითმენდა კაცი, ბოლო სტრიქონი რომ მაინც მართალი იყოს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მოსახლეობაც აღარ იზრდება, რადგან ახალშობილები შიმშილითა და სიცივით იხიცებიან, ხოლო მოზრდილები, ვინც მტერს გადავურჩით, თავად ვხოცავთ ერთმანეთს. ამ ფონზე სრულიად ლოგიკურია პოეტის ღაღადინი: „ეს არის კაცის გადაგვარება, ეს არის ერის უბედურება“, მაგრამ ამ შიშველ ლოზუნგს, გაზეთიდან ამოკრილს რომ ჰგავს, პოეზიასთან არაფერი აქვს საერთო; ავტორმა უნდა იცოდეს, რომ გარითმული სტრიქონები ჯერ კიდევ არ არის ლექსი, პოეზია ყოველივე ამის მაღლა დგას და უფაქიზეს მგრძნობიარობას მოითხოვს, იგი სადღაც, რეალური ხაფაროს მიღმა იბადება და რეალური ხაფაროს ელემენტების მხოლოდ რაღაც დიზზი მოთმენა შეუძლია... ეს ისე, სხვათა შორის, ხოლო საილუსტრაციოდ „ცისკრის“ მეორე ნომერში დაბეჭდილ მორის ფოცხიშვილისა და გიგი ალბაზიშვილის ლექსებს მივუთითებ.

მორის ფოცხიშვილი კვლავ შესაფური ენერგიით ბუშობს, ულაქსად მგრძნობიარე პოეტი და ლექსის დახვეწილი ოსტატი ლექსების ყოველ ცალში გვთავაზობს რაიმე ახალსა და ორიგინალურს. ამ ციკლიდან გამოვეყოფდი გრძელ ლექსს „აქედან იქით, ისე როგორც იქიდან აქეთ“. ეს ალბათ, უფრო ბალადა, დავიწყებული ბალადა, რომელსაც ქართველი პოეტები დიდ ხანია აღარ წერენ. ლექსი ქართული ზღაპრის შორეული ვარიაციაა, ბედის ხაძიებლად მიმავალი და გზაჯვარედინზე მისული ჯადუგის ან უფლისწულის ბედზე რომ მოგვითხრობს. ლექსის ბგრის საკრალური რიცხვი — შვიდი ასდევნებია; მან შვიდგზის უნდა გაუძლოს გამოცდას:

აბენე, რა გენაღვლება,
ო, სული უნდა იცხონო,
შვიდი დარბაზი დაგხვდება,
შენ ერთში უნდა იცხოვრო,
ერთი დარბაზი მზისაა,
ერთი დარბაზი მთვარისა,
ერთი დარბაზი ქვისაა,
ერთი დარბაზი რვალისა,
ერთი დარბაზი შვებისა,
ერთი დარბაზი ტანჯვისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიკვდილთან შებმისა,
ეჭოი სიკვდილზე განსჯისა.

მორის ფოცხიშვილი აქტიურად ეხმიანება თანამედროვეობას და არც განსაცდელის თემა ამოტოვებივებულა შემთხვევით მის ლექსებში. იგი პოეტის შინაგან სამყაროსთან, მის განცდებთან არის დაკავშირებული, რაც, ცხადია, დროის სულისკვეთებას, ჩვენს თანამემამულეთა ან, უკეთ, მეოცე საუკუნის მიწურულის ადამიანის განწყობილებებს ეხმიანება.

გივი ალხაზიშვილის ლექსების ამ ციკლში, ტრადიციული ტერმინით რომ ვთქვათ, სატრფიალო ლექსები სჭარბობს, იგრძნობა განმარტებისაკენ სწრაფვა წარმოსახვით თუ რეალურ არსებასთან:

გასაოცარო წამო,
სევდამბერვით მწიფევ,
სათ მიეყავარ ენების
ცეცხლმოკიდებულ კიბეს,
თვალები ცისკენ ფრენენ,
მარტონი ვრჩებით ცასთან,
ბედნიერება ჩვენი
ენახოთ, როდემდე გასტანს.

გივი ალხაზიშვილის პოეზია ინტელექტუალურია ამ გამორჩევა (თუმცა, ზემორე ლექსი არ ივარგებს ამის საილუსტრაციოდ), რაფინირებული და ფაქიზია. აქ ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს გონი და ემოცია, ტრადიციული ლექსის სისადავე და თავისუფალი ლექსის ინტელექტუალური სიღრმეები.

ჯანსულ ჩარქვიანის ლექსები (№ 3), ალბათ, უფრო პოეტისათვის ბოლო წლებში ჩვეული სტილის ახალი გამოხატულებით არის საინტერესო. კამათი ბორორტებასთან, რომელიც თავს იჩენს ხილული თუ არხილული ადამიანების, კონკრეტული პიროვნებების სახით ან ზოგადი სახე გაჰჩნია და ცდილობს თავისი ნება უკარნახოს საზოგადოებას, დაჩაგოს კეთილი, გაამტანოს ქვესკნელის ძალები, მტრობისა და შურისგების წყურვილით გამსჭვალოს ქვეყანა... ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მარადიულად არსებობდა, არსებობს და იარსებებს, მაგრამ, ალბათ, ჩვენი დღეები განსაკუთრებულ ტკივილს იძლევა, რათა პოეტმა ძალიან მტკივნეულად განიცადოს კეთილისა და ბოროტის ჭიდილი. ჯანსულ ჩარქვიანის ლექსები მახვილგონიერებით გამოირჩევა, მაგრამ გულწრფელად გითხრათ, მეჩვენება, რომ ქვემორე სტრიქონები არ არის ეურნალის ფურცლებზე გამოსატანი, რაც უნდა მახვილგონიერად იყოს ეს ნათქვამი:

ეშმაკმა იცის ცოდვისა —
ვინ ჰქმნა ნაკლები, ვინ მეტი,
ლენინს უყვარდა ქილები,
ნადიეჟდას რითმა ქილების.

ქალბატონ ნადიეჟდას ამგვარი გაბაკაცების შესახებ ოფიციალურ მოგონებებში არაფერია ნათქვამი, თანაც მე პირადად იმის მომხრე ვარ, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანები საფლავებში მოვახვევნოთ...

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ელა გოჩიაშვილის ორი ლექსი. ეს ლექსები საილუსტრაციო მასალის ბანაკის საშუალებასაც კი არ იძლევა, მაგრამ თანამედროვე პოეზიაში ჩახედულმა კაცმა იცის, რომ ელა გოჩიაშვილი ახალი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტია, სევდითა და ტკივილით აღბეჭდილი მისი სულიერი სამყარო ორიგინალურ წარმოსახვებს გვთავაზობს, რაც უმეტესად თავისუფალი ლექსის ფორმით არის გადმოცემული.

ხოზე ადეიშვილის ლექსებს კლასიკური ლექსის ერთგულება და სისადავე გამოარჩევს, იგი ესწრაფვის სიკეთისა და სიყვარულს, ირჩევს ტრადიციულ თემებს და ამ თემების კონკრეტული გამოხატვის საშუალებებს ეძებს.

ტარიელ კანტარია (№ 4) თავისებური ოსტატობით და ემოციურად ახასიათ დროსა და მოკლენეტს. მისი პოეზიის მახვილგონიერება, ოსტატობისა და ემოციურობის ფეიერვერკი გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს, უფრო სწორად — პოეზიის მოყვარულს, ხოლო თუ კიდევ დავაკონკრეტებთ, იმას, ვინც კარგად არის ჩახედული პოეტურ ლაბორატორიაში, აქ არის ყველაფერი, — მიზეზი დფიქრებისათვის, ალტაცებისათვის, ტკბობისათვის და, იქნებ, აღშფოთებისთვისაც; მე ვიტყოდი, ეს არ არის განსაბილველი ლექსები, წასაკითხი ლექსებია და პრეტენზიის ყველაზე დიდი ბედნიერებაც ეს მგონია.

ლალი თოთაძის ლექსები ყურადღებას იქცევს მტკიცედ ნაგები კლასიკური ფორმებით. იგი ერთ-ერთი ნიჭიერი პოეტი ქალია, რომელიც არ ესწრაფვის იოლი გზით სიარულს. თუმცა ლალი თოთაძის ლექსები არ გამოირჩევა ვერაფერი ინოვაციური მრავალფეროვნებით, მაინ თემატიკა მუდამ აქტუალურია, სულიერი სამყარო — დაძაბული, განცდებითა და ტკივილებით სავსე, რაც ქმნის ძალ პირთას, რომ პოეტმა სახლის არა მარტო პიროვნული, არამედ საზოგადოებრივი ტკივილები, თუმცა, შესაძლოა, ეს ყოველთვის არ იყოს მიღწეული. სამწუხაროდ, საილუსტრაციო მასალის მოტანის საშუალება ახლა არ არის, ისევე როგორც ვერაფერს ვამბობ შაბურა არაბულის, თოთია გიგაურის, სოფიკო ტაეშელაშვილის ლექსებზე, თუმცა ყოველ მათგანს ადამიანური და პოეტური თავისებურება გააჩნია: არავინ დაინტერესებულა, განუხილია მარად მარტოსული, ღრმად ჩაფიქრებული და სევდიანი შაბურა არაბულის ლექსები, რომლებიც ბარე ოცი წელიწადია იმეტდება ეურნალ „ცისკრში“, გამოდის ცალკე წიგნებად; ასევე უყურადღებოდაა დარჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თაობის მრავალი ნიჭიერი პოეტის შემოქმედება.

ამ რამდენიმე წლის წინათ, გამომცემლობა „მერანში“ მუშაობისას, უხერხულობისაგან აწითლებული ახალგაზრდა კაცი, თითია გიგაური მეწვია. მის გარეგნობაში არაფერი ამხელდა პოეტს. ხოლო როცა გავიგე, რომ იგი სადღაც, ქალაქგარეთ მუშაობდა მშენებელ მუშად, პოეზიის მსხვერპლად ქცეულ მორიგ მთელად ჩავთვალე და მის თავიდან მოცილებაზე დავიწყე ფიქრი. მაგრამ თოთია გიგაურის პირველივე ლექსებში ვიგრძენი, რომ ეს კაცი პოეტი, მთელი მისი ტანჯული შესახედაობა კი მისივე სულიერი სამყაროს გამოძახილი იყო. რაც მთავარია, მას შეეძლო თავისი განცდების ფაქიზი, ოსტატური ლექსის სტრიქონებით გადმოცემა. ლექსები დატოვა და წავიდა, გამოჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა მისი წიგნი უკვე გამოდიოდა. ეს წიგნი ნაღდი პოეტის დაწერილია. არა მგონია, თოთია გიგაური შორს წავიდეს ამ წიგნისგან, მას საამისო ინტელექტუალური ბაზისი არ გააჩნია, აქვს მხოლოდ ფაქიზი გრძნობები და განცდები, ლექსის ინტუიციური გრძნობა და გულწრფელობა, მაგრამ ეს წიგნი პოეზიაა და თავის ადგილზე დამკვიდრებას ითხოვს.

ამავე ნომერში რედაქცია მოკრძალებით გთავაზობს ლენა პაპუაშვილის ოთხ ლექსს; ეს ლექსები რომ არ დაბეჭდილიყო, ჟურნალი, ალბათ, ბევრს არ დაკარგავდა. არ უნდა დაბეჭდილიყო სამოყვარულო პოეზიასთან ახლომდგომი თუნდაც ეს ლექსი:

მიდიან ღრუბლები, მიდიან,
სავსე ჯიქნები ჩქეიანთ,
სავალი მეტად დიდია,
არც გზაა, არცა ხიდია,
ალპნეტას შემოვლიან,
მთებს გადირბენენ თოვლიანს,
მინდერებს მორწყაევენ მლიანს,
და ისევ ჩვენთან მოელიან.
ნეტავ თქვენ, თავისუფლებო
და ბედნიერო ღრუბლებო.

რატომ, რისი ხათრით და პატივისცემით ვბეჭდავთ ამგვარ ლექსებს საქართველოს უპირველეს სალიტერატურო ჟურნალში ანდა „ცისკრის“ რომელმა თანამშრომელმა არ იცის, რომ აქ ეპიგონობის ნიშუშთან აქვს საქმე? ღრუბლების ნავსე ჯიქნები, მთებზე მათი გადავლა-გადმოვლა, თავისუფალი ღრუბლები და მათზე მეოცნებე პოეტი ძველისძველი კოშმნიანიაა, — თითქოს ეს არ კმარიან, ენაც დაუმახინჯებია ავტორს და „მოელიან“ დაუწერია.

ზურაბ კუზანიძე (№ 5) გვთავაზობს ფრაგმენტებს „ზამთრის რეკვიელიდან“. ფრაგმენტების კვალობაზე ეს ლექსები არ არის ურიგო, გადმოცემულია ცალკეული სურათები და განწყობილებები, თუმცა გამოცდილ პოეტს, ალბათ, არ ეპატიება რითმები: „ცად გაქცეულა“ და „გადაქცეულა“, მით უფრო, რომ ამგვარი მინიატურები რითმებს სრულიად არ საჭიროებს.

ბორენა ჯაკელიანი ჩვენი თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი პოეტია, ჩუმი და მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობს და, ბუნებრივია, კრიტიკის ყურადღებით არ სარგებლობს. იგი ფიქრის პოეტია, მარტოსულობის განცდით ტანჯული, მეგობრის მაძიებელი თუ თავისივე სულიერი ტკივილების ექო მიყურადებული. გაურბის კლასიკურ ფორმებს; ურითმო, თავისუფალ, მაგრამ ახე თუ ისე მოწესრიგებულ ფორმებს გვთავაზობს. ასეა ეურნალის ამ ნომერშიც: მისი შვიდი, საკმაოდ ვრცელი ლექსი მაღალპროფესიული, ნამდვილი პოეზიის ნიმუშია.

ზურაბ ლომბენიძე დიდი ხანი არ არის, რაც ლიტერატურაში გამოჩნდა; ეძებს თავის გზას, წერს მოძებრობებს, აქვეკეთებს ლექსებს. იგი ლექსების ამ ციკლში ბარე ორჯერ უსვამს ხაზს თავის მისწრაფებას და წერს:

ნეტავ ოდესმე ის დღე იქნება,
რომ პოეზიით ვიცოცხლო მარტო?

სხვაგან ავტორი უფრო აკონკრეტებს საკმელს და ჩკოთხველისთვის ცხადი ხდება თუ რაგომ უნდა პოეტს ისეთი დღის გათენება, მხოლოდ პოეზიით რომ იცხოვრებს:

ეკლის გვირგვინით შემოწნული
ლექსი მწყურია. —

დაუფარავად აცხადებს ახალგაზრდა პოეტი. თუმცა ცოტა გაუგებრაა კია „ეკლის გვირგვინით შემოწნული ლექსი“, მაგრამ მკოთხველი მაინც მიხვდება, რომ მას პოეტური სიმალლით ტანჯული ოსტატის ეკლის გვირგვინისთვის დაუდგამს თვალი. პატარ-პატარა პატივმოყვარეობის ჭია ყველას გვაწუხებს, მაგრამ ნამტანნი გულამხილობაც არ ვარგა, მით უფრო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იცი, რომ უნდა ერიდო დიდოსტატების ჩრდილში სიარულს და არ უნდა გარითმო „სურნელი“ და „განუკურნელი“:

იწვოდა ტაძრის ვეშმბათი, კალთა,
ვარდთა ფიოფა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დადალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი. —

ეს რითმები პირდაპირ ამოშანთულია ჩვენს არსებაში და ყოველგვარი მორიგი იმიტაცია მხოლოდ უფუნთად ალიქმება, ისე, ფრიგო არ იქნება, ახალგაზრდა ავტორებს ზოგჯერ რედაქციამაც რომ მისცეს ამგვარი რჩევა-დარიგება.

რახან ზურაბ ლომბენიძის ლექსები საშუალებას მაძლევს ზოგადად შევეხო ახალგაზრდული პოეზიის ტენდენციებს, ორიოდე სიტყვას კიდევ მოკახსენებთ:

ნუ შემოყვარე, შენი ნებაა,
მე კვლავ დავრჩები შენი ერთგული,
სულისთვის ისიც დიდი შვებაა,
რომ სილამაზით არის შეპრული.

ეს სტროფი ერთი ჩვეულებრივი სუსტი ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის ფრაგმენტია და მასზე უურადღებას არ გვამახვილებდი თუ არა ერთი გარემოება: აქ ახალგაზრდა პოეტებისთვის ჩვეული ზოგადი ტენდენცია ჩანს — არაფრისმთქმელი ფრაზები, დაუკონკრეტებელი დეტალები, დეკლარირებული სიყვარული, სილამაზე, ალტაცება... „სილამაზით შეძრული სული“ უბრალო ლამაზსიტყვაობაა და არავითარ წარმოდგენას არ ქმნის თუ რაგვარმა სილამაზემ შეძრა პოეტის სული; სილამაზეს, რომელსაც, ალბათ, რომელიღაც ქალი ფლობს, უსათუოდ ექნება თავისი დამახასიათებელი დეტალები. ამ დეტალების შემჩნევა და გადმოცემაა ოსტატობა. მაგალითად, დავით გურამიშვილი რომ ოსტატი არ ყოფილიყო, ზუბოვკელი ქალის აღწერას ამით დაასრულებდა:

ზუბოვკელმან მომავალმან ენახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დარჩა
თვალი,

მაგრამ გურამიშვილმა იცის, რომ „ტურფა“ და „შვენიერი“ ბევრს არ ეუბნება მკითხველს, ზუბოვკელი ქალის პორტრეტი დახატული მაინც არ არის და ისიც ხატავს:

შავთვალწარბას, პირად თეთრსა
ასხდა შავი ხალი...

ეს უკვე სრულყოფილი პორტრეტია მშვენიერი ქალისა, რომელიც, ზუბოვკის გზაზე ქარფეული პოეტთან ბედნიერი შეხვედრის წყალობით, ალერ, ორასი წელია სატრფიალო ენებებს აღძრავს.

თამაზ ჭილაძის ლექსები ბოლო წლებში არცთუ ისე ხშირად იბეჭდება, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ლიტერატურის სხვა ჟანრებში შეაზობის პარალელურად არც პოეზიას „ღალატობს“. „ცისკრის“ 7-ე ნომერში ლექსების საკმაოდ ვრცელი ციკლია გამოქვეყნებული. ამ ლექსებში იგრძნობა პოეტის ნაცნობი ხელწერა, ჯერ კიდევ 60-ანი წლებიდან რომ იწყება. დახვეწული, ნატიფი ფორმა, კლასიკური მოკნეტიკითა და სინათლე შერწყმული ღრმა ინტელექტთან და აზროვნების თანამედროვე სიმალლეებთან, — ეს თამაზ ჭილაძის პოეზიის თვისებაა.

შოთა ნიშნიანიძე გვთავაზობს გრძელ პოემას — „ვირის პოლოგია“. ამ პოემაში სრულიად უარყოფილია შოთა ნიშნიანიძის პოეზიისთვის დამახასიათებელი ფერწერა. პოემა უფრო ლექსის ფორმით დალაგებული ნოველია ვირის, როგორც მორჩილების, შრომისმოყვარეობის, თავდადების სიმბოლოს, ისტორიულ-ფილოსოფიური გაანრების შესახებ.

ამ ასპექტების კვლევას მე ვერ შევუდგები. მხოლოდ პოეტის ლიტერატურულ პოზიციაზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. შოთა ნიშნიანიძე ოსტატია და მას მეფად ჰქონდა თავისი პოზიცია ლიტერატურაში. მაგრამ საინტერესოა, რატომ მოხდა მის სიკარმაგეში ამ შეზიდულებების მკვეთრი შეცვლა? კლასიკური ლექსის ქომაგი, ამ 10-15 წლის წინათ ხმალამოღებული, რომ იბრძოდა თავისუფალი ლექსის წინააღმდეგ, ახლა თავად წერს ურითმო პოემას, რომელიც, გარდა გრაფიკული ფორმისა, არაფრით მიეკუთვნება პოეზიას, ამ პოზიციას ახე განვმარტავდი: პოეტს დაუფარავად იმეგობრი და იმდენი სათქმელი, რომელსაც კლასიკური ლექსი, თავისი მტკიცე კანონების გამო, ვერ დაიტევს. სათქმელს სჭირდება თავისუფლება, ჯნრის და არა მხატვრული ფორმის წინ წამოწევა. და ბოლოს, ჩემი აზრით, ეს პოემა, ალბათ, შოთა ნიშნიანიძისთვის საეტაპო ნაწარმოები არ არის. ძნელია ჩვენს ცნობიერებაში შეიცვალოს შოთა ნიშნიანიძის ის პოეტური სახე, მრავალი წლის წინათ რომ დამკვიდრდა და იგი რაღაც ახალ ლიტერატურულ ძიებებს დაუკავშირდეს.

ვაჟა ხორანული გვთავაზობს მინიატურებს. საერთო ჯამში ეს ლექსები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, „დაკვირვალია“ განწყობილებები, ემოციები, პეიზაჟები, მაგრამ უკეთესი იქნება, პოეტი ერიდოს ამგვარ „ლიტერატურშრნას“:

— ბოლს მოდი, ოტელო,
ნუ შესცოდავ,
იმ ქვეყნად სატანჯველი ველის!
— ერთი დეზდემონა მირჩევნი.
მილიონ ეარსკვლავს,
მე არა... შექმპირია
ამ ქალის მკლელი.

პატრიოტული პათოსით გამოირჩევა ტაგუ მეტბურიშვილის ლექსები. მათ, შესაბამისად, არ ახასიათებდეთ განსაკუთრებული რაფინირებულობა, მაგრამ შინაგანი პატრიოტული მუტები ალვა და მოდან ჩვეთრად გამოსაცავენ პოეტის პოეზიას.

თამარ ბოლქვაძის ლექსების ხელალბი დაწუნება არ შეიძლება, მაგრამ ვერაფრით ჯერ დავეთანხმები პოეტი ქალის მტკიცებას, რომ:

ნეტა კაცს როგორღა უხარია
ანდა რა მიზეზით ღონდება?
ქალი კი, როცა მწუხარეა,
უთუოდ კაცი აგონდება.

ეს ოთხსტროფონიანი ლექსი რომ არ დაიბეჭდა რედაქციას, თამარ ბოლქვაძის ლექსებს არაფერი დაკლდებოდა, თუნდაც ამიტომ, რომ, შესაძლოა, პოეტი სცდებოდეს, რადგან ჩვენს დროში ქალი და კაცი, ადამ და ევასავით, სამოთხის ბაღში არ იმყოფებიან და მწუხარეობის მიზეზი შეიძლება კაცთან სიშორის გარდა სხვა რამ იყოს, ვთქვათ, პური, კარტოფილი, თბილი ბინა, ომში წასული შვილი...

„ცისკრის“ მე-8 ნომერი ამერიკელი პოეტების ლექსებს ეთმობა. თუმცა აქვეა ინგლისურენოვანი პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელის, გიორგი ნიშნიანიძის ორიგინალური ლექსებიც. მე-9 და მე-10 ნომრები გაერთიანებულია და მათში დაბეჭდილია ეგზარ კეტკაშვილის, ლადო სულაბერიძის, ლია სტურუას, მალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინა თოიძის, ზაურ ბოლქვაძის, ირაკლი ციგროშვილის, დალილა ბედიანიძის, ვაჟა ეგრისელის, თენგიზ სვანაძის, ქეთი შენგელიას ლექსები.

აქ სულ სხვადასხვა თაობის პოეტებია წარმოდგენილნი, ლადო სულთანბეგიძისგან სრულიად ახალგაზრდა ქეთი შენგელიამდე, რაიმე პოეტური მოვლენა ამ ლექსებში ვერ ვნახე, ისევ და ისევ იგრძნობა, რომ უფროსი თაობა ოსტატობით, გაბედულებით, შრომისმოყვარეობით, თუ გნებავთ, — სიახლის ძიებით, ხკობნის ახალგაზრდა თაობას. ზემოთ აღვნიშნე, რომ ეს რეალურად ასე არ არის. ჯობნისა რა მოგახსენოთ, პოეტური შეჯიბრების მომხრე არ გახლავართ, მაგრამ ნიჭიერი და მძიღნელი ახალგაზრდა პოეტები კი ნამდვილად გვყავს, სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ „ცისკარი" ამ სურათს ვერ ასახავს.

მომეწონა ლადო სულთანბეგიძის ლექსები: „სკამი", „ციბე", „ბოლო ტახტი". ამ ყოფილ საგნებს პოეტი სიმბოლურ ეზოშვნელობებს ანიჭებს. ლადო სულთანბეგიძე მარადიული პოეტური კოდექსის ერთგული რჩება, ზნეობრივი შეურყვნელობის, სიკეთისა და სათნოების მქადაგებელია. იგი ჯაბუკური ენერგიით იღვწის პოეტურ ასპარეზზე და, ვგონებ, ახალ თვისებებსაც კი იძენს, როგორც პოეტი.

ბოლო წლებში გასაოცარი შრომისმოყვარეობით მუშაობს ეზნარ კვიტაიშელი და, მიუხედავად მისი არცთუ დალწინებული ცხოვრებისა, თითქოს ხელაქანა ალივსო ენერგიით. იგი ლექსის ოსტატია, გამოირჩევა კლასიკური სიხალვათითა და დახვეწილობით, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მისი უფრო ვრცელი და სინტეტრესო ციკლებია გამოქვეყნებული 1992 წლის მე-2 და მე-8 ნომრებში.

გაერთიანებულია მე-11 და მე-12 ნომრებიც. მათში დაბეჭდილია თემურ შავლაძის, ბელა შალვაშვილის, ზაალ ებანოიძის, ჯანო ჯიქელიძის, დავით ნავროზაშვილის, ალექსანდრე ჯახუას, ზურაბ კუხიანიძის, უშანგი ბედიანის, დათო მაღრაძის, მუთაზ არაბულის, დარეჯან ბატიაშვილის, ნანული ფსუტარის, ალექსანდრე გაბურის ლექსები. ამ უამრავი ავტორიდან, რასაკვირველია, დაწვრილებით ვერავის შევეხები, შევეცდები ზოგიერთის თითო სტრიქონი მაინც შევახსენო მკითხველს, როგორც მოწონების, ასევე იმედგაცრუების ნიშნად. დიდ პატივს ვცემ თემურ შავლაძეს — გემოვნებიან ლიტერატორს; იგრძნობა, რომ „ცისკარში" გამოქვეყნებული მისი ლექსებიც ლიტერატურის დაწერილია, რომელსაც ზოგჯერ ღალატობს პოეტური ალღო:

ისევ აყვავდა ლენცოფა,
სუსხით ქართველზე კაკანებს, —

წერს ერთგან პოეტი. მაგრამ ჩემთვის პირდაპირ გაუგებარია, რანაირად კაკანებს ლენცოფა, ეს დალოცვილი ქთამეს არაფრით არა ჰგავს, ერთი უბეში რომ მცენარეა, კაცს თვალი ზედ არ დაგრჩება, მაგრამ კაკანთ არ კაკანებს, არც აყვავილებსა და არც დაუვავილების ეამს:

ეჰ, დავით, დავით პოეტო,
პოეტზე უფრო პოეტო! —

მიმართავს დავით გურამიშვილს თემურ შავლაძე. მინდა ვკითხო მას: — რაო, დავით გურამიშვილი თქვენი მეგობარია, — ეჰ, დავით, დავით პოეტო! — მხარზე ხელს რომ უტკაცუნებთ ქუჩაში შემოგრილი სამაგზეთა ბალის მეგობარივით?! ასეთი ფამილარობა კლასიკოსებთან რა საკადრისია! მე თუ მკითხავს კაცი, არც „ქართლისპირანი" სტრიქონები ვარგა. საშინელებაა, მავანნი და მავანნი რომ აიჩემებს და ნიკოლოზ ბარათაშვილს ენის მოჩლექით „ტატოს" ეძახნ. ამას ვერც თემურ შავლაძე ასცდენია და — ტატოს ცა და მთაწმინდაო, — წერს ერთგან.

ზაალ ებანოიძის ლექსები პოეტის განცდების გულწრფელი გამოძახილია. კლასიკური ფორმების ერთგული პოეტი რაღაცნაირი, ფარული სევდით გვიამბობს, უფრო სწორად, — ვიღაც სხვას, თითქოს უჩინარსა და ახლოსელს უამბობს თავისი ცხოვრების ამბებს. ამ ცხოვრებაში არის ტკივილებიც, იმედგაცრუებაც და მოლოდინიც:

რა ვთქვა, ახლახან შეგიცან,
არა მაქვს ამის უფლება —
რაც თავი მახსოვს, შენი ცა
მეძტერ-მეკრინისუფლება.

ეს სტროფი გადმოვიწერე და მაშინვე შევნიშნე, რომ „უფლება" და „ეირინისუფლება" მაინცადამაინც საამაყო რითმები ვერ არის, მაგრამ ამან შეიძლა მომგვარა: ასეთი ბანალური რითმების შეუმჩნეველად „გაპარება" მხოლოდ ლექსის კარგ ოსტატებს შეუძლიათ.

სინტეტრესოდ დათო მალაძის ვრცელი ლექსი „პოეტის დილა" და ალექსანდრე გაბურის ლექსების ციკლი:

ზღვით და წყურვილით ავსილი თვალი,
ხარბად მიწყლაინი უხილავ მესერს;
სილაზე იწვა ლამაზი ქალი,
ლამაზ ოცნებებს ითბობდა მზეზე, —

წერს ალექსანდრე გაბური და ამ სურათში არის რაღაც, თითქოს ნაცნობი და, ამავე დროს, სილამაზის მარადიულად მოახმიბლავი ძალა. პოეტი ერთგან ე. წ. ანეანბეგანსაც მიმართავს:

რამდენი დაკირდა მოცდა,
რა ვვიან კაცივდა ხელი...
ტაატეი გვიიდა ოცდა-
თხუთმეტი დაღლილი წელი.

თუმცა მეტრული თვალსაზრისით, არა მგონია, ამ სტრიქონში ყველაფერი რიგზე იყოს.

* * *

1992 წლის პირველ ნომერში, ალბათ, ყველაზე უფრო სინტეტრესოა ბესიკ ხარანაულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვახტანგ ჯავახაძის ლექსები.

ბუღნრფეულად ვიტყვი, ჩემთვის მიუღებელია ვახტანგ ჯავახაძის ლექსების რუბრიკა: „წიგნიდან „ვახტანგური“, რაც უნდა ორაზროვანი შინაარსისა იყოს იგი. თუ პოეტი მართლა ასეთი წიგნის გამოცემას აპირებს, ვურჩევ, ეს საქმე შთამომავლობას მიანდოს.

ისე კი, ვახტანგ ჯავახაძე დღემდე ერთგულად და დაუცხრომლად აშენებს თავის პოეტურ სასახლეს, ცხოვრებას თითქოს კრიკმი უდგას ნაბიჯ-ნაბიჯ მიაყვება და გონებამახვილური ლექსებით, ზოგჯერ თითქოს კიდეც რომ სცილდება ტრადიციულ ლექსზე ჩვენს წარმოდგენას, გადმოგვცემს ჩვენი დღეების არცთუ საამური სურათს.

ბესიკ ხარანაულის ლექსებიდან საინტერესოა ვრცელი ლექსი „რაღაც კვდება და იბრწყინება ამ ზეიმშიაც“. ეს არის გაუსაძლისი სულიერი ტკივილით შთაგონებული ფილოსოფიური ლექსი; პოეტი მიისწრაფის ცხოვრების სიღრმეების შესაცნობად და, მისდა გასაკვირად, ახალს და ახალ შრეებს აღმოაჩენს, მით უფრო, რომ წარსულის მშრე ადამიანნი ემატება ჩვენი დროის ლექი და სატანჯველი.

აქვე დაბეჭდილია რამდენიმე უცნობი, ალბათ, ახალგაზრდა ავტორი, თუმცა მათ ლექსებში ძნელია რაიმე განსაკუთრებულის გამორჩევა.

კახა კახიძე, მაგალითად, ასეთ მარტივ რითმებს იყენებს: მინაზე — სინაზე, რიდის — მოდის — ჩამოდის, აქვეა უაზრო სტრიქონი: „გარეთ ეზო ხელებს ბრაზით მიქნევს“. ალბა, ეზოს ხელებს ქნევა რანაირად უნდა წარმოვიდგინოთ თუნდაც ერთის პირობით მნიშვნელობით! მე მჯერა, რიდესაც პოეტი ამბობს: „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემომბვიოს ხელი“. კახა კახიძეს რომ ეთქვა, ეზოში რომელიღაც ხე (თუთა არაა აუცილებელი) ბრაზიანად მიქნევს ხელსო, დავიჯერებდი, ეზოს ხელის ქნევისა კი რა მოგახსენო.

ლოდო ნათიძის ლექსში წერია: „მტერი მომძალვია“, „ორგულს, ბუბლოროტსა და ძმალავს“. ქართველის ასე დამახინჯება არავითარი პოეტური თავისუფლებით არ შეიძლება ახსნას.

ქეთევან დოლიძე გვთავაზობს ასეთ უმწეო სტრიქონებს:

ფიქრი თვალდათხრილი მიღასლასდა,
თვალები ვაჩუქე ჩაფიქრებას.

არ ვიცი, რა ხნისაა ავტორი; ისე, ამგვარი ფსეუდორომანტიკული სტრიქონების წერა მოსწავლე გოგონებმა იციან პირველი სიყვარულით გაბაცების დროს, მაგრამ „ცისკრის“ ფურცლებზე ლიტერატურული ვარჯიშის გამოფენა არ შეიძლება.

საყურადღებოა ვახტან ღლონტის (№ 2) ლექსი თუ მცირე ლირიკული პოემა, რომელსაც უცნაური სათაური („წვიმა და ოქცნების გენერალები“) აქვს:

ჩვენ ვართ ოქცნების გენერლები,
ჩვენ არ ვიცვლებინო,
ჩვენ ლაშქარი დამფრთხალი გარბის,
ჩვენ არ ვნებდებინო ასე უბრალოდ. —

წერს პოეტი და შეხალოა ამ სტრიქონებში მთელი პოემის შინაარსიც კი იყოს გადმოცემული; მიუხედავად ამისა, მეჩვენება, რომ ნაწარმოები ზედმეტად არის გადატვირთული ყოფით დეტალებით და პროზის ელემენტებით.

მეხანე ნომერში გამოქვეყნებულია გიგი სულკავაურის, ნუგზარ ზაზაშვილის, ზურაბ ლობჟანიძის, ლელა გაბერის, კახა ტიგინაშვილის, ანდრო ბუჯაჩიძის ლექსები.

გიგი სულკავაურის ლექსების ამ ციკლში ჭაკაწყდი რითმიან ლექსს, რასაც იშვიათად მიმართავს ავტორი; იგი უმეტესად თავისუფალ ლექსს ანიჭებს უპირატესობას. ლექსს „შენაქოს წვიმა“ ჰქვია და ხალხურ პოეზიას ეხმიანება:

გამოვიარე ტბათანა,
რომ მოგსალოდეს მმსალია.
ახლა მინდა რომ შენაქო,
როგორმე უნდა შევაქო.

ვერლიბრში დაიქსატებული პოეტი, ეტყობა, უფიქრდებიდან მოპკიდია რითმიანი ლექსის ფამართვას, თორემ, ამა, რას ნიშნავს ბოლო ორი სტრიქონის შინაარსი, — „ახლა მინდა რომ შენაქო, როგორმე უნდა შევაქო?“

ნუგზარ ზაზაშვილი, ალბათ, ახალგაზრდა კაცია. მას რამდენიმე კარგი ლექსი აქვს: „მეგლეხი“, „ცვივა ფოთლები“, „მცხეთის ჯვარს“ და სხვ. აქვე შევნიშნავ რამდენიმე ლაფუსუსაც: გარითმულია „წარსული“ და „წასული“; არ არის სწორი „ცოფიან ცეცვის უკრავს ორკესტრი“; სჯობია „ცოფიან საცეკვაოს“, თუმცა ამ ფრაზას არავითარი ესთეტიკური ღირებულება არ გააჩნია.

მეოთხე ნომერში, მორის ფოცხიშვილის ლექსებთან ერთად, გამოქვეყნებულია ეთერ თათარაიძის და ლელა ლაგაზიძის ლექსები. ეთერ თათარაიძის ენობრივ პოზიციაზე თვის დროზე კამათი მიმდინარეობდა. გუთახდილად რომ ვთქვა, მე დღემდე არა მაქვს ჩამოყალიბებული აზრი მის შესახებ, მაგრამ ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: ეს ლექსები ეგზოტიკური და, გარკვეულწილად, მოძნიბლავია, — ეს არის ემიციის კარნახი, მაგრამ, გონების ხმას თუ მივყვებით, აღმოჩნდება, რომ ამ ლექსებს ერთობ ცოტა მეთხუეები ეყოლება, რომ ქართული პოეზია სალიტერატურო ქართულზე უნდა იქმნებოდეს და დიალექტით შემოზღუდვა, რაც თითქმის დაუკვეთარია მრავალი მეთხუეელისათვის, საფრთხეს უქადის თვით ავტორს. გაიკვლის პირველი ეფექტი, დაცხრებიან უცნაურობის მოდი გაბაცებული და მაშინ?... პოეტმა, ალბათ, ეს კითხვა ზზრაზად უნდა დაუსვას საკუთარ თავს.

მაათე დანელია (№ 5) ჩვენი თაობის ერთ-ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ნიგეური პოეტი, ფრიად ნაყოფიერად მუშაობს: ამ ნომერში დაბეჭდილია მისი ოცზე მეტი ლექსი. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დაბორეზვა“, „ჩამოსვლა ზეცის კიბიდან“, „ყოფნა“, „სიყვარულის დაბრუნება“ და სხვა. ბათუ დანელიას ლექსებს ახასიათებს მეტრულ-ინტონაციური მრავალფეროვნება, ლირიკული სისადავე, დახვეწილება, სპარბობს მოქალ და მეუხარე ფერები, მაგრამ აქ ხელოვნური და განეკიდ დრამატიზებული ინაფერია.

ტარიელ ხარხელაურის ლექსები არცთუ ხშირად იბეჭდება ამ ბოლო დროს. გვახსოვს ხანი ბაჰმაურებული მოსვლა ლიტერატურაში, მაგრამ მას ამით „ბოროტად“ არ უსარგებლია და, როგორც ჩანს, პოეტს სახელს დიდი პასუხისმგებლობით აბარებს. „ცისკარში“ დაბეჭდილი ლექსებიც ამის დასტურია, აქ არის ვერლინური, ალსაიკური ფორმები, ხალხური ინტონაციები, თუმცა იგრძნობა თემატური შეზღუდულობა.

ნუგზარ ჩიკვაიძე ახალგაზრდა კაცია. რიგაა „ცისკარში“ მისი ლექსები წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ კვლავ დიდი მუშაობა ჭირთან, ჯეტორს, ეტყობა, ორიგინალურობის სურვილი მოსვენებას არ აძლევს და თავის პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხელი მიუყვია ქართული ენის დამახინჯებისათვის, რასაც ერთობ ზარმაცებით აღწევს. ქვემოთ მოვიკავ ის ტანჯვა-წვამების ნიმუშები, რაც ნ. ჩიკვაიძემ შობილიერ ენას აუტანა:

„ბინდეთი არსად ეერაფრით დარჩეს“;
„ღმერთეულ არსში გაანაკვეთო“;
„შიშნეულ არსით ღამიდან ქროლვენ“;
„ღრუბელთა ბონდი თვალებში მიეყფს,
მე ეუკე მესმის გვამების ყროლეა“;
„საკნეულ ბინდებს არ შეუშინდე“;
„ეამი არს ახლა ცრემლეულ ლოცვის“;
„ზეცეულ არსშიც განიხვნებიან
ლოდნეულ არსთა გამოელინებით“;
„კვლავაც მაგ თვალთა ნისლეს ეელოცი“;
„და ნათლეულთა მზეთა მზეობა“;
„ცა სიმართალის სეედს მაბარებს“;
„ძარღვებში მოდის ღმერთეულად ნათელი სითხე“;
„წმინდეთში უთქვამთ სიყვარულიო“;
„შენ ჩემი არსი ლერწმეულთა გოდებით ლეწე“ და სხვა.

ალბათ, ამ ლიტერატურულ (თუ არალიტერატურულ) უფიცხასა და პროვინციულ კეკლუცობაზე ქარქალი არ ღირს: უბრალოდ, გასაოცარია, რა ახეთი ჯერი სჭირდა „ცისკრის“ რედაქციას ნუგზარ ჩიკვაიძისა, რომ საქვეყნოდ მოსჭარა თავი?!

მეექვსე ნომერში დაბეჭდილია ნინო ლონდარიძის, ტრისტან ჩიხლაძის, ანა ნაცვლიშვილის, ლენა შიუკაშვილის, თემურ გაბუნაის, ნინო კირთაძის ლექსები. ნინო ლონდარიძე ახალგაზრდა პოეტია და, ალბათ, ჯერ კიდევ აკლია ოსტატობა, რადგან ოსტატი არ დაწერს ასეთ სტრიქონს:

მზე რომ დიდ თვალებს ანაბმამეს.

ეს არის პოეტის მიერ დანახული მზე, ისევ მოიკოლვეს ხაგნის დეტალიზაცია, კონკრეტული ახე და ფეისება, „დიდი თვალებიც“ ამ ფუჭ გასრილთა რიცხვს მიეკუთვნება, თან საშინლად ძველია. აქვე წერია:

ქეჩის აივლის გალაკტიონი
და ეიწყენნო ხეს მიესალმება.

ახა, ამან როგორ არ გამახსენოს:

სარკმელს გაალგს ამღერეული გალაკტიონი
და ქვაფენილზე შერდულოვანი
დაენარცხება.

მაგრამ, ეტყობა, ახალგაზრდა პოეტმა ან არ იცის ეს სტრიქონები, ან არაფრად მიაჩნია მათი ინტონაციის ერთობ უცერემონიო მიბაძვა.

კარგი შთამეგნილება დატოვა ტრისტან ჩიხლაძის ლექსებმა, იგი მარტივი, უპრეტენზიო, ხალხურთან მიახლოებული სისადავით წერს. იგივე ითქმის თემურ გაბუნაის ლექსებზე, თუმცა პოეტი, რომელიც „იდილიას“ და „გალლიას“ რითმავს, ჯერ კიდევ ბევრ შრომას საჭიროებს.

დიდი სიამოვნება მომგვარა ჯარეი ფხოველის ლექსმა „უფალო, აღიარე საქართველო“.

უფალო, აღიარე საქართველო!
აღიარე მთებთან, ჭალებთან, ჭაობებთან,
მდინარეებთან.
აღიარე ერთგულებით და ღალატებით,
აღიარე ურიცხვი მტრებით,
ის ხომ მტრების სიყვარულმა
ფაიტანა სამარადისოდ.
აღიარე ჯარით, ჯამაათით,
აღიარე პოლიტპატიმრებით,
თავისუფლების დეკლარაციით,
ჯალათით, მსხვრეულით, შეცდომებით,
აღიარე ცით,
აღიარე ღრუბლებით,
აღიარე წმინაპარია სარკოფაგებით...

თუმც მეტად „ალიტერზებულია“, ამ ლექსში არის პოეზიის ძალუმი მუხტი.

ანა ნაცვლიშვილის ოთხი ლექსი ჯერ კიდევ მოწაფურ შთამეგნილებას ტოვებს, თემატიკა ერთიან შეზღუდული და ვიწროპირიფნულია, ლექსის ელემენტარული მოწესრიგებებისთვისაც დიდი ჯაფა დასჭირდება, რადგან ჯერჯერობით ასეთ რითმებს გვთავაზობს:

დამღლილია — უცვლელია,
მუქდება — ჩუმდება.
ღამეული-ჩაქცეული-არეული-წამეული.

რედაქციას, როგორც ჩანს, ანა ნაცვლიშვილის დიდი ხათრი ჰქონია, როცა ეს ლექსები დაბეჭდა.

ლენა შიუკაშვილს და ნინო კირთაძეს გაცილებით მეტი ოსტატობა ახასიათებთ. მაგრამ მათაც ბევრი მუშაობა დასჭირდებათ, რათა გასცდნენ თავიანთ ვიწროპირიფნულ განცდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ბეგაშვილის ლექსებს (№ 7) წამძღვარებული აქვს ემზარ კვიტაშვილის წინასიტყვა თუ ეგზის დალოცვა, სადაც იგი წერს: „მისი ფრაზა მოქნილი, ტევადია, მაგრამ ლექსის ტექნიკის, ფორმის სრულიფოფის თვალსაზრისით მას კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევს. მის პოეტურ სახეებს ალაგ-ალაგ აკლია საჭირო კონკრეტულობა, სიახლე, რითმაც ვერ არის ბოლომდე მოწესრიგებული და ან ნაკლთა დაძლევა თანდათან უნდა მოხდეს“. მე ისევ დამრჩენია, დაყვანილზმა ბატონ ემზარს, რადგან მაია ბეგაშვილის ლექსების ღირსება-ნაკლოვანებანი მა ერთიმ ზუსტად აქვს შენიშნული.

რამინ საკაია ახალბედა ალარ არის, „ცისკრში“ დაბეჭდილ მის ლექსებსაც ეტყობათ გამოცდილება, მაგრამ მოიჭრენა, რომ პოეტი ძალიან გატაცებულია უდაბნოს რომანტიკით („უდაბნო“, „ლოკონია“, „ბეგნ“), პოეტი უდაბნოს სიმბოლური მნიშვნელობას ანიჭებს.

ზაზა ნიგუას (№ 8) რამდენიმე ლექსს ვიცნობ „ლიტერატურული საქართველოდან“. ავტორი, ალბათ, ახალგაზრდაა და მის ლექსებს, ისე თუ ისე, ძიების კვალი ატყვია. „ცისკრში“ გამოქვეყნებული ლექსები თუმცა კლასიკური ფორმის ერთგულებით გამოირჩევიან, მაგრამ ზედმეტად ეტყობათ მიდრეკილება არქაული მეტყველებისაკენ, ძველქართული სალიტერატურო ნორმების გაცოცხლებისაკენ; თუმცა უნდა ითქვას, რომ ავტორი ამას ზოგჯერ ზომიერების დაცვითაც აკეთებს. ეს, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა პოეტისთვის გასაღელი გზაა. რაც მოავარია, ამ ლექსებში იგრძნობა შინაგანი ენერგია, პოეზიის მუტები. ღმერთმა ინებოს, ზ. ნიგუას თავიანი სიტყვა ეთქვას პოეზიაში.

„ცისკრის“ მეცხრე და მეათე ნომრები გაერთიანებულია. აქ გამოქვეყნებულია მიხეილ ქვლივიძის გავი ალბაზაზვილის, ჯანსუღ კორძაიას, დალი ცაავას, ზაბარა არაბულის, მაღონა ჩხარტიშვილის, ბადრი თევზაძის, ელგუჯა ბარლიას ლექსები.

მიხეილ ქვლივიძის ეს ციკლი მის მიერ „უჯრის პატმრებად“ მონათლული ლექსების ნაწილია, აქ არის სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები, რომელთა გამოქვეყნება პოეტს მაშინ ვერ მოუხერხებია პოლიტიკური თუ ზნეობრივი კლიმატის გამო. რაღა თქმა უნდა, 1979 წელს ვერ დაიბეჭდებოდა ასეთი რამ:

„ხუთწლეული გეგმა — ვადამდე“,
ანუ თერთმეტი — ათამდე,
ატმის კომპოტი — ატმამდე,
და ქათმის სუპი — ქათმამდე.
როდემდე ანდა სადამდე?
ღმერთო, მოგვეცი შეძლება,
ამ ჯაშნილ და გადამფუბ
სიგიჟეს რა ეშველებაზ?!

მიხეილ ქვლივიძის ამ ლექსებში არის მისთვის ჩვეული სტილით გადმოცემული პოლიტიკური თუ ზნეობრივი ამბობი, არის სატირა და მწარე ირონია, არა მარტო ჩვენთვის შორეულ წლებზე, არამედ, აგერ, ჩვენს თვალწინ დატრიალებულ ავბედით მოვლენებზეც.

გივი ალბაზაზვილის ლექსებზე ორიოდე სიტყვა ზემოთ ვთქვი, ლექსების ამ ციკლში გარკვეული სიახლეა ფორმის თვალსაზრისით. პოეტი აქვეყნებს პროზაული ფორმით დაწერილ ლექსებს, თუმცა ისინი ორიგინალურად არის დაკავშირებული გ. ალბაზაზვილის პოეტურ აზროვნებასთან.

სათქმელის ფილოსოფიური გაგზრებით გამორჩეულა ჯანსუღ კორძაიას ლექსები, რომელსაც დაბადების 60 წლისთავს ულოცავს რედაქცია. ორიგინალურია დალი ცაავას კაპრიჩიოები და, ბოლოს, ორიოდე სიტყვით შეეხერდები ელგუჯა მარლიას ლექსებზე. ელგუჯა მარლია ახალი თაობის საყურადღებო პოეტია და ამ ციკლშიც საინტერესო ლექსებით არის წარმოდგენილი; იგი მძაფრად განიცდის ჩვენი ყოფის სიმძიმეს, რის მიზეზადაც პოეტს ადამიანის ღვთისგან განდგომა, სულის ცოდვებით დამძიმება ესახება.

სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს „ცისკრის“ მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრები, ისინი ჯერ კიდევ არ გამოსულა.

მკითხველს კიდევ ერთხელ მინდა მოვუხადო ბოდიში ამგვარი ფრაგმენტული ბინდოსანობისათვის. რაღა თქმა უნდა, უამრავი მნიშვნელოვანი ლექსი და ავტორი გამოშრჩა, ზოგიერთი სულაც ვერ ვახსენე, მიტევებას ვთხოვ ყველას. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ ზედმეტად ვუკვეთ გუნდრუკს უფროსი თაობის პოეტებს, მაშინ ვთხოვ, ვისაც ამგვარი ეჭვი გაუჩნდება, თავად გადახედოს „ცისკრის“ პოეზიას და ჩემს სიმართლეში უმალ დარწმუნდება. უფროსი თაობის პროფესიონალიზმი, რაც იგრძნობა ყოველად უმნიშვნელო ლექსშიც კი, აშკარად აკლიათ ახალი თაობის პოეტებს; კიდევ უფრო უარესია, რომ ახალგაზრდა პოეტები, რომელთა შემოქმედებას სხვა ეუროპულ-გაზეთებიდან ვიცნობ და საიმედოდ მიმაჩნია, „ცისკრის“ ფურცლებზე საერთოდ არ ჩანან. რედაქციამ რაიმე უნდა მოიმოქმედოს მათი მოძიებისა და შემოკრებისათვის, სხვაგვარად „ცისკარი“ დაკარგავს თავის ფუნქციას, როგორც ახალი თაობის გზის გამკვლევი და ერთ ჩვეულებრივ ლიტერატურულ ეურნალად იქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ჯოხაძე

ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლზე

დიადი ისტორიული ნიშანსვეტი და პაპოცეზარიზმი

დღეს იქნებ ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ რესპუბლიკანიზმის იდეურ სულისჩამდგმელად და სტრუქტურული პირველნიშნის ერთ-ერთ შემოქმედად საქართველოში მე-11 საუკუნის მონასტრები გამოდიან. ამ დიადი ისტორიული ნიშანსვეტის აღმმართველად „საქართველოს ეროვნული სინდისი", გიორგი ათონელი გვევლინება. სამონასტრო მართვა-გამგეობლობაში მან ძმობის უფლებები გაავართოვა, შექმნა განსაკუთრებული ორგანო „სავანის ძმათა კრება" და მამასახლისის დადგინების მონარქიული წესი რესპუბლიკურით, არჩევითობით შეცვალა; საეროდ შეზღუდა მამასახლისის ხელისუფლება და ის მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქციით შემოფარგლა (ანალოგიური რეფორმის გატარება დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიაში წმინდა ფრანცისკ ასიზელის მე-13 საუკუნეში უცდია).

გიორგი ათონელმა გააუქმა წოდებრივი პრივილეგიები და წინ პირადი ღირსება წამოსწია. 80 უპატრონო ბავშვის აღზრდის და შემდეგ მათი მოვლილებად კუთხეცის უპრეცედენტო ფაქტით აღფრთოვანებული მისი ბიოგრაფი წერდა, მთელს ადმოსავლეთს განეფინა საქმე ეხე საკვირველიო. უპრეცედენტო („საქმე ესე საკვირველი") აქ დასაღი წრის ადამიანთა მოვლდად კუთხეცის ფაქტი იყო და არა ობოლთა მფარველობა და ქველმოქმედება.

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ თავისი შედეგებით გრანდიოზული სამონასტრო რეფორმის სულისკვეთება დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრებაზე (მონასტრებზე დაყრდნობით) საეკლესიო იერარქიაზეც გაავრცელა. ეკლესიებიდან განაკვეთინა „მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, ულირსად გამოჩინებულნი", ხოლო მათ მაგივრად პირადი ღირსების მქონენი და, ამავე დროს, რასაკვირველია, ცენტრალური ხელისუფლებისათვის მისაღები ადამიანები დაიწინაურებინა.

პირადი ღირსებით და არა წოდებრივი ნიშნით უმაღლესი მოხელეების დადგინების პრაქტიკამ ეკლესია-მონასტრებიდან სამეფო კარზეც გადაინაცვლა. მართალია, ეს, უპირველეს ყოვლისა, თვითმპყრობელობის გაძლიერების მიზნით კეთდებოდა, მაგრამ ასეთი ქმედების მორალური უპირატესობა აშკარა იყო...

საუბედუროდ, ეკლესიის დემოკრატიზაციის საქმე საქართველოში წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. კლერიკალმა რეაქციონერებმა ძალები მოიკრიბეს და მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების შუაგულს, სამეფო კარს შეუტიეს. არსებული სამართლის თანახმად, ეკლესიის უნებართვოდ მეფე თანამოსაყდრეს ვერ დასხვამდა. ეს ნებართვა მეფე გიორგი III-სათვის დემოკრატიული მმართველობის მწერალ-ფილოსოფოსის ნიკოლოზ გულაბერიძის პატრიარქობიდან განაყენების და მის ნაცვლად დიდგვაროვან აზნაურთა იდეოლოგის, მძლავრობის მოტრფიალე მიქაელის აღსაყდრების ფასად გამოიჩენტეს. ამას გარდა, მეფეს ეკლესიის შეუფალობაც აღადგენინეს. ეს სეროზული პოლიტიკური მარცხი იყო. მალე რეაქცია გადამწყვეტ შტეკეაზე გადავიდა: მიქაელმა ქუთნდოდელ-მწიგნობართუხუცესობა „მისტაცა" ანტონ გნოლისთავისძეს და ქვეყნის უპირველესი ვაზირის სახელო „მოიეწიგა".

დიდი ივ. ჯავახიშვილი სახელმწიფო წყობის ამ ცვლილებას საერო ცხოვრებაზე ეკლესიის გაბატონებად მიიჩნევს და რომის ეკლესიის მსგავს ცეზაროპაპიზმს დამკარებას აღირს (აქ უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა პაპოცეზარიზმი. ცეზაროპაპიზმი მეფის მიერ უზენაესი სასულიერო თანამდებობის მითვისებას აღნიშნავს, პაპოცეზარიზმი კი ეკლესიის მეთაურის მიერ სამეფო ხელისუფლების „შეთავსებას". ამ უკანასკნელის კლასიკური მაგალითი რომია, ცეზაროპაპიზმისა კი ცარისტული რუსეთი, ანუ „მესამე რომი"). მართლაც, მიქაელ კათალიკოსს უკვე მეფეზე მეტი ძალაფლება ჰქონდა: სახელმწიფო სამართლის ძალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიგნობართუხუცესი მეფის „მამად“ იყო მიჩნეული. მის დაუკითხავად და მასთან შეუთანხმებლად მეფეს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. საეკლესიო საქმეებში უშფოლად ჩარეკის უფლებაც კი არ ჰქონდა (ეკლესია ამ დროისათვის უკვე მთელი სახელმწიფოა სახელმწიფოში). ეპიკეფალი ორივე უზენაეს ხელისუფლებას ერთნაირად: როგორც პატრიარქი — საეკლესიოს, როგორც მწიგნობართუხუცესი — საერო. ახლა რომ, ჩვენი საზოგადოების შეგნებაში გაბატონებული აზრი, თითქოს მე-12 საუკუნის საქართველოში ქალის გამეფება ჰუმანისტური იდეოლოგიის აღზევებულობის დასტური ყოფილიყოს, მხოლოდ ცალსახა პროპაგანდისტული პოზიციის ამსახველია. ქალის გამეფება იმ მძიმე კომპრომისის ფასად დაჯდა, რასაც პაპიცეზარიზმის, ანუ გაჭანებული თეოკრატიის დამაკრება მოჰყვა.

შემდგომში თამარმა თვითმპყრობელური ხელისუფლების რეტაგრაციის მიზნით საეკლესიო კრება მოაწვევინა. კრების თავკაი ამოცანა პაპიცეზარიზმის ლიკვიდაცია იყო. კრება ჩაფლავდა. მიქელი ვერ განაუფლეს. ის კიდევ ექვს წელიწადს (ბარდაცვალებამდე!) იჯდა თავის ორმაგ ტახტზე.

მიქაელის კათალიკოსობა და პაპიცეზარიზმის დამყარება საეკლესიო-სამოსახტრო ცხოვრებაში მონარქიული წყობილების განმტკიცებას და რუსუბლიკანიზმის აღმოფხვრას მოახწევებდა. მონარქიზმის პრინციპი სხვა სახელმწიფოებრივ წარმონაკმნთა უმრავლესობაზეც მტკიცედ დამკვიდრდა: ცალკრძ პაპიცეზარიზმი, ცალკრძ თვითმპყრობელობის რესტავრაციისათვის მებრძოლი სამეფო ხელისუფლება. ცალკეულ ბატონყმობის გამარკვევის შედეგად „ხარისთვარ ქვეყნებში“ ბახელმწიფოული მებატონეები — მონარქიზმს ახელმწიფო მმართველობის გაბატონებულ პრინციპად აქცევდა. და მაინც მონარქისტებს ფრიად ანგარიშგასაწევი ოპონენტებიც ჰყავდათ საკალო თვითმმართველობის მომხრეთა სახით...

ქალაქური ეფსანანია და ცეზარიპაპიზმი

ქალაქური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი ქალაქ-რესუბლიკის დაარსებაში დაგვირვვნდა. XI საუკუნის 80-იანი წლებისათვის თბილისის სრულფლებიანი გამგეელი მოქალაქეთა მიერ არჩეული საბჭო იყო. საბჭოს ებარა: „ციხენი ქალაქსანი“, შესეული რაზმები, ქალაქთა პოლიცია, წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს; აწარმოებდა სამართალს; ჭრიდა ფულს... ქალაქმა-რესუბლიკამ ორმოც წელიწადს იარსება, სანამ იგი დავით აღმაშენებელმა არ დაიპყრა. ამ დაპყრობით საქართველოს სოციალური ისტორიის ახალი ერა დაიწყო.

აქამდე ორი განსხვავებული პოლიტიკური წყობა ერთმანეთისაგან გამიჯნულად ვითარდებოდა: ერთი მხრივ. ქალაქები თბილისის მეთაურობით, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო და საეკლესიო ხელისუფლების ალიანსი (ეკონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი) და სოფლურ-მემამულური ფეოდალიზმი. ეს მეორე კვეკანა — მონარქიულ-ფეოდალური სტრუქტურის გამგებლობაში მოქცეული — ეგოცენტრული მოცულობით პირველის ბევრად სჯარბობდა. ფეოდალური ქვეყნის მეცადნრნ ჩასახული და გამოშუშებული საქალაქო თვითმმართველობა კი მისსავე წარმომშობ სოფლურ ცივილიზაციას ემიჯნებოდა და თავისი განსაკუთრებული განვითარების უზენაეს წერტილამდე — ქალაქ-რესუბლიკამდე მისულიყო. ცხადია, ეს გამიჯნულობა დიდხანს ვერ გასტანდა. ამიერიდან ან ქალაქს მის გარეშე ტერტორიებზე არსებული ქვეყნის ჯერ ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური ანექსია უნდა მოეხდინა, ან სამეფოს უნდა ჩაეყლაპა რესუბლიკა. საქართველოს შემთხვევაში ეს ასეც მოხდა, დავით IV საჭალაქო თვითმმართველობა გაიუქმა. მაგრამ რადგანაც შემდგომში ქალქის სამეფოსთან შემაკავშირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ძაფები ერთმანეთს განუყრელად გადაეხლართა, რესუბლიკანიზმმა თავისი ეფსანანია ახლა უკვე სამეფოს შიგნიდან დაიწყო. არსებითად მას ეს ეფსანანია არც მანამდე შეეწირებია. ქალაქი თანდათან ანაფოფიერებდა მის ფარგლებგარე ფეოდალურ სამეფონეო სისტემას, აჩქარებდა სოფლად ხელისნობა-ვაკაბრობის განვითარებას და მიწათმოქმედებისაგან მის გაძარცვნას. მართალია, ბატონყმობამ სოფლად ვაკარ-ხელისნებიც დაიაფეცა, მაგრამ ქალაქად სათანადო სამართლებრივი სტატუსით დაცული თავისუფალი ვაკარ-ხელისნური ფენის არსებობა ამ დაყმევებულ თანამოქალაქეებს ბატონყმური უღლისაგან თავის დაღწევისაკენ უბიძგებდა და რესუბლიკანიზმის — თუ შეიძლება ასე ითქვას — სტრატეგიულ მოკავშირედ აქცევდა. რესუბლიკანიზმს არა მარტო ქალაქის ფარგლებში უნდა აღედგინა თავისი უფლებები, არამედ ამჯერად უკვე ქვეყნის მთელი ტერიტორია უნდა მოეცვა. მიუხედავად საქალაქო თვითმმართველობის გაუქმებისა, დავით IV-ის მიერ თბილისის დაპყრობით და გადედაქალაქებით რესუბლიკანიზმის ფერმენტი საქართველოს სახელმწიფოს ახლა უკვე გამლილანებულ სხეულში შემოიერა, რამაც უკიდურესობამდე გაამწვავა სამოქალაქო წინააღმდეგობანი. თამარ მეფის დროს „სიმდიდრით აღზევებულთა“, ანუ კარავიანელთა გამოსვლა ორ სახელმწიფო წყობას, მონარქიზმსა და რესუბლიკანიზმს შორის ჭიდილის გადამწყვეტ ფაზაში შესვლის მომას-წავებელი იყო.

ჭიდილი რესუბლიკანიზმის მარცხით დამთავრდა, მონარქიზმი საბოლოოდ გაბატონდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ იყო შემთხვევითი: გარეშე მტრებსაც რომ არ ენგრიათ შემდგომში ქალაქები და თავისუფალი მეწარმე-მოქალაქეები არ ეელიტებათ, მონარქებში მაინც შეინარჩუნებდა უპირატესობას. აკი მისი ეს უპირატესობა გარეშე დამპყრეველი ძალების შემოკრამდეც გამომჟღავნდა; მონარქიული წყობის გამარჯვების გარანტი საეკლესიო სფეროში წაგებული იდეური ომი იყო! მაშინდელ საზოგადოებაზე ეკლესიის იდეური გავლენა გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გახლდათ. რესპუბლიკანიზმი ამ დროისათვის უკვე გაბედვნილია ეკლესიიდან და სამოქალაქო სფეროშიც განაგრძობს ბრძოლას. ეს მით უფრო გულსატკენია, რომ მონასტრების სახით სამოქალაქო რესპუბლიკანიზმს ადრე ძლიერი მოკავშირე და იდეური წინამძღვანი ჰყავდა. იგი ტრაბინეზსაც კი სამონასტრო რესპუბლიკანიზმს დასეხსებია; „ერთობმობა", „ერთნებობა", „თანადგომა" და მისთ. კარაულელთა საპროგრამო დოკუმენტში, „ფიცისა და სიმტკიცის წიგნში" სამონასტრო ტიპიკონიდან უნდა მოხვედრილიყო. „სიმდიდრით აღზეკეუულთა" დასის პროგრამით ნაკულისსმეკი და სამონასტრო ცხოვრებაში გაბატონებული რესპუბლიკური პრინციპების გახოკარი მსგავსება და ხაპინო ტერმინოლოგიის სრული ოგივეობა, თანაც საეკლესიო ცხოვრებაში რესპუბლიკური წყობილების დამკვიანის ქრონოლოგიური უწინარესობა უფფეს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „სიმდიდრით აღზეკეუულთა" დასის თავისუფფლებისაგან ხულისკვეთება და რესპუბლიკური წესწყობილების უპირატესობის ვრძნობა ქართული მონასტრების ცხოვრებასა და წესწყობილებაში მომზდარი ცვლილებებისა და მიღწეული შედეგების მაგალითს უნდა გამოეწვია... მონასტრებში რესპუბლიკური სულისკვეთებისა და წესწყობილების დამკვიდრებას საერო ცხოვრებასა და ჯაროვნებაზეც გავლენა მოუხდენია და „სიმდიდრით აღზეკეუულთა" დასისათვის მიხაპან მაგალითად ქეკეული" (ივ. ჯავახშვილი).

მაგრამ მას შერე, რაც ეკლესია_მონასტრების შიგნით რესპუბლიკანიზმი ბატონყმურმა არისტოკრატიზმმა მოაშთა, სამოქალაქო რესპუბლიკანიზმის წინამორბედი და მოკავშირე მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. არადა, ეკლესია მსხვილი მიწათმფლობელიც იყო და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის თვისება ჰქონდა: ჰყავდა საკუთარი ყმები, ჰქონდა სახელმწიფო მართვა-გამგებლობის წესებზე მოწყობილი სამოხელეო სისტემა, თავისი დროშა, შემდგომში თავისი ჯარი საკუთარი ხარდანი, თავისი სამართალი...

თეოკრატიულ-ავტოკრატიული ელემენტი საუკუნეების განმავლობაში ფეგურირებდა საჭარიელის სახელმწიფო წყობის ისტორიაში. მიჭაელისდროინდელი პპპიაეზარიზმი თეოკრატის მთელ სახელმწიფო სხეულზე გაბატონების და მისი განვითარების კულმინაციური ფრაზის გამოხატვლებად უნდა მივიჩნიოთ. ცხადია. თბილელ რესპუბლიკელებს უმძიმეს პირობებში მოუხდათ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა...

სახელმწიფოში თეოკრატიული ელემენტის დომინირებას ან პპპიაეზარიზმის (რომი), ან ცეზარიპაპიზმის (რუსეთი) სრულ გამარჯვებამდე მივყავართ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მონარქი უზენაეს სასულიერო მმართველს უიგივდება და ერის ხულიერი წინამძღოლის შარავანდედით იმოსება. ხათანდო დოკტორნი მას ღვთიკურთხეულ, მირონცხებულ პერსონად, მამად და უფლად („ცარ_ბატიუშკა") აცხადებს. ეს პოლიტიკური ანონზომიერება საჭართველოს ისტორიაშიც თავისებურად გამოსჩენოდა:

მიჭაელისდროინდელი პპპიაეზარიზმის შემდგომ თეოკრატიას, როგორც ჩანს, ცეზარიპაპიტური მოდიფიკაციით უცდია არსებობის გახანგრძლივება: ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა იდეოლოგებმა მეფე თამარი ღვთიანის მეოთხე ჰიპოსტასად* მონათლეს და ამით ის უზენაეს სასულიერო პერსონადაც შერაცხეს; შემზადდა ნიადაგი ცეზარიპაპიზმის დეიურად გასაფორმებლად. დ ოუ ცეზარიპაპიტური თეოკრატია სპამოლეზრივად ბოლომდე განმტკიცებულ და სანქციირებულ ხელისუფლებად არ იქცა, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად პოლიტიკური კომპრომისების დიფოტატი მეფე-ქალის მაღალნიკიერებასაც უნდა ვუმადლოდეთ...

და მაინც, საჭართველოს სამოიკეკული ეკლესიის შიგნით ბატონყმური არისტოკრატიის მძლავრობამ თეოკრატია მთელ სახელმწიფოში დაამეცდინა, რაც, მიჭაელის პპპიეზარიზმის შემდგომ, თავისებური ცეზარიპაპიტური დოკტორინის (მეოთხე ჰიპოსტასი) შემოშვებითაც გამოიხატა.

საერო და სასულიერო სფეროების გაუმიჯნობას (თეოკრატია) ამიმე შედეგები მოჰყვება ხოლმე. ამ ორი სფეროს ალიანსი ერთი მხრივ ეკლესიას აბამდეს მიწიერი ინტერესებით და რეენის მას, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს აავადებს სოციალური ინფერენციით, ფუნდამენტალიზმით და მესიანიზმით, რის გამოც ის სატანოკრატიად (დიდი ინკვიზიტორების, ცარების, ინმამების თუ აიათოლების მმართველობად) გადაეკვარდება. შესაბამისად იბღალება საზოგადოებრივი ცნობიერებაც...

თეოკრატისდროინდელი სახელმწიფო წყობის აღდგენაზე ოცნებობათვის საჭართველოში თავი არასოდეს დაუნებებიათ. ამიტომაც ეხატებოდა გულზე და დღესაც ეხატება ქართველი სა-

*მართალია, ეს მეოთხე ჰიპოსტასი სამების არა რაციონალური, არამედ ესთეტიზირებული გაუაზრების ნაყოფია — როგორც ამას მკვლევარი რევაზ სირაძე აღნიშნავს — მაგრამ ეს არ ცვლის ამ ფაქტის პოლიტიკურ შეფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადების გარკვეულ და ფრიად მოზრდილ ნაწილს რუსის მმკერალური (ცეზარიპაპი). რუსეთშეთა რუსეთისა და საკარიველოს სახელმწიფოებრივი იდეალის ერთგვარი ინტერტორმით საზრდოობდა და საზრდოობს. ტუუილდ როდი იშველეიბენენ ერთმორწმუნეობის თეზისს...

პრაკტიკული მონოფიზიტიზმი

თეოკრატიული და ავტოკრატიული წყობის იდეური საფუძველი ქრისტიანობის ერთგვარ მონოფიზიტურ გადამხრელობაშია.

ქრისტე ორბუნებოვანია: ერთის მხრივ, სრული ღმერთია, მეორეს მხრივ, სრული კაცი. თუ რომელიმე პიროვნება მხოლოდ მის ღვთაებრივ, ანამქეკეენიურ ბუნებას იკონრებს მხედველობაში და უგულებელყოფს ადამიანურს, მაშინ მისი ცხოვრების წესი გარკვეულ თავისებურებებს შეიძენს: წინ წამოიწევს ამქვეყნური ყოფის ამაოება, ასკეტიზმი, ყველანაირი გაჭირვების დათმენის, დათმობის, ამსოფლური საზრუნავის უარყოფის, ღმერთზე მინდობის ფსიქოლოგია. და თუ ეს პირადი და ნებაყოფლობითი არჩევანის შედეგი საზოგადოებრივ იდეალადაც შეირაცხა, მაშინ ისეთი სოციალური სანდრონი გაჩნდება, როგორიცაა სიგლახეკე, ანტიკულტუროსნობა, სოციალური პასიურობა, ბორბატებისადმი შეგუება, მორჩილება როგორც ბედის, ისე ელენიის, მისი იერარქების, ასევე საერო ხელისუფლების, საერთოდ, ზემდგომების მიმართ.

ქრისტიანობის ისტორიული განვითარების პირველ ეტაპზე აქცენტი სწორედ ქრისტეს არამქეყნიურ, ღვთაებრივ ბუნებაზე გაკეთდა, წინ ასკეტიზმმა და მისმა შესატყვისმა მსოფლმხედველობამ წამოიწია. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა; ასკეტური მოსაგრეობის შედეგად ქრისტიანულ თემებში უზარმაზარი ქარაზმატული ენერგიის აკუმულაცია ხდებოდა, რაც ქრისტიანობის ზრდის და გავრცელების უპირველესი წინაპირობა იყო. მაგრამ ასკეტიზმზე აქცენტრაცა ყველა დროში და ყოველნაირ ვითარებაში როდი ვარგიხი. ასკეტიზმი — ზნეობრივი სწორლეოფის მისაღწევი საშუალება — საზოგადოებრივი ყოფის და ადამიანური არსებობის საბოლოო მიზნად როდი უნდა გადაიქცეს. თეოკრატიის პირობებში კი ასკეტური ნორმატივები სწორედ საზოგადოებრივ იდეალად ტრანსფორმირდება. ხოლო ამ იდეალების მისაღწევად „სჯულსმიერი", ანუ სამართლებრივი, ე. ი. გარეშე მაიძულებელი სანქციები გამოიყენება, რის შედეგადაც მტრედვეთი უწყენარი „ბონა ღვთისა" იმ კლასობრივ ბონად ვადაგადარდება, რომელიც ან ფარული მეამბოხეა, ან ღირსების გრძნობაჩაკლული, დაბეზრავებული ბოგანო, უფრო სწორად კი ორივე.

სხვა შედეგებს მივიღებთ, თუ აქცენტს ქრისტე-ღმერთის ადამიანურ ბუნებაზე გავაკეთებთ. ასეთ შემთხვევაში წინ აქცეიყურო, ჰუმანისტური იდეალებისა და კულტურული ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობის მომენტი წამოწევს; ჩნდება შემოქმედებითობა. კულტუროსნობა, ადამიანური ნების დამკვიდრების, ბორბატებისადმი შეწინააღმდეგების, სოციალური აქტიურობის, ქმედითობის, აღმშენებლობის ფსიქოლოგია (ნიშნდობლივია, რომ ჩვენი პოლიტიკური ისტორიის ოდიდან და უბრწყინვალეს წარმომადგენელში, დავით IV-ში თანამედროვეებმა და შთამომავლებმა აღმშენებელი დაინახეს).

ქრისტეს ორი ბუნება განუყრელი და შეუერეველია, ერთ-ერთის უგულებელყოფა მონოფიზიტური გადამხრელობაა. შესაძლოა ესა თუ ის ელენია სიტკვიერად აღიარებდეს ორბუნებოვნებას, მაგრამ რელიგიურ, მით უმეტეს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პრაკტიკაში წინ ერთ-ერთი ბუნების შესატყვის ქმედებას წამოწევდეს. ქრისტიანული ელენიის ფაქტიურ ისტორიაში ეს ასეც მოხდა. აღმოსავლეთის ელენიები უპირატესად ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების შესაბამისად წარმართავენ საქმიანობას. მათთვის დამახასიათებელია ასკეტიზმი, ამქვეყნიური ყოფის ამაოების შეგნება, იმქვეყნიურზე ორიენტაცია, რაც საჯარის აღსახრულზე, ისტორიის ბოლო, კოსმენიაციურ მომენტზე სწორებას ავალდებულებს ადამიანს. აქედან ანტიადამშენებლური სულისკვეთება, ანტიკულტუროსნობა და ობსკურანტიზმი, აქედან დოგმატიზმი — ანარეკლებია და შემოქმედებითობის უარყოფის მნიშვნელობით; აქედან სოციალური პასიურობა და მორალური მიმნებებლობა. რომელიც ისევე განსხვავდება მიმტკეეველობისაგან, როგორც მიწა ცისაგან.

ახეთი საზოგადოებრივი ჩვეულის მქონე ადამიანები მმართველობის ერთადერთ ფორმას, ავტორიტარიზმს ჩგუობენ და მოითხოვენ. ბატონყმურ მონობაში ჩვენ დამპყრობლის ძალადობამ კი არ ჩაგვბოვა, არამედ ცალსახა საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბებულმა ინ არასწორმა რელიგიურმა გრძნობებმა, რომლებმაც ჩვენს ხასიათს დაამჩნია დაღი.

დასავლეთის ეკლესიიან მნიშვნელოვანწილად დასაძლია თავისი ისტორიული განვითარების ეს საფეხური. მის მეურვეობაში მყოფმა საზოგადოებამ პრაკტიკულ პოლიტიკაში ადამიანური ნების აქტიგობის, საბოლოოდ კი პიროვნების თავისუფლების იდეა განახორციელა. ამ იდეას იქ ღრმა ანტიკური-ელინისტური ტრადიციები ჰქონდა და ამ ტრადიციების ალორძინებაც (რენესანსი) მხოლოდ დასავლეთში იყო შესაძლებელი.

დასავლური ცივილიზაცია არც ასკეტიზმით და სპირიტუალიზმით შემოფარგლულა, როგორც ეს აღმოსავლეთში ხდებოდა, და არც პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტაკის სფეროს მიმართ ყოფილა ცალსახად კონსერვატორი. დასავლეთის ეკლესიამ სოციალური კატალიზატორის და აღმშენებლის როლი შეასრულა.

საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა აღმოსავლეთში, რომელსაც დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიასთან ნიაბლოვე ახასიათებდა. და ამის მიუხედავად პატიოსანმსაღლოროვნელმა ქართველმა ეკლესიამ საბედნიეროო ნაბიჯი გადადგა: მან პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა და ხელი ვეღარ შეუწყო ხაზოგადოების აღმავალ განვითარებას. ეს მით უფრო დასანანია, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია (და არა მართლმადიდებლური, როგორც ამას მართებულად წერს ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია") თავისი ისტორიული განვითარების საუკეთესო ხანაში არ იზიარებდა ბიზანტიის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას რომთან დამოკიდებულების საკითხში. ქართველები არ შეერთებიან 1054 წლის განხეთქილებისშემდგომ ანათემას.

რომისა და კონსტანტინეპოლის გაყოფის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკას კარზე ითარგმნოდა დებატები ეფესრისტის საკითხებზე ბიზანტიელ და რომაულ ღვთისმეტყველებს შორის. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტად ინ დროის უდიდეს ავტორიტეტს გიორგი სთოლეს მიმართეს. მან თუმცა მართებულად მიიჩნია ეფესრისტის ბერძნული წესი, მაგრამ ისიც განმარტა, რომაული წესი საერთოდ უზადოა, რადგან თვით მოციქულთა თავის, პეტრეს მიერ არის დაწესებული და ზუსტად ისეთია, როგორიც თავად უფალმა აღასრულა სერობის ღამეს. აქედან ცხადია. როგორ აღიქვამდნენ ქართული საეკლესიო წრეების საუკეთესო წარმომადგენლები ბერძნული ეკლესიის ქრისტიანულ საეკლესიო ჰეგემონობაზე და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ რომის კათოლიციზმთან. ქართველები მარტო პოლიტიკური მოტივებით რიდი იბრძოდნენ ჯვაროსანი კათოლიკების მხარეზე. ჯვაროსნობის რაინდობის ის ინსტიტუტი ასაზრდოებდა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველოში არსებობდა.

რომის ეკლესიისა და მისი საეკლესიო-სამართლებრივი განსაკუთრებული პატივი კარგა ხანს იყო შენარჩუნებული საქართველოში. პაპისადმი მიწერილ წერილში მეფე რუსუდანი (XIII ს.) მას ყველა ქრისტიანის მთავარს და წმინდა პეტრეს საყდარზე ჭედმარეს უწოდებს. რუსუდანის წერილი ოფიციალური დოკუმენტია და შესაბამისად მასში გამოთქმული შეფასებაც ოფიციალური შეფასებაა (sic!), რაც მოწმობს, რომ საქართველოს ეკლესია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო რომისაგან გაყრილი. ხუთ მსოფლიო პატრიარქს შორის ქართველები (ბერძნებისაგან განსხვავებით) რომის პაპსაც გულისხმობდნენ და მას პატივის უპირატესობასაც ანიჭებდნენ, რასაც არა ერთი წერილობითი სახეთი ადასტურებს. რომისა და მცხეთის ურთიერთობა იმდენად კეთილმეგობრული იყო, რომ ლათინები ქართველებს კათოლიკეებადაც კი რაცხდნენ ხოლმე (იხ. მ. თამარაშვილი — „იბერორია კათოლიკობისა ქართველთა შორის").

მოგვიანებით მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მართლმადიდებლური სამღვდელოების ბევრი წარმომადგენელი სომეხ გრიგორიანელებთან ერთად საქართველოში შემოსულ კათოლიკე მისიონერებს მტრულად ხვდებოდა და მათ დარბევასაც კი არ ერიდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ იმხანად ფართოდ გავრცელდა ჩვენს საეკლესიო წრეებში ბერძენი კონსულტანტების მოწვევა. შემდგომში ქართველმა სამღვდელოებამ თვალი ძირითადად რუსულ მართლმადიდებლობას მიაპყრო. ბერძნულ-რუსული ორთოდოქსია კათოლიციზმისადმი შეურიგებელია და, შესაბამისად, აღზევებულობის ხანის ქართული სამოციქულო ეკლესიის და მისი საუკეთესო წარმომადგენლების სულისკვეთებასაც ეწინააღმდეგება.

ჩვენი საეკლესიო პოლიტიკა პრაქტიკული მონოფიზიტიზმის გზას დაადგა, რის შედეგადაც აღმოსავლურმა მენტალიტეტმა მყარად გიიდგა ფეხი საქართველოში.

„ბედნიერი ერი"

ქართველი ხალხის სულიერი წყობა დღესდღეობით აღმოსავლურია. საქართველო არ ყოფილა აღმოსავლეთი — ის ასეთად გადაიქცა. დასავლეთისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ის გახლავთ, რომ ჩვენში საშინლად მოიკოჭლებს აზროვნების კულტურა. ობიექტურტული რელიგიურობის მეურვეობაში გამოზრდილ საზოგადოებაში არასოდეს გავრცელებულა ფილოსოფია და თეოლოგია, კრიტიკულ-ცნებითი ან სისტემური აზროვნება. მოვლენებისადმი ანალიტიკური მიდგომის ჩვენები. ქართველთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერება ატავისტურია. ის ჯერაც არ გამხდარა რაციონალური და დისკურსიული, ის უფრო ძველი მითოსური ცნობიერების ბურუსში ტკბენის ადგილს და ამით ქრისტიანულ სულს ეურჩება. ქრისტიანობა წინ მიმართული მზერაა, სიახლის დამამკვიდრებელია (ა ხ ა ლ ი აღთქმაა), პროსპექტიულია და არა რეტროსპექტული. უკან შებრუნებული მზერა ქრისტიანობაში ოფთალიტურ რევანშს უკაფავს გზას. გვიანბიზანტიური ტიპის ორთოდოქსები უფრო უკან იხედებოდნენ, ვიდრე წინ, უფრო „იოფეველები" იყვნენ, ვიდრე „ილინები". რუსულ-ბიზანტიური ორთოდოქსია ს ი ძ ვ ე ლ ე ს ბ ა ნ ს ა კუთრებულ ღირსებად რაცხავს და კათოლიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმისაგან განსხვავებით კატეგორიულად უარყოფს დოგმატის განვითარებადობას.

დღევანდელი ქართველი ხალხის სული გაკეთდა ამ ბიზანტიურ-რუსული ტიპის ორთოდოქსიამ, რომლისთვისაც ახე დამახასიათებელია მეძველობა და პრაქტიკული მონოფიზიტიზმი. ამიტომ არის ქართველი ხალხი თავისი სოციალური ფსიქიკით უფრო მრეველი, ვიდრე პოლეტიკურ სუბიექტთა ერთობა. ამიტომ შეიძინა მან ბერძნისაზსენური მენტალიტეტის ზოგი — სოციალური თვალსაზრისით უსარგებლო — თვისება: სოციალური პასიურობა, მომლოდინეობა, ხსენი (ზემდგომების) ხელისშემაუურობა; ამიტომ არის ის მორჩილი და იოლსაბურთავებელი, ამიტომ არის ის უქნარა და კუდით ასაყენებელი.

ქართველ კაცს დღეს მწვავედ აკლია სოციალური სამართლიანობის და პიროვნების უფლებების დამკვიდრებისათვის მებრძოლის თვისება. ნორავის ნუ შეიყვანს შეცდომაში დღევანდელობის პოლიტიკური აურზაური. მიტანგობანა და მსგავსი, ლამის ხელიგნობის ზღვარზე მყოფი ქმედებები დესტრუქციული მიმართულებისაა და გარეგანმაღიზანიებელზე ელემენტარულ რეაგირებას წარმოადგენს. ეკსტრემალურ სიტუაციებში გაფაფხურებას ნუთინ მონათლავს „ეროვნულ ენერგიად", თავს ნუთინ მოიტყუებს, — ეს სახიფათოა.

ჩვენ — ხან ირანის, ხან ოსმალეთის, ხან რუსეთის პროვინციათა ჭკვიდები — მსოფლიო ისტორიული განვითარების პროცესის კუდში მიჩაჩარსალები ნალოსავთი.

ვერც ამქვეყნიერი ღირებულებებისადმი პატივისცემას და ვერც ტრანსცენდენტურობისადმი მისწრაფებას ქართული სული დღეს რამდენადმე მაინც ძალუმად ვერ ამყოვნებს მრეველადქცეული ერის სოციალური უნიათობის გამო. ამ ბოლო დროს ჩვენში ფეიზოყიდებული კომერციული სახის ვაინაჩრობაც ბიოლოგიური მოთხოვნილებების სამსახურში ჩამდგარი ნებისყოფის გამოვლინება უფროა, ვიდრე თავისუფალ ინდივიდუუმთა სამეფურნეო შემოქმედებითობისაკენ სწრაფვა.

დაკუდმაცება, განხეთქილება, „რასკოლნიკობა", ხიდრატენილობა — რაზედაც წერდა ილია, — ტიპიერია ბიზანტიურ-რუსულ-ქართული საზოგადოებისათვის. მაგრამ საქართველოს დაქუცმაცება არ არის ჩვენი ჩამორჩენილობის და პოლიტიკური დაუძლურების მიზეზი. ჩვენი ჩამორჩენილობა აუძლურებდა და ჰკუცმაცებდა საქართველოს, და არა მარტო პოლიტიკურ ერთეულებად. ჩვენი ერთობა უაღრესად ძნელი მისაღწევია, რადგან ისტორიული აუცილებლობა მითოპოეტური ცნობიერების დაშლის, საზოგადოების გადიფერენცირების, მასში დამოუკიდებელი ეკრედების წარმოქმნისაკენ გვეკარება, საზოგადოების ერთიანობა კი უკვე ოვითგამორკვეულ ეკრედთა ორგანული გამთლიანების სახით მიიღწევა და არა მითოპოეტური ცნობიერებისდრონიდელი პირველყოფილი ერთობის შენარჩენების მცდელობით. ჩვენში მუდამ „ერთ მუშტად შეკრულ" საზოგადოებაზე გაკვირვინ, ოღონდ ამ მოწოდებაში დანაწევრებამდელი, წინარე-ისტორიული, ვვარაუმობრივი ერთობის მონატრება უფრო ილანდება.

იდეოლოგიური და ადმინისტრაციული ზეწოლით ერთიანობის შენარჩენების მცდელობას კი საზოგადოება სათანადოდ პასუხობს: გარეგნულად ვითომ ეუნჭება, აუტორიტარიზმს მორჩილებს, შინაგანად კი გაურჩეველია და ფროდადერო მეამბოხურ, დესტრუქციულ ძალებს აძლევს გასაკანს. მეამბოხეობა ჩვენი სოციალიური ფსიქიკის ფრიად თვალსაჩინო თვისება გახლავთ.

რუსეთი შიშდა თავისუფალ კაზაკობას, საქართველო — მოკობრეს (და მის მოგვიანებ შთამომავალს: ყაჩაღს, აბრაკს, ფირალს...) ორივე სოციალური ფაქტი აუტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ მიმართული ანარქისტული ამბოხია. აუტორიტარული წყობაც და ანარქიაც ეკსტრემალური, ანუ წრეგადასული მდგომარეობის გამოხატულებაა. ეკსტრემალურის საპირისპირო ცნებაა ზომიერი. ზომიერება — აი, თვისება, რომელიც გვაკლია. ეკსტრემიზმი, უკიდურესობებისადმი ერთგულება — აი, თვისება, რომელიც უკვე ხასიათის გარკვეულობად გვექცა. ერთი მხრივ — თაყვანი (ბელადებისადმი) და იქვე — ავრესია (მოუვახისადმი). ყოველნაირი ავრესიის ფსიქოლოგიური საფუძველი მძულვარებაა, მძულვარების ნაყოფი კი ნაირ-ნაირი დანაშაული, რომელთა შორის „ტყვეთა სეედვა" ყველაზე სამარცხვინო ლაქად აჩნია ჩვენს ტრადიციულ ისტორიას. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, ქართველი ხალხის ისტორიული ბედი თუ ხაარაკი მოწამებიაა; გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ზოგ-ზოგგები ამით ტრაბახობენ და ვერ ამჩნევენ, რომ ეს მოწამეობა ინდივიდის რელიგიური მარტვილობის ბადალი არ არის და თვითგაწამების, საზოგადოებრივი თვითგეგმის გამოვლენა უფროა.

ფუნდამენტალიზმის სამსახვერპლზე

დანაშაულებრივი და უმეცრულია აზრი, რომელიც ქართულ და ქრისტიანულს აიგივებს, მით უმეტეს — ქართულს და მართლმადიდებლურს. XX საუკუნის ადამიანისაგან რელიგიურის და ეროვნულის განსხვავებლობა სამარცხვინო პროვინციალიზმია. ჩვენი იდეური შემდეგაბებელი ვერც ერთი ისტორიულად გაფორმებული რელიგიური აღმსარებლობა ვერ იქნება.

დღესდღეობით ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სამი ძირითადი იდეური შიმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეობა ფიგურირებს. დღევანდელი „ნათესავი ქართველთა“ შესაბამისად სამკეც ფუნდამენტალისტური სუფიზმში გაგვიფია: ნიჰილისტური სოციალიზმის, რომელიც ბიზანტიურ-რუსული ტიპის ფუნდამენტალიზმის ათეისტური ნეგატივი და ფსევდომორფოზაა; ბერძნულ-რუსული ორთოდოქსიისა და ისლამის.

ფუნდამენტალიზმის თითოეული ეს ნაირსახეობა არა მარტო ყველა სხვა იდეური მიმდინარეობის მიმართ არის შეუწყნარებელი, არამედ ერთმანეთის მიმართაც.

ქართველი ერის გამთელიანება, რასაკვირველია, ვერ მოხდება მართლმადიდებლურ, ათეისტურ ან მუსულმანურ პლატფორმაზე. თუ დღეკანდელი ქართველი კაცის ცნობიერებაში წინ ტოლერანტობის სულიერკვეთებამ არ წამოიწია, რაც ცოცხალი რელიგიური განცდის და არა დოგმატური აღმსარებლობის ნიადაგზე სულდგმულობს (დოგმატი მხოლოდ ამ განცდის გაცოცხლების საშუალებაა), თუ კულტურისნულა ფილოსოფოსებმა და ჰუმანისტებმა იდეოლოგიამ არ გაიკაფა გზა ჩვენი გულებისაკენ, მაშინ გამთელიანება ან სულ არ მოხდება, ან, თუ მაინც მოხერხდა, ის არ იქნება მტკიცე და ორგანული. ერთიანი ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბება ჩვენი დღევანდელობის კულტურისნული ზეამოცანაა (სხვათა შორის, ეროვნულობის ნიშნით მხოლოდ ჰუმანისტური ღირებულებები შეიძლება იყოს აღბეჭდილი; თეოკრატიული და ფუნდამენტალისტური ღირებულებები არსებითად იმპერიული და ზენაციონალურია). მარტოოდენ სახელმწიფოადმინისტრაციული და სამეფონეო ცხოვრების ნაადგზე ეს ერთიანი მენტალიტეტი საეკვოა ჩამოყალიბდეს.

ჩვენი დოგმატური მენტალიტეტის შეცვლა აღზრდა-განათლების, კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიის და. უპირველეს ყოვლისა, რელიგიის სფეროებს ეხება. განათლების თანამედროვე სისტემა და რელიგიური რეფორმა — აი, რა არის აუცილებელი და საჭმარი. ქართველი მართლმადიდებლური ეკლესია ერთგვარად უნდა გაემიჯნოს ბერძნულ-რუსულს და დასავლურ ქრისტიანობას დაუაბლოვდეს. ამით ის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახეს დაიბრუნებს და თავის საუკეთესო ტრადიციებს აღიდგენს. თავის უფლებებში უნდა აღდგეს კათოლიციზმიც საქართველოში.

უკვე 800 წელია ერთ ადგილს ტაძენის ბატონყმური მონობის სულისკვეთებით გაჯღენთილი ქართველი ერი და, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ამ ფსიქოლოგიური ინერციის დაძლევა, ჩვენ მაინც უნდა დავიძრაოთ მკვდარი წერტილიდან. არაერთმა ერმა დაძლია ახეთი ინერცია. ჩვენ არავისზე ნაკლებენაირანი მოდგმა არა ვართ. ამას თუნდაც ჩვენი 800 წლის წინანდელი უდიდესი ისტორიული წარსული მოწმობს. გრძელი 800-წლოვანი ღამის განმავლობაშიც მოხდა რამდენიმე მძლავრი გაბრძოლება აღორძინებისათვის.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს სახელმწიფომ იმდენჯერ მოიბრუნა სული, რამდენჯერაც მისი საუკეთესო შვილებისა და მათი თანამებრძოლების ძალისხმევამ მას ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის მარწუხები შეუსუნთქა.

გიორგი ათონელი, სულხან-საბა, მიხეილ თამარაშვილი, ილია.

ერთი — თანამემამულეთაგან გაბეზრებული — ესპანეთში ეძებდა სხვა საქართველოს;

მეორე წვერით ათრიეს ხვეტიცხოველის ტაძარში ფუნდამენტალისტმა თანამემამულეებმა — კათოლიკე რადა ხარო;

მესამე კათოლიციზმისა და საქართველოს მტრებმა დევნეს.

ილია მოჰკლეს — მოჰკლეს ფუნდამენტალისტთა სეკულარიზრებულმა ნაშიერებმა...

ახლაც ნაირსახოვანი ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ომში იხოცებიან ჩვენი ყველაზე შეგნებული ახალგაზრდები (9 აპრილი, 21 დეკემბერი. სამაჩაბლო, აფხაზეთი...).

ფუნდამენტალიზმი იმ ზღვარზეა ურჩხულის განსახიერებაა, რომელსაც წყალი უჭირავს და სოფელი საუკეთესო გოგო-ბიჭებს სწირავს მსხვერპლად, და ეს შავი მისტერია მანამდე გასტანს, სანამ ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლოზე დაკლულ მართალ კაცთა სისხლით პიროვნული თავისუფლების აუღებელი ციტადელი არ შედუღაბდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭან კილანავა

„სადაცა მერვის იპარეგს სული“

ქართლოსიანნო,
აღიმართენით კლდეებად ტინის,
ალესეთ ხმალი.
ეს მახმად-ხანი
მოდისო თბილისს
მოსვრვად და დაწვად...
საშშობლოს დაცვად
მზად ვართ,
გვიბრძანე,
მეფეე სვიანო!

ანა კალანდაძე

გასული საუკუნის მიწურულს ერთი კრიტიკოსი წერდა, XIX ს-ის II ნახევრის „ისტორიული პოემები“ შეადგენენ „ბედი ქართლისას“ თავისებურ ვარიაციებსო. ამასაც დასძენენ: განვლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მასში პოეტობს იდეოლოგიურ დასაყრდენსო (ვ. ინგოროყვა). შეიძლება ამგვარი შეფასება რამდენადმე გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: „ბედი ქართლისაში“ კოდირებულია თითქმის ყველა ის სატკივარი, რაც მთელ საუკუნეს გაჰყვა. მეტის თქმაც შეიძლება: იგი, გარკვეული აზრით, მსგავლად თვით ქართულ ბელეტრისტიკასაც. ხატოვნად და კონკრეტულად რომ ვთქვათ, „ბედი ქართლისა“ დასაწყისია „მგზავრის წერილების“ დასასრულისა; ილიას ნააზრევში სოლომონისა და სოფიოს თავისუფლებისმოყვარე სული ღაღადებს.

თხზულების ამგვარი ხასიათის გამო მკვლევარებმა განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინეს მის მიმართ, უწინარესად, ყურადღება მიაქციეს მასში აღბეჭდილი პოლიტიკური ორიენტაციის რაობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თაობის ქართველ ინტელიგენციას ჯეროვნად ჰქონდა გააზრებული „ბედი ქართლისას“ გამოქვეყნების სინნელე, უწინარესად, მასში თავისებურად გამოვლენილი პოლიტიკური ორიენტაციის გამო. ლიტერატურულ კრიტიკაში ეს ორიენტაცია არც ადრე ყოფილა ბოლომდე გარკვეული და არც შემდეგ, მაგრამ აქ იმთავითვე ნაგრძნობი იყო, რომ იგი მეტწილად სოლომონის ნაკადთანაა დაკავშირებული. ნ. ბარათაშვილის თაობა პოემის „თავისუფალ ადგილებში“ უმთავრესად ამ ნაკადს გულისხმობს, რისი გასწორებაც, მაშინდელი თვალთახედვით, დააზიანებდა თხზულების ძირითად იდეას. ამ თვალსაზრისის გამომხატველია ლ. მელიქიშვილის წერილი ვრ. ორბელიანისადმი, მიწერილი 1846 წლის 19 იანვარს: „არ ვიცი „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგან ზოგიერთი ადგილი ძალიან თავისუფალი არი. თუ გასწორდება, კარგად იცი, ბევრს დაკაკრავს ბოელი პოემა“.

აღნიშნული თვალთახედვის რაობა შემოწმდა პოემის პირველნაბეჭდი ტექსტით (1858 წ.). აქ მისი სისწორე ხავსებით დადასტურდა: თხზულებამ ცენზურისაგან ხელყოფა განიცადა განსაკუთრებით სოლომონის დიალოგში და იმ მონაკვეთში, რომლებიც სულისკვეთებით ეხმიანება მას. კერძოდ, „ცენზურამ პოემიდან ამოიღო არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, „თავისუფლება“ და სხვა მისთანანი, არამედ სრულად ამოკვეთა უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილები, რომლებიც განსაკუთრებული პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩევა“ (ი. ბოცვაძე, ს. ხუციშვილი).

ნ. ბარათაშვილის პირველი ოფიციალური შემფასებლის ნ. ბერძენიშვილის ნააზრევშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგივე ვითარება დასტურდება, ოღონდ შეფარვით, რამდენადმე თავისებურად. კრიტიკოსი, რომელიც, ეტყობა, პოემის სრულ ტექსტს გაეცნო, ცალმხრივად აწვდის მკითხველს მინდამპინაც თხზულების ნეოლე თავის შინაარსს, რომელთანაც დაკავშირებულია ძირითადი იდეა ნაწარმოებისა. ავტორი სტატიის დასასრულში თვითვე შენიშნავს, რომ მან „მეტად შემჭიდროებულად" გადმოსცა „განსაკუთებული ნ. ბარათაშვილის პოემის იდეა". ამ მიზეზით შეუცნობელი დარჩა, ფართო მკითხველი მასისათვის მაინც, „ბედი ქართლისას" პოლიტიკური ორიენტაცია (ი. ბოცვაძე).

საკუთრივ პრობლემის ინტერპრეტაციის სირთულის გარდა, პოემისადმი ამგვარ მიდგომაში უყოფილია გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოსაზრებანი, ეტრძოდ ის, რომ, კრიტიკოსის ფარული აზრით, ამ პრობლემის ახსნა არ შეიძლება მხოლოდ ირაკლის მტკიცებათა ბაზაზე, ხოლო მასში სოლომონის ნაკადის შემოტანა, პოლიტიკური თვალსაზრისით, მაშინ, ეტყობა, არ ჩანდა საჭირო.

დასმული პრობლემის ინტერპრეტაციაში შემდგომაც ირეკვა კრიტიკოს-შემფასებელთა თანამედროვეა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნები, რითაც მიუწყდოდელი რჩებოდა მისი მართებული გაგება; და მაინც, XIX საუკუნის მიწურულის ქართულ ალეგორატურო კრიტიკაში შეიმჩნეოდა ერთგვარი ნოთმაბეგ საკითხის დასმა-განმარტებანი. აშკარად აღინიშნა, რომ პოეტი თანაგრძნობით ეკიდება როგორც ირაკლის, ასევე სოლომონსაც, რომელთაგან პირველი, გარდა პატრიოტული გრძნობისა, მოაქვს „თავისი ცოდნა, შორსმჭვრეტელი გონება და დიდი ხნის გამოცდილება", ხოლო მეორეს (სოფიოსთან ერთად) „უნაგარო სიყვარული მამულისა". პოეტმაი ობიექტურად ირაკლის აზრი იმარჯვებს, მაგრამ მასში პოეტის სუბიექტური მიდგომა კი არაა გაცხადებული, არამედ ოდენ ისტორიულად მოაზდარი ფაქი — საქართველოს რუსეთთან შეერთება (ვ. ვეზირიშვილი).

იმავე XIX საუკუნის გასულს გამოოთქვა მოსაზრება, რომელიც ნ. ბარათაშვილს, არსებითად, პიროვნებისა და მთელი ერის მოსარჩლედ, მაშასადამე, სოლომონის (აგრეთვე მისი მეუღლის) მომხრედ თვლის (ვ. ნახიძე, რ. ხომლელი).

გასული საუკუნის კრიტიკული ნააზრევი, უშუალოდ თუ გარკვეული ვარიაციათი, ჩვენს დროშიც განვეიარდა, რასაც დაემატა საკითხის ახლებური გაგებაც. კერძოდ, მკვლევართა ერთი ნაწილი განაპატიკეცებს თვალსაზრისს, რომ ნ. ბარათაშვილი სუბიექტურად სოლომონის (სოფიოს) მხარეზეა, რომ პოეტისათვის თავიდან სუფლეები „სიცოცხლისა და ბედნიერების უწინარეს პირობას წარმოადგენს" (ვ. კოტეტიშვილი, ა. გაწერელია).

საინტერესოა ბ. ბარდაველიძის თვალსაზრისი. იგი „ბედი ქართლისას" ორიენტაციის საკითხს პოლიტიკური რომანტიზმისა და რეალიზმის ჭრილში განიხილავს. პოემა დაწერილია პოლიტიკური რომანტიზმის ეპოქაში, ამიტომაც ნ. ბარათაშვილი სოლომონისა და სოფიოს მხარეზე დგას. ამავე ავტორს კარგად აქვს გამოკვლეული 1832 წლის შეთქმულების იდეების გავლენა პოემაზეზ, საინტერესოდაა განხილებული „ბედი ქართლისას" დასასრულის ჩვენებანი.

ზემოხსენებული თვალსაზრისის რადიკალური ფორმულირება ასეთია: „სხვა აზრის გამოტანა ამ პოემის რეალიებიდან იქნებოდა სრულიად შეუწყნარებელი ძალმომრეობა აზროვნებაზე. პოეტს უფუნურებად მიიჩნია გამომდინარეობენ პოლიტიკური ბედის დაკავშირება მაშინდელ რუსეთთან" (გ. ნადირაძე).

წარსულ სალიტერატურო კრიტიკაში არცთუ უსაფუძვლოდ აღინიშნა, რომ ირაკლის გადაწყვეტილების გამარკვევა გამომდინარეობს არა ნ. ბარათაშვილის სუბიექტური განწყობილებიდან, არამედ იქედან, რომ ისტორიული ფაქტი სწორედ ასეთი იყო (ა. მაზარაძე).

საინტერესო ექსპერიმენტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პოეტში საბოლოოდ, ობიექტურად, ირაკლის აზრის გამარკვევის დასადასტურებლად უკანასკნელ ხანებში „ბედი ქართლისას" პოეტიკაც იქნა გამოყენებული და ითქვა, რომ ეს გამარკვევა ბედისწერის სახით წარმოდგენილი ისტორიული აუცილებლობის საპასუხე გადის. ამ ბედისწერას არ თანხვდება პოეტის სუბიექტური განწყობილება (გ. ასათიანი).

წარსული თვალსაზრისის თავისებური ვარიაციაა იმის აღნიშვნაც, რომ პოეტის პოლიტიკური ორიენტაციის „გამორკვევა პოემის შეწყვეტით შეუძლებელია" (კ. ბასშიერე, ვ. ქიქოძე). თავის მხრივ, არსებითად ამგვარი გაგების შემდგომ დასაბუთებას წარმოადგენს თვალსაზრისი, რომელიც პოემაში პოეტის პოლიტიკურ გარეშეს ამჩნევს. კერძოდ, მიუთითებენ, რომ „როდესაც პოეტი ისტორიულ ფაქტს ანალიზს გონებით გაუკეთებს, ის... ერეკლეს მხარესაა, მისი ნაბიჯი მას სწორად და აუცილებლად მიაჩნია; მაგრამ გრძნობა სხვას ეუბნება, გრძნობა სოლომონისკენ იხრება. აი, ეს ბრძოლა გონებასა და გრძნობას შორის აწუხებსწორებს სასწორს და ეუორკვევეველს მდგომარეობაში სტოვებს" (ვ. ზანდუკელი). თეორიული ასპექტში ეს ნიშნავს პოემაში რეალისტური და რომანტიკული ნაკადის თანაარსებობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონი უფრო რომანტიკულეწოვანი რეალისტია, ვინემ საკუთრივ რომანტიკოსი.

ამ თვალსაზრისის პარალელურად არსებობს და რამდენადმე დომინირებს კიდევაც შეხედულება, რომელიც დიამეტრულად საპირისპირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსს შეიცავს. დასაბეჭდებული შეხედულების თანახმად, ნ. ბარათაშვილი აშკარად თანაუგრძნობს რუსეთთან საკრთველოს შეერთებას, მაშასადამე, მეფე ირაკლის პოლიტიკურ ორიენტაციას. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს ფაქტი პოემის ფარგლებში ადვილად დასტურდება: ირაკლი მეფისა და სოლომონ მსაჯულის კამათში ირაკლის მტკიცებათა უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ თვით სოლომონიც კი დიეკვდება საკუთარი აზრის სისწორეში (დ. გამეზარდაშვილი, ს. ხუციშვილი).

მკვლევართა მეორე ნაწილის ნააზრევში ამგვარი დასკვნის მიხალებად „ბედი ქართლისას“ რკალში შემოტანილია ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ (შ. რადიანი, ა. მახარაძე, გ. აბზიანიძე).

უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ცდა არსებული თვალსაზრისთა ერთგვარი ანულირებისა იმ მოტივით, რომ „ბედი ქართლისას“ გაბმულველს, უწინარეს ყოვლისა, წინ უნდა ედგას პოეტი-შემოქმედი, რეალისტურად აწსახელი არსებული ობიექტური სინამდვილისა, და არა სახელწოდ მოღვაწე-მოქმედი გარკვეული პროგრამით. ეს ობიექტური სინამდვილე კი უხე მასალას იძლევდა როგორც ერეკლეს, ისე სოლომონ ლიონიძის მოსაზრებათა მხატვრულ ასპექტში ჩასაწერად (დ. რამიშვილი).

ამ მოკლე ეტსკურსითაც ირკვევა, რომ „ბედი ქართლისას“ ხანგრძლივი კვლევის ისტორიაში არაა დადგენილი ერთიანი აზრი პოემის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. მეტიც, სხვათა ამ თვალსაზრისთა შორის იმდენად დიდია, რომ ისინი ზოგჯერ დიამეტრულად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს კი აქტუალობას კვლავაც უნარჩუნებს აღძრულ საკითხს, ამასთანავე, ახლებურად ნიმი დასმის საკირაოებასაც გვაგრძნობინებს.

დასაბეჭდებული თვალსაზრისების ავტორთა უმეტესობასთან „ბედი ქართლისას“ პოლიტიკური ორიენტაცია, აშკარად თუ გარდავლილ, გათანაბრებულია საკითხთან იმის შესახებ, თუ ვის (ირაკლის თუ სოლომონის) მხარეზეა პოეტი. პრობლემის გარკვევის მიზნით ამგვარი კითხვის დასმა, ვფიქრობთ, პრინციპულად არასწორია და გზას უხსნის სუბიექტურ ინტერპრეტაციას — საკითხს ხელოვნურად წყვეტს ან ერთის, ან მეორის სასარგებლოდ, ხოლო პოეტის მხრივ ირაკლისა და სოლომონისადმი თანაბარი სიმპათიის გამოვლენის აღიარებისს შეუძლებელს ხდის მის გარკვევას პოემის ფარგლებში. ამას გარდა, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საკითხის ამგვარი ახსნა, ვფიქრობთ, უკეთეს შემთხვევაში არკვევს იდეს ირაკლისა და სოლომონის ორიენტაციის ცალ-ცალკე, რომელთაგან ნ. ბარათაშვილის თვალსაზრისი არც ერთის იდეენტური არ უნდა იყოს. „ბედი ქართლისაში“ პოლიტიკური ორიენტაცია აღქმულია არა ირაკლისა და სოლომონის პოზიციათა გათვშვისა და ერთ-ერთის გამორიცხვის საფუძველზე, არამედ გლობალურად, პერსპექტივაში ამ პოზიციათა, უკეკ როგორც ორიენტაციის ორმხრივი მახასიათებლის, მოსალოდნელი ლოგიკური სინთეზირების გათვალისწინებით, რაც პოემაში დროის პოეტიკის თავისებურებას ავლენს. ქრონოლოგიურ დისტანციის არსებითი კორეტტივი შეაქვს მოვლენათა მსვლეელობა-შეფასებაში ირაკლიდან მოყოლებული „ბედი ქართლისას“ შექმნამდე და ეს პროცესები პოეტს უთუოდ კარგად აქვს ნაგრძნობი. იგი რამდენიმე ძირითად ეტაპს მოიცავს და თითოეული ცალკე საკითხის ბადალია. ანიტომაც, ვფიქრობთ, მეთოდოლოგიურად არასწორია მათი შეგნებულთა თუ უნებლიე სინთეზირება და ერთ საკითხად გამოტანა, როგორც ამას ზოგჯერ მიმართავენ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ანლინშლული საკითხები შემდეგია:

1. სოლომონისა და ირაკლის პოზიციათა შეფასება, თუ შეიძლება ითქვას, სინქრონულ ასპექტში, XVIII საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვით.

2. ირაკლისა და სოლომონის პოზიციათა შეფასება დიაქრონიულ ასპექტში, ქრონოლოგიური დისტანციის გათვალისწინებით, ანუ, რაც იგივეა, ნ. ბარათაშვილის მიერ ქართლის პოლიტიკური ორიენტაციის დახასიათება XIX ს. 30-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვით;

3. საკითხის გადაწყვეტა;

4. ნ. ბარათაშვილის სუბიექტური დამოკიდებულება პოლიტიკური ორიენტაციის გადაწყვეტისადმი.

ქართველ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი საკითხი ზუსტად ამ სახით, ვფიქრობთ, არც დასმულა, ხოლო ბოლო სამი საკითხი ხშირად სინთეზურად წარმოიდგენებოდა, მაშინ, როცა ისინი სრულიად სხვადასხვა შინაარსს შეიცავენ. ერთია ორიენტაციის დახასიათება, მეორეა მისი გადაწყვეტა, ხოლო მესამე — სრულიად სხვა მომენტის შემცველი — პოეტის სუბიექტური დამოკიდებულება მისდამი.

ვიდრე პირველ საკითხს განვიხილავდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თვით მისი დასმის საჭიროების შესახებ. როდესაც ნ. ბარათაშვილი „ბედი ქართლისას“ წერდა, ფეუოლსხმება, რომ იგი ასასახავი ეპოქის პოლიტიკურ სპეკტრს რამდენადმე მაინც შეინარჩუნებდა, ამ ეპოქისაგან სავსებით მოწყვეტა მას უთუოდ არ შეეძლო. ამიტომაც „ბედი ქართლისას“ პოლიტიკური ორიენტაციის კვლევისას პოემა ორ პლანში უნდა იკითხებოდეს, რომელთაგან პირველი გულისხმობს მის წაკითხვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII საუკუნის დასასრულის ქართველი სავაჭროდიპლომატიური თვალსაწიერიდან.

ასეთ შემთხვევაში ირაკლისა და სოლომონის ნაკადთა ინტეგრაციალი ორგვარ შინაარსს იძენს. პირველ პლანში წაკითხვისას ცხადდება, რომ ირაკლისა და სოლომონის პოზიციები დაპირისპირებულ ბანაკთა თვალსაზრისს ემთხვევა ცალ-ცალკე (ისტორიულად ცნობილია ამგვარ ბანაკთა არსებობა) და, ამდენად, ეს პოზიციები სრულიად დამოუკიდებელ, ერთმანეთისადმი დიამეტრულად დაპირისპირებულ ორიენტაციათა გაგებას შეიცავს: სოლომონის მტაცებლებნი XVIII ს. დასასრულის იმ პოლიტიკური ბანაკის თვალსაზრისს გამოხატავს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას, ხოლო ირაკლის მტაცებლები — რუსეთთან საქართველოს შეერთების მომხრეთა თვალსაზრისს.

როდესაც პოემა აკითხება მეორე პლანში, XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული სავაჭროდიპლომატიური თვალთახედვიდან, ორმაგ-ცნობიერად რუსულ-ქართულ ურთიერთობათა რელიერი შედეგების გათვალისწინებით, არსებითად, სხვა ვითარება დასტურდება. ამ შედეგებთან მიმართებაში პრინციპულად სწორია როგორც ირაკლის, ასევე სოლომონის თვალსაზრისი. ქრონოლოგიურმა დისტანციამ ორიენტაციის დახასიათებაში სიახლე შეიტანა იმ გაგებით, რომ იგი არ ყოფილა მხოლოდ ის, რაც სოლომონმა წარმოიდგინა, და არც ის, რაც მეფე ირაკლიმ ბრძანა. ამდენად, ირაკლისა და სოლომონის პოზიციები, რომლებიც სინქრონულ ასპექტში საპირისპირო ორიენტაციათა დონეზე გაიაზრებოდა, გვიანდელი თვალთახედვით, ისტორიულ ვითარებათა გამო, კარგავენ ამგვარ შინაარსს და ლოგიკურად ერწყმიან ერთმანეთს, როგორც ერთი ორიენტაციის დაპირისპირებულ მხრეთა მახასიათებლები. მაშასადამე პოემაში ობიექტურად, დიაქრონულ ჭრილში, წარმოდგენილია ერთადერთი ორიენტაცია — რუსეთთან საქართველოს შეერთება, რასაც ორი საპირისპირო მხარე აღქმაჩნდა: დადებითი და უარყოფითი. ირაკლი და სოლომონი ქართლის აწმყო და მომავალი ბედის წარმოჩენისას ამ ორიენტაციის ფარგლებში რჩებიან და ზუსტად, შეუმცდარად ახასიათებენ მის დადებით და უარყოფით მხარეებს. მათი მტაცებლები დიალექტიკურ ერთიანობაშია და რომელიმე მთავრის უგულებელყოფა მოახწევებს თვით ორიენტაციის არსის ცალმხრივ გაგებას. ამიტომაც დასმული პრობლემის კვლევისას უნდა მოიხსნას კითხვა, თუ ვის მხარეზეა „ბედი ქართლისას" ავტორი; ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურ სიწმიფეს არ ვადასტურებთ მაშინ, როცა ვეძიებენთ, რომ იგი სოლომონის მხარეზეა, რადგანაც სოლომონის მტაცებლებნი ახასიათებს ორიენტაციის, როგორც მთლიანი პოლიტიკური მოვლენის, მხოლოდ ერთ ასპექტს. გამოდის, რომ ნ. ბარათაშვილს ცალმხრივად ესმოდა მისი არსი. ძალაუნებურად ამგვარსავე ვითარებას ვადასტურებთ მაშინაც, როცა ვეძიებთ, რომ ნ. ბარათაშვილი ირაკლის მეფის მხარეზეა. ხოლო როცა მივუთითებთ, რომ პოეტი თანაბარი სიმპათიით წარმოაჩენს როგორც ირაკლის, ასევე სოლომონსაც, მასში არ უნდა ვიგულისხმოთ პასუხი კითხვისა, თუ ვის მხარეზეა ნ. ბარათაშვილი; იგი დასტურია ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური გამჭრიახობისა, პოეტისა, რომელმაც არსებითად პირველმა მოგვცა ორიენტაციის პოეტური, მაგრამ მაინც ობიექტური, მკაცრი და სრული დახასიათება.

საკადგებოდ უნდა აღვნიშნოთ ირაკლისა და სოლომონის მტაცებლათა რაობა და ხასიათი, რაშიც უთუოდ თავისებურად, მაგრამ შეგნებულადაა გაცხადებული პოეტის ჩანფიქრი. ირაკლისა და სოლომონის მტაცებლა-მსჯელობანი აშკარად სწორზზოვანია, გარკვეული გაგებით — ცალმხრივი. ეს განსაკუთრებით სოლომონის მსჯელობაზე თქმული. იგი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან საქართველოს შეერთების უარყოფით მხარეზე, მხოლოდ და მხოლოდ მის ნაკლზე მსჯელობს და ამ გზადან ერთხელაც არ უხვევს (მისსავე ზნაბ აგრძელებს სოფიო). ჩანს, ნ. ბარათაშვილმა თავის გმირს შეგნებულად დაკისრა ამგვარი ფუნქცია, ასევე, ობიექტურად, სინამდვილეში ცალმხრივი და სწორზზოვანია ირაკლი მეფის მსჯელობანი: იგი ორიენტაციის, როგორც ასეთის, ოდენ დადებით მხარეს წარმოაჩენს და, ეტყობა, მისი, ვითარება პერსონიფიციის, ფუნქციაც ამაშია. მართალია, მისი მეფური ცოდნა პოტენციურად მოიცავს სოლომონის ნაზრევსაც, მაგრამ ეს გარემოება არათუ ეწინააღმდეგება, პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცებს აქ წარმოდგენილ თვალსაზრისს, რომ ორიენტაციის გაგება-დახასიათებაში სოლომონსა და ირაკლის ნაკადი დიალექტიკურ მთელად უნდა წარმოვიდგინოთ. სოლომონის ნაზრევი ვერ გაიჩკვევი ირაკლის ნაკადთან მიმართების გარეშე: პირიქით, და განსაკუთრებით, ირაკლის ნაზრევი ბოლომდე შეუცნობელი დარჩება სოლომონის ნაკადის გაუთვალისწინებლადაც. ირაკლის სიტყვები: „მე ეგ ყოველი არ ვიცი ბაზე?" — სრულიად უაზრო რჩს ნაკუთრივ ირაკლის ნაზრევის ფარგლებში, თუკი მასში არ შემოვიტანთ სოლომონის მსჯელობასაც. ამიტომაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ისინი გათიშულად, კარგადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: ნ. ბარათაშვილისათვის „საქართველო-რუსეთის დაახლოებას ორი მხარე აქვს. მართალია, საქართველოს ისე ძლერია, ან უკეთ, ისეთი ძლერი ხელის ქვეშ იმყოფება, რომ მას შეუძლია ძველსა და მოუსვენარ მტრებს სამაგიერო გადაუხადოს... ეს არის საქართველოს ცხოვრების ერთი მხარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახე ვთქვათ, გარეგნული“, პოეტისათვის ამ მოვლენის მეორე ბარე ის არის, რომ „ხალხთა საყურადღებო“ ძმიმე ტვირთად აწვა ქართველ ხალხს და ქვეყანას. „ეროვნული დამოუკიდებლობა და ეროვნული განვითარება არ იყო ფრთაასხმული, იგი რეგლამენტირებული იყო კოლონიური პოლიტიკით“ (ს. ხუციშვილი). საბედუნაროდ, მითითებული სწორი მსჯელობის შემდეგ არაა დასკვნა გამოტანილი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ორი მხარის, ე. ი. სოლომონისა და ირაკლის ნაკადის სინთეზური განხილვა წარმოადგენს ნ. ბარათაშვილთან ორიენტაციის, როგორც პოლიტიკური მოვლენის, ნამდვილი არსის დახასიათებას.

ორიენტაციის არსის დახასიათებაში სოლომონი მონაწილეობს შეფესთან თანაბარი უფლებით, მაგრამ როცა საკითხი მის გადაწყვეტას ეხება (ეს სრულიად სხვა მომენტია!), აქ მსაჯელი უძლურია: ბუნებრივია, როგორიც უნდა იყოს სოლომონის სუბიექტური განწყობა, ქვეყნის ბედს შეფე წყვეტს.

ამ გადაწყვეტილებისადმი ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება ცალკე საკითხია. ეს დამოკიდებულება პოემაში სწორხაზოვნად არ ჩანს. უკეთეს შემთხვევაში, იმისი აღნიშვნა შეიძლებოდა, რომ აქ აშკარად იგრძნობა სოლომონის ნაკადის შემდგომი გაღრმავება, ეს კი სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებული თვალსაზრისის გადასინჯვას გულისხმობს, კერძოდ, მიუთითებენ, თითქოს „ბედი ქართლისაში“ არ ჩანდეს რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგები, რომ იგი არაფერს ვვეუბნება იმ საზოგადოებრივ ვითარებაზე, რაც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა. ფაქტობრივად კი, „ბედი ქართლისაში“ ჩანს ეს შედეგები, თანაც ქართული საზოგადოებრივი ყოფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბანში; იგი, უწინარეს ყოვლისა, გამოვლენილია იქ, სადაც პოეტი ლირიკულ წოდესებს გვთავაზობს, და საზოგადოდ ის ფაქტში, რომ ნ. ბარათაშვილს საგანგებოდ ჩაფიქრებული „ეპიკური მაგილ ლირიკულ-ეპიკური ხასიათის თხზულება გამოუვიდა“ (ს. ხუციშვილი).

აღსანიშნავია, რომ ლირიკული წიაღსვლა, ორიენტაციის გამოსავლენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სოლომონის (სოფიოს) ნაკადს ახლავს და ორიენტაციის უარყოფითი მხარის შემდგომ დახასიათება-წარმოჩენას ითვალისწინებს: ქართველმა დედებმა, მაშასადამე, ქართველობამ, რუსეთთან შეერთების მიზეზით დაკარგა ეროვნული გრძნობა, ეროვნული სახე, რაც უპირველესი ტრაგედიაა ხალხის ისტორიაში. ამიტომაც, ვფიქრობთ, პრინციპული შეცდომაა, როცა „ბედი ქართლისას“ რკალში შემოაქვთ „საფლავი მეფის ირაკლისა“ იმ მიზნით, რომ ლექსში იპოვონ პოემაში გამოვლენილი ნ. ბარათაშვილის სუბიექტური განწყობილების დასაბუთება, სინამდვილეში, დასახელებული ლექსი ამ განწყობილების ანტიპოდია, ნ. ბარათაშვილი დაპირისპირებულ მზარეებს აწონასწორებს პოემის ფარგლებს გარეთ და სწორედ დასახელებული ლექსით, თუმცა იგი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთგვარ ლიტერატურულ-პოლიტიკურ რეკრანსად, რადგანაც ეს წონასწორობა მაინც დაარღვია „სუმბული და მწერით“.

ამასთანავე, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს სხვა გარემოებასაც. კერძოდ, ნ. ბარათაშვილმა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ სრულიად გარკვევით თქვა, რომ ქართლი (ქართველები) მხოლოდ ა ხ ლ ა, მხოლოდ „ა წ“ მიხვდათ ერეკლე მეფის გადაწყვეტილების სისწორეს და მხოლოდ ა ხ ლ ა, მხოლოდ „ა წ“ იგემეშინო მის ტკბილ ნაყოფს.

საინტერესოა ისიც, რომ ამ მცირე მოცულობის ლექსში პოეტი ძალიან ხშირად ხმარობს სიტყვას „აწ“ (კერძოდ, იგი აქ ექვსჯერ დამოწმებული), რასაც პრეცედენტი არა აქვს მის ლირიკაში და თვით პოემა „ბედი ქართლისაში“.

ეს იმას ნიშნავს, რომ, პოეტის აზრით, ა ტ ა ნ დ ე ბ ი „ბედი ქართლისას“ დაწერამდე და თვით მის შექმნის დროსაც, ქართლს ჯერ კიდე არ ჰქონდა ბოლომდე შეცნობილ-გააზრებული პატარა ეახის პოლიტიკური ორიენტაციის მნიშვნელობა, მისი სისწორე და გარდუვალობა. ქართველთა მხრივ იგი ბოლომდე შეცნობილია და დადებითად შეფასებული იქნა მხოლოდ მოგვიანებით და არამც და არამც „ბედი ქართლისას“ შეთხზვისას.

ვფიქრობთ, ამაში ეკვის შეტანა გაჯირდებოდა.

ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ პოეტის თვალსაზრისი. პიროვნების, ინდივიდის დაუძლეველ ტრაგედიას ყველა სხვა რიგის ობ. ლობასთან შედარებით სული სიმარტივე, სული ობლობა განსაზღვრავს. ეს აზრი, ჰოელი მსოფლმხედველობის ხარისხში აყვანილი, გატარებულია მის კერძო წერილებში, ლირიკაში და — მოვაქციოთ ამას ყურადღება! — განსაკუთრებით „ბედი ქართლისაში“.

პოემაში სული, სხვადასხვა კონტექსტსა და სხვადასხვა ნიუანსით, თოთხმეტჯერაა ნახსენები.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, პოეტის სიტყვით, ერეკლეს უმთავრესი სთქმელი, სოლომონთან გამყოფებული, მეფის „ს უ ლ ი ს ტ ვ ი რ თ ი ა“.

უფრო მეტიც, ამ დროს პატარა ეახი არა ბოლოდ სულის ტვირთის სიმძიმე გრძნობდა, არამედ ამასთან ერთად სახე მეფისა ცხადად აჩენდა, რომ სული მისი ძლიერ იყო „ა ღ ლ ვ ე ბ უ ლ ი“; ეს ნიშნავს, რომ თავის მსაჯელთან ქვეყნის ბედის განსაკ ეამს იგი შინაგანად, სულიერად არ ყოფილა გაწონასწორებული, განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებით, ქართველთა უნიათობის გამო. ამატომაც თქვა თავის მეუღლესთან სოლომონ ლიონიძემ:

ვეტვრ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი,
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული.

მეფის გადაწყვეტილებამ სოლომონ მსაჯულსაც აღელვა სული.

თავისი „ღელვილი სულის“ დამშვიდება სოლომონმა ინტიმურ გარემოში (საკუთარ ოჯახში) სცადა: „წინ მოეგება მას თვისი ცოლი, სათნო სოფიო, სულისა ტოლი“.

როდესაც სოლომონმა თავის „სულის ტოლს“ გააცნო მეფის გადაწყვეტილება და, განგება, იდღლიერად დაუხატა ამ გადაწყვეტილების შედეგები, სოფიომ პირდაპირ განუცხადა: ფუჭია ყოველგვარი დდება, თუ ადამიანს მოაკლდება თავისუფლება. რაც უნდა უჭირდეს, ადამიანი თავის თუნდაც დაეძლურებულ-გაპარტახებულ, მაგრამ თავისუფალ მამულში ნუგეშს ჰპოვებს. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ აქ „სულსა სული თვისად მიაჩნია“. ესაა პიროვნებისა და მამულის ბედნიერების საათვე.

ამ ბედნიერებას ხპობს და ანადგურებს „უცხოობა“.

მისი დაკარგვის საშიშროების წინათგრძნობამ ათქმევინა სოფიოს სულისშემძვრელი სიტყვები:

უწინამც დღე კი დამელვა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაც ვერ ვის ეკარების სული
და არს ფუფეული, დაობლებული.

აქ უკვე მხოლოდ ინდივიდის სულის ობლობასა და ამით გამოწვეულ ტრაგედიაზე კი არაა საუბარი, არამედ უცხო გარემოში მოელი ერის სულის ობლობასა და ტრაგედიაზე. ნ. ბარათაშვილმა, როგორც ვრავნ, უწყოდა პიროვნების, ინდივიდის სულის ობლობით გამოწვეული ტრაგედიის სიმწვავე, ამიტომ მით უფრო მწვავე იქნებოდა მისთვის მთელი ერის სულის ობლობით გამოწვეული ზღვარდაუდებელი ტკივილი.

ჩვენი საკითხისთვის უაღრესად ნიშანდობლივია ბერეთი შემდეგი ფაქტი: ერეკლე მეფე, როგორც მხატვრული ნაწარმოების (ამ შემთხვევაში „ბედი ქართლისას“) პერსონაჟი, ბოლომდე თანმიმდევრული არ აღმოჩნდა თავისი თვალსაზრისის მტკიცებაში. სულიერად წინასწორობადაკარგულმა მეფემ უაღრესად შუქ ფერებში დაუხატა მსაჯულს პირადი ხვედრი და ალა-მამად ხანისაგან გავერანებული ქვეყნის აწინდელი და მომავალი ბედიც. მან სოლომონს უთხრა, თავდაღნე არ მითვისებდო „ქართველთა გული“, ჩემი მეფობის დასასრულს „ძლივს იგინი გავიერთგულე“, მაგრამ სანაცვლოდ საკუთარმა შვილებმა მიღალატეს, ჩემი ყმებიც „ურთიერთს ბძარვენ“; ამ მიზეზთა გამო ალა-მამმად ხანმა გვძლია... ესეც ცოტაა: „ამირიდან გაკეტებული მამმად-ხანისა მოსისხლე სული არ დაგვაწყარებს ამაკომთაო“. იგი ძლიერია, „ეამი შესწევს ყოველის ღონითა“; „ყაჯართა შთამომავლის რისხვა, რომელიც მომავალში უთოოდ დაატყდება თავს ქართველებს, ლეკებსაც „აგვიყაჯანებს“, ოსმალოც დროს მოიხელთებს ღა ჭამოვა ჩვენს წინაალმდეგ საბრძოლველად. მართალია, მე ჯერ კიდევ ვგრძნობ „სულის სიმტკიცეს“, მაგრამ წელთა სიმრავლემ ძალ-ღონე წართვა, „შენი ირაკლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რომ გინახივარ“, არ ძალმიძს, გვუმკლავდე მოსალოდნელ უბედურებასო.

სოლომონი დაალინა მეფის სიტყვებზე, გარკვეულ ხანს დაეკვდა კიდევაც მის სისწორეში. თავის მეუღლეს ის კი არ უთხრა, პატარა კახის გადაწყვეტილება სახელმწიფოს საჭიროებით არის ნაკარნახევი, არამედ პირიქით: ერეკლე გაჯავრებულია ქართველებზე და სამაგალითო დასჯას უპირებსო მათ.

ეს იყო უმძიმესი ბრალდება, თუმცა სწორი. თხზულების დასასრულში ჩანს, რომ ქვეყნის გამგებელმა თავისი ადრინდელი მტკიცების თითქმის ყველა საბუთი თვითონვე დაარღვია: ოსრებულ ტფილისში დაბრუნებულ მეფეს ხალხმა ერთგულება და სიყვარული მიაგება (რაც არც ადრე ჰკლებია მის). „ქალაქი ისევ ჩქარა ააშენეს“; ერეკლემ აღიქმული მოსვენების წყები დაკარგა, იგი თურმე მცხოვანებისაგან ძალმიხდილი არ ყოფილა, „ხორცითაც“ მტკიცეს! ალი „ხრმალი ბრძოლისა“, შემუსრა ლეკები, დაამარცხა სპარსელები; „სიბერის ფაშა მოიცა ძალი და შეეძრწუნა კვალად ოსმალი, კვლავ ასახელეთ თავის ხახელი“.

მაშასადამე, მან ყველა ის მტერი, ვისგანაც ქვეყნის ოსრებას მოელოდა (და ამაში სოლომონის დარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ ვერ დაარწმუნა) და რამაც გადაწყვეტინა რუსეთის მფარველობაში შესვლა, — დაამარცხა.

ეს არსებითად პოეტის მხატვრული გამონაგონია, რაც სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას ნ. ბარათაშვილის პოზიციის გასაგებად ჩვენებლად. იქნება ამ „ხეპრი“ ამბის შემოტანით პოეტს იმის თქმა სურდა, რომ პატარა კახმა იჩქარა გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

ამ კონტექსტიდან არაა გამოსარიცხი ის ფაქტიც, რომ ქვეყნის ბედზე დაფიქრებული პატარა კახის ცნობიერებაში არაგვი თავისუფლების სიმბოლოდ განსახიერდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბესალომ ტულუში

ერთი უცნობი ხატის წარწერა

1680 წელს არჩილ მეფემ თავისი დესპანის, არქიმანდრიტ მაკარის ხელით რუსეთის მეფეს საჩუქრად გაუგზავნა ორი ხატი — ერთი ღვთისმშობლისა და ერთიც წმინდა სამსონ. რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებაში, რომელსაც საელჩო პრიკაზი ეწოდებოდა, ეს ხატები დაწვრილებით აღუწერიათ. აღწერილობებში დაცულია რუსული თარგმანები წარწერებისა, ხატების უკანა მხარეს რომ ყოფილა. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ღვთისმშობლის ხატის წარწერა ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მისი ქართული დედნისეული ტექსტის აღდგენა რუსული თარგმანიდან შესრულებული უკუთარგმანით. უკუთარგმნისას შევეცადე ქართული ტექსტის იმდაგვარად აღდგენას, როგორადაც ის უნდა ყოფილიყო დედანში. ამისათვის გავითვალისწინე შესაბამისი ხანის ქართული წარწერების ენა, სახვეწურ-საეფრემელთა მდგრადი ყალიბები და სხვა თავისებურებანი.

აი, ამ წარწერის რუსული თარგმანი და ჩემეული უკუთარგმანი:

Ты, дивная и пресвятая, несотворенного бога слова родительница избавления и спасения нашего ради сотворена пресвятая богородица и присно дева Мария, помощница и заступница и покровительница. Буди всем свете нашем и в будущем, которые на тебе надежду имеют Леона Дадиани везнира и провдивого служителя его возлюбленного Анжде Парижа Папуна и супружницы его Мамия Дадиани дшери Табас Пирмшо и возлюбленного нашего чародия Мамукая, которые обложили сию икону златом и украсили камнем и жемчюги, чтоб помогла в день той великого страшного суда пред сыном своим, а богом нашим. Аминь[1].

შენ საკვირველო და ყოვლადწმიდაო დამბადებელო ხელთუქმნელისა სიტყვისა ღვთისა, ჩვენად შემწედ და მოქენედ მოვლენილო ყოველად წმიდაო ღვთისმშობელო, მარადის ქალწულო მარიამ, შემწეკ, მოსარჩლეკ და მფარველო, მეოხ გვეყავ ორსავე ცხოვრებასა შინა მსახოებელთა შენთა დადიანის ლეონის ვეზირისა და ერთგულებითა მსახურსა, სიკადულსა მისსა პაპუნა ანჯაფარიძეს და თანამეცხედრეს მისსა, მამია დადიანის ასულსა თაბას, პირმშოსა და საყვარელსა ძესა ჩვენსა მამუკას, რომელთა ამა შენთა ხატისა პატივი გარეშემოსცვლიდეთ ოქროითა და შევამკეთ პატიოსნითა ქუებითა და მარგალიტითა, რათა შეგვეწიო დღესა მას საშინელსა განკითხვისასა წინაშე ძისა შენისა, უფლისა ჩუენისა, ამინ.

ამ ტექსტიდან ჩანს, ეს ხატი ოდიშის სამთავროს ერთ-ერთ ეკლესიას ეკუთვნოდა. ეს ეკლესია ალბათ ოდიშის ერისთავ-ეპისკოპოსის ეკლესია ყოფილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ზუსტად, 1625-1649 წლებში სამეგრელოში ნაცხოვრები იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.

აი, რას წერს ის: „მაშინ როდესაც მთავარი, გუტაცებული ლიარიტანის ცოლის სიყვარულით, ცდილობდა თავისი ხურვილის დაკმაყოფილებას, სხვა მის ცოლს, დედოფალს ეტიფალებოდა და უსირცხვილოდ დაუახლოვდა. ეს იყო მისი ვეზირი სახელად პაპუნა — იგი ვითარცა მეოთხე პირი მეფის შემდეგ, ყოველივეს განაგებდა სახელმწიფოში. ასეთი საქმე ხომ დიდხანს არ დაიმალება და მართლაც, მალე გამოაშკარადა მთელს კოლხიდაში და თვით მთავრის ყურამდისაც მიაღწია. მთავარი საშინლად გაბრაზდა. მაშინვე გაგზავნა ცოლი და ბერძნების რჩულისამებრ, შესარცხვენად ცხენრი მოსკრა...

რაც შეეხება მის ვეზირს, რადგან იგი ძლიერ პატივცემული იყო მთელს ოდიშში და ქვეშევრდომებს დიდად უყვარდა, ამისათვის, — შინაური ომი არ გამოეწვია, მთავარი უფრო გულდაჯერებრად მოიქცა... და დაკმაყოფილდა მით, რომ დაატესაღა და გადასცა გურიის მთავარს, თავის ბიძაშვილს, რათა შეეხსნა იმ დრომდე, ვიდრე მისი საქმე არ გათავდებოდა.

ამის შემდეგ ლევან II დადიანი გურიაში შეიჭრა, შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე, თავისი სიძე (დის — მარიამის ქმარი), მამისაქცელი სვიმონ გურიელი ტახტიდან ჩამოაგდო და ოვალები დასთხარა, ხოლო გურიაში ტუვედ ყოფილი თავისი ვეზირი პაპუნა ჯერ გააუდაბნა, შემდეგ კი ზარბაზნის ლულაში ჩაატენინა და ნაფლეთებად აქცია. პროფ. ილია ანთელავამ ეს ვეზირი ლეი გრანეულ მიერ მოხსენიებულ საქეგრელოს სამთავროს ვეზირ Cortuga-დ მიიჩნია. მაგრ ეს უკანასკნელი სავსებით მარწმუნელად გაიგივა, 1611-1614 წლების დოკუმენტებში დასახელებულ მერაბ ქორთოძესთან. ამიტომ, ცხადია, მან ეჭვის თვალით შეხედა არქანჯელო ლამბერტის მიერ ლევან II დადიანის ვეზირად პაპუნას დასახელებას.

„ჩვენი აზრით, — წერს ილია ანთელავა, — ლამბერტი ცდება, როდესაც ჩვენს უცნობ ვეზირს „პაპუნას“ უწოდებს, კარგადაა ცნობილი, რომ ლამბერტიმ თავისი თხზულება უკვე ოდიშიდან წასვლის შემდეგ გადიტანა ქალაქზე და საფიქრებელია, რომ შეცდომა დაუშვა“.

როგორც ვხედავთ, ლამბერტისთან ვეზირ პაპუნას მოხსენიებას პროფ. ილია ანთელავა ხსნის ლამბერტის მიერ სამეგრელოში ნანახ. განაგონის ქალალდზე გადატანანის, მის მეხსიერებაში მისივე თანამედროვე ვეზირის პაპუა წულუაძის სახელის ამოტივტივებით, ნაცვლად ლევან II-ის მიერ შერისხულ-დასჯილი სხვა ვეზირის სახელისა, მაგრამ შესანიშნავი მკვლევარი აქ ცდება და არქანჯელო ლამბერტის ხრულიად უსაფუძვლოდ სჭამებს გულმავიწყობას. ლამბერტას ცნობის სისწორე დაამტკიცა ღვთისმშობლის ხატის წარწერამ. არადა, მართლაც წარმოუდგენელია ამ ფრიად განსწავლულ და დაკვირვებულ იტალიელ მოღვაწეს მისი სამეგრელოში ჩამოსვლამდე სულ რამდენიმე წლის წინათ დასჯილი ვეზირისა და ვეზირ პაპუა წულუაძის (წულუციას) სახელები აღრეოდა, მით უფრო, რომ პაპუა წულუაძესთან მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ლევან II დადიანის მიერ დასჯილი ვეზირი ყოფილა არა მერაბ ქორთოძე, როგორც ეს პროფ. ილია ანთელავას მიუჩინია, არამედ მისი მომდევნო ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე, რომელიც ოდიშის განრისხებულ მთავარს 1625 წელს დაუსჯია.

კათალიკოს ეკვთიმე საყვარელიძის ქრონამის გამღებების წიგნში, რომელსაც მე 1611-1614 წლებით ვათარიღებ, ბეიერი ლიარიტანის შემდეგ და სახლთუხუცეს ქიახსარო ფუქიძეზე წინ მოხსენიებული მერაბ ქორთოძე რომ ვეზირია, უდავო ჭეშმარიტებაა და ეს დამტკიცება კიდევ პროფ. ილია ანთელავამ. როგორც უკვე აღვნიშნე, სავსებით სწორია ილია ანთელავა, როცა ლეი გრანეულ მიერ დასახელებულ ვეზირ Cortuga-ს ზემოხსენებულ მერაბ ქორთოძესთან (ქორთუასთან) აიგივებს. მაშასადამე, ირკვევა, რომ 1614-1615 წლებში (და, ალბათ, 1614 წლამდეც და 1615 წლის შემდეგაც) ოდიშის ვეზირად ჰყოფია მერაბ ქორთოძე, რომელიც, როგორც ჩანს, ამ სახელოზე პაპუნა ანჯაფარიძეს შეუცვლია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, არჩილ მეფის მიერ 1680 წელს მოსკოვს საჩუქრად გაგზავნილი ღვთისმშობლის ხატის წარწერა (და, ცხადია, თვით ხატიც) 1615-1625 წლებით უნდა დათარიღდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ გულორდავა

მურმან ლებანიძის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი

თანამედროვე ლირიკის ის „მიმართულებები", რომლებიც გამიზნულად არიან ეზოტერულნი და უმთავრესად მხატვრული ახახვის სპეციფიკით ავლენენ სიტყვაში აზრის დაფარვის მიდრეკილებას, როგორც ჩანს, ბოლომდე რჩებიან თავიანთი არსის ერთგულნი. მკითხველთა ვიწრო წრესთან ერთად, რომელთაც ასე თუ ისე ესმით ზემოხსენებული „მიმართულებების!" მიმდევარი პოეტების ენა, ისინი ქმნიან ერთი შეხედვით კარჩაკეტილ, ერთობ ძველი ყაიდის კულტურულ გარემოცვას. ამ „ალიანსთან" მიმართებისას შეიძლება დაიბადოს ასეთი კითხვა: აქვს კი გარემომცველ კულტურულ წრეს იმის უნარი, სათანადოდ შეაფასოს ამ პოეტების შემოქმედება, შექმნას ისეთი პირობები, რომელშიც მათი მხატვრული ოსტატობა შეძლებდა საარხვნო აზრის შემცველი, სასიცოცხლო ფუნქციის შესრულებას? ეფიქრობ, მსგავსი პრობლემები წამოიჭრება მურმან ლებანიძის პოეზიის ზოგიერთ მომენტზე საუბრისას:

ცნობილია, რომ შემოქმედებითი საწყისისა და ნების თავისუფლების საიდუმლოებების ტრანსცენდენტური პრობლემებია, რომელთა ასახვაც ფსიქოლოგიას ხელეწიფება, მაგრამ გადაწყვეტა არ ძალუძს. იგივე ეხება შემოქმედსაც. ეს ისეთი თავსატეხია, რომლის გაშიფვრასაც შეიძლება უამრავი სხვადასხვა ხერხით შეეცადოთ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. და მაინც, უახლესი ფსიქოლოგია დროგამოშვებით შესწავლებია ხელოვანისა და მისი შემოქმედების პრობლემებს. მაგალითად ავტორის პირადული განცდების ასპექტებიდან გამომდინარე, ფროიდს ეჩვენებოდა, რომ იპოვა ის გასაღები, რომლითაც შეიძლებოდა ხელოვნების ნაწარმოების ახსნა.

მურმან ლებანიძემ იცის, რომ მისი ქმნილება მასშია ჩასახული, რომელიც შემდგომ იზრდება და მწიფდება. იგი არასდროს არ ანიჭებს უპირატესობას წარმოდგენას იმის შესახებ, თითქოს თვითმაზნური მოწადინებით აყალიბებდეს საკუთარ გამონაგონს, რადგან სწერა, ვერაფერი ვერ შეცვლის იმ ფაქტის რეალობას, რომ ქმნილება მისგან, ავტორისაგან წარმოჩნდება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მურმან ლებანიძის პოეტური შემოქმედების გარკვეული წილი ქვეცნობიერის წიაღიდანაა აღმოცენებული. პოეტთან მიმართებით ვხედავთ, როდესაც შემოქმედებითი საწყისი გადასწონის ხოლმე, მაშინ ქვეცნობიერი უფრო იპყრობს მის ბედსა და ყოფნას, ვიდრე ცნობიერი წადილი. ამ დროს ცნობიერი იზღუდება ფარული იმპულსებით და არცთუ ისე იშვიათად გვეკლინება მოაზდარის ან მოსახდენის ახსიერ მეთვალყურედ. ორგანულად მზარდი შრომაა პოეტის ბედი, რომელიც განსაზღვრავს მის ფსიქოლოგიას. აქედან გამომდინარე, მურმან ლებანიძე კი არ ქმნის ლექსს „უფლისციხესთან", არამედ რომელიღაც ფსიქიკური კომპონენტები „უფლისციხესთან" ქმნიან მურმან ლებანიძეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის —
დასაღვრელს, ალბათ, მაცნეო...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მე დავინახე
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თორმეტი ციხე
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მშვენიერია
ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხეა: „ვინ ვის?!“
ბეშერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი
სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

მიუხეადვად იმისა, აქვს თუ არა გაცნობიერებული, პოეტური ტექსტი მურმან ლებანიძისათვის ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე პირადი ბედი. იგი ისე მკიდრდება დამოკიდებული თავის ქმნილებაზე, რომ ვერავითარი მიზეზით ვერ შეძლებს მის უარყოფას. მხატვრული სახის შექმნით პოეტმა უკვე შესარულა თავისი მაღალი მისია. მხატვრული სახის ახსნა, ანალიზი კი უნდა დაანგის მომავალს, რადგან ყველა მაღალმხატვრული პოეტური ტექსტი სიზმარს ჰგავს, რომელიც, მთელი თავისი სიცხადის მიუხედავად, ძალიან იშვიათად ამოიცნობა და რომელსაც არასდროს არა აქვს ერთმნიშვნელოვანი ახსნა. არც ერთი სიზმარი არ გვეუბნება: „შენ ვალდებული ხარ“, ან „ასეთია ეშმარიტება“; იგი აკვლნს სახეს ისე, როგორც ბუნება ზრდის ყოველივე ცოცხალს დედამიწაზე. უახლეს პერიოდში, ალბათ, მეოთხეულისათვის იქნება მინებებული პოეტის მხატვრული სახის შესახებ საკუთარი დასკვნების გაკეთების უფლება.

მურმან ლებანიძის რამდენიმე ლექსში („ტიციან ტაბიძეს“, „ვიში, ვიყავ, ვიცხოვრე“, „მიუწდომლის მიწვდომას“, „კაცს დასარგავად ნერგი მიჰქონდა“, „დალამდება და დედამიწა ჩაიძირება“, „პოეზია“, „თხელს ცაზე შენ ხარ, მაგრამ მერე რა?!“, „პოეტი მარად ბნდებოდა“, „ჩანგო ჩემო, მოხრილხარ“, „რუდაკი იტყვის...“) დგას პოეტის პასუხისმგებლობის საკითხი არა სხვა ადამიანების, არამედ საკუთარი თავის წინაშე. ამ ლექსებში მკითხველს მოუწევს გარკვევა იმ დამოკიდებულებისა, რაც არსებობს ხელოვნებასა და პოეტის შინაგან ზნეობრივ სამყაროს შორის. აქ ნათლად იკვეთება ნაწარმოების დახვეწისაკენ მიმართული პოეტის ძალისხმევასა და ადამიანური ყოფის სრულყოფისკენ გამიზნული სწრაფვას შორის არსებული შინაგანი კავშირი. პოეტის ლექსებით, ხელოვნების ფორმალური ნაგანი არ ეკუთვნებარება ზნეობის ფორმალურ ნაგანს. მშვენიერება და პოეზია ის შეუბრალებელი ამსოლუტებია, რომლებიც მსხვერპლშეწირვას მოითხოვენ. მაგრამ ადამიანმა, ალბათ, მხოლოდ ღმერთს ან მის ხატებას უნდა მიუძღვნას საკუთარი თავი.

ადამიანური ყოფის სრულმყმნელი სიყვარული („ათასი რამე მოლაა და მოხვა“, „რა? რატომ? რისთვის? როდიდის?“, „სუფი ცად ლტტვის, როგორც ჩინარი“, „მკვდრები“, „დედამიწა“, „ცის დარბაზებში ელვის საკრავები“...), ეუმარტები ამსოლუტისენ რომ მიიღტვის, თვითონვა შემოქმედებითი ინსულესთან გაფლენილი. მამ პოეტის შემოქმედებით პროცესში არ შეაქვს გაორება. სიყვარული აღწევს ყველგან, მათ შორის იმ ამსოლუტის მსახურების სფეროშიც, რომელსაც თავი მიეძღვნა პოეტმა. უმაღლესი სიყვარული, თავისი ტრანსცენდენტურობის წყალობით, არაფერს ერიდება. იგი ცხოველმყოფელობას ანიჭებს შემოქმედებით ინსულს და პოეტის შინაგანი პოტენციის აღმაფრენას იწვევს. სიყვარული აძლევს პოეტს ძალას, აკეთოს თავისი საქმე ისეთი სრულყოფილებით, თითქმის არ დარჩეს საშიშრება, რომ ადამიანთა წაქეზების ზეგავლენით ეს პოტენციი დაწალნედეს.

მურმან ლებანიძის ლექსებში პოეტური სახე გამომეტყველებითი ფორმის გამოხატულებაა. აქ გამომეტყველება, გამოთქმა „შინაგანი“ და „გარეგანი“ ძალების სინთეზს წარმოადგენს, ამ ძალების ერთიანლობა კი იძულებითაა „შინაგანში“ გამეღავნებული, რაც „გარეგანს“ „შინაგანის“ სილრმეში შეღწევას ავალდებულებს. პოეტის გამოთქმა დინამიკური და მოძრავია, ეს მოძრაობა ყოველთვის მიმართულია „შინაგანიდან“ „გარეგანისკენ“ და პირიქით. მთელი ანობაზი გამოთქმა — ესაა როგორც სილრმისეული, ისე გარეგანი ენერგიის ურთიერთშეჯვერის არენა. ასე რომ, ძნელია გარკვევა თუ სად მდებარეობს „შინაგანი“ და სად „გარეგანი“.

მურმან ლებანიძის ლექსებიდან ჩანს, რომ პოეზია, ამავე დროს, არის სიტყვა და სიტყვები. მურმან ლებანიძის ლირიკაში სიტყვა ყოველთვის არის გამოთქმა, გაგებინების საშუალება და არა უბრალოდ საგანი ან აზრი თავისთავად. მისი სიტყვა არასდროს არ არის ზერელე. იგი ყოველთვის ღრმა და პერსპექტიული. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს პოეტის ეს სიტყვები:

ოჰ, პოეზიაც — მარად
ცის კიბეებით მსვლელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის წკრიალო ქნარად!
ვისთვის —
კრწანისის ველო!

მურმან ლებანიძის მხატვრული ტიპები („მოლანდება", „მესტვირის აიკვდილი", „გეორგი ლეონიძეს", „ფიქრები", „ჟურამ! ახალციხესთან...", „ლექსის მწერალი ხშირდება", „ტიციან ტაბიძეს", „ოთახის ციკლი"...) სინამდვილის ღრმა განზოგადებას წარმოადგენენ. ამასთანავე, აქ თავს იჩენს ქვეცნობიერი, მაგრამ მეტისმეტად ზოგადი და ზუსტი შეგრძნება. მხატვრული ტიპი ამუქებს აღქმას და ამიტომ რეალურზე უფრო მართლად გვესახება. იგი ჩვენს ცნობიერებაში შემოდის, როგორც პოეტის მსოფლაღქმისა და მსოფლგაგების ახალი კატეგორია. მურმან ლებანიძის პოეზია ერთმანეთთან ახამებს სიფაქიზეს და უბრალოებას. თავისი ბუნებით, სულიერი წყობით პოეტი სრულებითაც არ არის სენტიმენტალური. მისი აზროვნება შორსაა დაეჭვების გრძნობისაგან. პოეტისათვის დამახასიათებელია არა უნდობლობა, არამედ სულიერი ბრძოლა, წინააღმდეგობრძოობა. იგი ეჭვიანი კი არა, მეამბოხეა, მაგრამ ამბოხის დროსაც ყოველთვის რაღაცას ამტკიცებს.

პოეტის მიერ წარმოსახული ეჭვის სინდრომის გადალახვაც ხდება შინაგანი დიალოგის ფორმით, რომელშიც ყალიბდება მისი ცნობიერება. ეს ყველაფერი კი გამორიცხავს დოგმატურ აზროვნებას. მას სწამს ჭეშმარიტებისა და ღმერთის, რომელსაც ყოველთვის ეძებს. იგი მარად მოუსვენარი მაძიებელია და მისი ძიებების წარმატებები შემოქმედებითი აღმავლობით განისაზღვრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ბერიძე

ძველი თბილისის გარეგანი სახის ისტორიიდან

(ქალაქის კარი)

XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი IV საუკუნის თბილისის ისტორიის თხრობისას აღნიშნავს: „და აღაშენა სპარსთამან ფიროსისის კართა შორის ციხეჲ მცხეთისაჲ". ასე, რომ თბილისი პატიჟახშის, სპარსეთის მაღალი თანამდებობის მქონე პირის რეზიდენციად იქცა. და ეს არ ყოფილა შემთხვევითი: თბილისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. იგი სამხრეთიდან ეტატვდა მტკვრის ხეობას და კონტროლს უწევდა აქ გამავალ სავაჭრო გზას.

თბილისის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მისი ტერიტორიული ზრდის, ქალაქის ზღუდის აშენების, ეკლესია-მონასტრების აგების საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, ხოლო შემდეგ მისი შვილი, მეფე დაჩი"... და განასრულა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, „ჰი შეეშნა სახლაჲ სამეფოჲ".

მეფე დაჩიმ დაასრულა თბილისის ზღუდის შემოვლება და იგი ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად აქცია. ამიერიდან ქართლის მეფის ტახტის ადგილსამყოფელი თბილისია, რაც თავისთავად ხელს უწყობს ქალაქის ტერიტორიულ ზრდას და მოსახლეობის მატებას.

ბუნებრივია. ზღუდეს უნდა ჰქონოდა კარი, რომელიც ქალაქს გარე სამყაროსთან დაკავშირებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აღრეული ხანის (V—VIII სს.) თბილისის კართა რაოდენობისა თუ მათი სახელების შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი. საკითხის გარკვევაში რამდენადმე გვეხმარებიან X საუკუნის არაბი ისტორიკოსები იბნ ჰაუკალი და ტაბარი. ამათგან პირველი ამბობს, რომ „მას (თბილისს — თ. ბ.) ტანის ორი კედელი აკრავს და სამი კარი აქვს". ტაბარი, 858 წ. თბილისში ბოღა თურქის შემოსევის ამბების გადმოცემისას, აღწერს ქალაქის მდებარეობას და გვაწვდის მეტად საინტერესო და საჭირო ცნობას თბილისის გალავანში დატანებულ კართა რაოდენობისა და მათი სახელების შესახებ: „თბილისს აქვს ხუთი კარი: მაიდნის კარი, კარის კარი, მცირე (პატარა) კარი, რაბადის კარი და სოდდებილის კარი".

ტაბარის მიერ ჩამოთვლილ თბილისის კართა სახელების განმარტებისა და მათი ადგილმდებარეობის საკითხს შეეხო შ. მესხია, რომელის ვარაუდითაც „მაიდნის კარი" იგივეა, რაც შემდეგდროინდელი „ანანოს კარი" და ის ციხის მოედანს (თათრის მაიდანი) აკავშირებდა ძველ თბილისთან (ტფილისი), „კარის კარი" კი „გაჯის კარია", იგი სამხრეთ კედელში იყო დატანებული; „რაბადის", ანუ „ციხის კარი" (ალანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი „რაბადის კარს" „ციხის კარს" უწოდებდა); „პატარა, ანუ ციხის კარი" (ქართველი ერის ისტორია, II, 1965 წ., გვ. 38) ციხეს აკავშირებდა ქალაქთან — რაბადთან, ხოლო „სოდდებილის კარი", შემდეგი დროის „ავლაბრის კარი", აკავშირებდა ძველ თბილისთან". როგორც ვნახეთ, შ. მესხიას გამორჩენილი აქვს ქალაქის ერთი კარი „მცირე (პატარა) კარი".

ტაბარი გვამცნობს, რომ „თბილისი (მდ. მტკვრის, — თ. ბ.) დასავლეთის ნაპირზეა, სოდდებილი აღმოსავლეთის ნაპირზე" და, რომ „თბილისს ხუთი კარი აქვს". ისე, რომ თბილისი სხვაა და სოდდებილი სხვაა; მათ ერთმანეთისაგან ყოფდა მდ. მტკვარი. თუ ეს ასეა, მაშინ ტაბარის მიერ ჩამოთვლილი ქალაქის ხუთი კარიდან რომელიმე კარის სოდდებილში. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მოთავსება, ჩემი აზრით, ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს.

ო. ცქიტაშვილი, რომელმაც ტაბარის თხზულების დამოწმებული მონაკვეთი თარგმნა და გამოაქვეყნა, ამბობს, რომ „თბილისის ხუთი კარიდან ორი სოდდებილის კარია — საკუთრივ სოდდებილის კარი და რაბადის კარი, ხოლო დანარჩენი სამი კარი საკუთრივ თბილისის, ანუ კალა-თბილისის კარებია... ყურადღებას იპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრაშს სოდდებილში „რაბადის კარის“ არსებობა. თუ ალბათო ბანის სოდდებილში „რაბადის კარი“ იყო, მაშასადამე, იქ ზღუდეშემოვლებული რაბადიც. სოდდებილის საკვარო-სახელოსნო გარეუბანიც უნდა ყოფილიყო“.

ქალაქის კართან დაკავშირებით, მინდა, ერთი გარემოებას მივაქციო ყურადღება. X საუკუნის არაბი გეოგრაფოსები (ალ-ისტახარი, ალ-მუკადასი, იბნ ჰაუკალი და სხვ.) შუა აზიის ქალაქების კართა ჩამოთვლისას ერთი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ისინი მათ (კარებს) ან საათის ისრის მიმართულების თანმიმდევრობით ასახელებდნენ ანდა საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ. ეფიქრობ, თბილისის კართა სახელების ჩამოთვლისას, ტბაბრიც ამ პრინციპს უნდა მისდევდეს, სანამ კართა სახელების ჩამოთვლას და ქალაქის ზღუდეში მათ ადგილმდებარეობაზე საუბარს შეეფდგებოდეთ, საკირო, გვევარკვიოთ კიდევ ერთი საკითხი, საზოგადოდ ცნობილია, რომ ქალაქის კედელში დატანებული ეხა თუ ის კარი იქ ადგილის, დასახლებული პუნქტის, — ქალაქის თუ სოფლის და ა. შ. სახელს ალებდა, რომლისკენაც იყო მიმართული.

ახლა ვნახოთ, რა პრინციპით აქვს ჩამოთვლილი თბილისის კართა სახელები ტბაბრს. იგი პირველად ახასელებს „მაიდნის კარს“ (რომელიც მიეხადგება გვიანი ბანის „აბანოს კარს), შემდეგი კარია „კარის კარი“ (იგი იდენტურია შემდეგი დროის „ეგანჯის კარისა“). აღნიშნული განსაზღვრა, რომელიც შ. მესხიას ეკუთვნის, ეჭვს არ უნდა წარეოდეს და იმეორნდელი ქალაქის რეალური სურათის უნდა ასახავდეს. ეს თუ ასეა, მაშინ ტბაბრს ქალაქის კართა ჩამოთვლა სამხრეთიდან დაუწყია და თხრობა საათის ისრის მოძრაობის მიმართულების პრინციპზე აუგია. მიეკუვეთ თხრობას: მესამე კარს „მცირე (პატარა) კარი“ ჰქვია. ამ ხახელწოდებით კარის ადგილმდებარეობის ზუსტ მინიშნებას ართულებს კარის კონკრეტული სახელის უკონლობა. თუ სათის ისრის მიმართულებას გაეყვებით, ეს კარი უნდა ვეძიოთ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ზღუდეში. სახელი „მცირე (პატარა) კარი“ მის მეორეხარისხოვნებაზეც უნდა მიუთითებდეს (ანალოგიური სურათი გვჰქვს XVIII საუკუნის ავლაბრის გალავანთან დაკავშირებით, სადაც კარს „ავლაბრის კარი“ და მეორე კარი „მცირე, ანუ პატარა“); ჩამოთვლილ კართა სიაში მეოთხეა „რაბადის კარი“, იგი რიგის მიხედვით ქალაქის გალავანში ჩრდილოეთიდან დატანებულ კარად ჩანს და ქალაქს (კალს) გარეუბანთან (რაბადთან) აკავშირებს.

რაბადა ზემოთ ხასხენებ არან გეოგრაფოსებთან, შუა აზიის ქალაქთა ისტორიის მაგალითზე, გარეუბანს ნიშნავდა. ე. ი. რაბადა ალებულ ხანაში (IX-X სს). ქართულ სიტყვას — გარეუბანს, გარეშე ქალაქს შეესატყვისებოდა, მისი ბადალი სიტყვა იყო. აქვე აღსანიშნავი, რომ რაბადა შეიძლება ყოფილიყო როგორც შემოზღუდული, ასევე შემოუზღუდავი; ჩამოთვლილ კართა შორის დაგვრჩა „სოდდებილის კარი“. თუ დავიკავთ პრინციპს, რომ ქალაქის კარი იმ მხრის, ადგილის, ქალაქის, სოფლის თუ უბნის სახელს ალებდა, სათავე იყო მომართული, მაშინ „სოდდებილის კარი“ უნდა ვეძიოთ მტკვრის მარცხენა ნაპირზე ავლაბრის ხიდის (ამჟამინდელი მეტეხის ხიდი) თავთან. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის აღმოსავლეთით, ახლანდელ მეტეხისა და ავლაბრის უბნების მხლიანად ალებულ ტერიტორიას ადრე შუასაუკუნეებში (VIII-X საუკუნეებში მაინც) სოდდებილი ეწოდებოდა (უცხოენოვანი სიტტრონი წყაროების მიხედვით), რომელიც მოიცავდა ციხის-სოდდის-ციხის-მეტეხის (სადაც შეიძლება იდგა იოანე სანაძინის სადილეგო-სასერობელი) სასაფლაო-საგოდებელს და ომის იქით საკმაოდ დიდ ფართობს (ისნის ველი).

ჩვენი მოსაზრების დასტურად კიდევ ერთხელ მოვიხმოთ ალ-ტბაბრის თხზულებიდან მონაკვეთი: „ის (მტკვარი) არაა მედინას შუა. თბილისი დასავლეთის ნაპირზეა, სოდდებილი აღმოსავლეთის ნაპირზეა... თბილისს აქვს ხუთი კარი...“

X-XI საუკუნეების შემდგომი საისტორიო ლიტერატურა, რომელზეც კი ხელი მიმიწვდება, თბილისის კართა შესახებ თითქმის არავითარ ცნობას არ გვაქვდის. ეს საუკუნოვანი დუმილი ირღვევა XVII-XVIII საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური ცნობებით ან კარტოგრაფიული მასალით: თბილისის გრაფიკული გამოსახულებებით, გეგმებით (ვან შარდენი, ტურნეფორი, ვახუშტი ბაგრატიონი, პიშჩიეფი და 1800 წლის თბილისის გეგმა).

XVII-XVIII საუკუნეებში ქალაქის გალავანში დატანებული იყო რამდენიმე კარი, სამხრეთით: — აბანოს (ხეიდასადის) და განჯის (ციხის) კარი; დასავლეთით — კოკრის (ზემო, მაღალი, მაღალ, წავკისის) კარი; დიღმის (შუა) კარი; მეიდნის კარი; წყლის (ქვემო, მუხრანის) კარი; მტკვრის მარცხენა ნაპირზე: ავლაბრის და პატარა (მცირე) კარი. აღსანიშნავია, რომ ქალაქში არსებობდა ციხისა და ქალაქის დამაკავშირებელი ე. წ. ციხის კარი.

ზემოთ უკვე მოხმობილ ქალაქის გრაფიკულ გამოსახულებათა შორისაც კი არსებობს სრული თანხმობა არა მარტო იმიტომ, რომ ქალაქს ტოპოფიქსაცია სხვადასხვა დროს არის შედგენილი (რასაკვირველია, ამ ფაქტსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება). ერთი მთავარი მიზეზი-თავგანი უნდა იყოს ნებისთი თუ უნებლიეთ დაშვებული უზუსტობანი. თბილისის არც ერთი გეგმა (1673, 1701, 1735, უფრო სრულყოფილია 1800 წლის თბილისის გეგმა) არ არის სრული, მთაზე ქალაქის გალავანში დატანებული ყველა კარი ასახული არ არის.

ეან შარდენისა და ტურნეფორის ფხზულე-

ბებს თანდართული ნახატების მიხედვით* ისე ჩანს, რომ მხატვარი თბილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან ხატავს; ამის გამო ნახატზე ქალაქის ყველა კარი ვერ ირჩევა. ამათგან განსხვავებით, ვახუშტი ბაგრატიონს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ დატანული აქვს ექვსი კარი „ხუთი — მტკვრის მარჯვენა ნაპირზე: „კოჯრის კარი“, „დიდის კარი“, „მეიდნის კარი“, „ქვემო კარი“ „განჯის კარი“ და ერთი — მტკვრის მარცხენა ნაპირზე — „ავლაბრის კარი“.

ალექსანდრე პიუჩვიჩის მიერ შედგენილ 1785 წლის თბილისის გეგმაზე ექვსი კარია, აქედან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე — ხუთი: „წყლის კარი“, „მაღალი კარი“, „დიდების კარი“, „ციხის კარი“, „განჯის კარი“ სპარსეთის გზისაკენ, ხოლო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე — „ავლაბრის კარი“.

ჩუოკოს მიერ შედგენილ 1800 წლის თბილისის გეგმაზე დატანილია: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ექვსი კარი: „ნარი ყალაში შესასვლელი კარი“ (ციხის კარი, — თ. ბ.), „ციხის კარი გვირაბით“, „განჯის კარი“, „ბანაოს კარი“, „წავეთის კარი“, „დიდების კარი“, „მუხრანის კარი“ და მდინარის მარცხენა ნაპირზე — „ავლაბრის კარი“. ე. ი. ჩუოკოს შედგენილ გეგმაზე ქალაქს შვიდი კარი აქვს.

თბილისის ჩამოთვლილ გეგმებს მხოლოდ ერთი აქვთ საერთო: მტკვრის მარცხენა ნაპირზე ერთი კარია — „ავლაბრის“. მარჯვენა ნაპირზე განლაგებულ კართა ჩამოთვლაში კი აშკარა შეუთანხმებლობაა. ვახუშტისთან არ არის „აბანოს კარი“, „ციხის კარი“, სამაგიეროდ არის „მეიდნის კარი“, რომელსაც სხვა გეგმებზე ვერ ვხედავთ. ასევე, თბილისის დამოწმებულ გეგმებზე ერთი და იგივე კარი სხვადასხვა სახელით გვხვდება. მაგალითად, ვახუშტის „ქვემო კარი“ პიუჩვიჩთან „წყლის კარის“ სახელითაა, ხოლო ჩუოკოს შედგენილ გეგმაზე იგი „მუხრანის კარია“. ან კიდევ იგივე თანმიმდევრობით — „კოჯრის კარი — მაღალი კარი — წავკისის კარი“ და ა. შ. სანამ ქალაქის თითოეული კარის შესახებ ვისაუბრებდე, მინდა მოვიხმო XIX საუკუნის ისტორიკოსი ალექსანდრე ჯამბაკურ-რობელიანი (პუპლია), მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის შვილი (1802-1869 წწ). „...იმ ვაკეზედ დგანან დღესაც ნაწილი ქ. თბილისისა, რომელსაც ჰქვია ავლაბარი (ეს ორი სიტყვაა ავლა-ბარი), რომელისთვისაცა ერქუა იმ კარებსა ავლაბრის კარები. ამ ერთიანს მოვლეულსნა გალავანსნა ჰქონდა ხუთი ალაყაფის კარი რკინისა და წინ ფიცრებით ხიდები გადებული თხრილებზედ ანუ კლდიანის ხევზედ... ამ ალაყაფის ხუთსა კარსა ერქუა ეს სახელი: ჩრდილოეთის კარებს წყლის კარი, ამისთეს რომ მტკვარზედ მახლობლად იყო; დასავლეთის ჩრდილოკიდეს (უნდა იყოს ჩრდილო-დასავლეთით, — თ. ბ.) მხარისა კარებს დიდმის კარი; დიდმის ხეობასა გაპყურებდა და ამისთეს ერქუა. ამის მხარესა დასავლეთის კარებს კოჯრის კარი; ეს კარები კოჯრის მთისაკენ მიმართული იყო და ამიტომ უწოდენენ კოჯრის კარსა. პირდაპირ ანაწონების კარსა განჯის კარი, რადგან განჯიდგან და ქვემოდგან იმაზე მიდიოდენენ მგზავრნი, ამის გამო უხმობდნენ ამ სახელსა“.

ქალაქის გალავანში დატანებულ კართა რაოდენობისა და სახელთა ცვლა დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტურ და სასტატისტიკო წყაროთა გათვალისწინებით, XVII-XVIII საუკუნეებში თბილისის ზღუდეში დატანებული იყო: სამხრეთის — ბანაოს (სეიდაბადის) კარი და განჯის (ციხის, სალალაკის ხევის) კარი; დასავლეთით — კოჯრის (კოჯრის, ზემო, მაღალი, მაღლა, წავკისის) კარი; დიდმის (შუა) კარი; მეიდნის კარი; წყლის (ქვემო, მუხრანის) კარი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე — ავლაბრის და პატარა (მცირე) კარი. აღსანიშნავია, რომ არსებობდა ციხისა და ქალაქის დამაკავშირებელი ე. წ. ციხის კარი.

„ციხის კარი“ ზოგჯერ ერთდროულად ქალაქის სხვადასხვა კარს ეწოდებოდა.

პლატონ იოსელიანი (1809-1875 წწ.) ჩამოთვლის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ზღუდეში დატანებულ კართა სახელებს, რომლებიც, ზოგიერთის გამოკლებით, არსებითად განსხვავდებიან ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ კართა სახელებისგან. იგი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რვა კარს ასახელებს. ამასთან, პლ. იოსელიანი პირველია, ვინც შაჰაბაზთან კარს „ხოლოლაკის“ სახელით იხსენიებს და მიუთითებს, რომ „კოჯრის და დიდმის“ კართა შორის არის „ქარდლის კარი“.

XVII-XVIII სს. თბილისის გრაფიკულ გამოსახულებებზე, დოკუმენტურ წყაროებში და სასტატისტიკო ლიტერატურაში ქალაქის ზღუდეში დატანებული მსგავსი სახელწოდების კარი დაფიქსირებული თუ მოძიებული არა მაქვს. შეიძლება, დავუშვათ, რომ საქართველოში ახლად დამყარებულმა რუსულმა ხელისუფლებამ ქალაქის კედელში ახალი კარები გაკრა, თუმცა ეს ვარაუდიც არ უნდა იყოს ზუსტი, რადგან სწორედ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ანა კერძოდ, ერმოლოვის დროს (1816-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1827 წწ.) დაიწყო ქალაქის ეკლესიის ნგრევა და მოშლა, რაც არც მისი მმართველობის შემდეგ შეწყვეტილა.

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ირანის მბრძანებელის შაჰ აბას I-ის მიერ (1587-1629 წწ.) დანგრეული თბილისის გალავანი აღუდგენია შაჰ აბას II-ის: „კალა მოზღუდა მეორე შაჰაბაზ, პირველი შემუშვინილი, სამხრით მოავლო სალალაკის კლდეზედ". ამ დროს ქართლის სამეფო ტახტი უპყრია როსტომ მეფეს (1632-1658). ვახუშტი შემდეგ დასძენს, რომ ამავე დროს ქალაქის გალავანში „დასაკეთო ქნეს ორი კარი, ჩრდილოით ორი კარი". ისტორიკოსის მიერ აღნიშნული ოთხი კარი, დატანებული ქალაქის გალავანში დასავლეთით და ჩრდილოეთით, უნდა ეგზიბოდეს თბილისის იმ კარებს, რომელნიც დატანილი აქვს ვახუშტის თბილისის 1735 წლის გეგმაზე: „კოკრის კარი" № 21, „დიღმის კარი" № 22, „ბეიდნის კარი ბიდეთ" № 23, „ქნეშო კარი ხიდეთ" № 24; წრფნი ჩამფული წერტილითი აღნიშნულია „განჯის კარი". აქვეა სათქმელი, რომ ვახუშტი თავის შედგენილ გეგმაზე კიდევ ერთ კარს აღნიშნავს, ოღონდ — მტკვრის ჩრდილეთა ნაპირზე, ესაა „ავლაბრის კარი" № 13.

რასაკვირველია, ვახუშტისეული თბილისის გეგმა, როგორც უკვე ავნიშნე, სრული არ არის. მასზე არაა დატანილი ქალაქის რამდენიმე კარი, ქალაქის სამხრეთით „ალანის კარი" და ასევე „ციხის კარი".

აღსანიშნავია, რომ ვახუშტისავე თხზულებაში „აღწერა ამეფოთისა საქართველისა" სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გვხვდება „განჯის კარი". ვახუშტი თბილისის აღწერისას ამბობს: „სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის-კარად", ცოტა ქვემოთ, როსტომ მეფის საალმშენებლო სამშენებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი თბილისში მეჩეთის ახალი ადგილის მინიშნებისას, ვახუშტი გვამცნობს, რომ „ა-თ მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლისა შიდა თუსა ერთი და განჯის-კართან ერთი".

უნდა აღინიშნოს, რომ „განჯის კარი" ქალაქის გალავანში დატანებულ კართა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კარია, მას აქვს ორი დამცველი კოშკი. ამ კარით შემოდიოდა ქალაქში სამხრეთიდან ზამთრული სხვადასხვა საქონლით დატვირთული ქარავნები.

XIV საუკუნის სასტორიო თხზულების ეკმთავაქმენერელი ჭელალდინის მიერ თბილისს თავსხვადამდფარი უნელურების აღწერისას „განჯისკარსაც" მოიხსენიებს.

პლ. იოსელიანი თბილისის სამხრეთით მდებარე ქალაქის ერთ-ერთ დამცველი ციხის — თაბორნუს საუბრისას გადმოგვცემს, რომ ამ ციხის უშუალო ფუნქციია იყო „განჯის კარის" დაცვა.

XVIII ს. ლოკუმენტში „ქალაქის .მოურავის სარგო" ვკითხულობთ, რომ მოურავს „ალანის კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვის კარზედ, თუმანზე ხუთი შაური ბაეი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა..."

შ. ბესხიან აღნიშნული დოკუმენტი იმდენად ამომწურავად აქვს შესწავლილი, რომ მე მის განხილვას არ შეეუდგები; მინდა, ეს შენიშვნა იმ ადგილს, სადაც საუბარია „ციხის კარისა" და „განჯის კარის" ოგვიდობაზე. შ. ბესხია ამასთან დაკავშირებით გვამცნობს: „ციხის კარის" ქვეშ აქ, ცხადია, თბილისის მთავარი კარი, ე. წ. „განჯის კარი" იგულისხმება, რომლითაც თბილისი უმთავრესად უკავშირდებოდა სამხრეთის მეზობელ ქალაქებს".

ალბათ, ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ ჩვენს ხელთ არსებულ სიგელ-გუჯრებში თითქმის არ გვხვდება „განჯის კარი", სამაგიეროდ, შედარებით ხშირად იხსენიება „ციხის კარი".

„ციხის კართან" დაკავშირებით გვიბნევთნი ერთი ადგილი ეან შარდენის „მოგზაურობიდან": „ხაკართველოს მთავარი, როდესაც ხელმწიფის წერილებისა და სარეკვრების მისაღებად, ჩვეულებისამებრ, ქალაქის კარიბეჭის გარეთ გადის ხოლმე, მან ციხის შუაგულში უნდა გაიაროს..." რა ციხეზეა აქ საუბარი?

XVII საუკუნის მეორე მეოთხედში თბილისი შენდება და შესაბამისად იცვლის გარეგან სახეს.

მოვუსმინოთ ვახუშტი ბაგრატიონს: „კალა მოზღუდა მეორე შაჰაბ, პირველი შემუშვინილი, სამხრით მოავლო სალალაკის კლდეზედ". იგი იქვე დასძენს, რომ ამავე დროს ქალაქის გალავანში „დასაკეთო ქნეს ორი კარი, ჩრდილოეთ ორი კარი".

შაჰ აბას II-ის ზეობის წლებია 1642-1666. და კიდევ, ვახუშტი როსტომ მეფის (1632-1658 წწ) მოღვაწეობაზე საუბრისას ამბობს, რომ „ამან როსტომ.. შეავლო ხიდისყოფამან ზღუდე კალის ციხეშედ და განჰაყო ქალაქი და ციხე, მოავლო მტკეხს ზღუდე" და ა. შ.

ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმა-ზე ასო „კ"-ინ აღნიშნული აქვს „ციხე დაბალი", ხოლო ასო „თანით" კი „მაღალი ციხე" (ნარიყალა, — თ. ბ.).

ქალაქისა და ციხის გამყოფი კედლის აღმართვით XVII საუკ. 40-იან წლებში თბილისში წარმოიშვა ახალი მიკროუბანი — „დაბლა ციხე", რომელშაც იარსება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულამდე. ამ კედლეში დატანებულ კარს „ციხის კარი" ეწოდებოდა.

კედელი 1750 წელს მოაშენეინა ქართლის მეფემ თეიმურაზ II. თბილისში „ციხის კარი" სახელად შეშორება „მაღალ ციხეში" (ნარიყალაში) ქალაქიდან შესასვლელ კარს.

ზემოთ ითქვა, რომ ქალაქის სამხრეთით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავანს „განჯის კარის“ გარდა დატანებული ჰქონდა მეორე კარი — „აბანოს კარი“ ხიდით.

„აბანოს კარი“ ქალაქს აკავშირებდა თბილისის სამხრეთით მდებარე ქლაქინსარა უბანთან — ხეიდაბადთან (ხარფუტთან).

1772 წელს თბილისში მეოთი გიულდენშდეტი აღნიშნავდა: „ხონდალეფლიდან თბილისს მივადწიე განკისკართან, რადგანაც აბანოს ხიდი გატეხილი იყო“.

პპლ. იოსეფიანი ქალაქის 7 კარს ასახელებს, აქედან რიგით პირველს, „აბანოს კარს“ ხულ სხვა სახელით „ხეიდაბადის კარად“ მოიხსენიებს. აი, სწორედ ამ კარის — „აბანოს“ და ამავე სახელის ჰქონე ხიდის საშლელები, რომელიც გადებული იყო ზაკეკისის ხევზე, ხეიდაბადი უკავშირდებოდა ქალაქს.

ქალაქის გალავანს ჩრდილოეთისკენ დატანებული ჰქონდა ოთხი კარი: „ეოერის, ანუ ზემო, მაღალი, ზაკეკისის კარი“, „დიღმის ან შუა“; „ქვემო, ანუ ყულის, მუზრანის კარი“. „ყულის კარსა“ და „დიღმის კარს“ შორის კიდევ იყო ერთი კარი — „ხეიდაბის“.

თბილისის დასავლეთით და ჩრდილოეთის მხრიდან შემოვლებულ გალავანში კართა რაოდენობაზე, მათ შესახებ საუბრისას, მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო ვახუშტი, რომელიც მოგვითხრობს, რომ „კალა მიზღუდა მეორე შაბაბზ, პირველი შემუსვრილი. სამხრით მოაკლო სალალაკის კლდეზედ; დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩრდილოთ ორი კარი“.

მაშასადამე, ქალაქის აღნიშნული ოთხი კარი გალავანში უნდა დაეტანებინათ XVII საუკუნის 40-იან წლებში.

მიეკუეეი კართა ჩამოთვლას.

„ეოერის კარი“ („მაღალი, მაღალი, ზაკეკისის კარი“) მდებარეობდა დღევანდელი თავისუფლების მოედნისა და ლესელიძის ქუჩის შესაყარზე. აქედან იწყებოდა გზა ეოერისაკენ, ხოლო იქიდან კი თრალეთსა და ხომბეთში.

თბილისის გრაფიკული გამოსახულებებიდან „ეოერის კარს“ მხლილდ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმა“-ზე ვხვდებით; პიშჩევიჩოთ (1785) იგი აღნიშნულია „მაღალი კარის“, ანუ „მაღალა კარის“ სახელით (№ 22), ხოლო ჩუკოს მიერ შედგენილ 1800 წლის თბილისის გეგმაზე იგი „ზაკეკისის კარის“ სახელს (№ 22) ატარებს.

მეფე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ოჯახის ნაკრთა კუთვნილ ქონებაზე 1803 წელს შედგენილი უწერსნი „ეოერის კარი“ რამდენჯერმე გვხდება „ზაკეკისის კარის“ სახელით.

„შუა, ანუ დიღმის კარი“ მდებარეობდა ამჟამინდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე. აქედან იწყებოდა ერთ-ერთი მთავარი საგარანზიტო გზა: თბილისი-გორი-ახალქალაქი და, ასევე, გზა: თბილისი-ეინვალი, აქედან რუსეთისაკენ.

1735, 1785 და 1800 წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე ქალაქის ჩრდილოეთ ზღუდეში დატანებული „შუა კარი“ მხოლოდ ერთი სახელით არის მოხსენიებული — „დიღმის კარი“.

„ყულის კარი“, ანუ „ქვემო კარი“ მდებარეობდა დაახლოებით ამჟამინდელი შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე.

ზემოთ ჩემ მიერ არაერთგზის დამოწმებული ქალაქის სამ გრაფიკულ გამოსახულებაზე აღნიშნული კარი სხვადასხვა სახელით გვხვდება: ვახუშტისთან (1735 წ.) — „ქვემო კარი ხიდით“ (№ 24); პიშჩევიჩთან (1785 წ.) — „ყულის კარი“ (№ 1) და ჩუკოს (1800 წ.) გეგმაზე — „მუზრანის კარი“ (№ 24).

„ქვემო-ყულის-მუზრანის კარი“ ემსახურებენ და გარეთუნელებს, ავკალის გზით მოსულ ქალაქისპირა სოფლების მცხოვრებთ და ჩრდილოეთიდან წამოსულ მგზავრებს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ ნასყიდობის წიგნებში რამდენჯერმე იხსენიება „ყულის კარი“, როგორც მავანი და მავანი ქალაქელის სამოსახლოს სამანი, მიჯნა.

სამუშაოში ასევე გვხვდება „ყულის კარის უბანი“ (1772 წ.)

და ბოლოს, XVIII საუკუნის დასასრულს შედგენილი სამუშაო საბარიოა ქალაქის ზღუდის შეკეთება-გამაგრებაზე, სადაც ნათქვამია. „...აგრეთვე დიღმის კარზედ და ყულის კარზედ გალავანი გაუამლდეს“-ო.

„ქვემო კართან“, მტკვრის ახლოს ქალაქის გალავანში დატანებულ ბურჯთან მიშენებული იყო მუზრანბატონების ორსართულიანი სასახლე (დაახლოებით ამჟამინდელი ჩაჩოუხის და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე; აღნიშნულმა სასახლემ XIX საუკ. დასასრულამდე მოაღწია.) მუზრანბატონების მფლობელობაში იყო მტკვრის ნიაბოლევს ავანანთან ხევის გაღმა და გამოღმა მამულები, რის გამოც ამ ტერიტორიას „მუზრანთუბანი“ შეერქვა. ამიტომ და ამის გამო, რომ ჩუკოს მიერ შედგენილ „თბილისხეს 1800 წლის გეგმაზე“ აღნიშნულია ქალაქის კარი „მუზრანის“ სახელით, ხოლო კარის მახლობლად ავანაანთ ხევზე გადებულ ხიდს კი „მუზრანისას“ უწოდებენენ. 1910 წელს მტკვარზე ერთმანეთანი რკინის ხიდის ადგილის (აჩეტა, პაკანი) შუა-მდეგ, ხევზე გადებული ძველი ხიდის გამო, მტკვარზე აგებულ ხიდსაც „მუზრანის ხიდი“ ეწოდა (ახლანდელი ნ. ბარათაშვილის სახ. ხიდი).

„ქვემო, ანუ ყულის კარიდან“, „დიღმის, ანუ შუა კარიდან“ და „ეოერის, ანუ მაღალ კარიდან“ წამოსული ერთ-ერთი გზა თავს იყრიდა (ვახუშტის გეგმით) ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიასთან, საიდანაც იწყებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ მიმავალი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარავნო ტრასა, რამაც შეიძლება განაპირობა კიდევ ის, რომ სწორედ ქაშვეთთან იყო გარეთუნის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჯრო ცენტრი რასტაბაზრით, ქარვასლით, დუქნებით და ა. შ.

1795 წლის ენკენისთვეში, ქართველი ხალხის ამ ბედუკუღმართობის ჟამს, თბილისს ეწვია სომეხი ვაჭარი არტეგ არარატელი, რომელიც თავსგადამხდარ სხვა ამბებთან ერთად აგვიწერს და გადმოგვცემს თბილისის უბედურების შესახებაც.

არარატელი თავის თხზულებაში თბილისზე საუბრისას რამდენჯერმე ახსენებს ქალაქის „ტაფთაღლის კარს".

შ. მესხია ერთ-ერთ მონოგრაფიაში „ავლაბრის კარზე" საუბრისას მას „ტაფთაღლის კართან" აიგივებს. სინამდვილეში კი „ტაფთაღლის კარს" არაფერი საერთო არ გააჩნდა როგორც „ავლაბრის კართან", ასევე თვით ქალაქისპირა სოფელ ავლაბართან. შემდგომში, კერძოდ, ქალაქის ზღუდეში დატანებულ კართა ისტორიის შესწავლისას, მისასადაგებელი მასალის მძიმენთ და მოშველიებით დადგინდა, რომ „ტაფთაღლის კარი" ეწოდებოდა თბილისის ჩრდილოეთის მხრიდან გალავანში დატანებულ კარს, უფრო ზუსტად, გარეთუბანში გასასვლელ ერთ-ერთ კარს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ზუსტად დადგენა, რომელი კარიბეგი ატარებდა ამ სახელს. შეიძლება დავუშვათ, რომ „ტაფთაღლ" გარეთუბანში ყველა კარის ზოგადი სახელია, იგი უფრო ადგილის სახელს აღნიშნავდა და არა რომელიმე კარიბეგისას. გარეთუბანში, ამჟამინდელი რუსთაველის გამშირზე (ძველად სასახლის ეკუნა), მეტრო სადგურ „თავისუფლების მოედნის" პირდაპირ იდგა ქამოანთ წმ. გიორგის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. 1913 წელს, რუსულ ენაზე შედგენილ და გამოცემულ თბილისის გზამკვლევში, ვხვდებთ ასეთ ცნობას:

«Комояна «Тапи Таги» св. Георгия».

„ტაფთაღლის" ტოპონიმის და ადგილის მნიშვნელობის დადგენისათვის მოვიხმოთ თბილისის ისტორიის მკვლევარი ნ. ბადრიაშვილი, რომელიც წერდა:

«Квартал этот (გარეთუბანი თ. ბ.) по другим источникам, назывался Миндврис-убани — Квартал Полей и на армянский — Тапи-тах».

ნ. ბადრიაშვილი ამავე ნაშრომში, ცოტა ქვემოთ იხვე შეეხო „ტაფთაღლ":

«На север от Калы, за стеною рассыпался довольно большой, но редкий постройками, прибрежный квартал Гаретубани (Загородный), иначе Кало-убани (Гуменный), или Миндврис-убани (Полевой) на армянский Тапи-тах».

ნ. ბადრიაშვილის ნაშრომიდან დამოწმებული ადგილები თითქოს სარწმუნოს ხდის ჩემს მოსაზრებას, რომ „ტაფთაღლ" ადგილის სახელია და არა ქალაქის რომელიმე კარიბეგისა.

X საუკუნეში, და შეიძლება ცოტა ადრეც, თბილისი მტკვრის მარცხენა ნაპირზე ზღუდეშემოგლებული იყო.

არაბი ისტორიკოსი (X ს.) იხნ ჰაუკალი თბილისის აღწერისას გადმოგვცემს, რომ „მას (თბილისს, — თ. ბ.) ტინის ორი კედელი აკრავს და სამი კარი აქვს".

დამოწმებული ადგილიდან ისე ჩანს, რომ არაბი ისტორიკოსი თბილისზე საუბრობს და არა ცალკე აღებულ რომელიმე უბანზე. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, მტკვრის რომელ ნაპირზე — მარცხენაზე თუ მარჯვენაზე მდებარეობდა ჰაუკალის მიერ დასახელებული თბილისის სამი კარი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ჭირს, მითუმეტეს, რომ ქალაქის ამ სამი კარიდან არც ერთის სახელი არ ვიცით. ვ. ცინცაძე გვთავაზობს თავის მოსაზრებას:

«Действительно из районов Тбилиси того периода (X ს. თ. ბ.) трое ворот должны быть только у Исани».

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე თბილისს მტკვრის მარცხენა ნაპირზე გალავანში დატანებული ჰქონდა ერთი კარი, რასაც ადასტურებენ როგორც წერილობითი წყაროები, ასევე XVII-XVIII საუკუნეების თბილისის გრაფიკული გამოსახულებები.

ჟან შარდენის (1673 წ.) და ტურნეფორის (1701 წ.) თხზულებებს თანდართულ თბილისის ნახატებზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქს ზღუდეში ერთი კარი აქვს დატანებული, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ნახატებზე და არც ოვით მათ თხზულებებში ჩვენთვის საინტერესო კარს სახელი არა აქვს. ვახუშტი ბაგრატიონს „თბილისის 1735 წლის გეგმა"-ზე დატანილი აქვს როგორც ზღუდეშემოვლებული ქალაქი, ასევე მისი მომიჯნავე გარეუბნებიც. აქ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გალავანში დგას მეტეხის ეკლესია (№ 55). ძეგლი საერთო ტერიტორიიდან გამოყოფილია ჩრდილოეთის მხრიდან, ზღუდის ზღუდით.

აღსანიშნავია, რომ მეტეხის ეკლესიას და მის ზღუდეკიბეს, მტერთა არაერთგზაზინ შემოსევების შედეგად, მრავალჯერ განუცდია ნგრევა.

ვახუშტის ეგემის მიხედვით, მეტეხის ციხეს აღმოსავლეთის მხრიდან დატანებული აქვს „აღლაბრის კარი" (№ 23). კარიდან სხვადასხვა მიმართულებით გადიოდა გზები: „ბაღების", „ყახეთის", „შუა ტბის", „ლილოს" და „ავჭალისა". პიშჩეიჩის 1785 წლის თბილისის გეგმაზე ავლაბრის ზღუდეში ორი კარია დატანებული: ერთი აღმოსავლეთიდან, მეორე კი ჩრდილოეთის მხრიდან. გეგმაზე აღმოსავლეთით მდებარე კარიდან მხოლოდ ერთი გზაა — „დღიტნის დიდ გზაზე გამავალი", რომელიც შემდეგი დროის ყახეთის გზას უნდა ესადაგებოდეს.

უკვე ვთქვი, რომ პიშჩეიჩის გეგმაზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქს ორი კარი ჰქონდა. 1785 წლის გეგმის მიხედვით მეტეხი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბარი ცალ-ცალკეა შემოწმდებული. მეტეხიდან ავლაბარში მოხვედრა შეიძლებოდა კარით, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან დატანებულია მეტეხის გალავანში და იგი უნდა წარმოადგენდეს ძველ „ავლაბრის კარს", ხოლო თვით ავლაბრის გალავანს, როგორც უკვე აღნიშნეს, ორი კარი აქვს, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

როდის უნდა დაეტანებინათ ავლაბრის ზღუდეში მეორე კარი, ე. წ. „პატარა კარი", ამის გარკვევაში გვეხმარება მეფე ერეკლე მეორის მეუღლის დარეჯან დედოფლის მიერ 1801 წელს რუხი ხელისუფლებისათვის წარდგენილი სადედოფლო შემოსავლის ნუსხა, სადაც იგი წერს:

„1801 წ. აპრილის დამლევი.

...ავლაბარი ოსმალობას აქეთ ხარაბა ყოფილა, ოცდაექვსი წელიწადი არის ჩემის ხარჯით გალავანი შემომეკეთა, სასახლე და ეკლესია ამ. იშენებია, ხალხი შემოერებია და დამისახლებია". ე. ი. ავლაბრის გალავანი აუგიათ 1774 წელს; ამ დროს უნდა დაეტანებინათ აღნიშნულ ზღუდეში ორი კარი. ახეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაძლევს უკვე არიერთგზის დამოწმებული თბილისის გრაფიკული გამოსახულებები — 1673, 1701, 1735 წწ.

ჩუიკოს მიერ შედგენილ „თბილისის 1800 წლის გეგმაზე" შემოწმდებულია როგორც თვით მეტეხის ციხე, ასევე ავლაბარი. მეტეხის ზღუდეში აღმოსავლეთის მხრიდან დატანებულია კარიბეჭი (№ 21), რომელსაც გეგმას თანდართულ ექსპლიკაციაში ასეთი განმარტება ახლავს:

«Авлабарские, сие ворота не в городовой стене, но в стене небольшого укрепления, прикрывающего от стороны Авлабара мост через реку Куру».

დამოწმებულ გეგმაზე მეტეხის ზღუდეში „ავლაბრის კარის" სახელით კარიბეჭის არსებობა ძველი ტრადიციის გაგრძელებად ჩანს, ხოლო რაც შეეხება თვით ავლაბრის გალავანს, მას გეგმით ორი კარი აქვს — აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, რომლებსაც გეგმის ექსპლიკაციაში არავითარი განმარტება არ ახლავთ. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ აღმოსავლეთის კარი, ეს არის XVIII ს. 70-იანი წლების „ავლაბრის კარი", ჩრდილოეთისა კი ე. წ. „პატარა კარი".

„თბილისის 1800 წლის გეგმის" მიხედვით, ავლაბრის ზღუდეში აღმოსავლეთის მხრიდან დატანებულ კართან („ავლაბრის კარი") თავს იურიდნენ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან წამოსული გზები: სოფელ ნავთლუღიდან „ქვეშა გზა", კაბეთის სოფლებიდან — „ზემო გზა სოფელ მარტყოფიდან".

ჩრდილოეთის მხრიდან დატანებულ კართან („პატარა კარი") მხოლოდ ერთი გზა მოემართებოდა — „ავლაბრის გზა".

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ყველა კართან იდგნენ მებაჟეები და მეკარენი.

„ავლაბრის კარისაგან" განსხვავებით, ავლაბრის გალავნის მეორე კარი, „პატარა კარი" წერილობით წყაროებში, რაზეც კი მე ხელი მომიწვდებოდა, მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული, 1808 წელს შედგენილ საბუთში.

ამგვარად, თბილისმა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, მრავალჯერ იცვალა გარეგანი სახე, რაც ასე ამკარად და თვალნათლივ აირეკლა ქალაქის ზღუდეში დატანებულ კართა როგორც რაოდენობრივ (რიცხობრივ), ასე მათ სახელთა ცვალებადობაში.

ტექნიკური რედაქტორი ზ ი უ ლ ი ს ი რ ა ბ ძ ე

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 17.03.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.05. 93 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 400. ტირაჟი 3200.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

Б 14/43

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 მან.

ინდექსი 76836